

ლელა თავდგირიძე, გიორგი ქათამაძე, მაია ბოლქვაძე
LELA TAVDGIRIDZE, GIORGI KATAMADZE, MAIA BOLKVADZE



ზღაპრებიდან
ეკონომიკურ
ცნობიერებად...
FROM FAIRY TALES
TO ECONOMIC
AWARENESS...

ლელა თავდგირიძე, გიორგი ქათამაძე, მაია ბოლქვაძე

**ზღაპრებიდან
ეკონომიკურ
ცნობიერებად...**

LELA TAVDGIRIDZE, GIORGI KATAMADZE, MAIA BOLKVADZE

**FROM FAIRY TALES
TO ECONOMIC
AWARENESS...**

თბილისი/Tbilisi
2026

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭომ (ბსუ-ს საგამომცემლო საბჭოს ოქმი № 1, 12.02.2026 წ.), თავისი კომპეტენციის შესაბამისად, განიხილა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2022 წლის კონკურსში გამარჯვებული საგრანტო პროექტის - „ზღაპრებიდან ეკონომიკურ ცნობიერებამდე“ (FR-22-9547, 16.03.2023 წ.) -ფარგლებში მომზადებული მონოგრაფია „ზღაპრებიდან ეკონომიკურ ცნობიერებამდე“ და დაადგინა, რომ წიგნის შინაარსი აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს და საგამომცემლო საბჭო მხარს უჭერს და რეკომენდაციას უწევს ნაშრომის გამოქვეყნებას. დადგენილების ნომერი MES 0 26 0000179398.

- მთავარი რედაქტორი: **იმერი ბასილაძე** განათლების დოქტორი, პროფესორი (ანსუ)
- რედაქტორი: **ნათელა ნიკლაშვილი**, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, (ბსუ)
- რეცენზენტები: **ანა მილ ბარსია**, განათლების დოქტორი, პროფესორი (აშშ)
ენე-სილვია სარვი, განათლების დოქტორი, პროფესორი (ესტონეთი)
ბადრი ბეჩბაძე, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი (ბსუ)
ნათო შერთიანი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი (ბსუ)
- დამაინერი: **კახაბერ მახარაშვილი**



მონოგრაფია მომზადდა და დაიბეჭდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. გრანტის ნომერი FR-22-9547

წიგნი აიწყო-დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა: „**ეპო ივერია**“-ში

© 2026 ლელა თავდგირიძე, გიორგი ქათამაძე, მათა ბოლქვაძე

ISBN 978-9941-9963-7-5

DOI - <https://papers.4science.ge/index.php/monograph/article/view/493>
<https://doi.org/10.52340/9789941996375>

სამადლობელი

ქართული ხალხური ზღაპარი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა არა მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკურ ფენომენს, არამედ სოციალური გამოცდილების გადაცემის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. სკოლამდელ ასაკში მიღებული გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პროცესსა და მიღწევებზე.

მონოგრაფიაში „ზღაპრებიდან ეკონომიკურ ცნობიერებამდე...“ თავმოყრილი, შესწავლილი და შეფასებულია ადრეულ ასაკში ბავშვის ცნობიერების ფორმირების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიები; საბავშვო ლიტერატურის და ქართული ხალხური ზღაპრების როლი ეკონომიკური ცნობიერების ფორმირებაში ადრეულ განათლებაში.

კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2022 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტის FR-22-9547 „ზღაპრებიდან ეკონომიკურ ცნობიერებამდე“ ფარგლებში.

გვსურს გულწრფელი მადლობა გამოვხატოთ **სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიმართ**, რომლის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა მონოგრაფია „ზღაპრებიდან ეკონომიკურ ცნობიერებამდე“, ქართული ხალხური ზღაპრების კრებული, ეკონომიკური ცნებების ლექსიკონი ბავშვებისათვის და მოგვეცა შესაძლებლობა ხელმისაწვდომი გაგვეხადა სკოლამდელი დაწესებულების პედაგოგებისათვის, ამ სფეროში მოღვაწე მკვლევრების, მეცნიერების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული საზოგადოებისათვის; მონოგრაფია ქართულ და ინგლისურ ენაზე, ლექსიკონი, ქართული ხალხური ზღაპრების კრებული მიეწოდება ადრეული განათლების პროგრამების განმახორციელებელ უნივერსიტეტებს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, მეთოდგაერთიანებებს, სკოლამდელი განათლების სფეროში მოღვაწე პრო-

ფესიულ ორგანიზაციებს. მონოგრაფიის ელ. ვერსია განთავსდება ბსუ-ს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში და უფასო იქნება საჯარო ხელ-მისაწვდომობისათვის.

გულწრფელ მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართულ თითოეულ მონაწილეს: უცხოელ კონსულტანტებს, ბათუმის, ქუთაისის, თბილისის, თელავის სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგებს, მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელებს, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მოქმედი ადრეული განათლების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პირებს, ფსიქოლოგებს, საბავშვო ზღაპრების კრებულის ილუსტრატორს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ბსუ-ს ბიბლიოთეკას, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, რომელთა მხარდაჭერით და აქტიური ჩაერთულობით შეიქმნა მონოგრაფია.

მადლიერება გვინდა გამოვხატოთ წიგნის მთავარი რედაქტორის, რედაქტორის, რეცენზენტების, დიზაინერის და გამომცემლობის მიმართ.

მკითხველი მონოგრაფიაში იპოვის სასარგებლო და საჭირო მასალას ადრეულ განათლებაში ცნობიერების ფორმირების თეორიების, საბავშვო ლიტერატურის, როგორც ცნობიერების ჩამოყალიბების ინსტრუმენტისა და ეკონომიკური ცნობიერების განვითარების შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი გაგებით მოეკიდება წიგნში გაპარულ უზუსტობებსა და ხარვეზებს. დიდი სიამოვნებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ ყველა საქმიან რჩევას.

**ლელა თავდგირიძე, გიორგი ქათამაძე, მაია ბოლქვაძე
ბათუმი, 2026 წ.**

სარჩევი

შესავალი	7
თავი 1. ადრეული განათლება და ცნობიერების ფორმირება	12
1.1. ადრეული ასაკში ცნობიერების ფორმირების თეორიები ...	12
1.2. საბავშვო ლიტერატურა, როგორც ცნობიერების ფორმირების ინსტრუმენტი	42
1.3. ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების საკითხები ადრეულ განათლებაში	74
თავი 2. ადრეული განათლება საქართველოში: ისტორია და გამოწვევები	89
2.1. ადრეული განათლების ისტორია და პირველი სკოლამდელი დაწესებულებები საქართველოში	89
2.2. საბავშვო ბაღების ინსტიტუციური და ორგანიზაციული მონაცემები საქართველოში (ადრეული განათლების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები)	112
2.3. უმაღლესი განათლების როლი ადრეულ განათლებაში და აღმზრდელ-პედაგოგთა მომზადება	132
თავი 3. ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების საკითხები	154
3.1. ადრეული განათლების საგანმანათლებლო რესურსები და სწავლების პრაქტიკები თანამედროვე ქართულ სკოლამდელ დაწესებულებებში	154

3.2. ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების რესურსები	
ქართულ ხალხურ ზღაპრებში	172
ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“	175
ზღაპარი „ნაცარქექია“	178
ზღაპარი „კომბლე“	180
ზღაპარი „ერთი მანეთის შოვნა“	182
ზღაპარი „ხუთკუნჭულა“	184
მონოგრაფიის ინგლისური ვერსია	187
ბიბლიოგრაფია	347
პროექტის ფარგლებში შექმნილი რესურსები	365
ავტორთა შესახებ	367

შესავალი

განათლება ქვეყნის წინსვლის, ეკონომიკური განვითარების, პიროვნული, სოციალური და პროფესიული პროგრესის აუცილებელი წინაპირობაა. თანამედროვე სამყაროში განათლება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ საბაზისო ცოდნის გადაცემით, ის აყალიბებს მოქალაქეს, რომელსაც შეუძლია კრიტიკული აზროვნება, პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების მიღება და ეკონომიკურ პროცესებში გააზრებული მონაწილეობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აქვს ადრეულ განათლებას. სწორედ ამ ეტაპზე ყალიბდება ის უნარები და ღირებულებები, რომელზეც შენდება განათლების შემდგომი ეტაპები.

ბავშვის ადრეულ განვითარებაში ჩადებული ინვესტიცია ადამიანური კაპიტალის განვითარების და მოქალაქეთა შესაძლებლობების სრულად რეალიზების, მათი მრავალმხრივი განვითარების, მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების პირობაა და დადებითად აისახება არა მარტო ბავშვების ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობასა და სწავლაზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ხარისხიანი, ხელმისაწვდომი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული და თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევების შესაბამისი განათლების სისტემის შექმნა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს და დეკლარირებულია როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი. სწორედ ასეთი განათლება ქმნის საზოგადოებას, რომელიც მზად არის ინოვაციებისთვის, ეკონომიკური წინსვლისა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის.

ეკონომიკური განათლება, ეკონომიკური ცნობიერების ფორმირება და მასთან დაკავშირებული საკითხებისადმი ინტერესი, ბუნებრივად გაჩნდა თანამედროვე სამყაროში, რაც მსოფლიოს სწრაფი განვითარების შედეგია, შესაბამისად იზრდება ამ საკითხის ირგვლივ სამეცნიერო კვლევები და მიგნებები.

ეკონომიკური და ფინანსური განათლება ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში ურთიერთჩანაცვლებადი ცნებების სახით არის წარმოდგენილი, რის შედეგადაც ფუნდამენტური თეორიების განხილვისას მათი შინაარსობრივი საზღვრები ერთმანეთში იკვეთება. ამასთანავე, ეკონომიკური განათლება უფრო ფართო ცნებას წარმოადგენს და მოიცავს ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზოგად კონცეპტებს, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია ფინანსური განათლება. საქართველოს ეკონომიკური სისტემის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის საკითხი, სწორედ ამიტომ ბოლო წლებში უკვე სკოლის სხვადასხვა საგნებში გაჩნდა საბაზისო ეკონომიკური ცნებები და ასევე ეკონომიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეტანილია სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში.

ეკონომიკა, პოლიტიკისა და სოციუმის განუყოფელი ნაწილია, რომელიც გარდა მეცნიერული მასშტაბურობისა, ადამიანისათვის ცხოვრების საბაზისო თეორიულ-პრაქტიკული უნარების გამომუშავების კომპლექსური ცოდნის სინთეზია (Tavdgiridze, Katamadze, & Bolkvadze, 2024). ეკონომიკურად განათლებული მოქალაქეების ჩამოყალიბება საბავშვო ბაღიდან იწყება, რაც სხვა მნიშვნელოვან მიზნებს შორის, ბავშვებში გადანყვეტილების მიღების უნარების გაუმჯობესებას ადრეულ ასაკშივე უწყობს ხელს (Kourilsky, 1977). ჩვენ ვემხრობით იმ მეცნიერთა მოსაზრებას, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური კონცეპტების სწავლება საბავშვო ბაღის ასაკიდანვეა შესაძლებელი (Kourilsky, 1977; McKenzie, 1971; Larkins and Shaver, 1969; Davison and Kilgore, 1971; Koeller, 1981). კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ბავშვთა ასაკობრივ პერიოდიზაციასთან დაკავშირებით ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევებზე დაყრდნობით, ასევე, საერთაშორისო კვლევებითა და სტანდარტებით ადრეული ასაკის ბავშვთა განსაზღვრებასა და საქართველოს კანონმდებლობით ადრეული ასაკის ბავშვის დეფინიციით, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ

ადრეულ განათლებაში საბაზისო ეკონომიკური განათლებისა და ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბება/გაძლიერების ოპტიმალური ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფია 4 დან 6 წლის ჩათვლით, ანუ სკოლამდელი ასაკი (Tavdgiridze, Katamadze, & Bolkvadze, 2024).

ქართული ხალხური ზღაპარი საუკუნეების განმავლობაში მრავალფუნქციურ სოციალურ-კულტურულ ფენომენს წარმოადგენდა. იგი არა მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებებს ატარებს, არამედ სოციალური გამოცდილების გადაცემის მნიშვნელოვან ინსტრუმენტადაც გვევლინება. ზღაპრული ნარატივი ბავშვს ადრეული ასაკიდან აცნობს ადამიანთა ურთიერთობების მოდელებს, შრომის ღირებულებას, საკუთრებისა და პასუხისმგებლობის იდეებს, რაც ქმნის ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბების წინაპირობას. თანამედროვე სკოლამდელ საგანმანათლებლო სივრცეში ზღაპარი კვლავ რჩება ღირებულებითი ორიენტაციების, ქცევითი ნორმებისა და სოციალური კომპეტენციების განვითარების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად.

წინამდებარე მონოგრაფიის მიზანია ქართული ხალხური ზღაპრების ანალიზი ეკონომიკური აზროვნების ფორმირების პერსპექტივიდან. კვლევა ეფუძნება იმ ტექსტებს, რომლებიც აქტიურად გამოიყენება საბავშვო ბაღებსა და ოჯახურ საგანმანათლებლო პრაქტიკაში და, შესაბამისად, უშუალო გავლენას ახდენს თანამედროვე ბავშვის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ზღაპრებში წარმოდგენილი შრომისადმი დამოკიდებულება, რესურსების მოპოვებისა და განაწილების ფორმები, გონიერებისა და სიზარმაცის დაპირისპირება ქმნის სიმბოლურ სივრცეს, სადაც ბავშვი პირველად ეცნობა ეკონომიკური ქცევის ელემენტარულ მოდელებს.

კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადრეულ ასაკში მიღებული წარმოდგენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნების შემდგომ ეკონომიკურ სოციალიზაციაზე. მიუხედავად ამისა, ქართულ სამეცნიერო სივრცეში ზღაპრების როლი ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების პროცესში ჯერ კიდევ ნაკ-

ლებად არის შესწავლილი. მონოგრაფია მიზნად ისახავს აღნიშნული ხარვეზის შევსებას და ინტერდისციპლინური მიდგომით აერთიანებს პედაგოგიკის, ეკონომიკისა და ფოლკლორისტიკის პერსპექტივებს. ნაშრომში გაანალიზებულია ზღაპრული პერსონაჟების ქცევითი სტრატეგიები, შრომისა და საზღაურის ურთიერთმიმართება, სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის იდეები და მათი გამოყენების პოტენციალი თანამედროვე სკოლამდელ საგანმანათლებლო პროგრამებში.

ქართული ხალხური ზღაპრები კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად სოციალური და ეკონომიკური აზროვნების ფორმირების ერთ-ერთ უძველეს რესურსს წარმოადგენს. მათი ნარატივები ასახავს შრომის, რესურსების, არჩევანის, რისკისა და სამართლიანი გაცვლის სხვადასხვა მოდელს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა აღნიშნული ასპექტები ზღაპრებში „კომბლე“, „ნაცარქექია“, „რწყილი და ჭიანჭველა“ და „ერთი მანეთის შოვნა“, სადაც მკაფიოდ იკვეთება შრომაზე დაფუძნებული კეთილდღეობის, გონივრული არჩევანისა და პასუხისმგებლიანი ქცევის მნიშვნელობა.

კვლევითი ინტერესის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ქართული ხალხური ზღაპრების წინასაპროექტო საცდელი ანალიზი, რომელიც შერეული მეთოდოლოგიით განხორციელდა. აღნიშნულმა ანალიზმა გამოავლინა რიგი მნიშვნელოვანი მარკერები, მათ შორის საკუთრების დაცვის კონცეპტი ზღაპარში „კომბლე“, ბარტერული ურთიერთობების ელემენტები ზღაპარში „რწყილი და ჭიანჭველა“ და სიმდიდრის მოპოვების გზები ზღაპარში „ნაცარქექია“.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შემუშავდა მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც ორიენტირებული იყო მხოლოდ ქართულ ხალხურ ზღაპრებში ასახული ეკონომიკური კონცეპტების შესწავლაზე. კვლევა განხორციელდა საქართველოს ოთხ ქალაქში (ბათუმი, თბილისი, ქუთაისი და თელავი) და მოიცავდა როგორც საჯარო, ასევე კერძო საბავშვო ბალებს. გამოყენებული იქნა შერეული კვლევითი

თი მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებდა თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურის სისტემური ანალიზი; შესაბამისი საკანონმდებლო დოკუმენტების ანალიზი; ზღაპრების შინაარსობრივი ანალიზი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების გამოსავლენად; საექსპერტო ინტერვიუები უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალთან და საბავშვო ბაღების აღმზრდელ-პედაგოგებთან; დაკვირვებები უფროსი ასაკის აღსაზრდელების ჯგუფებში და ანკეტური გამოკითხვები.

კვლევაში მონაწილეობდნენ საბავშვო ბაღების დაახლოებით 50 აღმზრდელი და უფროსი წინასასკოლო ასაკის (5-6 წლის) აღსაზრდელები. ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები გაანალიზდა და კლასიფიცირდა კვლევის მიზნების შესაბამისად.

კვლევის სიახლე მდგომარეობს ქართული ხალხური ზღაპრების ინტერდისციპლინურ ანალიზში, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა ზღაპრებში ასახული საბავშვო ეკონომიკური ინფორმაციის ფუნქციური როლი და მნიშვნელობა შინაარსობრივ სტრუქტურაში. მეთოდოლოგიური სიახლე გამოიხატა იმაში, რომ კვლევა განხორციელდა პედაგოგიკის, ეკონომიკის, ფსიქოლოგიისა და ფილოლოგიის მიმართულების მკვლევართა თანამშრომლობით, შერეული კვლევითი მიდგომის გამოყენებით, რაც კომპლექსური ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნების ფორმირების საშუალებას იძლევა.

წინამდებარე მონოგრაფია აგებულია კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად და ის მოიცავს შესავალს, ძირითად ნაწილს (3 თავი და 8 პარაგრაფი), დასკვნებსა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

თავი 1. ადრეული განათლება და ცნობიერების ფორმირება

1.1. ადრეულ ასაკში ცნობიერების ფორმირების თეორიები

ადრეული ასაკი ადამიანის განვითარების კრიტიკულად მნიშვნელოვანი პერიოდია ცხოვრებაში. დაბადებიდან ექვს წლამდე ასაკი საოცრად სწრაფი და უნიკალური ზრდის ხანაა, როდესაც ყალიბდება შემეცნებითი, ემოციური და სოციალური გამოცდილების ძირითადი ელემენტები. ამ პერიოდში მიმდინარე ფსიქიკური პროცესები განსაზღვრავს შემდგომი ცნობიერებისა და პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბების მიმართულებებს. „ამ დროს საფუძველი ეყრება ბავშვის ჯანმრთელობას, ემოციური, ფსიქიკური, სოციალური, შემეცნებითი თვისებების, ძირითადი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და პიროვნულ ფორმირებას. განვითარება პროცესია, რომელიც ჩასახვიდან იწყება და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიმდინარეობს“ (კანდელაკი, ყავლაშვილი, ხერხეულიძე, 2019). ადრეულ ასაკში ყველაზე სწრაფად ბავშვის ტვინი იზრდება და სწორედ ამ პერიოდშია მნიშვნელოვანი განვითარების ხელშეწყობა და განვითარებასთან ასოცირებული პრობლემების გამოვლენა. კვლევებით დადგენილია, რომ მოცემულ ეტაპზე დაწყებული ადრეული ინტერვენცია აუმჯობესებს და ზრდის მომავალში სასკოლო აკადემიურ მოსწრებას, დასაქმების მაჩვენებლებს და ამცირებს ბავშვთან ქცევითი დარღვევების განვითარების რისკს.

ამან განაპირობა ის, რომ ადრეული განათლების სფერო და მასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო კაცობრიობისთვის, რადგან ეს ის სფეროა, რასაც ეფუძნება ნებისმიერი დარგისა და საზოგადოების უწყვეტი განვითარება. რას გულისხმობს ბავშვის განვითარება? რა ფაქტორები განაპირობებს ბავშვის განვითარებას? რა არის საუკეთესო ბავშვისთვის? რა ახდენს დადებით და უარყოფით გავლენას მათ განვითარებაზე?

რა არის ის აუცილებელი პირობები, რომლებიც უნდა შევუქმნათ მათ? ამ და კიდევ მრავალ მსგავს შეკითხვაზე ბევრი წლის მანძილზე სხვადასხვა მეცნიერი, პრაქტიკოსი თუ პოლიტიკის განმსაზღვრელი ცდილობს პასუხის პოვნას და მათ ეს გარკვეულწილად მოახერხეს. ამ ძიების საფუძველზე შეიქმნა არაერთი თეორია ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების თავისებურებებისა და ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად და საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მივიჩნევთ საჭიროდ გავეცნოთ იმ პედაგოგების, ფსიქოლოგების თეორიებს, მიდგომებს, რეკომენდაციებს, რომლებიც 2-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვების აღზრდა-განათლებას ეხება და რომელთა გაზიარება სასარგებლო იქნება საბავშვო ბაღის აღმზრდელებისათვის, მშობლებისათვის, სპეციალისტებისთვის,

პედაგოგიკის სახელმძღვანელოებში „განვითარება“ შემდეგნაირადაა განმარტებული: „აღზრდის ობიექტი - ეს არის მზარდი და განვითარებადი ადამიანი. მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს ადამიანის განვითარების პროცესი. იგი განიცდის სხვადასხვაგვარ ფიზიკურ და ფსიქიკურ, რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებებს. ფიზიკურ და ფსიქიკურ ცვლილებებს მიეკუთვნება: ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემების ზრდა და განვითარება, ცვლილებები შინაგან ორგანოებში, ფსიქიკაში, უნინარეს ყოვლისა, გონებრივ განვითარებაში; პიროვნების ფსიქიკური ნიშნების ჩამოყალიბება და იმ სოციალურ თვისებათა შექმნა, რომლებიც საჭიროა საზოგადოებაში ცხოვრებისათვის“ (გობრონიძე, 2000). აკადემიკოსი ნ. ვასაძე თვლის, რომ „პედაგოგიაში და ფსიქოლოგიაში პიროვნების და მისი განვითარების სამი მიმართულება განიხილება: ბიოლოგიური, სოციალური და ბიოსოციალური“ (ვასაძე, 2000). პროფესორი შ. მალაზონიას აზრით „განვითარებაში იგულისხმება ადამიანის ფორმირების, უსუსური ბავშვის პლანეტის უძლიერ არსებად ჩამოყალიბების პროცესი, რომელსაც სამი უმთავრესი ფაქტორი-მემკვიდრეობა, გარემო და აღზრდა განაპირობებს.... ადამიანის განვითარების (ჩამოყალიბე-

ბის) პროცესს სამი უმთავრესი ასპექტი აქვს: ფიზიკური, სულიერი (ფსიქიკური) და სოციალური“ (მალაზონია, 2001). „განვითარება ყოველი ცოცხალი არსების დამახასიათებელი თვისებაა და ორგანული სამყაროს ობიექტური კანონია (ბასილაძე, 2018).

პროფესორ შალვა ჩხარტიშვილის აზრით „განვითარება არის ცვალებადობა, რომელშიც ისეთი ახალი თვისებრივი თავისებურება ჩნდება, რაც მოცემულ ინდივიდს (მოვლენა) უფრო სრულყოფილს ხდის“ (პედაგოგიკა, 1968). პროფესორი ვლადიმერ გაგუა წერს: „განვითარება არის ცვალებადობა, რომელსაც ესა თუ ის საგანი, მოვლენა ახალ საფეხურზე აჰყავს“ (გაგუა, 199). თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1994 წელს გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში „პედაგოგიკა“ განვითარება ასეა განმარტებული: „განვითარება არის ევოლუციური და რევილუციური ცვლილებების ერთიანობა, იგი არის რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივი და პირუკუ გადასვლის პროცესი“.

თანამედროვე პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში განვითარებაში იგულისხმება ის ცვალებადობა, რომელსაც პიროვნება, თუ მოვლენა სრულყოფის უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს. ადამიანის განვითარება არის მისი პიროვნებად ფორმირების და ჩამოყალიბების პროცესი შინაგანი და გარეგანი, მართვადი და უმართავი ფაქტორების ზეგავლენით. განვითარება წარმოადგენს ფიზიკური, გონებრივი და პიროვნების მწეობრივ განვითარებას და მოიცავს ყველა თანდაყოლილი თუ შეძენილი თვისების რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებებს. ადამიანის განვითარება, როგორც ფიზიკური, გონებრივი და მწეობრივი მომწიფების პროცესი, არსებითად, ნიშნავს ბავშვის, როგორც ბიოლოგიური ინდივიდის... გადაქცევას პიროვნებად, ადამიანის საზოგადოების წევრად (ბიბილეიშვილი, 2011). ბავშვის განვითარება აერთიანებს შემდეგ სფეროებს: ფიზიკურს, კოგნიტურს (შემეცნებითს) და ფსიქოსოციალურს. განვითარება, როგორც ფიზიკური, შემეცნებითი და მწეობრივი მომწიფების პროცესი გულისხმობს ბავშვის, როგორც ბიოლოგიური ინდივიდის,

პიროვნებად, საზოგადოების წევრად ფორმირებას. განვითარება არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ ადამიანში მემკვიდრეობით მიღებული თვისებების რაოდენობრივ ცვალებადობაზე. განვითარება უპირველესად არის ადამიანის ფსიქიკაში და ორგანიზმში მიმდინარე რაოდენობრივი ცვლილება და ადამიანის მთელი ორგანიზმისა და ფსიქიკური სფეროს თვისებრივი გარდაქმნის პროცესი. მაგ., მეტყველების განვითარება უბრალოდ სიტყვების რაოდენობის ზრდა კი არ არის, თვისებრივი ცვლილებაა - ბავშვი უკვე წინადადებას იყენებს აზრის გადმოსაცემად, შემდეგ კი სიტყვა უკვე გარემოსთან ურთიერთობის მთავარი საშუალება ხდება. ბავშვის განვითარება კონკრეტულ სოციალურ გარემოში ხორციელდება მის გარშემო მყოფ ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად (ბიბილეიშვილი, 2011).

ფსიქოლოგების აზრით, „ფიზიკური განვითარება მოიცავს ისეთ ფიზიკურ მახასიათებლებს, როგორცაა: სხეულის ზრდა-განვითარება, სენსორული უნარები (შეგრძნებები-მხედველობა, სმენა, შეხება, სუნი, გემო), მოტორული უნარები, ადრეულ ასაკში ძალიან მნიშვნელოვანია ნატიფი და მსხვილი მოტორული უნარების განვითარების ხელშეწყობა. შემეცნებითი (კოგნიტური) განვითარება მოიცავს გონებრივ შესაძლებლობებს და ფსიქიკურ პროცესებს: აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება, წარმოსახვა. ფსიქოსოციალური განვითარება აერთიანებს პიროვნულ, ემოციურ და სოციალურ უნარებს. პიროვნული განვითარება მოიცავს ადამიანის პიროვნულ მახასიათებლებს, თვითშეფასებას, მე-კონცეფციას, პასუხისმგებლობასა თუ თვითკონტროლის უნარებს, ემოციებს, გრძობებს, განცდებს; სოციალური განვითარება-ეს არის ურთიერთობის საფუძვლებზე ჩამოყალიბებული ქცევები, ის კავშირშია პიროვნულ განვითარებასთან, რადგან სოციალური ურთიერთობების საფუძველზე ყალიბდება ადამიანში პიროვნული უნარების ფართო სპექტრი“ (ისაკაძე, 2017). განვითარება მთლიანი პროცესია, რომელიც გულისხმობს ცვლილებებს ყველა სფეროში და ცალკეული სფეროების დამოუკიდებლად განვითარებას, თუმცა სხვადასხვა პერიოდ-

ში წამყვანი შეიძლება სხვადასხვა სფერო იყოს (აფთარაშვილი, 2011). როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი განვითარება დაკავშირებულია ასაკთან. ყოველ ასაკს შეესაბამება თავისი ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური განვითარების დონე. ადამიანის ცხოვრების მთელი გზა, რომელიც პიროვნების ფსიქოლოგიური და სოციალური პროგრესის მაჩვენებელია იყოფა სამ ძირითად პერიოდად, ანუ ეპოქად: ბავშვობა და მოზარდობა, ზრდასრულობა ანუ მოწინფულობა, მოხუცებულობა (მაღრაძე, 2008).

მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების შესწავლას ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი. პედაგოგიური თეორიის საფუძვლების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსების-პლატონის და არისტოტელეს შეხედულებებს. პლატონს ეკუთვნის უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური ცნებების: აღზრდისა და სწავლების არსის განსაზღვრა, საზოგადოებრივი წყობის დაკავშირება აღზრდასთან. მან წამოაყენა თავისუფალ მოქალაქეთა ბავშვების აღრეული ასაკიდან აღზრდა საზოგადოებრივ სისტემაში. ბავშვებისათვის 7 წლის ასაკამდე პლატონს შექმნილი აქვს სკოლამდელი აღზრდის მთელი სისტემა. გადიების ხელმძღვანელობით ყველა 3-6 წლის ასაკის ბავშვი თავს იყრის სალოცავებთან მდებარე საბავშვო მოედნებზე. პლატონი მიუთითებდა თამაშზე, როგორც აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებაზე და განსაზღვრა ძირითადი მოთხოვნილებანი იმ პირთა მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ ბავშვის აღზრდაში (ბასილაძე, 2018). ასევე ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვებისათვის თხრობას და აყენებს სათხრობი მასალის, კერძოდ ზღაპრების გულდასმით შერჩევის საკითხს“ (მედინსკი, 1941).

ბერძენმა ფილოსოფოსმა და პედაგოგმა არისტოტელემ ჩამოაყალიბა პიროვნების ჰარმონიული განვითარების იდეა, რომელიც მოიცავდა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბუნებრივ მოსაზრებულობას. სკოლამდელ პერიოდს არისტოტელე მიიჩნევდა როგორც პიროვნების ჩამოყალი-

ბების განსაკუთრებით მნიშვნელოვან ეტაპს. მისი შეხედულებით 7 წლამდე ასაკის ბავშვები იზრდებიან ოჯახში. მიუთითებდა ბავშვის რძით კვების აუცილებლობას, ჰიგიენის მნიშვნელობას. ამ პერიოდში სხვადასხვაგვარ თამაშობასთან ერთად, მისი აზრით საჭირო იყო გამოეყენებინათ გონების გასავარჯიშებელი მოთხრობები, ხუთი წლის ასაკიდან დაწყებული კი მოემზადებინათ ბავშვები სკოლისთვის (ბასილაძე, 2018). უპირველესად უნდა ვიმზრუნოთ მისი სწორი ფიზიკური განვითარებისათვის. ბავშვები უნდა იყვნენ დაკავებულნი მათი ასაკის შესაფერისი თამაშით. ამავე დროს მათთვის სასარგებლოა ზღაპრებისა და პატარა ლიტერატურული ნაწარმოებების მოსმენა. ბავშვებს უნდა ვასწავლოთ სწორი მეტყველება. ხუთი წლის ასაკიდან მშობლები უნდა ამზადებდნენ მათ სკოლისათვის (ბასილაძე, 2021).

რომაელი პედაგოგი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე პედაგოგიურ ტრაქტატში „მჭერმეტყველების სწავლება“ (12 წიგნი) სკოლამდელი აღზრდის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს გარემომცველი წრის ზეგავლენის მნიშვნელობას ბავშვის პირველდანიებითი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე და მიუთითებდა თანამედროვე საზოგადოების მანვე ზეგავლენაზე. ის ლაპარაკობს რა ბავშვის სკოლამდელ აღზრდაზე, მიმართავს მშობლებს, ძიძას და პედაგოგს. ძიძისგან, გარდა ფიზიკური ჯანმრთელობისა, მოითხოვს მაღალ ზნეობას, კარგ, სწორ მეტყველებას. პედაგოგის შერჩევა კვინტილიანეს აზრით, რთული საქმეა, ვინაიდან ბავშვი პედაგოგისგან ღებულობს ცოდნას სამყაროზე, ითვისებს წარმოდგენებს მორალის ნორმებზე. მისი აზრით, სკოლამდელ ბავშვებთან მეცადინეობა შესაძლებელია ტარდებოდეს სისტემატურად, მაგრამ გადაცემული ცოდნის მოცულობა არ უნდა იყოს ძალიან ფართო, მათი გადაცემის მეთოდოლოგია უნდა შექმნას ბავშვებში მხიარული განწყობილება, გამოიწვიოს ინტერესი, „რომ ბავშვებმა არ შეიძულონ სწავლა, რომლის შესაყვარებლად ჯერ კიდევ დრო არ ჰქონდათ“ (სკოლამდელი პედაგოგიკა, 1987).

პირველმა სოციალისტ-უტოპისტებმა თომას მორმა და თომაზო კამპანელმა შრომებში -პირველმა „უტოპიაში“, მეორემ „მზის ქა-

ლაქში“ გამოხატეს თავიანთი ოცნებები ადამიანთა სრულყოფილ საზოგადოებაზე, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ექსპლუატაციისაგან, სიღარიბისა და კლასობრივი უთანასწორობისაგან. ამ იდეალურ სახელმწიფოში გათვალისწინებულია საზოგადოებრივი აღზრდა ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის. დიდი ყურადღება ეთმობოდა ბავშვის ფიზიკურ განვითარებას. სწავლა მიმდინარეობს თამაშით, თვალსაჩინოების ფართო გამოყენებით (ბასილაძე, 2018).

ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი, რომელსაც ეკუთვნის პედაგოგიკის, როგორც ცალკე, დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბების იდეა, აღნიშნავდა, რომ აღზრდის შემწეობით „ყოველი ბავშვიდან შეგვიძლია შევქმნათ ადამიანი“ (პედაგოგიკის ისტორია, 2004). დაბადებიდან ექვს წლამდე ასაკს მან ბავშვობა უწოდა და მიზანშეწონილად მიაჩნდა ბავშვის აღზრდა დედობრივ სკოლაში, სადაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს ყველა დადებით ადამიანურ თვისებას. „ჩვენ მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე ვრჩებით ისეთები, როგორიც აღგვზარდეს სიყრმის დროს“. ამ ასაკის ბავშვებში ხდება წარმოსახვის გამდიდრება ცხოვრებისეული გარემოს მაგალითების გათვალისწინებით, გარეგან გრძნობათა ორგანოების განვითარება, რელიგიური აღზრდა და სამეურნეო საქმიანობისადმი შეჩვენება (ბასილაძე, 2004). კომენსკის სპეციალური შრომა სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის შესახებ „დედათა სკოლა“ მოგვევლინა მსოფლიოში სკოლამდელი აღზრდის პირველ პროგრამად და სახელმძღვანელოდ. თითქმის ოთხი საუკუნის წინათ დანერგილი ნაშრომი პირველი ცდა არის სკოლამდელი აღზრდის თეორიის შექმნისა, რომელმაც საფუძველი დაუდო გააზრებულ და ორგანიზებულ მუშაობას პატარა ბავშვებთან, მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. კომენსკი მოუწოდებდა გულმოდგინედ ეზრუნათ ბავშვის ჯანმრთელობასა და ფიზიკურ განვითარებაზე. კომენსკი სკოლამდელ ასაკს განიხილავდა როგორც მომზადების პერიოდს სკოლაში სისტემური სწავლებისათვის. ის თვლიდა, რომ დედათა სკოლა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ბავშვში კონკრეტულ

წარმოდგენათა დაგროვებას და დეტალურად მოხაზა ელემენტარულ ცოდნათა ფართო წრე გარე სამყაროს შესახებ, რომელსაც უნდა ფლობდეს სკოლამდელი ასაკის ბავშვი. ასე მაგალითად, ბუნებისმცოდნეობის სფეროში 7 წლის ბავშვმა უნდა იცოდეს, რა არის ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა, წვიმა, თოვლი, ყინვა, ტყვია, რკინა და ა. შ. გაარჩიოს მზე, მთვარე, ვარსკვლავები, იცოდეს როდის არის დღე გრძელი და როდის მოკლე. უნდა ისწავლოს თვლა 20-მდე, უნდა იცოდეს კენტი და ლუწი რიცხვები, უნდა ესმოდეს, რომ 7 მეტია 5-ზე, აგრეთვე 15 მეტია 13-ზე, შეითვისოს თუ რა არის „გრძელი“, სიგრძისა და მოცულობის, „მოკლე“, „განიერი“, „ვიწრო“, იცოდეს ძირითადი გამოსახულებანი-წრე, კვადრატი, ჭვარი, სიგრძისა და მოცულობის ძირითადი საზომები-ნაბიჯი, იდაყვი, მეოთხედი, გეოგრაფიული ცნებანი-თუ რა არის ქალაქი, სოფელი, მინდორი, ბაღი, უნდა იცოდეს თავისი სოფლის ან ქალაქის სახელი. ამის გარდა, უნდა იცოდეს წლის დროები, შესძლოს გაგება ტერმინების „საათი“, „დღე“, „კვირა“, „თვე“ და „წელიწადი“ (სკოლამდელი პედაგოგიკა, 1987). იან ამოს კომენსკი მიიჩნევდა, რომ სწორედ ადრეულ ასაკში ეყრება საფუძველი ადამიანის ცნობიერების ფორმირებას, რომ ადრეული ასაკი ის პერიოდია ბავშვის ცხოვრებაში, როცა ყალიბდება მნეობრივი ნორმები, რელიგიური შეხედულებები, ფიზიკური აღზრდა, მეტყველებისა და აზროვნების განვითარება. მნეობრივ აღზრდას მჭიდროდ უკავშირებდა შრომას. ითვალისწინებდა არა მარტო შრომითი ჩვევების ჩამოყალიბებას ასაკის შესაბამისად, არამედ შრომისადმი სიყვარულის აღზრდას. ურჩევდა რა დედებს განუვითაროს ბავშვს მეხსიერება და აზროვნება, ის თავაზობდა დედებს ბავშვისათვის ადვილად დასაძლევ ფორმებში გაეცნოთ ბავშვებისათვის ისტორიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, საერთაშორისო საკითხების საწყისები. ის გვირჩევს არა მარტო ვიმოქმედოთ ბავშვის მეხსიერებაზე, არამედ უპირველესად განუვითაროთ მათ გააზრებული აღქმა და გარესამყაროს მოვლენების გაგება.

სკოლამდელი აღზრდის თეორიის შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ შვეიცარიელ პედაგოგს ჰენრიხ პესტალოცის. მისი აზრით, განათლება საუკეთესო ცხოვრების გარანტიას აძლევს ხალხის მასებს. ბავშვში იმთავითვე შეიმჩნევა ნიჭი, რაც შემდგომში ვითარდება. იგი ხელმძღვანელობდა ბუნებრივი სამრიანობის პრინციპით. პედაგოგისაგან მოითხოვდა ბავშვების ასაკობრივ თავისებურებათა და შესაძლებლობათა გათვალისწინებას. ის იყო ერთი პირველთაგანი, რომელიც მისწრაფოდა სწავლება აეგო ბავშვის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებაზე. ითვალისწინებდა რა ბავშვთა აღქმის თავისებურებას, იგი მოითხოვდა თანდათანობით გადასვლას სწავლების პროცესზე: ელემენტიდან - მთლიანობაზე, უახლოესიდან - შორეულზე, მარტივიდან - რთულზე; ამავე დროს გვირჩევდა თანამიმდევრობისა და განუწყვეტლობის დაცვას (სკოლამდელი პედაგოგიკა, 1987). შემეცნების ამოსავალ მომენტად პესტალოცი თვლიდა გრძნობით აღქმას და აუცილებლად მიაჩნდა, რომ ბავშვებში ჩამოყალიბებულიყო დაკვირვების კულტურა. რიცხვი, ფორმა, სიტყვა (დასახელება) ყოველი საგნისათვის დამახასიათებელია. ისინი ყველაზე უბრალო ელემენტებია, ამიტომ საჭიროა პირველყოვლისა, ვასწავლოთ თვლა, გაზომვა, მეტყველება. პესტალოცმა დაამუშავა ბავშვებისათვის მშობლიური ენის პირველდანწყებითი სწავლების, თვლისა და გაზომვის მეთოდიკა. ისე გაადვილა იგი, რომ ყველა გლეხის ქალს შეეძლო მისი გამოყენება შვილებთან მეცადინეობის დროს. მის მიერ მოწოდებული სხვადასხვა დიდაქტიკური მასალა შემდეგშიც ფართოდ გავრცელდა. პესტალოცი ასევე სწავლების განმავითარებელ ფუნქციას უჭერდა მხარს - სწავლების პროცესის ისე აგებას, რომელიც მართო დაგროვილ ცნებებს კი არ ემყარებოდა, არამედ ბავშვის ნიჭიერების განვითარებასაც. ამზადებს მას დამოუკიდებელი საქმიანობისთვის. მან მონაწილეობა მიიღო სპეციალური სახელმძღვანელოს შექმნაში დედებისათვის „წიგნი დედებისათვის, ან სახელმძღვანელო დედებისათვის, როგორ უნდა ასწავლონ ბავშვებს დაკვირვება და ლაპარაკი“. წიგნის მასალა უნდა

დახმარებოდა დედებს, რათა მათ გაეფართოებინათ და მოეწესრიგებინათ ბავშვის წარმოდგენა გარესამყაროზე. მან თავის სახლში მოაწყო უზედამხედველო ბავშვთა თავშესაფარი, შეიძინა მამული, უწოდა მას „ნიჰოფი“ (ახალი ეზო). აქ მოსწავლეთა აღზრდა ემყარებოდა მის მიერ შემუშავებულ პედაგოგიურ ექსპერიმენტს-მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების შესახებ. ბავშვები მუშაობდნენ და თან სწავლობდნენ. სკოლამდელ ასაკში იძენდნენ შრომითი აღზრდის უნარ-ჩვევებს. პესტალოცი თვლიდა, რომ სკოლამდელი ასაკიდან შესაძლებელია ბავშვმა შეიძინოს საბაზისო უნარები სხვადასხვა მიმართულებით, რომელსაც შემდგომში ეფექტურად გამოიყენებს ცხოვრებაში.

პესტალოცის მოწაფე და მიმდევარი იყო გერმანელი პედაგოგი ფრიდრიხ ფრებელი, რომლის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული საბავშვო ბაღების იდეასთან. მან შემოიღო ტერმინი „საბავშვო ბაღი“, აღმზრდელებს უწოდა „მებაღეები“. ამ სახელწოდებაში ნათლად გამოსჭვიოდა მისი სიყვარული ბავშვებისადმი. იგი მოუწოდებდა პედაგოგებს დახმარებოდნენ ბავშვს მომნიჭებასა და განვითარებაში; მაღალ შეფასებას და მნიშვნელობას აძლევდა პედაგოგის მიზანმიმართულ ზეგავლენას. მისი აზრით, „საბავშვო ბაღი: ეს არის ბაღი, სადაც ბავშვი არის პატარა ნერგი, რომელიც მოითხოვს პედაგოგისგან დეტალურ ზრუნვას და აღზრდას. სამყაროს ნაწილი, საქმიანობათა ერთობლიობა, რათა ბავშვებს შეეუქმნათ უსაფრთხოების გრძობა, კარგი გუნება-განწყობილება, სიხარული, დასვენება და ფიქრის საშუალება“ (პარამონოვა, 2001). ფრ. ფრებელი სამართლიანად ითვლება სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკის კლასიკოსად. ფრ, ფრებელმა ნაშრომში „ადამიანის აღზრდა“ მოგვცა ფილოსოფიურ-პედაგოგიური საფუძვლები აღზრდისა ადამიანის დაბადებიდან მის მომნიჭებამდე (ბასილაძე, 2018). ფრებელმა შეიმუშავა იმდროისათვის დეტალური, თითქმის დასრულებული სკოლამდელი აღზრდის სისტემა, რომლის მთავარ საფუძველს წარმოადგენდა კარგად დამუშავებული დიდაქტიკა, რომელიც

მიმართული იყო ბავშვის განვითარებისაკენ სხვადასხვა საქმიანობებით: თამაში, სიმღერა, ქსოვა, ხატვა, საამშენებლო საქმე და ა. შ. სკოლამდელი აღზრდის ბავშვებისათვის მან გამოსცა დიდაქტიკური მასალები თამაშობანის და სიმღერების შესახებ: „დედობრივი და მოსაფერებელი სიმღერები“, „ასი სიმღერა ბურთის მოთამაშეთათვის“; პატარებისათვის შეადგინა სამშენებლო სათამაშო კომპლექტები - „სათამაშოთა ნობათი“ (ბასილაძე, 2018). ფრ. ფრებელის აზრით, ადამიანის განვითარება მიმდინარეობს ბუნების მიერ მტკიცედ ჩამოყალიბებული და განსაზღვრული კანონების მიხედვით. იგი ყოველ ასაკს თავის შესაბამის და დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი აზრით, ბავშვი რომ მზად იყოს ყრმობის საფეხურის განვითარებისათვის, მას საცესებით სწორად გავლილი უნდა ჰქონდეს წინა საფეხური-ბავშვობის ხანა. ამიტომ აღმზრდელმა ანგარიში უნდა გაუწიოს ორივე მოთხოვნილებას, თუკი მას სურს, თავისი შენობა ააგოს არა გარედან შემოტანილი წესებისა და დებულების მერყევ სილაზე, არამედ ბავშვის ფსიქოლოგიის შესწავლის მტკიცე საფუძველზე.

ფრებელს მიაჩნია, რომ ბავშვი კი არ თამაშობს, მხოლოდ, არამედ იგი პატარაობიდანვე ცდილობს მიიღოს მონაწილეობა ოჯახურ საქმიანობაში. მას აინტერესებს დედის ოჯახური საქმიანობა, მამის პროფესიული მოღვაწეობა. ფრებელი აღნიშნავს, თუ რამდენი ძვირფასი ცოდნის შექმნა შეუძლია მებაღის, ვაჭრისა ან ხელოსნის შვილს, როცა ის მამასთან ერთად მიდის მისი საქმიანობის დროს და ებაახება მცენარეთა თვისებებზე, ან საქონლის ღირებულებაზე, ან კიდევ ეხმარება მამას კვლების გაყვანის დროს, თუ საქონლის აწონა-გაყიდვისას. ფრებელის აზრით, ამ შემთხვევაში მუშაობის იმ მოცულობას კი არ აქვს მნიშვნელობა, რომელსაც ბავშვი ასრულებს, არამედ მნიშვნელოვანია ის, რომ მშობელმა ბავშვს მხარი დაუჭიროს, გაახალისოს, რომ ბავშვმა აქტიურად გამოამყვანოს ცხოვრებაში თავისი ძალ-ღონე. „ამგვარად მიღებული ცოდნა გაცილებით უფრო მტკიცე და შეგნებულია, ვიდრე ის ცოდნა, რომელიც

მას ეძლევა სკოლის კათედრიდან, დახშულ კარებში, სკოლის მაგარ და დიდ კედლებს შუა. თუ ბავშვი პატარაობიდანვე შეძლებისამებრ მონაწილეობას იღებს უფროსების შრომით ცხოვრებაში, თუ იგი აქ ხვდება მის გარშემო მიმდინარე ცხოვრებას, ის ეჩვევა არა მარტო შრომას და საქმიანობას, არამედ იმასაც, რომ უკვირდება და უფიქრდება ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებს, ეჩვევა მსჯელობას და იძენს უნარს, რომ ცხოვრებისაგან შეისწავლოს რამე“ (გერკე, 1927).

დიდი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე ნაშრომში “ბავშვთა ფსიქოლოგია” ბავშვის 4 წლიდან 6-7 წლამდე ასაკის პერიოდს წინასასკოლო პერიოდად მოიხსენიებს: „ბავშვი ახლა სულ უფრო და უფრო შორდება ოჯახს და შედარებით მეტ დამოუკიდებლობას ეჩვევა, იგი ახალ გარემოშიც დგება, რომელიც პედაგოგიკურ მოთხოვნილებათა მიხედვით არის ორგანიზებული და ამდენად მისი განვითარებისთვის შედარებით უფრო რაციონალურ პირობებს შეიცავს. ბავშვი საბავშვო ბაღში შედის, სადაც მისი გარემოს ორგანიზაციას კვლავ ზრდადასრულებულები, მაგრამ ახლა უკვე უცხო აღამიანები-საბავშვო ბაღის ხელმძღვანელები აწარმოებენ. ბავშვი მათი ხელმძღვანელობით იზრდება და ეს ზრდა ტოლების წრეში წარმოებს, რაც მის წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს. ამრიგად, განვითარების ახალი პერიოდი ისახება, რომელიც 6-7 წლამდე გრძელდება და სკოლის წინა ასაკის სახელწოდებით არის ცნობილი“. დ. უზნაძეს მიაჩნდა, რომ 6-7 წლამდე ბავშვის აღზრდასაც დაფიქრება და დამუშავება სჭირდებოდა, რათა შემდგომში ამ საფუძველზე სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკის კედლები აღმართულიყო. მიმართავდა მშობლებს, ოჯახებს, რომ შვილები საბავშვო ბაღში მიეყვანათ და საკუთარი თვალთ დაენახათ საბავშვო ბაღის სიკეთე (უზნაძე, 2005).

შვეიცარიელი ფსიქოლოგი ჟან პიაჟე იკვლევდა ბავშვის ამროვნებისა და ადაპტაციის საკითხებს. ეს კვლევა მან საკუთარ ბავშვებზე ჩატარებული „მინი ექსპერიმენტებით“ დაიწყო. შემდეგ გადა-

იტანა სამეცნიერო ლაბორატორიებში და მრავალი ქვეყნის ფსიქოლოგი დააინტერესა თავისი ორიგინალური შემოქმედებითი მიღწევებით „პიაჟეს ფენომენებით“. ის მიიჩნევდა, რომ ბავშვი პატარა „მკლევარია“, რომელიც შეიმეცნებს სამყაროს და აკეთებს აღმოჩენებს. „შესაბამისად მნიშვნელოვანია როგორი იქნება ბავშვის გარემომცველი მიკროსამყარო, რათა მან გააკეთოს აღმოჩენები და ხელი შეეწყოს მის ინტელექტუალურ განვითარებას. მნიშვნელოვანია ბავშვის წახალისება, შექება, წარმატების შეგრძნების განცდა, დადებითი ემოციები, რათა ბავშვი ინტერესით მოევიდოს საქმიანობას, წინააღმდეგობის შემთხვევაში ბავშვმა უარი არ თქვას ახალ-ახალ აქტივობებზე „შეცდომის დაშვების“ შიშით (ისაკაძე, 2017). ჟან პიაჟე ბავშვის კოგნიტური განვითარების თეორიაში გამოყოფს ოთხ თანმიმდევრულ სტადიას: 1) სენსომოტორული - დაბადებიდან 2 წლამდე; 2) წინაოპერაციული/პრეოპერაციული - 2-დან 7 წლამდე; 3) კონკრეტული ოპერაციების - 7-11 წლამდე; 4) ფორმალურ-ოპერაციული სტადია 11 წლიდან ზევით. თითოეული სტადია ხასიათდება ამროვნების განსხვავებული მოდელით. რადგან ყოველი სტადია ემყარება წინა სტადიების მიღწევებს, ყველა ბავშვი ერთი და იმავე თანმიმდევრობით გაივლის განვითარების სტადიებს. ასაკობრივი ზღვრები საშუალო რიცხვებს წარმოადგენს; ზოგიერთი ბავშვი შედარებით ადრე მიაღწევს შემდეგ სტადიას, ზოგიც კი შედარებით გვიან. ხანდახან ბავშვები გარდამავალ სტადიაში იმყოფებიან და, შესაბამისად, ორი მომიჯნავე სტადიის თავისებურებებს ავლენენ. ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად მარტივიდან სქემები რთულ კოგნიტურ სტრუქტურებად გარდაიქმნება.

რადგან ჩვენთვის საინტერესოა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კოგნიტური განვითარების თავისებურებები, ამიტომ ვრცლად განვიხილავთ პრეოპერაციული სტადიას, რომელიც 2-დან 7 წლამდე პერიოდს მოიცავს. ეს ის ასაკია ბავშვებში, როცა ვხვდებით სიმბოლური ფუნქციის განვითარებას - მეტყველება, სიმბოლური თამაში, გარკვეული ტიპის შინაგანი მიბაძვა, რომელიც ხატოვანი ამროვნების

განვითარების საფუძველს წარმოადგენს. პიაჟეს მოსაზრებით ბავშვებს სწორედ ამ ასაკში შეუძლიათ, გამოხატონ თავიანთი აზრები და მიიღონ ინფორმაცია ენის საშუალებით, რაც ადრე მათთვის შესაძლებელი არ იყო. ამ ეტაპზე ბავშვები იწყებენ მეტყველების გამოყენებას გარშემომყოფებთან ურთიერთობისათვის. ბავშვთა ენობრივი უნარები საოცარი სისწრაფით ვითარდება, რაც მათ საშუალებას აძლევს, გონებაში წარმოსახონ და, სიმბოლოების საშუალებით, იფიქრონ მრავალფეროვან საგნებზე და მოვლენებზე. ენა, ამასთანავე, ახალი სოციალური ურთიერთობის, ვერბალური კომუნიკაციის საფუძველს ქმნის. ბავშვებს შეუძლიათ, გამოხატონ თავიანთი აზრები და მიიღონ ინფორმაცია ენის საშუალებით, რაც ადრე მათთვის შესაძლებელი არ იყო. პიაჟეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო ის, რომ პრეოპერაციული აზროვნება ხასიათდება რამდენიმე თავისებურებით, რომ პატარა ბავშვებს არ აქვთ განვითარებული კონსერვაციის (შენარჩუნების) უნარი. მათთვის დამახასიათებელია ცენტრაცია-ყურადღების გამახვილება სიტუაციის მხოლოდ ერთ, ყველაზე ნათელ და ადვილად აღსაქმელ ასპექტზე და ყველა სხვა დანარჩენი ასპექტის იგნორირება. შემდეგი თავისებურებაა ის, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს არა აქვთ ტრანსფორმაციის უნარი: ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის პროცესის გონებაში ასახვის და აღბეჭდვის უნარი. მათ არა აქვთ უნარი, შეასრულონ ოპერაციები, ანუ გონებრივი წარმოსახვები, რომლებიც შექცევადია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ არა აქვთ უნარი, თავიანთი ფიქრის მიმართულება შეცვალონ ისე, რომ სანჯის პოზიციას დაუბრუნდნენ. მაგალითად, ბავშვმა შეიძლება იცოდეს, რომ $2+3=5$, მაგრამ არ ესმოდეს, რომ სანჯისააღმდეგო მოქმედება $5-3=2$ სწორია. ამ ეტაპზე მყოფ ბავშვებს შეუძლია საგნების მხოლოდ ერთ სახეობაში კლასიფიკაცია (ქუდით, ფერით) თვალსაჩინოების გამოყენებით (ჯანაშია, 2009).

პრეოპერაციული სტადია ასევე ხასიათდება ეგოცენტრული აზროვნებით: სიტუაციების სხვა ადამიანის პოზიციიდან/მხედველობის არედან დანახვის უნარის ნაკლებობით. ამ სტადიაზე მყოფი ბავშვე-

ბი ფიქრობენ, რომ ყველა ისე ხედავს სამყაროს, როგორ თვითონ ხედავენ. მაგ., 4 წლის ბავშვი, როცა თვითმფრინავს ხედავს ცაში, ჩიტი ჰგონია, ცოცხის დანახვისას ცხენის ასოციაცია უჩნდება. პრეოპერაციული სტადიის ბოლოსკენ 5-დან 7 წლამდე ბავშვების ამროვნება უფრო რაციონალური ხდება. ბავშვები მოწიფული ლოგიკური ამროვნების ნიშნების გამოჩვენებას იწყებენ. ხანდახან შეუძლიათ, სწორად გადაჭრან პრობლემები, რომლებიც საგანთა სხვადასხვა კატეგორიებში ჩართვას მოითხოვს (მაგალითად, საგნების კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნით) და ამოცანები, რომლებიც კონსერვაციის პრინციპების გაგებას მოითხოვს, უვითარდებათ „შენახვის ფენომენი“. მიუხედავად ამისა, ჟ. პიაჟეს აზრით, პრეოპერაციულ სტადიაზე ბავშვთა ამროვნების უნარი საოცრად პრიმიტიული რჩება. მათი ამროვნება ინტუიციანაა დაყრდნობილი და არა ძირითადი ლოგიკური პრინციპების შეგნებულ ცოდნაზე (გაჩეჩილაძე, 2021).

მნიშვნელოვანი მონაპოვარი ოპერაციამდელთა კოგნიტურ განვითარებაში ისაა, აღნიშნავს პროფესორი ნ. ბარამიძე, რომ ჩნდება უნარი სიმბოლოების გამოყენებისა მოქმედებების, მოვლენებისა თუ საგნების წარმოსადგენად (გამოსახატავად). მაგ., როდესაც პატარა ბავშვი საქმიანი ქალის იერით ზის მანქანაში და სამსახურში მიმავალი კითხულობს გაზეთს, ეს სიმბოლური ქცევებისა და სიმბოლური რეპრეზენტაციის გამოვლენაა. ზოგიერთი ავტორის აზრით, სიმბოლური თამაში აადვილებს სოციალურ ურთიერთმოქმედებას. იგი ეხმარება ბავშვებს იყვნენ უფრო ყურადღებიანი სხვა ადამიანის გრძობებისა და შეხედულებების მიმართ. ეს გულისხმიერება ხელს უწყობს მათ ეგოცენტრული ამროვნებიდან გადავიდნენ უფრო სოციოცენტრულ ამროვნებაზე (ბარამიძე, 2008). ერთ-ერთი კვლევის თანახმად, 7 წლის ბავშვებს, რომლებიც 4 წლის ასაკში ერთგებიან მათ მიერ ინიცირებულ თუ შერჩეულ აქტივობებში და იყენებდნენ მრავალფეროვან მასალას, უკეთესი შედეგები ჰქონდათ კოგნიტური და მეტყველების განვითარებასთან დაკავშირებული დავალებების შესრულებისას, ვიდრე მსგავსი გამოცდილების არმქონე

მათივე თანატოლებს (კუხალეიშვილი, ფრუიძე, ჭიჭავაძე, ბაქრაძე, ჭანელიძე, 2019).

ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის გამოყენება ადრეულ ასაკში მნიშვნელოვანია სენსორული და თვალსაჩინო მასალების სწორად გამოყენების თვალსაზრისით ბავშვის შემეცნებითი განვითარების უზრუნველსაყოფად. ოპერაციამდელთა სტადიაში ბავშვთა ენობრივი უნარების სწრაფად განვითარება საშუალებას აძლევს ბავშვებს გონებაში წარმოსახონ და სიმბოლოების საშუალებით იფიქრონ მრავალფეროვან საგნებსა და მოვლენებზე. ბავშვებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი აზრები და მიიღონ ინფორმაცია ენის საშუალებით, რაც ადრე მათთვის შეუძლებელი იყო. სწორედ სკოლამდელი ასაკის ბავშვების განვითარების ეს თავისებურება შესაძლებლობას გვაძლევს ზღაპრების გამოყენებით, შინაარსის იმიტირებით ბავშვებს შევუქმნათ წარმოდგენა ეკონომიკურ ცნებებზე.

ფსიქოლოგი ლევ ვიგოტსკი სოციო-კულტურულ თეორიაში მოსწავლეებს მართხელა მეცნიერებს უწოდებდა. იგი ფიქრობდა, რომ მოსწავლე არის პატარა შეგირდი, რომელსაც მასწავლებელი ან სხვა მოზრდილი ეხმარება გამოცდილებების მიღებაში. განათლების სფეროში სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია განსაკუთრებულ ხაზს უსვამს სწავლას სოციალურ კონტექსტში და სხვებთან ურთიერთობით.

ვიგოტსკის აზრით, ადამიანს ელემენტარული ფუნქციები ბუნებისგან ეძლევა: ტირილი, დედის ხმის დამახსოვრება, თანდაყოლილი თვისებებია. კულტურის ზეგავლენით ელემენტარული ფუნქციები გარდაიქმნებიან ფსიქიკურ ფუნქციებად, თანდათანობით ყალიბდება ლოგიკური აზროვნება. მას მიაჩნდა, რომ სოციალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. მისი შეხედულებით, ბავშვების აზროვნება ვითარდება სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის შედეგად. უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანებთან კომუნიკაციის დროს ბავშვები იძენენ ისეთ ცოდნას, რომლის შეძენას ისინი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ. ვიგოტსკის მიაჩ-

ნდა, რომ ბავშვები სწავლობენ მოქმედებაში, ანუ როცა ისინი უფრო მცოდნე ადამიანებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული რამე მნიშვნელოვან საქმიანობაში. ბავშვები აქტიურად შედიან დიალოგში მათ გარშემო მყოფ ადამიანებთან. დიალოგის საშუალებით ხდება იდეების გაცვლა და ბავშვის განვითარებაც წინ იწევეს (ჯანაშია, 2009). ამ თეორიის ცოდნა მნიშვნელოვანია, რათა მშობელმა, აღმზრდელმა სწორად შეაფასოს ბავშვის განვითარების აქტუალური, არსებული დონე (ბავშვი დავალებებს ასრულებს დამოუკიდებლად) და თანმიმდევრულად იმუშაოს უახლოეს მისაღწევ დონეზე, პოტენციურ დონეზე (ბავშვი ასრულებს დავალებას კომპეტენტური პიროვნების დახმარებით), ბავშვთან ერთად დასახოს საშუალო სირთულისა და მისთვის ადვილად მისაღწევი ამოცანები; ბავშვის განვითარების უახლოესი ზონა არის მანძილი ბავშვის რეალური განვითარების დონესა და პოტენციური განვითარების დონეს შორის. დაკვირვებისა და გარემოსთან ურთიერთობის საფუძველზე დროთა განმავლობაში ყოველი ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა იცვლება. ბავშვი გარკვეულ მოქმედებებს ეუფლება ჯერ უფროსის, „სკაფოლდინგის/ხარაჩოს“ დახმარებით, შემდეგ კი დამოუკიდებლად და მზად არის უფრო რთული დავალებების შესასრულებლად. ლ. ვიგოტსკის თეორია ოთხ ძირითად პრინციპს ეფუძნება: განვითარება სოცო-კულტურულ კონტექსტში განიხილება, ბავშვი ცოდნას აგებს და არა პასიურად ითვისებს, სწავლა წინ უნდა უსწრებდეს განვითარებას, ფსიქიკურ განვითარებაში ცენტრალური ადგილი მეტყველებას უკავია (ოთხმეზური, 2008).

ვიგოტსკის თეორია არის იმის დამტკიცების მცდელობა, რომ შემეცნება - ესაა სოციალიზაციის ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობის პროდუქტი. მაგ: რომელიმე ენის სწავლებისას ჩვენ ენას ვიყენებთ, როგორც საკომუნიკაციო საშუალებას, ანუ ვცდილობთ მისი საშუალებით დავამყაროთ ურთიერთობა სხვებთან. მხოლოდ ენის სრულყოფილი შესწავლის შემდეგადაა შესაძლებელი მისი, როგორც “შინაგანი მონოლოგის”, საშუალებად გამოყენება.

ლ. ვიგოტსკის მოსაზრებით, „კულტურას ორნაირი გავლენა აქვს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე: კულტურის საშუალებით ბავშვი ითვისებს ამ კულტურაში დაგროვებულ ცოდნას, კულტურა უზრუნველყოფს ბავშვს აზროვნების საშუალებით, „იარაღებით“. მეტყველება ის იარაღია, რომლის საშუალებითაც უფროსი გადასცემს ცოდნასა და გამოცდილებას ბავშვს“ (ოთხმეზური, 2008). მეტყველებაში იგულისხმება ნიშნებისა და სიმბოლოების (როგორიცაა რიცხვები და მათემატიკური სიმბოლოები, ენა და კოდირების სისტემები) გამოყენება სოციალური კომუნიკაციისთვის. ენა ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ბავშვს გადავიდეს კონკრეტული საგნებიდან ფორმალურ ცნებებზე. 3-დან 7-წლამდე პერიოდის მეტყველებას ლ. ვიგოტსკი ეგოცენტრულ მეტყველებას უწოდებს და თვლის, რომ მეტყველება ბავშვის კოგნიტურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რადგან მას ბავშვი თვითრეგულაციამდე მიჰყავს. ესაა: დაგეგმვის უნარი, დაკვირვება, აზროვნების მართვა, პრობლემის გადაჭრა. ბავშვი საკუთარი ქცევის რეგულირებას შინაგანი მეტყველების საშუალებით ახდენს. ბავშვი საკუთარ თავს ჩუმად ეუბნება: არა, როცა ხელი ცეცხლისკენ წაუცდება. შინაგანი მეტყველება საშუალებას გვაძლევს, სხვებისგან შეუმჩნევლად ვაკონტროლოთ ჩვენი აზროვნება და ქცევა.

ვიგოტსკის მიხედვით, ბავშვის განვითარებასთან ერთად და უფროსთან ურთიერთობის პროცესში წამყვანი ხდება მეტყველება. მეტყველება ხდება საკუთარი მოქმედების დაგეგმვისა და რეგულაციის, ასევე სხვებზე ზემოქმედების იარაღი. მისი აზრით, უმაღლესი ფსიქიკური ფუნქცია (მაგ., მეტყველება) იმით განსხვავდება ელემენტარულიდან (მაგ. საკვების მიღება), რომ ის სოციალური ურთიერთობის საფუძველზეა შექმნილი, ნიშნით ან დამხმარე საშუალებებით არის გაშუალებული. ეგოცენტრული მეტყველება სკოლამდელ ასაკში საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ ბავშვის შემეცნების/აზროვნების განვითარებას, მისი მოსაზრებების ფორმირებას მოსმენილი ამბების (ზღაპრების) შესახებ (იქვე).

ლ. ვიგოტსკის იდეებმა გავლენა იქონია ჯერომ ბრუნერის თეორიაზე (ოთხმეზური, 2008). ბრუნერის „აღმოჩენებით სწავლის“ თეორია კოგნიტურ თეორიებს მიეკუთვნება, რომელთა მიზანი შემეცნებითი პროცესების (გადაწყვეტილების მიღება, პრობლემის გადაჭრა, ანალიზი, სინთეზი, შეფასება, დახსომება) სტრუქტურისა და ფსიქოლოგიური მექანიზმების აღწერაა. კოგნიტური ფსიქოლოგია იკვლევს, როგორ იღებს ბავშვი ინფორმაციას გარემოდან, როგორ ახდენს ამ ინფორმაციის ორგანიზებასა და ინტერპრეტაციას, როგორ იყენებს ცოდნას. ბრუნერის აზრით, სწავლა აქტიური სოციალური პროცესია, როდესაც ბავშვი თავისი გამოცდილების საფუძველზე ახალი ცოდნის კონსტრუირებას ახდენს. ამ თვალსაზრისით ცოდნაც პროცესია და არა პროდუქტი. მისი აზრით სწავლა გულისხმობს ბავშვის მიერ ინფორმაციის შერჩევას, ჰიპოთეზების შექმნას და ახალი მასალის ინტეგრირებას მის ცოდნასთან. ბრუნერი თვლის, რომ სწავლა უწყვეტი პროცესია და ბავშვი განვითარების სამ საფეხურს გაივლის. ის ადამიანის აზროვნების პროცესის სამ ფორმას განასხვავებს: მოქმედებითს, ხატოვანს და სიმბოლურს. ადამიანის ზრდა მოიცავს ამ სამი აზროვნების ფორმის თანდათანობით განვითარებას: ადამიანი ჯერ მოქმედებით, შემდეგ წარმოსახვით და ბოლოს სიმბოლურ გამოხატვას ეუფლება.

პატარა ბავშვები მეტწილად მოქმედების ფორმას იყენებენ სწავლის დროს. მაგალითად, ბავშვი გადატრიალებას, დაჯდომას თუ სიარულს თავისივე ქმედებებით სწავლობს. სწავლის ეს ფორმა ყველა ასაკის ადამიანში არსებობს, თუმცა ის უფრო ბავშვებში დომინირებს. მაგალითად, ბავშვს უფრო ადვილად შეუძლია ისწავლოს მუსიკალური ინსტრუმენტზე დაკვრა, ვიდრე მოზრდილ ადამიანს. წარმოსახვითი გამოხატვა, ჩვეულებრივ, ბავშვობის შემდეგ ეტაპზე იჩენს თავს. ბავშვები სწავლობენ სურათების და დიაგრამების მნიშვნელობას და არითმეტიკული ამოცანების რიცხვების საშუალებით (და არა საგნების დათვლით) ამოხსნას. მოგვიანებით, დაახლოებით მობარდობის ასაკში, სწავლის სიმბოლური ფორმა იწყებს დომინირე-

ბას. მოსწავლეებს ესმით და შეუძლიათ აბსტრაქტულ ცნებებთან მუშაობა. მასწავლებელმა სწავლების მეთოდები უნდა ცვალოს მოსწავლეთა განვითარების შესაბამისად. მაგალითად, სანამ მოსწავლეები აბსტრაქტული მათემატიკური სიმბოლოების გაგებას შეძლებენ, მათ მათემატიკური ამოცანები მოქმედებითი (მაგალითად, საგნების) ან წარმოსახვითი (მაგალითად, ნახატების) ფორმების გამოყენებით უნდა მივანდოლოთ (ჯანაშია, 2009).

ბრუნერის აზრით, ადამიანებს გააჩნიათ სამყაროს ორგანიზების თანდაყოლილი მიდრეკილება. ბავშვი სამი თვის ასაკიდან იწყებს ცოდნის ორგანიზებას. როცა იგი ლაპარაკს სწავლობს, მისი ცნებების განვითარების დონე ნაწილობრივ მის სიტყვათა მარაგის მოცულობაში გამოიხატება. სკოლაში შესვლის დროს, ბავშვმა, ჩვეულებრივ, 8000-დან 14000-მდე სიტყვის მნიშვნელობა იცის. მოსწავლეები სკოლის პერიოდში ათასობით ახალ ცნებას სწავლობენ. ისინი ზოგიერთ ცნებას სწრაფად და ადვილად ითვისებენ, სხვებს კი უფრო ნელა და თანდათანობით სწავლობენ და დროთა განმავლობაში ცვლიან. სწავლება ბავშვის კოგნიტურ განვითარებას უნდა ისახავდეს მიზნად; სწავლების ფორმა კი ბავშვის კოგნიტურ განვითარებას უნდა შეესაბამებოდეს (ჯანაშია, 2009). ასევე ამ პერიოდში შესაძლებელია ეკონომიკური ტერმინების შემოტანა მარტივი ცნებებით სურათების, ფულის ერთეულის დახატვისა თუ იმიტირებული თამაშებით სავაჭრო ცენტრში, მარკეტში, ბანკში. „ბრუნერი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი შინაარსის მასალა შეიძლება ნებისმიერი ასაკის ბავშვს ისე გასწავლოთ, რომ ეს მისთვის საინტერესო და გასაგები იყოს. ეს განცხადება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ასაკის მოსწავლეს ნებისმიერი რამ შეიძლება გასწავლოთ. ბრუნერი გვიჩვენებს, მასალის შინაარსს მოგვიანებით ისევე დავუბრუნდეთ: ცნებები, თავდაპირველად, მარტივ ფორმებში უნდა გასწავლოთ ბავშვებს (ისე, რომ ბავშვმა შეძლოს მათი გაგება), ხოლო როცა ისინი გაიზრდებიან, იგივე მასალა უფრო რთულ ფორმებში უნდა მივანდოლოთ. ბრუნერის აზრით, ეფექტიანი სწავლებისათვის ყველაზე ადექ-

ვატურია ე. წ. „სპირალური კურიკულუმი“-სასწავლო გეგმა/კურიკულუმი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ყოველი ახალი ცნება წინათ დასწავლილსა და წინა გამოცდილებას ეფუძნებოდეს (ჯანაშია, 2009). ჯერომ ბრუნერის სპირალური კურიკულუმი“ ეფექტურად შეგვიძლია გამოვიყენოთ ადრეული ასაკის ბავშვებთან სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციების, მოვლენების შესახებ მარტივი ცნებების გასაცნობად.

ჯერომ ბრუნერის თეორია ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნისთვის გთავაზობს იდეას, რომ ბავშვს მივანოდოთ არა მზა პასუხები, არამედ შევუქმნათ კრეატიული სიტუაციები, რათა ის თავად მივიღეს შედეგებამდე; მივცეთ ექსპერიმენტების ჩატარების და მათი მოლოდინების/ჰიპოთეზების დასახელების შესაძლებლობა. ეს სამყაროს თავისებურებების აღმოჩენაში და შეცნობაში დაეხმარება; დავეხმაროთ ბავშვებს სხვადასხვა ცნების და პრინციპის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებაში, დავუსვათ ღია შეკითხვები.

რადგან ადრეული განათლების ასაკის ბავშვებში დიდი როლი ენიჭება მიბაძვას, ამიტომ ამ პერიოდში ეფექტურია ალბერტ ბანდურას სწავლის სოციალურ-კოგნიტური თეორიის გამოყენება. თეორია აქცენტს აკეთებს მიბაძვისა და სხვათა ქცევის დაკვირვების ფაქტორზე სწავლასა და განვითარებაში. ადამიანები სწავლობენ სხვა ადამიანებზე ანუ მოდელეებზე დაკვირვებით. მიბაძვის უნარი ადამიანს თან დაყვება. მიბაძვის ალბათობა იზრდება: თუ დამკვირვებელი გარკვეულ სარგებელს ნახულობს მოდელის ქცევის გამეორებით; თუ მოდელის ქცევა დაჯილდოვდება (მაგ. გამოცდილი მსახიობისადმი მიძღვნილი აპლოდისმენტები ზრდის ახალგაზრდა, დამწყები მსახიობისთვის მისი მიბაძვის ალბათობას); თუ მოდელს მაღალი სოციალური სტატუსი აქვს; კომპეტენტურია, ძლიერია, ცნობილია და ძალაუფლების მქონე; თუ მოდელი კეთილგანწყობილია დამკვირვებლის მიმართ; თუ მოდელის ქცევა სქესისთვის შესაფერისია (მაგ. გოგონებს იზიდავთ, მათი შეფასებით, უფრო ქალური პროფესიები, ვაჟებს - მამაკაცური პროფესიები, მაგ. ინჟინერი, ქირურგი, ფეხბურ-

თელი და სხვა). ბავშვი, რომელიც თვალს ადევნებს მოდელს იძენს იმ ქცევას, რომელსაც მოდელი ამჟღავნებს. მოდელზე დაკვირვებით, ბავშვები სწავლობენ წარმოთქმას, წერას, ცურვას, მაგალითების ამოხსნას, კბილების გახეხვას და ა.შ. ადამიანები ეუფლებიან ბევრ ისეთ ქცევას, რომელიც კოგნიტურ ან ემოციურ კომპონენტებს შეიცავს. მაგ., კითხვას უკეთ სწავლობენ, როცა მშობლები, აღმზრდევლები ხშირად უკითხავენ; იძენენ გარკვეული სტიმულის ან სიტუაციის შიშს, თუ ხედავენ, რომ სხვა ადამიანები ასეთ ვითარებაში შიშის გრძნობას ავლენენ. კარგად უმკლავდებიან სხვა ადამიანების გამონგევას, დანახვას. ალ. ბანდურა დაკვირვებით სწავლის ოთხ პროცესს გამოყოფს. ესაა ყურადღება, შენარჩუნება, გამეორება, მოტივაცია (ჯანაშია, 2009). ამ თეორიის მიხედვით, ადრეული ასაკიდანვე ბავშვის ყურადღება მივმართოთ მათთვის მნიშვნელოვანი ცნებების დამახსოვრებისაკენ.

სკოლამდელი აღზრდის იდეის განვითარებაში გამორჩეულია იტალიელი ექიმი-ფსიქიატრის და პედაგოგის მარია მონტესორის იდეოლოგია, რომლის თანახმად მნიშვნელოვანია საგანგებოდ ბავშვისთვის შექმნილი გარემო, სენსორული და თვალსაჩინო სასწავლო მასალები და ისეთი ფსიქოლოგიური კლიმატი, რომ ხელი შეუწყოს ბავშვს განვითაროს ინიციატივა, დამოუკიდებლობა, თვითრეგულაცია, თანაგრძნობა. მონტესორი გამოყოფდა ბავშვის განვითარების მგრძნობიარე პერიოდებს, ბავშვის განვითარების პროცესის 3 ფაზას: 0-დან 6 წლამდე, 6-დან 12-წლამდე და 12-დან 18 წლამდე. „0-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვი არის, ასე ვთქვათ, „ემოციური კამერტონი“, მშობლების ძირითადად დედების ზემგრძნობიარე ემოციების რეზონატორი. მისი შთანთქმავი გონება იკრებს მობრლილ-თა აზროვნების ემოციური რეაგირების მეთოდებს იმ მოვლენების მიმართ, რაც ხდება მსოფლიოში. ამ მიზეზით, ყველაზე შესაფერისი გარემო ბავშვის ოპტიმალური განვითარებისათვის არის მშობლების სახლი და მზრუნველობა. 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვი არის

„საკუთარი თავის მშენებელი.“ ამ ეტაპზე მოდის მისი განვითარების რიგი სენსიტიური პერიოდების მაქსიმალური ინტენსივობის ფაზები - სენსორული, სამოძრაო, სამეტყველო, სოციალური. ყველაზე შესაბამისი პირობები ამ ასაკში ბავშვის განვითარებისთვის არის სპეციალურად მომზადებული გარემო, რომელშიც არსებობს ყველა საჭირო კომპონენტი: სენსორული, სამეტყველო, მათემატიკური მასალები, პრაქტიკული ცხოვრების უნარების დაუფლების მასალები, ბუნების გაცნობის და მთავარი: ბავშვებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ და აირჩიონ საქმიანობა“ (ჭობონელიძე, 2017). მის მიერ დაარსებულ საბავშვო სახლებში ჩაბმული იყვნენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები, ხორციელდებოდა აღზრდის სპეციალური პროგრამა. მონტესორის აზრით, 3-დან 6 წლამდე ასაკი განსაკუთრებული პერიოდია ბავშვის ცხოვრებაში. ამ დროს სწავლობს დამოუკიდებლობას და შეიცნობს მის გარშემო არსებულ სამყაროს. „ამ ასაკის ბავშვები ისრუტავენ ყველაფერს, რაც მათ გარშემოა, რომ მათი მოდელი არის მშობლები და მშობლებმა შეილეს თავიანთი ქცევებით უნდა ასწავლონ; კი არ უნდა უკარნახონ ბავშვებს, რომ მადლობა გადაიხადონ და წესრიგიანად იყვნენ, არამედ თავად უნდა აძლევდნენ მაგალითს მადლობის თქმით. მათ თვალწინ საკუთარი ნივთებისა და გარემოს მოწესრიგებით“ (ჯანაშია, 2009). მონტესორის აზრით, ბავშვის განათლება იწყება დაბადებიდანვე. განათლებაზე სამი წლიდან ზრუნვა დაგვიანებულია. მონტესორის პროგრამა ისეა აგებული, რომ ცენტრალურია ბავშვის ინტერესი და პოტენციური შესაძლებლობა. სწავლება მიმდინარეობს მრავალფეროვანი რესურსებით, ვიზუალური ან სიტყვიერი მინიმუმებით, რაც ბავშვს საშუალებას აძლევს, თვითონ შეამოწმოს გადაწყვეტის სისწორე, იპოვოს შეცდომა და გაასწოროს. მასწავლებლის/აღმზრდელის როლი არის არა მზა ცოდნის გადაცემა, არამედ ბავშვების წარმართვა, მათი ინტერესების, ცნობისმოყვარეობის, განვითარების, ინიციატივის სტიმულირება და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა.

მარიამ მონტესორი თვლიდა, რომ ბავშვებს 4 წლის ასაკში შეუძლია წერა. მარია მათ აძლევდა ანბანის გამოჭრილ ასოებს, რითაც ისინი თამაშობდნენ. ის იყენებდა სწავლას შეხებით, კინესთეტიკურ სტილს. სულ რაღაც სამ თვეში წერა დაიწყო, შემდეგ კი კითხვა. მალე ისინი 7-8 წლის ბავშვების დონეზე წერდნენ და კითხულობდნენ. სკოლამდელ ასაკში, როდესაც ბავშვის აღქმაში წამყვანია სწორედ სენსორული ინფორმაცია, ეს მასალები მას სამყაროს შეცნობაში ეხმარება. მონტესორისეული სწავლების მიხედვით, წერაკითხვისა და ანგარიშის სწავლება არ არის სკოლამდელი განათლების მიზანი - ის მხოლოდ თანმხლები პროცესია. სენსორული ინფორმაციის საფუძველზე ბავშვს თანდათანობით უჩნდება ინტერესი იმისა, რამდენით დიდია, მაგალითად, ერთი კუბი მეორეზე და სწორედ ამ დროს ჩნდება ელემენტარული მათემატიკური ცოდნის მიწოდების საშუალება. ასეთივე მეთოდით ხდება ენის ათვისება: სიმღერებით, ლექსებით, მოთხრობებითა და ნატიფი მოტორიკის განმავითარებელი დავალებებით ბავშვს ეტაპობრივად უქმნიან წინა პირობებს წერა-კითხვის დასაუფლებლად. ამ ყველაფრის კომბინაცია ბავშვს ნელ-ნელა, ძალდაუტანებლად, შეუმჩნევლად ასწავლის წერაკითხვას (გეთია, 2014).

ჩვენ განვიხილეთ ქართველი და უცხოელი პედაგოგიკის კლასიკოსების, ფსიქოლოგების თეორიები, მოსაზრებები ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების, მათში შეხედულებათა სისტემის ფორმირების შესახებ, გავეცანით სკოლამდელი ასაკის ასაკობრივ თავისებურებებს. სადაც თვალნათლივ წარმოჩნდა სკოლამდელი დაწესებულებების, აღმზრდელების, მშობლის როლი მოზარდებში ცნობიერების ფორმირების შესახებ. ახლა კი გავეცნოთ ექიმების, მედიცინის დოქტორების: ე. კანდელაკის, ნ. ყავლაშვილის, მ. ხერხეულიძის მოსაზრებები 2-დან - 6 წლამდე ასაკის ბავშვთა კოგნიტური განვითარებისა და ტვინის შესაძლებლობების შესახებ. მონოგრაფიაში „ადრეული ასაკის ბავშვის ზრდისა და განვითარების მონიტორინგი და მშობლის კონსულტირება“ ავტორები აღნიშნავენ, რომ ბავშვთა

ადრეული ასაკი მოიცავს პერიოდს ჩასახვიდან 8 წლამდე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პირველი 5 წელი, პერიოდი, როდესაც სხვაზე დამოკიდებული უმწეო და უსუსური ახალშობილი მოსიარულე, მოლაპარაკე, პრობლემებთან გამკლავების უნარის მქონე ბავშვად გარდაიქმნება. ეს საოცარი ცვლილებები განპირობებულია რთული ურთიერთკავშირით გენებსა და გარემო ფაქტორებს, ბუნებასა და აღზრდას შორის. აღმზრდელობითი, უსაფრთხო და ადეკვატური გარემო და მშობლებთან, მზრუნველებთან, ოჯახთან და საზოგადოებასთან ადამიანური ურთიერთობები ყველაზე მნიშვნელოვან და ხანგრძლივ გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე. ადრეული განვითარების წლები, ერთი მხრივ, უდიდესი მოწყვლადობის, მეორე მხრივ კი, დიდი შესაძლებლობების პერიოდია. ის, თუ რას აკეთებს მშობელი ან მომვლელი ამ განსაკუთრებული წლების განმავლობაში, აისახება პიროვნების მთელ შემდგომ ცხოვრებაზე, მის ჯანმრთელობაზე, ქცევაზე, ურთიერთობის დამყარების უნარსა და წარმატებაზე სწავლასა და დასაქმებაში. პირველი 5 წლის განმავლობაში ყველაზე სწრაფად ტვინი იზრდება. ახალშობილის ტვინის ზომა მოზრდილი ადამიანის ტვინის მეოთხედია, 6 თვის ასაკისთვის ბავშვის ტვინი მოზრდილის ტვინის 50%-ია, 3 წლისთვის - 80%, 5 წლისთვის კი - 90%-ს აღწევს. დადგენილია, რომ ბავშვები ადრეულ ასაკში გაცილებით სწრაფად სწავლობენ, ვიდრე ცხოვრების ნებისმიერ სხვა პერიოდში. 3 წლამდე ბავშვის ტვინი მოზრდილის ტვინზე 2,5-ჯერ უფრო აქტიურია და ასეთივე აქტიური რჩება ცხოვრების პირველი დეკადის განმავლობაში. გენეტიკურად დეტერმინირებული პოტენციალის სრულად გამოსავლენად, ბავშვს სჭირდება შესაბამისი გარემო - სიყვარული და სითბო, ყურადღება, ნახალისება და გონებრივი სტიმულაცია, ადეკვატური კვება და მაღალი ხარისხის ჯანდაცვა (კანდელაკი, ყავლაშვილი, ხერხეულიძე, 2019).

„დადგენილია, რომ ბავშვი, რომელსაც ხშირად ესაუბრებიან, უფრო მალე იწყებს ლაპარაკს და სიტყვების უკეთესი მარაგი აქვს.

მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე მშობლების ოჯახში გარდობილ ჩვილს, ჩვეულებრივ, ოჯახში 1 საათის განმავლობაში ესმის დაახლოებით 2153 სიტყვა, ხოლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახში - დაახლოებით 616 სიტყვა, შესაბამისად, 3 წლის ასაკში ბავშვის ლექსიკური მარაგი განსხვავებულია და თუ პირველ შემთხვევაში 1100 სიტყვისგან, მეორეში მხოლოდ 750 სიტყვისგან შედგება (ჰარტი, რისლეი, 1995). როდესაც ბავშვი უკვე აღწევს სასკოლო ასაკს და შედის სკოლაში, ეს განსხვავება უფრო მკვეთრი ხდება, თუკი არ ხდება გარკვეული ინტერვენცია. მეტყველების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან განათლება ენის მეშვეობით მიიღება. თუკი ბავშვის საფუძველი მეტყველების განვითარებისათვის სუსტია, მან შეიძლება ვერ მიიღოს სათანადო სარგებელი განათლებისაგან“ (კანდელაკი, 2019).

„უფროს სკოლამდელ ასაკში ბავშვები ძალიან იმდიდრებენ სიტყვიერ მარაგს, იყენებენ უფრო რთულ კონსტრუქციებს, იგი იზრდება 3000-4000 სიტყვამდე. მეტყველება უკვე წამყვან როლს ასრულებს სოციალური კავშირების დამყარების პროცესში. ბავშვი საბოლოოდ ეუფლება მეტყველების ყველა ფორმას: მონოლოგი, დიალოგი, თხრობა. 6 წლისთვის სიტუაციური მეტყველების შენარჩუნების ფონზე, ბავშვს უყალიბდება კონტექსტუალური მეტყველება: მას შეუძლია მოყვეს მოსმენილი ზღაპარი, გასაგებად გადმოსცეს მის მიერ ნაწიხი მულტფილმის შინაარსი და ა. შ (კანდელაკი, ყავლაშვილი, ხერხეულიძე, 2019). ამ პერიოდის ბოლოსთვის ბავშვი სწორად იყენებს მეტყველების ყველა ნაწილს წინადადებებში და მარტივი წინადადებების გვერდით თავს იჩენს რთული ქვეწყობილი და რთული თანწყობილი წინადადებები. 6 წლის ასაკისთვის სრულდება ბგერებზე სმენის, ფონოლოგიური სმენისა და წარმოთქმის უნარის განვითარებაც. ამ ასაკის ბავშვი მშობლიური ენის ყველა ბგერასა და ბგერათა შემთხვევას სწორად უნდა წარმოთქვამდეს, კარგად არჩევდეს სხვის ნათქვამ რთულ წინადადებაში ბგერებსა და სიტყვებს. ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებისთვის, სოციალური კონტაქტე-

ბის დამყარებისა და სასკოლო მზაობისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რამდენად სწორად წარმოთქვამს ბავშვი ბგერებს და რამდენად კარგად ესმის აზრი. ბავშვი, რომელიც გამართულად მეტყველებს, თავისუფლად შედის კონტაქტში როგორც თანატოლებთან, ასევე უფროსებთან. ამ პერიოდში ბავშვის ყოველდღიურ ლექსიკონში ჭარბობს ისეთი სიტყვები, რომლებიც გამოხატავს მიზემ-შედევობრივ, მიზნობრივ მიმართულებებს: „იმიტომ რომ“, „იმისათვის რომ“, „თუ მაშინ“ და ა. შ. ბავშვი ახერხებს ფრაზებში ძირითადი და მეორე ხარისხიანი წინადადებების გამოცალკევებას. ასევე აცნობიერებს შეცდომებს მეტყველებაში. მაგალითად, 6 წლის ბავშვმა უკვე იცის, რომ გუშინ ნიშნავს წარსულს, ხვალ-მომავალს. ამ მიმართულებით სწორად დაგეგმილ სააღმზრდელო მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვის სასკოლოდ მომზადებისთვის, რადგან იგი არამართო სწავლობს სწორად გამოთქვას საკუთარი აზრი, არამედ ანალიზს უკეთებს საკუთარ მეტყველებას, რაც აუცილებელი პროცესია სკოლაში შემდგომი აკადემიური ჩვევების ათვისებისთვის. უფროსი სკოლამდელის მეტყველებაში დიდი ზეგავლენა აქვს ლიტერატურის გამოყენებას. ამ ასაკში მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება არამხოლოდ ნაწარმოების შინაარსობრივ მხარეზე, არამედ მის ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე: ლექსიკა-სინონიმები, ანტონიმები, ახალი სიტყვები, ჟანრი-მოთხრობა თუ ზღაპარი. სასურველია, თუ ბავშვს მოვანოდებთ მრავალფეროვან ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს: წავეკითხავთ ლექსებს, ზღაპრებს, მოთხრობებს და აქცენტს გავაკეთებთ მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე. ამრიგად, 5-6 წლის ბავშვის აღზრდა წინა პერიოდთან შედარებით უფრო დანაწევრებული და სპეციფიკურად ორგანიზებულია - აღნიშნულია საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელოში (აფთარაშვილი, 2011)

5-6 წლის ბავშვის აღქმა თანდათანობით უფრო სრულყოფილი ხდება, განსაკუთრებულ გავლენას აღზრდაზე მეტყველების განვი-

თარება ახდენს. ბავშვს ახლა უკვე შეუძლია საგნებსა და ობიექტებს დაარქვას სახელები, სიტყვიერად გამოყოს მათი თვისებები, მახასიათებლები, შეაფასოს მოვლენების მიმდინარეობა, კავშირი მათ შორის ა. შ. ბავშვი იძენს მთელიდან დეტალების გამოყოფისა და დეტალების მთლიანად ხატად გაერთიანების უნარს. აღმზრდელს ამ ასაკში ძალიან მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ბავშვის ალქმის განვითარებაში, თუ სწორად შეურჩევს ნახატებს, სურათებს და დაეხმარება მას ალქმის ორგანიზებაში. მაგ. მისცემს მითითებას, დაათვალიეროს ნახატის დეტალები გარკვეული თანმიმდევრობით, იპოვოს ნახატში დეტალები, ააწყოს ნაწილებიანი თავსატეხი და ა.შ.

5-6 წლის ასაკი უფროსი სკოლამდელი ასაკია. მას სკოლისთვის საბაზო ასაკსაც უწოდებენ, რადგან ბავშვის პიროვნული ნიშნების 90% -ზე მეტი სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება. ამ ასაკში უკვე შეგვიძლია გარკვეულწილად ვივარაუდოთ და შევაფასოთ ბავშვის ხასიათი და ინდივიდუალურობა, მისი შემოქმედებითობა, რომელიც განვითარების თვალსაზრისით სწორედ კულმინაციას აღწევს და შემეცნებითი პროცესებიც უფრო ინტენსიურად ვითარდება - აღნიშნულია „საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელოში“ (აფთარაშვილი, 2011).

ჩვენ ამ პარაგრაფში განვიხილეთ თეორიები ბავშვის განვითარების შესახებ, სადაც ნათლად ჩანს, რომ პიროვნების ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს: მემკვიდრეობა, გარემო და აღზრდა. ბავშვის განვითარებაში სამივე ფაქტორი მნიშვნელოვანია და ამ ფაქტორების ჰარმონიული ურთიერთქმედება ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას. განვითარების თეორიების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბავშვის ცნობიერების ფორმირება მრავალფაქტორიანი, კომპლექსური პროცესია. ბავშვის განვითარების კოგნიტური, სოციო-კულტურული, სოციალური დასწავლის და სხვა თეორიები ბავშვის განვითარების პროცესს სხვადასხვა კუთხით განიხილავენ, თუმცა ყველა მათგანი სკოლამდელ ასაკს თვლის ბავშვის განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდად.

„ადამიანის განვითარება ჩასახვიდან იწყება და მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. კვლევები ცხადყოფს, რომ მუცლად ყოფნის პერიოდშივე ემბრიონი საკმაოდ რთულ და საინტერესო ეტაპებს გადის, რათა ის მომზადებული მოველინოს სამყაროს: აქტიურად ვითარდება მისი ცენტრალური ნერვული სისტემა, სენსორული და მოტორული უნარები“ (ისაკაძე, 2017). მემკვიდრეობა განსაზღვრავს ბიოლოგიურ პოტენციალს და ანატომიურ-ფიზიოლოგიურ საფუძველს, რომელზეც აგებულია ფსიქიკური პროცესების განვითარება. თუმცა თანდაყოლილ ფსიქო-ფიზიკური უნარების რეალიზებას ახდენს გარემო, აღზრდა. „მრავალი კვლევითა და ექსპერიმენტით დამტკიცებულია, რომ მხოლოდ სოციალური გარემო ვერ განუვითარებს ადამიანს იმ თვისებებს, რომლებიც მის გვარში არ არის და მხოლოდ მემკვიდრეობაც, შესატყვისი გარემოს გარეშე, ვერ შეძლებს ვერაფრის შექმნას (აფარაშვილი, 2011). გარემო და აღზრდა ახდენს მემკვიდრული პოტენციალის აქტუალიზებას და რეალიზებას. ოჯახური ღირებულებები, საგანმანათლებლო სივრცე, კულტურული კონტექსტი და თანატოლებთან ურთიერთობა ერთობლივად ქმნიან განვითარების სოციო-კულტურულ სივრცეს. გასათვალისწინებელია, რომ სკოლამდელ ასაკში ტვინი ინტენსიურად ვითარდება და ეყრება საფუძველი შემეცნებით განვითარებას, რომელიც ბავშვის მომავალი სასწავლო და ცხოვრებისეული წარმატების საწყისია, ქმნის უნიკალურ „სენსიტიურ პერიოდს“ კოგნიტური, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებისთვის. სწორედ ამიტომ, ადრეულ ასაკში მიღებულ გამოცდილებას და განათლებას გადამწყვეტი მნიშვნელობის აქვს.

განხილული თეორიები აჩვენებს, რომ ადრეულ ასაკში ცნობიერების ფორმირება არ არის ცალმხრივი პროცესი. ეს არის დინამიური, ბიოლოგიურ საფუძველსა და სოციო-კულტურულ გამოცდილებას შორის მიმდინარე მუდმივი ინტერაქცია. ამიტომ, ადრეული განათლების სისტემის დაგეგმვა და განხორციელება მოითხოვს მულტიდისციპლინარულ მიდგომას, რომელიც გაითვალისწინებს რო-

გორც თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს, ისე განვითარების უნივერსალურ კანონზომიერებებს. ეს ინტეგრირებული მიდგომა უზრუნველყოფს ბავშვის სრულფასოვან, მრავალმხრივ განვითარებას და ბავშვის მომავალ სასწავლო და პირად წარმატებას, მოითხოვს ბავშვის განვითარების შესახებ არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას. პედაგოგებმა და მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ თითოეული თეორიის ძირითადი პრინციპები: კოგნიტური განვითარების ეტაპები, სოციალური ინტერაქციის როლი, ემოციური უსაფრთხოების მნიშვნელობა და ინდივიდუალური განსხვავებების პატივისცემა. ბავშვისთვის მრავალფეროვანი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნა - კითხვის კულტურა (განსაკუთრებით ზღაპრების), იმიტირებული თამაშები, შემოქმედებითი აქტივობები, თავსატეხები - ხელს უწყობს როგორც ინტელექტუალური, ისე სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებას. ამიტომ ვთვლით, რომ სწორად დაგეგმილი ადრეული განათლება საბავშვო ბაღში თუ ოჯახში უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერულად დასაბუთებულ თეორიულ მიდგომებს, ითვალისწინებდეს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ და ასაკობრივ მახასიათებლებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივი უნარების განვითარებას, სკოლისთვის მის მომზადებას და წარმატებას მომავალ ცხოვრებაში.

1.2. საბავშვო ლიტერატურა, როგორც ცნობიერების ფორმირების ინსტრუმენტი

ბავშვობა, ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებული პერიოდია, როდესაც ხდება მისი მრავალმხრივი განვითარება და მომავალი ცხოვრებისათვის მომზადება. ამ გზაზე ბავშვის განუყოფელი თანამგზავრია საბავშვო ლიტერატურა, რომელიც სამყაროს აღქმის განსაკუთრებულ ხედვას აყალიბებს. ზღაპრებში, ამბებსა და ლექსებში ჩადებული სიმბოლოები და სიუჟეტები ბავშვის ცნობიერებას აყალიბებს, ამყარებს მის სულიერ და სოციალურ იდენტობას. „წიგნი ზოგჯერ ფანჯარაა, რომელიც სამყაროს გვიჩვენებს - ნამდვილსაც და წარმოსახვითსაც... კითხვა საკუთარი თავის აღმოჩენისა და თვითდამკვიდრების გზა ხდება და მკითხველები ხშირად, საკუთარ „სარკეს“ ეძებენ წიგნებში“ (Bishop, 1990). ლიტერატურა ბავშვს ეხმარება დაინახოს, შეიგრძნოს და ეზიაროს ღირებულებებს, ნორმებსა და კულტურულ კოდებს: რა არის კარგი და ცუდი, რა არის მეგობრობა, სიყვარული, სიძნელეების გადალახვა. სწორედ ამ პროცესში საბავშვო ლიტერატურა ცნობიერების განვითარების მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს მისი პიროვნული და სოციალური იდენტობის ჩამოყალიბებაში. ბავშვის გონების განვითარებაში, მისი სულის ფორმირებაში ადრევე იღებს წილს საბავშვო მწერლობა. იგი ჯერ კიდევ ანბანის გაცნობამდე იჭრება ნორჩის არსებაში ზღაპრების, გამოცანების, ენის გასატეხებისა და მოკლე ლექსების სახით. ანბანის შესწავლით ეს არე თანდათან ფართოვდება, ბავშვი იწყებს საგნებისა და მოვლენების ურთიერთ კავშირში გარკვევას, ბუნების საიდუმლოებათა აზრისა და მნიშვნელობის ახსნას. ამ დღიდან საბავშვო მწერლობა ხდება ადამიანის ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრი, მისი სულის ნაწილი (აბაშიძე, თ. გ.).

ამგვარად, საბავშვო ლიტერატურა არის არა მხოლოდ გართობის საშუალება; ის წარმოადგენს კულტურის მატარებელ და მომავალ თაობათა თვითშეგნების ერთ-ერთ მთავარ საყრდენს და ადრეული ასაკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.

საბავშვო ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა

საბავშვო ლიტერატურას ყოველთვის ეკავა და ახლაც განსაკუთრებული ადგილი უკავია საერთო მხატვრულ ლიტერატურაში. მისი მთავარი დანიშნულება ნორჩი თაობის განათლება, აღზრდა, მასში ჰუმანისტური პრინციპებისა და იდეალების ჩამოყალიბებაა. საუკუნეების მანძილზე საბავშვო ლიტერატურა განუწყვეტლივ სრულყოფდა საკუთარ ფორმას და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დიდაქტიკურ მოთხოვნებს, რის გამოც პედაგოგიკა მისი განვითარების განუყოფელ კომპონენტად იქცა. იგი ყველა ეპოქაში ემსახურებოდა აღზრდას. ამიტომ, ზოგადად, ლიტერატურის ფუნქციათაგან, აღზრდის ფუნქცია საბავშვო ლიტერატურისთვის ძირითადია.

საბავშვო ლიტერატურა ზეპირსიტყვიერებით დაიწყო, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მისი უძველესი ნიმუშებია ინდოეთის პანჩატანტრა (დაახლ. ძვ. წ. 200 წელი), ეზოპის იგავები (დაახლ. ძვ. წ. 620-564 წლები) და ირლანდიური ხალხური ზღაპრები (დაახლ. ძვ. წ. 400 წელი), რომლებიც ძირითადად დიდაქტიკური მიზანს ემსახურებოდა. ჩინეთში მოთხრობების თხრობამ პიკს სონგის დინასტიის დროს (960-1279 წლები) მიაღწია. შუა საუკუნეების ევროპა ბავშვებს ნაკლებად სთავაზობდა გართობას. მე-15 საუკუნის ადრეული ტექსტები ძირითადად სალოცავი/რელიგიური ხასიათის ან სასკოლო წიგნები იყო. იმ პერიოდში არ არსებობდა მკაფიო ზღვარი უფროსებისთვის და ბავშვებისთვის დაწერილ წიგნებს შორის, ამიტომ პირველი საბავშვო წიგნები ძირითადად ბიბლიური მოთხრობები, ხალხური ზღაპრები იყო (Indira Gandhi National Open University).

მე-16 საუკუნემდე ბავშვებისთვის სპეციალურად შექმნილი წიგნები ფაქტობრივად არ არსებობდა. ბავშვები ჯერ სწავლობდნენ კითხვას და შემდგომ ეცნობოდნენ რელიგიურ ტექსტებს ან ისეთ ლიტერატურას, რომელიც მოზრდილთათვის იყო განკუთვნილი. ამდენად, ბავშვებისა და უფროსებისთვის დაწერილ ნაშრომებს შო-

რის არსებითი განსხვავება არ იკვეთებოდა, რადგანაც ამის საჭიროება იმ ეპოქაში არ არსებობდა. ყველაზე ადრეული საბავშვო წიგნები უმეტესად რელიგიურ შინაარსის იყო ან ზეპირად გადმოცემული ტრადიციებისა და ხალხური ზღაპრების წერილობით კრებულებს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოთხრობები სპეციალურად ბავშვებისთვის არ იყო შექმნილი, 1634 წელს იტალიელმა ავტორმა ჯამბატისტა ბაზილემ შექმნა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ხალხური ზღაპრების კრებული „პენტამერონი“. „პენტამერონი“, რომელსაც „ზღაპართა ზღაპარიც“ ეწოდება, მოიცავდა „კონკიასა“ და „რაპუნცელის“ ყველაზე ადრეულ ცნობილ ვერსიებს - მოთხრობებს, რომელთა აქტუალობამაც საუკუნეებს გაუძლო და თანამედროვე პოპულარულ კულტურაში კვლავაც ფართოდ ვრცელდება მათ შორის დისნეის ეკრანიზაციებით (Rivera, 2017).

დაახლოებით სამოცი წლის შემდეგ შარლ პერომ ფრანგულ ენაზე გამოსცა საკუთარი ზღაპრები, რომლებიც იმდროინდელ მკითხველებსა და კრიტიკოსებს შორის ბაზილის ნამუშევრებთან შედარებით ნაკლები აღიარებით სარგებლობდა. მიუხედავად ამისა, მოთხრობებმა დროთა განმავლობაში პოპულარობა მოიპოვა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კულტურულ მემკვიდრეობაში. პერო ძმები გრიმების მთავარი შთაგონების წყაროდ მიიჩნევა. მისი მოთხრობები, რომლებიც ავტორის ფანტაზიასა და ხალხური ზღაპრების ნაზავია, მოიცავს ისეთ ცნობილ ნამუშევრებს, როგორიცაა „ჩექმებიანი კატა“, „წითელქეუდა“ და „მძინარე მზეთუნახავი“ (იქვე).

როდესაც ავტორებმა საბოლოოდ დაიწყეს მხოლოდ ბავშვებისთვის წიგნების შექმნა, მათი გართობის ფუნქცია არც კი განიხილებოდა. ასეთი წიგნები მიზნად ისახავდა ბავშვების ზნეობრივ თუ სოციალურ სფეროში განათლებასა და სწავლებას. პატარა წიგნები ბავშვებისთვის კონკრეტული ლოცვების ან იგავების სასწავლებლად იქმნებოდა (ibid). საბავშვო ლიტერატურა წარმოადგენს ტექსტებსა და ილუსტრაციებს, რომლებიც შექმნილია ბავშვებისთვის, მათი განვითარების, აღზრდისა და განათლების მიზნით. ლიტერატურათ-

მცოდნეობითი ხედვით, ეს არის მხატვრული ნაშრომების სივრცე, სადაც სიტყვები, სიუჟეტები და სიმბოლოები ბავშვის კულტურულ და ემოციურ გამოცდილებას უყალიბებს. პედაგოგიური თვალსაზრისით, საბავშვო ლიტერატურა აღიქმება როგორც ძლიერი საგანმანათლებლო ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს კოგნიტიურ, ემოციურ და სოციალურ უნარებს (Encyclopedia Britannica, თ. გ.).

პურიტანმა ჯონ კოტონმა 1656 წელს შექმნა ერთ-ერთი ყველაზე ადრეული საბავშვო წიგნი, სახელწოდებით „Spiritual Milk for Boston Babes“ („სულიერი რძე ბოსტონელი ჩვილებისთვის“), ეს იყო ამერიკაში გამოცემული პირველი კატეხიზმო. წიგნი შეიცავდა 64 ძირითად კითხვასა და პასუხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეცხოვრა, რათა სწორ გზაზე დარჩენილიყვნენ და არ განეწყროთ ღმერთი. იგი გაცილებით მოკლე იყო იმდროინდელ მოზარდთა კატეხიზმოსთან შედარებით, რომელთაც ჩვეულებრივ ასი კითხვა-პასუხი ჰქონდათ. წიგნი გამოიცა როგორც ბოსტონში, ასევე ინგლისში და საბოლოოდ შევიდა The New England Primer-ში - ამერიკის პირველ სახელმძღვანელოში, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემდე ფართოდ გამოიყენებოდა (Rivera, 2017).

სულ რაღაც ორი წელიწადში, 1658 წელს, ჩეხმა პედაგოგმა, განმანათლებელმა და პედაგოგიკის ფუძემდებელმა იან ამოს კომენიუსმა, გამოსცა „Orbis Pictus“ („ხილული სამყარო სურათებში“). მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის განმარტება ჩვეულებრივ გამორიცხავს ისეთ ნაშრომებს, რომლებიც თანმიმდევრული კითხვისთვის არის განკუთვნილი (მაგალითად, ლექსიკონები და ენციკლოპედიები), კომენიუსის „ორბის პიქტუსი“ განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, რადგან ეს არის პირველი ილუსტრირებული წიგნი ბავშვებისთვის. წიგნი დაყოფილია თავებად და თითოეული შეიცავს ხის გრაფიურებს ისეთ თემებზე, როგორცაა რელიგია, ბოტანიკა და ზოოლოგია. წიგნმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბავშვთა განათლებაზე, რადგან ეს არის პირ-

ველი წიგნი, რომელიც ილუსტრაციებს ტექსტთან აერთიანებს, რაც სწავლების ინოვაციურ მიდგომად იქცა (ibid).

პირველ, ნამდვილ საბავშვო წიგნად მიიჩნევა „A Little Prestty Pocket-Book“ („პატარა ლამაზი ჯიბის წიგნი“) - პატარა, ფერადი გამოცემა, რომელიც დღევანდელი სტანდარტებით შეიძლება ჩვეულებრივად გამოიყურებოდეს, მაგრამ 1744 რევოლუციური სიახლე იყო. ჯონ ნიუბერიმ ეს ბავშვის ზომის წიგნი სპეციალურად ბავშვების გასართობად შექმნა, რაც იმ დროისათვის უპრეცედენტო ნაბიჯი იყო. მასში თავმოყრილი იყო მარტივი რითმები და მომხიბვლელი ილუსტრაციები, თითოეული ანბანის თითო ასო-ბგერაზე იყო ფოკუსირებული. უნიკალური მარკეტინგული სტრატეგიის ფარგლებში, წიგნს გოგონებისთვის სამაგრი ახლდა, ხოლო ბიჭებისთვის - ბურთი. „პატარა ლამაზი ჯიბის წიგნი“ ფართოდ აღიარებულია საბავშვო ლიტერატურის განვითარების საკვანძო ნამუშევრად. ნიუბერის (John Newbery) ინოვაციებმა იმდენად დიდი როლი ითამაშა ჟანრის ჩამოყალიბებაში, რომ მას ხშირად „საბავშვო ლიტერატურის მამად“ მოიხსენიებენ (ibid).

XIX საუკუნის დასაწყისში, ევროპელმა მწერლებმა მნიშვნელოვნად განავითარეს საბავშვო ლიტერატურა მარადიული ზღაპრებით. ჰანს კრისტიან ანდერსენმა შეაგროვა და გამოაქვეყნა ისეთი ნამუშევრები, როგორცაა „პატარა ქალთევზა“, „იმპერატორის ახალი სამოსი“, „ყინულის დედოფალი“ და „ცეროდენა“, ხოლო ძმებმა გრიმებმა შეადგინეს უფრო „მამაცური“ ხალხური ზღაპრები, რომლებიც კლასიკად იქცა. შვეიცარიელმა მწერალმა იოჰან დევიდ ვაისმა 1812 წელს გამოაქვეყნა „შვეიცარიელი რობინსონების ოჯახი“, რომელიც თავგადასავლებით სავსე გასართობს სთავაზობდა ბავშვებს და თავდაჭერებულობის მნიშვნელობას ასწავლიდა. ამავე პერიოდში, ჰოფმანმა გამოაქვეყნა თავისი მოთხრობების კრებული („Kinder-Märchen“). წიგნში გაერთიანებული იყო საშობაო კლასიკური ნაწარმოები „მკანატუნა და თავგების მეფე“, რომელიც გამორჩეული იყო თავისი ფანტაზიითა და ფანტასტიკური სიუჟეტით (Rivera, 2017).

ამრიგად, საბავშვო ლიტერატურის ისტორიული განვითარება ასახავს ადამიანის ცივილიზაციის კულტურულ და საგანმანათლებლო ევოლუციას. პირველყოფილი ზეპირგადმოცემებიდან დაწყებული, სადაც მთავარი მიზანი იყო მორალური და სოციალური გამოცდილების გადაცემა, ლიტერატურა თანდათან იქცა ბავშვის ინტელექტუალური და ემოციური სამყაროს ჩამომყალიბებელ ინსტრუმენტად. სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ტექსტები მათ შორის პანჩატანტრა, პეროს ზღაპრები თუ ნიუბერის პირველი საბავშვო გამოცემები, ასახავს საზოგადოების დამოკიდებულებას ბავშვობისადმი და განათლებისადმი.

თუ ადრეულ პერიოდში საბავშვო ტექსტებს დომინანტურად დოგმატურ-დიდაქტიკური ხასიათი ჰქონდა, XVIII-XIX საუკუნეებში ისინი უკვე შემოქმედებით და ესთეტიკურ დონეზე გადაინაცვლებს, სადაც ბავშვი აღიქმება არა მხოლოდ ცოდნის მიმღებად, არამედ ფანტაზიისა და წარმოსახვის აქტიურ მონაწილედ. შედეგად, საბავშვო ლიტერატურა იქცა უნიკალურ სივრცედ, სადაც განათლება, ეთიკა და ესთეტიკა თანაბრად მონაწილეობს ბავშვის პიროვნული განვითარების მხარდასაჭერად.

ადრეული წიგნიერება და საბავშვო ლიტერატურის არსი და ფუნქცია

ადრეული წიგნიერება ბავშვის განვითარების ფუნდამენტია და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ისეთი უნარების გამომუშავებისთვის, როგორცაა ბავშვის ენობრივი და მეტყველების, კოგნიტური, ემოციური და სოციალური უნარები. დაბადებიდან 6 წლამდე ასაკი განვითარების კრიტიკულ პერიოდად ითვლება და ყველა ამ უნარის გამომუშავებისათვის ბავშვს ყველაზე დიდი მზაობა აქვს. იგი მეტად მოქნილია და გაცილებით მარტივად ითვისებს ახალ მასალას. ცნობილია, რომ სიცოცხლის პირველ წლებში აღამიანი იძენს იმ ფუნდამენტურ უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც შემდგომში მისი სწავლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის საფუძველს ქმნის. სწორედ ამ ეტაპზე ლიტერატურა არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულებითაც ფასდება. წიგნის კითხვა არ იწყება სასკოლო ასაკში ასობის ცნობით და მათი სიტყვაში გაერთიანებით. ბავშვისთვის კითხვა გაცილებით ადრეულ ასაკში იწყება. ადრეული წიგნიერება გულისხმობს უნარებსა და ცოდნას, რომლებსაც ბავშვები იძენენ წერაკითხვის ოფიციალური სწავლების დაწყებამდე პერიოდში. წიგნიერების ადრეული აქტივობები ხშირად მოიცავს წიგნების გაცნობას, თხრობას, სიმღერების სიმღერას და ენით მდიდარ გამოცდილებას (ანფიმიადი, ჩეჩელაშვილი 2024).

საბავშვო ლიტერატურის გზით, ბავშვებს მათთვის საინტერესო წიგნებს, მოვლენებს, ქცევებს ადვილად გასაგები და შესატყვისი ენობრივი მასალების საფუძველზე აცნობენ: მარტივი სახალისო სიუჟეტით, მკაფიო კომპოზიციით, პერსონაჟების გამოკვეთილი ხასიათებით, რომელშიც იკვეთება მათი სოციალური განცდები, ფსიქოლოგია (მელაძე, 2009). გამარჯვება თუ დამარცხება, მწუხარება თუ სიხარული, მწარე სინამდვილე თუ ოცნება ჭეშმარიტი შემოქმედების მხატვრულ სახეებში ისეა ხორცშესხმული, რომ მკითხველში დაუვინყარ

შთაბეჭდილებას ქმნის და მომავალი თაობისათვის შთამაგონებელ წყაროდ იქცევა (ჩაჩიაბაია, 1990).

საბავშვო ლიტერატურა ჟანრობრივად მრავალფეროვანია, იგი მოიცავს მსოფლიო ლიტერატურის აღიარებულ კლასიკურ ნაწარმოებებს, ილუსტრირებულ წიგნებსა და ბავშვებისთვის დაწერილ ადვილად წასაკითხ მოთხრობებს, ასევე ზღაპრებს, იაენანას, იგავ-არაკებს, ხალხურ სიმღერებს და სხვა, ძირითადად ზეპირად გადაცემულ მასალებს. როგორც ლიტერატურის გამორჩეული და დამოუკიდებელი ფორმა, ის პირველად მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, თუმცა ნამდვილი აღმავლობა მე-20 საუკუნეში განიცადა, როდესაც მისი კულტურული და საგანმანათლებლო მნიშვნელობა თანდათან გაიზარდა (Encyclopedia Britannica, თ. გ.), Oxford Research Encyclopedias, თ.გ.).

თანამედროვე კვლევები ხაზს უსვამს საბავშვო ლიტერატურის მრავალმხრივ გავლენას: საბავშვო ლიტერატურა ავითარებს ემოციურ ინტელექტს, ეხმარება ბავშვებს საკუთარი და სხვისი ემოციების გააზრებაში, ამადლებს ემპათიის უნარს და აძლევს ჯგუფურ საქმიანობაში მონაწილეობის გამოცდილებას (Global Partnership for Education, 2019).

საბავშვო ლიტერატურა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ზღაპრები, ლექსები და ილუსტრირებული წიგნები ბავშვებს ამდიდრებს ახალი სიტყვებით, ცნებებით, აძლიერებს ფონოლოგიურ სმენას და ავითარებს ნარატიულ კომპეტენციას. ტექსტებთან ყოველდღიური ურთიერთობა ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, ბუნებრივად დაეუფლონ გრამატიკულ სტრუქტურებს, შეიძინონ მოსმენისა და კომუნიკაციის უნარები, რაც შემდგომში კითხვისა და წერის სწავლისთვის მყარ საფუძველს ქმნის.

კოგნიტური განვითარების თვალსაზრისით, საბავშვო ლიტერატურა ასტიმულირებს წარმოსახვას, კრიტიკულ აზროვნებას და პრობ-

ლემის გადაჭრის უნარს. ზღაპრებსა და ამბებში გადმოცემული სიუჟეტები ბავშვებს უქმნის შესაძლებლობას გააანალიზონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, წინასწარ განჭვრიტონ მოვლენები და განასხვავონ რეალური და წარმოსახვითი სამყარო. ეს უნარები შემდგომში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ აკადემიურ წარმატებაში .

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიტერატურის ემოციურ-ფსიქოლოგიური ფუნქცია. ბავშვი პერსონაჟების გაცნობასა და ქცევებში საკუთარი ცხოვრების ანარეკლს ხედავს. ეს მას ეხმარება საკუთარი ემოციების გაცნობიერებაში, შიშებისა თუ სიხარულის დამუშავებაში და ემპათიის უნარის ჩამოყალიბებაში. ამ პროცესს თან ახლავს ფსიქოლოგიური მდგრადობისა და პოზიტიური თვითშეფასების განვითარება. საბავშვო ლიტერატურა ასევე მნიშვნელოვან სოციალურ-სამოქალაქო დანიშნულებას ატარებს. ფოლკლორული თუ თანამედროვე ტექსტები ასახავს ეროვნული კულტურის ტრადიციებს, ღირებულებებსა და ნორმებს. ადგილობრივი და უცხოენოვანი ნაწარმოებების გაცნობა კი ხელს უწყობს მრავალფეროვნების მიღებასა და კულტურათმორისი დიალოგის განვითარებას. მრავალენოვანი გარემოში ლიტერატურა ბავშვებისთვის ხდება ხიდი, რომელიც საკუთარი და სხვისი იდენტობის გაცნობიერებას უწყობს ხელს (ჯანელიძე, 2018).

საქართველოში საბავშვო ლიტერატურას ისტორიულად მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო როლი აკისრია. მრავალსაუკუნოვანი ფოლკლორი და ლიტერატურა, კულტურის ყველა სხვა დარგთან ერთად ქმნის ერის სულიერ სიძლიერეს, ქმნის და აყალიბებს პიროვნებებს. ქართული საბავშვო ლიტერატურა ფოლკლორიდან ამოიზარდა. ჩვენი წინაპრები უძველესი დროიდან ზრუნავდნენ ბავშვებზე. ა. ღვინიაშვილის თანახმად, წარმართულ ხანაში ჩვენი წინაპრების საკულტო წეს-ჩვეულებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბავშვები და მათ ეკისრებოდათ მთავარი ფუნქციები. ბავშვების დაბადებიდან შემოღებული მათი შინაური ან საოჯახო აღზრდის წესები, ბავშვებისათვის დაწესებული დღესასწაულები, ხალ-

ხური თამაშობები საბავშვოდ გადაქცეული, წარმოადგენს ქართული საბავშვო ლიტერატურის სათავეებს (მელაძე, 2009).

XX საუკუნე საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ეტაპია. იმ ისტორიული პროცესებიდან გამომდინარე, რომელიც თანმდევი აღმოჩნდა საქართველოსთვის აღნიშნულ პერიოდში, საბავშვო ლიტერატურა იდეურ-თემატური თვალსაზრისით იცვლებოდა იდეოლოგიური წნეხის შესაბამისად მთელი საუკუნის განმავლობაში. ლ. მელაძე XX საუკუნის საბავშვო ლიტერატურაში შემდეგ პერიოდებს გამოყოფს: 1) XX საუკუნის პირველი ოცნლეული (1900-1921) (თ. რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველა, შ. მღვიმელი, შ. არაგვისპირელი, ნ. ნაკაშიძე, ი. ევდოშვილი). ამ პერიოდში კვლავ გრძელდება ხალხოსანთა ტრადიციები, იგრძნობა კლასიკოსების გავლენა, აქტუალურია სოციალური უთანასწორობის პრობლემა, ერთმანეთის პირისპირ დგას მდიდარი და ღირიბი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, ქართულ ლიტერატურაში ეს პერიოდი მნიშვნელოვანი მხატვრულ-ესთეტიკური ნოვაციით აღიბეჭდა, საბავშვო ლიტერატურა კვლავ ავითარებს XIX საუკუნის საბავშვო ლიტერატურის ტრადიციებს. XX საუკუნის საბავშვო ლიტერატურის მეორე პერიოდი 21-50-იან წლებს მოიცავს. 1921 წლის საქართველოს ანექსიის შემდეგ დაიწყო „ქართველი მწერლების მოთვინიერება“. დაწყებული ლიტერატურული პროცესები შეწყდა. კომუნისტურმა დიქტატურამ ქართველ მწერლებს, საბავშვო ლიტერატურას მიზნად დაუსახა მომავალი თაობის აღზრდა „ახალი ეპოქის“ შესაბამისად. ამ მიზნით „ახალი ეპოქის თეორეტიკოსებმა“ შექმნეს უღმერთო და უთვისტომო („ინტერნაციონალისტი“) ადამიანი, რომელიც იბრძოდა „კლასობრივი ანტაგონიზმის“ პრინციპით. საბავშვო ლიტერატურის განვითარების პროცესი, ამოცანები, პრობლემები იმართებოდა გარედან - იდეოლოგიური ამოცანების შესაბამისად და შიგნიდან - თვით ლიტერატურის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც ხშირად წინააღმდეგობაში მოდიოდა ერთმანეთთან. საბავშვო ლიტერატურის სახე, თემები, იდეები განისაზღვრა ეპოქის იდეოლოგიური

მოთხოვნების შესაბამისად. იმძლავრა პათეტიკამ, თანდათან დამკვიდრდა საბჭოთა სამშობლოს ცნება, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო სამამულო ომზე შექმნილი ლექსების ციკლში. მესამე პერიოდი 50-ანი წლების II ნახევრიდან XX ს. 80-იან წლებამდე გრძელდება. ეს პერიოდი XX საუკუნის საბავშვო ლიტერატურაში ახალი ტალღაა. იდეოლოგიური წნეხი თანდათან შესუსტდა და დაიწყო ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარების ხანა (მ. მაჭავარიანი, ნ. დუმბაძე, ა. სულაკაური, მ. ლებანიძე). კონიუქტურა თანდათან ქრება, კლიშე თითქმის აღარ გვხვდება, საბავშვო ლიტერატურაში ძლიერება ჰუმანისტური ნაკადი. საბავშვო მწერლები ლიტერატურულ მასალას აგებენ დიდაქტიკის პრინციპების გათვალისწინებით, თუმცა არა საბჭოთა იდეოლოგიის მოთხოვნებზე დაყრდნობით. ამ პერიოდის საბავშვო ლიტერატურა გამოირჩევა იდეურ-თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, თვალშისაცემია ეროვნულ-პატრიოტული თემატიკის გაგრძელება (მელაძე, 2009).

ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობა ქართველი ხალხის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ეს თანაბრად ვრცელდება, როგორც წარსული საუკუნეების, ისე თანამედროვე მწერლობის იმ შესანიშნავი ნაწარმოებების, იმ გამოჩენილი მწერლების მიმართ, რომლებიც ქმნიდნენ და ქმნიან ქართველი ერის სულიერი კულტურის საგანძურს. ასეთი ნაწარმოებები ახალ თაობას ხიბლავს, იტაცებს, აყვარებს სამშობლოს, ცოცხლად წარმოუდგენს, უჩვენებს. მტრებთან გმირული ბრძოლის შთამაგონებელ სურათებს, გადაუშლის ხალხის შრომით ცხოვრებას, უმაღლეს ადამიანურ გრძნობებს, მაღალ იდეალებს. მხოლოდ ასეთი ნაწარმოებები სცილდება ეროვნულ ფარგლებს და მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის საგანძურში საპატიო ადგილს იკავებს (ჩაჩიაბაია, 1990).

ამ დარგის ფუძემდებლად ილია ჭავჭავაძე იაკობ გოგებაშვილს მიიჩნევდა. ქართული და სხვა ხალხთა ფოლკლორის ლიტერატურულ ჩარჩოებში გადმონერგვის, მისი ახალი ნაწარმოებებით გამდიდრების, მისი ახალი ფუნქციებითა და მათ შორის უმთავრესის - აღმზრდე-

ლობითი-პედაგოგიური დანიშნულებით გამოყენების, სამყაროს შემეცნების, ზნეობრივი ფასეულობების ჩამოყალიბების, ერთიანი ეროვნული თვითშეგნებისა და სალიტერატურო ენის განმტკიცების სამსახურში სწორედ ლიტერატურა და საბავშვო წიგნი ჩააყენა იაკობ გოგებაშვილმა და იმ დროის ყველა მწერალი დაიყენა გვერდით ამ კუთხით რომ ემუშავათ, ეწერათ თუ ეთარგმნათ (წიკლაური, 2011).

საბავშვო ლიტერატურის როლსა და მნიშვნელობაზე საუბრისას საზოგადო მოღვაწე და საბავშვო მწერალი იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს - „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა... საბავშვო მწერლობა ბევრს სიკეთეს დასთესავს მოზარდ თაობაში, ბევრ მაღალს აზრს ჩანერგავს მის გონებაში. ბევრი კეთილშობილური, ჰუმანიური მისწრაფებებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუმზადებს ბევრს მხნეს და გულწრფელს მამულიშვილს“ (გოგებაშვილი, 1951).

საგანმანათლებლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საბავშვო ლიტერატურის ინტეგრირება სკოლამდელ და დაწყებით საფეხურზე სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად ზრდის მოტივაციას, აყალიბებს კითხვით ინტერესს და სწავლასთან პოზიტიურ დამოკიდებულებას ქმნის. მასწავლებლები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს დიალოგიური კითხვის, ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ბავშვის ჩართულობასა და ტექსტის გააზრებას აძლიერებს (ლობჟანიძე, და სხვ., 2006).

იაკობ გოგებაშვილის აზრით, საბავშვო ლიტერატურის ამოცანები, ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის საერთო მიზნებიდან გამომდინარეობს. რადგან ბავშვთა აღზრდის მიზნები მათ ყოველმხრივ განვითარებასა და თეორიულ-პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებაში მდგომარეობს, ამიტომ საბავშვო ლიტერატურაც უმთავრეს მიზნად უნდა ისახავდეს ახალგაზრდობის ზოგადი კულტურის ამაღლებას, მის მომზადებას ფართო საზოგადოებრივი მოღვა-

წეობისათვის. მან საბავშვო ლიტერატურის ორიგინალური ეროვნული სკოლა შექმნა. მისი ამოსავალი პრინციპია მხატვრული ნაწარმოების საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და განმავითარებელ მიმართულებათა ერთობლიობა. „კარგმა საყმაწვილო ნაწარმოებმა ერთსა და იმავე დროს ბევრი რამ უნდა უთხრას ბავშვის წარმოდგენასაც, გონებასაც და გულსაც“ - წერდა ი. გოგებაშვილი. იაკობ გოგებაშვილის კალამს 150-ზე მეტი საბავშვო ნაწარმოები (ორიგინალური, თარგმნილი, გადმოკეთებული) ეკუთვნის. საბავშვო ლიტერატურის აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და განმავითარებელი ფუნქციების გაძლიერებასთან ერთად, მისი ამრით, მოზარდი თაობის სულიერი სამყაროს გამდიდრებისა და განვითარებისათვის თანაბრად უნდა ზრუნავდეს საზოგადოება, სკოლა და ოჯახი (ბიბლიეშივილი, 2011).

საბავშვო ლიტერატურა იაკობს მიაჩნდა ახალგაზრდობის საუკეთესო აღმზრდელად აღრეული ასაკიდანვე. ბავშვს ესაჭიროება ენის შესწავლა, აზროვნების განვითარება, მსჯელობის უნარის გამომოშავება-უკითხეთ მათ კარგი საბავშვო წიგნები, ასმენინეთ სწორი ლიტერატურული საუბარი, აუხსენით და გააგებინეთ წაკითხულის შინაარსი და ეს იქნება მისთვის ენის საუკეთესო მასწავლებელი და აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალება. ი. გოგებაშვილი თვლის, რომ ბავშვს არ შეუძლია თავიდანვე დაიწყოს სამეცნიერო წიგნებისა და საერთო მხატვრული ლიტერატურის კითხვა, აღრეული ასაკის ბავშვთა ცოდნასა და მეცნიერულ-მხატვრულ აზროვნებას შორის საკმაო მანძილია, „მათ შორის მოზრდილი ხევი ძევს“, საჭიროა ხიდი და ამ ხიდად და „საუკეთესო ხიდადაც „ იაკობ გოგებაშვილს, პირველ ყოვლისა, საბავშვო ლიტერატურა მიაჩნია. „თუ თქვენს შვილს, წერდა იაკობი, პატარაობიდანვე მარჯვედ დაწერილი საბავშვო ნაწარმოებანი მიიზიდავენ თავისაკენ, აგროძობინებენ სიამოვნებას, გულს საამურად უღელავენ და კითხვის მოთხოვნილებას უღვივებენ და უმტკიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გებრძებათ ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩინეს დაუღალავს გონებითს

მოქმედებას, რომლისთვისაც ჭკუის მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნი, კითხვა, აზროვნება, მსჯელობა იქნება ისეთივე აუცილებელი ყოველდღიური საჭიროება, როგორც არის წყალი თევზისთვის, ჰაერი ფილტვებისთვის“ (გოგებაშვილი, 1940).

საბავშვო ლიტერატურის შექმნისას ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობაზე ბევრი მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას. ბავშვებისათვის საკითხავი მოთხრობებისა და სხვადასხვა ხასიათის წიგნების შერჩევას ბავშვთა ასაკობრივი დიფერენციაცია უდევს საფუძვლად (ჩაჩიბაია, 1990). მ. ნასიძე საბავშვო ნაწარმოებებს აჯგუფებს შემდეგი სახით: I. სულ პატარა ყრმათათვის; II. ბავშვთათვის 6-8 წლის ასაკისა და III. მოზრდილთათვის („ივერია“, 1886 №IV); ან. ღვინიაშვილი საბავშვო წიგნების მკითხველს ოთხ ასაკად ყოფს: I. სკოლამდელთა ასაკის ბავშვები (3-6 წწ.); II. სკოლის უმცროსი ასაკის ბავშვები (7-9 წწ.); III. საშუალო ასაკის (10-12 წწ.); და IV. უფროსი ასაკის (12-15 წწ.) როგორც პედაგოგიური, ისე საბავშვო ლიტერატურის ბავშვებისათვის საკითხავად განკუთვნილი წიგნების შერჩევას საფუძვლად ასაკობრივი პრინციპი დაედო (ჩაჩიბაია, 1990). იაკობი საბავშვო მწერლისაგან მოითხოვდა ბავშვის ინტერესების, მისი თავისებურებების და ბავშვის ბუნების, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ღრმა ცოდნას. „საბავშვო მოთხრობების წერა მეტად ძნელია და მოითხოვს საფუძვლიან მოსაზრებას, გულისყურის დამყარებას კაი ხნობით და მუყაითი შრომით“ (გოგებაშვილი, 1940).

იაკობ გოგებაშვილი იყო არა მხოლოდ დიდი პედაგოგი, არამედ შესანიშნავი ფსიქოლოგიც, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ბავშვისათვის უფრო ახლობელი, ნაცნობი და გასაგებია ის სფერო, რომელშიც იგი აღიზარდა, ამიტომაც თავის სახელმძღვანელო წიგნებისა და საბავშვო მოთხრობების შექმნისას წარმოაჩინა მჭიდრო კავშირი დიდაქტიკის ამოცანებსა და სწავლის ფსიქოლოგიის ამოცანებს შორის. მას მიაჩნდა, რომ საბავშვო ნაწარმოებს ცხოვრებისეული ხასიათი უნდა ჰქონდეს. დიდმა პედაგოგმა კარგად იცოდა რა

მიიზიდავდა და გაახარებდა ბავშვებს. ამას ითვალისწინებდა ის ყოველთვის სახელმძღვანელოს შედგენისას. საბავშვო მწერალმა და საბავშვო ლიტერატურამ ჩვენი ნორჩი თაობა, პირველ ყოვლის, უნდა აღზარდოს მეცნიერულად, მაგრამ „ბავშვებში ჰუმანური მხარე, კაცთმოყვარეობაც ძლიერია და ყოველმა საბავშვო მწერალმა უნდა მისცეს შესაძლებლობა ბავშვებს აღმოაჩინონ ეს საუკეთესო მხარე თავიანთ ბუნებისა და დაბადოს პატარა მკითხველში სურვილი მიბადვისა“ (გოგებაშვილი, 1940). იაკობის ამ მოსაზრებას იზიარებდა ვაჟა-ფშაველაც - „ნურავის ჰგონია, ადვილი იყოს საბავშვო ლექსისა და მოთხრობების დაწერა. ყველაზე ძნელი სწორედ ესაა და თუ არა სულით მდიდარს, სხვას არ შეუძლია გახდეს საბავშვო მწერალი“. საბავშვო წიგნის შესახებ დიდი ქართველი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე აღნიშნავდა: „საბავშვო წიგნის შინაარსი სიმართლეს უნდა შეიცავდეს. იმაში საჭირო არ არის ცხოვრების დაფერადება, არც მისი იდეალიზაცია, არც ფერების შესქელება, საბავშვო წიგნმა უნდა მისცეს ბავშვებს დებულებით შინაარსი. იმაში ცხადად უნდა ჩანდეს სიმართლისა და სიკეთის ზნეობრივი იდეალი, შეზავებული ბავშვებისადმი სიყვარულით, რომელიც თავისთავად უარყოფს ზედმეტრეალიზმს, აგრეთვე სენტიმენტალობასაც“ (ჩაჩიბაია, 1990). შ. ჩიტაძის შეხედულებაც: „წიგნმა უნდა შესძლოს აგრძნობინოს სიმშვენიერე სამყაროსი და მაშინ ბავშვის გულში ჩადგმული იქნება მკვიდრი საძირკველი ადამიანის საუკეთესო გრძნობებისა და მისწრაფებისათვის... წიგნმა უნდა შეაყვაროს ცხოვრება, მისი ცუდი მხარეებიც კი, მაგრამ იმდენი ძალა უნდა ჰქონდეს მშვენიერებით დაფაროს ბნელი მხარეები“ (იქვე). განხილულის საფუძველზე ა. ჩაჩიბაია აღნიშნავს, რომ ა) „საბავშვო წიგნი პირველ ყოვლისა უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოები. ცოცხალი სახეები, მართალი შინაარსი, კაზმული ფორმა - ყველა ეს ხელს უწყობს ბავშვში წიგნის კითხვის სიყვარულის გაძლიერებასა და საზოგადოდ ბავშვის სულის აღზრდას“. საბავშვო ნაწარმოებში „სადაც ფაბულა იმდენად ცხადია და სამართლიანი, დასკვნა თავისთავად ცხადია და გასაგები ბავშვები-

სათვის. იქ ყველაფერი საგულისხმეო იქნება“ (ჩაჩიბაია 1990). იაკობის სახელმძღვანელოებში „ანბანსა და პირველი საკითხავი წიგნი“, „დედა ენა“ მოცემული საგარჯიშო საკითხავი მასალა მრავალგზის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ძიების შედეგია. ისინი ახლოს არიან ცხოვრებასთან, პასუხობენ ბავშვის ბუნებას, ინტერესს, მისაწვდომია მათი ასაკისა და ინტელექტუალური შესაძლებლობებისათვის, უვითარებს მათ მეტყველებასა და ამროვნებას, უფართოებს გონებრივ ჰორიზონტს. როგორც პროფ. ა. გობრონიძე ნაშრომში „დედა ენა აჭარაში“ (გობრონიძე, 1974) აღნიშნავს, ეს მასალები იაკობს უმეტესად აღებული აქვს ხალხური სიტყვიერებიდან. „ხალხის შვილი, შუა ქართლში დაბადებული და დაბადებიდან ხალხის კალთაში აღზრდილი“, ბუნებრივია კარგად იცნობდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, იცოდა ამ მდიდარი და დაუპრეტელი წყაროს მნიშვნელობა, გოგებაშვილი თვითონვე ჰკრებდა ხალხურ თქმულებებს, ზღაპრებს, ანდაზებს, ლექსებს და არაკებს, უფარდებდა მათ ბავშვის ბუნებას, წმენდდა ლიტერატურულად და ხვეწავდა ენობრივად. ამ საქმეში იზიდავდა ცნობილ პოეტებსა და მწერლებს. აგებდა რა თავის სახელმძღვანელოებს აღმზრდელობითი სწავლების პრინციპზე, გოგებაშვილი მიზნად ისახავდა მათი ოსტატური გამოყენებით განხორციელებულიყო მოზარდი თაობის გონებრივი, მწეობრივი, შრომითი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდა. „დედა ენაში“ დაბეჭდილი ყოველი მოთხრობის, ლექსისა და ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ნიმუშის ძირითადი დანიშნულებაა-აღზარდოს მოსწავლეში მხურვალე სიყვარული სწავლისადმი, შრომისადმი, მშობლიური ბუნებისადმი, მშობლიური ხალხისადმი, ზრდიდეს მტკიცე ნებისყოფის, ხასიათის, ჰუმანურობის, სამშობლოსათვის თავდადების გრძნობას და ადამიანობის ყველა თვისებას“ (ლორთქიფანიძე, 1940). ამ მიზნით იგი „დედა ენის“ პირველ ნაწილშიც კი აწვდიდა ბავშვებს ზოგიერთ ეთიკურ ცნებას: სათნოებას, რომელშიც მოიაზრებდა: მხნეობას, მოწყალებას, სიმშვიდეს, სიუხვს, სიპატიოსნეს და ცნება მიწიერებაში კი - სიზარმაცეს, სიშურეს, სიცრუეს, სიბოროტეს, სიძუნ-

წეს, სიამპართავნეს. ასევე „დედაენაში“ მოცემული იყო დავალებები და სავარჯიშოები ზნეობის თეორიაში, სადაც ბავშვებს უნდა შეეღარებინათ „ერთმანეთს სიზარმაცე და მხნეობა, უხვობა და ძუნწობა, სიმშვიდე და სიბოროტე“ (გობრონიძე, 1974). იმისათვის, რომ ხალხური შემოქმედებიდან აღებული მასალა მიზანმიმართული გაეხადა და მისი აღმზრდელობითი ზეგავლენის ძალა გაეძლიერებინა, იაკობი არ ერიდებოდა მის პედაგოგიურ გადამუშავებას, გადაკეთებას და გაუმჯობესებას. ასე მაგალითად, ხალხური „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი“, „კურდღელი“, „ყაყაჩო და ყმანვილი“, „მოდის ვნახოთ ვენახი“, „კობლე“, „ნაცარქექია“ - გოგებაშვილმა გადაამუშავა, ბავშვის ინტერესებს დაუახლოვა და ისე შეიტანა „დედაენაში“. მისი აზრით, საკითხავმა მასალამ ბავშვს უნდა მისცეს ყოველმხრივი და რეალური ცოდნა გარემო ბუნებისა, მცხოვრებთა შრომა-საქმიანობის და მათი ისტორიის შესახებ. თავისი სახელმძღვანელოების შედგენას ი. გოგებაშვილმა საფუძვლად დაუდო ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები და „ბუნების კარში“ შეტანილი აქვს მოთხრობები: „ხორბალი“, „სიმინდი“, „ლობიო“, „ბრინჯი“, „ჩაის მცენარე“, „მოსავლის მცველნი“, „ორაგულის ცხოვრება“, „ფუტკარი“, „აბრეშუმის ჭია“, „ჭიანჭველა“ და სხვა მრავალი, რომელთა გაცნობა მოზარდ თაობას ოსტატურად განუმარტავს ცხოვრების არსებით საკითხებს.

ამავე ხაზს ავითარებდა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და მკვლევარი გ. თავიშვილი, რომლის შეფასებით „საბავშვო ლიტერატურის ყოველი ნაწარმოები უნდა ემსახუროდეს ბავშვის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური შრომითი ან ფიზიკური აღზრდის პრობლემების მხატვრულ გადაჭრას და ამით შექმნოდეს თავისი წვლილი ბავშვთა ყოველმხრივი განვითარების საქმეში“. მისი განმარტებით, საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკურობას უმთავრესად განსაზღვრავს მისი საგნისა და ამოცანებიდან გამომდინარე სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დანიშნულება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს საბავშვო ლიტერატურის პედაგოგიკური დანიშნულება. ეს დანიშნულება აძლიერებს საბავშვო ლიტერატურის შემეცნებით ხასიათს, რო-

მელიც მოითხოვს ბავშვის ცნობიერების გამდიდრებას მეცნიერული ცოდნით და მისი მორალური იერის ჩამოყალიბებას მაღალი ზნეობრივი იდეალებით. გ. თავზიშვილი ხაზს უსვამდა, რომ საბავშვო ლიტერატურას თანაბრად აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: პედაგოგიკური - ცოდნის, ღირებულებებისა და ზნეობრივი ცნობიერების განვითარება და ესთეტიკური - მხატვრული აზროვნებისა და ემოციური სამყაროს გამდიდრება. ამ ორი ფუნქციის ორგანული შერწყმა განსაზღვრავს საბავშვო ლიტერატურის უნიკალურობასა და მრავალმხრივ კულტურულ მნიშვნელობას (თავზიშვილი, 1974). საბავშვო ლიტერატურის ამოცანად მიაჩნდა ახალგაზრდებში ნამდვილი ადამიანობის თვისებების, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების, მაღალი მორალური თვისებების: შრომისმოყვარეობა, ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, მეგობრობა, კოლექტივიზმი, სიმართლე, ზრდილობა, პატიოსნება, პრინციპულობა, თავმდაბლობა, განმტკიცება, რაც ალამაზებს ადამიანის ცხოვრებას, ამკობს მის მორალურ იერს (თავზიშვილი, 1980).

საბავშვო ლიტერატურის როგორც მორალური და შემოქმედებითი განვითარების ინსტრუმენტის უდიდესს მნიშვნელობაზე არაერთი მკვლევარი თუ ავტორი საუბრობს. გიბსისა და ირლის (Gibbs, L.J., Early, E.J.) თანახმად, მასწავლებლების ხელთ არსებულ რესურსებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული ხარისხიანი საბავშვო ლიტერატურაა. ფრთხილად შერჩეული წიგნების გამოყენებით და ღირებულებების თემაზე განხილვების უსაფრთხო გარემოს გზით, მასწავლებლებს მოსწავლეებში ძირითადი ღირებულებების განვითარების შესაძლებლობა აქვთ. ეს ღირებულებები ბავშვებს ეხმარება ისწავლონ, თუ როგორ მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარ ქცევასთან დაკავშირებით (Gibbs & Earley, 1994).

გ. თავზიშვილი უდიდეს როლს ანიჭებდა საბავშვო ლიტერატურას სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდაში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული საბავშვო მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა საბავშვო ნაწერების რედაქტირების, გამოცემისა და მათი

ავტორების პედაგოგიკური იდეების წარმოჩენის საქმეში. კერძოდ, მან საფუძვლიანად შეისწავლა ცნობილი ქართველი საბავშვო მწერლების: ეკატერინე გაბაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ეკატერინე გაბაშვილის, ნინო ნაკაშიძისა და სხვათა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო შეხედულებანი (თავზიშვილი, 1980).

ადრეული განათლება არის წინაპირობა ღირსეული ცხოვრებისა თუ სოციალური მდგრადობის უზრუნველყოფისთვის. „სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღქმის განვითარება შესაძლებელია ისეთი აქტივობების საშუალებით, როგორცაა ხატვა, სურათების დათვალიერება და მათი აღწერა, ძერწვა, ზღაპრებისა და ლექსების მოსმენა და შეთხზვა, გამოცანების გამოცნობა, კუბიკებით, სამშენებლო მასალით, თავსატეხებით თამაში, სურათებზე მსგავსება-განსხვავების პოვნა და ა. შ. ამ აქტივობების განხორციელებისას ბავშვი ეჩვევა ობიექტური მასალის გარდაქმნას და იძულებულია ანგარიში გაუწიოს საგნის ობიექტურ თვისებებს, შესაბამისად, წარმოდგენებში აღქმის ხატი უფრო დანაწევრებული, მრავალმხრივი და ბევრი სხვადასხვა მახასიათებლით არის წარმოდგენილი“ (აფთარაშვილი, 2011). სკოლამდელ ასაკში „არსებობს ეტაპი „მგრძობიარე პერიოდი“, როცა საგნებსა და მოვლენებს სახელებს ვარქმევთ... თუ ასეთ დროს ზრდასრული ბავშვის „სიტყვების წყურვილს“ ჯეროვნად დააკმაყოფილებს, პატარას ლექსიკას ისე გაუმდიდრებს, რომ ეს სამუდამოდ გაჰყვება“ (დევისი, 2024). შესანიშნავი შესაძლებლობა აქვს მშობლებს, აღმზრდელებს, გაუმდიდროს ლექსიკა ბავშვებს. „როგორ მარტივადაც სწავლობს სხვადასხვა ხილის სახელებს (ბანანის, ვაშლის, ყურძნის და ა.შ.), ბავშვი ასევე ადვილად იმახსოვრებს ავტომობილების სახელებსაც, ტრაქტორიდან დანწყებული, ამწეით დამთავრებული“ (იქვე) და ბავშვების ახალი სიტყვების აღქმის ეს უნარი/თვისება შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ცნებების დასამახსოვრებლად.

5-6 წლის ასაკში, მნიშვნელობა ენიჭება წიგნებს, რომლისგანაც ბავშვი მხოლოდ მოსმენით კი არ ირთობს თავს, სწავლობს ისეთ ცნებებს, როგორიცაა მეგობრობა, დათმობა, დახმარება, პატიება - სოციალურად მისაღები ქცევები, როგორ შეიძლება ვმართოთ ემოციები, როგორ გადავჭრათ კონფლიქტები მეგობრებთან და სხვა ნებისმიერი რამ, რაც გვინდა ბავშვს დავასწავლოთ, რაზეც გვინდა დავაფიქროთ. ამ პერიოდშივე შემოდის ისეთი ცნებები, როგორიცაა ბუნების სიყვარული, გაფრთხილება, მარტივი ეკონომიკური ცნებები. ამიტომ ამ ასაკშიც, როცა ბავშვს ხმამაღლა ვუკითხავთ, აუცილებელია, ის გახდეს წიგნის ნაწილი, დავეხმაროთ თავი წარმოიდგინოს ერთ-ერთ პერსონაჟად - ვკითხოთ „შენ ვინ იქნებოდი ამ ამბავში?“ „შენ როგორ მოიქცეოდი?“ „როგორ გგონია, ეს პერსონაჟები სწორად მოიქცნენ?“ მის ადგილას შენ გეწყინებოდა? მივცეთ ბავშვს საშუალება ისაუბროს ბევრი. აუცილებელი არ აის ზღაპრის, მოთხრობის ბოლომდე წაკითხვა. თუნდაც წაკითხვით მხოლოდ ნაწილი წიგნის და არა მთლიანი ზღაპარი თავიდან ბოლომდე. მთავარია, ბავშვს მივცეთ ფანტაზიის საშუალება - „რა მოხდება თუ... რა შეიძლება მოხდეს თუ“, „როგორი დასასრული ექნება...“ (ანფიმიადი & ჩეჩელაშვილი, 2024).

გემოხსენებულიდან გამომდინარე, ადრეული წიგნიერება და საბავშვო ლიტერატურა წარმოადგენს ბავშვის გონებრივი, ემოციური და სოციალური განვითარების ერთიან და ურთიერთდამოკიდებულ პროცესს, რომლის საფუძველზეც ყალიბდება პიროვნების ღირებულებითი ორიენტირები და შემოქმედებითი უნარები. წიგნიერებისადმი ინტერესი ბავშვის პირველივე წლებიდან იწყება და სწორედ საბავშვო ლიტერატურაა ის უნივერსალური საშუალება, რომელიც თამაშით, ფანტაზიითა და მხატვრული განცდით ბავშვს ამროვნების, ენისა და ემოციების სამყაროში შეუმჩნევლად შეჰყავს.

საბავშვო ლიტერატურა არა მხოლოდ ცოდნის, არამედ კულტურისა და ადამიანობის მატარებელია. ის აყალიბებს ჰუმანურ, ემპათიურ და კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებას, რომელიც სამყაროს

როს სილამაზეს აღიქვამს გრძნობით და აზრით ერთდროულად. ქართულ კულტურულ კონტექსტში საბავშვო ლიტერატურას განსაკუთრებული მისია აკისრია - შეინარჩუნოს და განამტკიცოს ეროვნული იდენტობა, გახდეს ხიდი ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის და დაუკავშიროს ბავშვი საკუთარ კულტურულ ფესვებსა და უნივერსალურ ადამიანურ ღირებულებებს.

ამ პროცესში იაკობ გოგებაშვილის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას: საბავშვო ლიტერატურამ უნდა ასწავლოს, განავითაროს და აღზარდოს ერთდროულად. სწორედ ეს სამმხრივი დანიშნულება - საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და შემოქმედებითი - განსაზღვრავს მის ნამდვილ არსს და აქცევს მას ადრეული განათლების განუყოფელ ბირთვად.

ზღაპრები, როგორც ცნობიერების ფორმირების ინსტრუმენტი

საბავშვო ფოლკლორში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზღაპარს, რომლის არსებობა წარმოდგენილია ფანტაზიის, მხატვრული გამონაგონის გარეშე. ზღაპარში წარმოდგენილი სამყარო სინამდვილეში არარსებული სამყაროა. ასეთი სამყარო მთქმელის მიერ იქმნება ერთადერთი სურვილით, როგორმე შეცვალოს რეალურად არსებული ყოფა და კონტრასტულობით გამოხატოს ცხოვრება, გამოკვეთოს კარგი და ცუდი, მისაღები და დასაგმობი. ზღაპარი ცდილობს განამტკიცოს ერთი მორალი - ბოროტზე კეთილის გამარჯვება (მელაძე, 2009).

ქართული ზღაპრის უძველესი ჩანაწერები უკავშირდება პატრი მარია ბერნარდო ნეაპოლელის სახელს, რომელიც 1670 წელს საგანგებო მისიით ჩამოსულა საქართველოში და ათი წელი დარჩენილა. მის მიერ შესრულებული ჩანაწერები ნეაპოლის მონასტრის არქივში აღმოაჩინა ენათმეცნიერმა ქართველოლოგმა ჰუგო შუხარდტმა და 1896 წელს “ივერიაში აუწყა ქართველ საზოგადოებას (მელაძე, 2009).

ქართველმა განმანათლებლებმა ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა ზღაპარში დაინახეს ხალხის დაკვირვება ცხოვრებისეულ სინამდვილეზე, ის სურვილები, რომლებიც ადამიანს ცხოვრებისეული წინააღმდეგობების გადალახვისას უჩნდებოდა. ი. ჭავჭავაძის აზრით: “იგავ-არაკები, ზღაპარი იმისთანა სახეა, კანია ამრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, მნეს გვიწვრთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად. ამ მხრივ ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თვითონ ამბავია, სიბრძნე - შიგ ჩასახული ამრი. ერთიც და მეორეც და შესამეც ხელოვნური ხორცშესხმია საჭკუო, საზნეო სწავლა - შთაგონებისა, განსახოვრებაა ამრისა, ისეთი განსახოვრება, რომელიც მარტი შემოქმედებითი ნიჭის საიდუმლოებას შეადგენს” (მელაძე, 2009).

ზღაპრებს ყოვლისმომცველი როლი აკისრია ადრეულ განათლებაში - კოგნიტური, ემოციური, სოციალური და ლინგვისტური განვითარების მხრივ. ზღაპრების როლი დიდია შემეცნებით განვითარებაში - ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და ბუნებრივი საშუალება ბავშვის ინტელექტუალური უნარების ჩამოყალიბებისთვის. ზღაპრები მდიდრული ლექსიკურ და სტრუქტურულ მასალას იძლევა, რაც ხელს უწყობს ენობრივი უნარების, წარმოსახვითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ისინი ასწავლის ბავშვებს ზეპირი ტრადიციების სტრუქტურას და ენის გამოყენების სხვადასხვა ფორმებს.

„იყო და არა იყო რა“ - ეს ხომ ის განსაკუთრებული ფრაზაა, რომლითაც ყველაზე ჯადოსნური ამბები იწყება... თითქოს წარმოდგენილი და ამავდროულად, ყველაზე გულწრფელი ხედვებით გამსჭვალული..... იყო და არა იყო რა, ქვეყნად ამაზე უკეთესი რა იქნებოდა, კაცობრიობამ ზღაპრული ამბების შეთხზვის უნარსა და შემოქმედებითობას რომ მიაგნო. ზღაპარი მხოლოდ და მხოლოდ ბავშვების გასართობად მოგონილი ირაციონალური ნარატივი არაა. ამის საპირისპიროდ, რეალობა სულ სხვაგვარია - თითოეულ მსგავს ნიუანსს თავისი ფილოსოფიურ-სიღრმისეული ახსნა აქვს; მცირე დეტალების მიღმა დიდი ამრები იმალება, უბრალოდ, ბავშვებისთვის „სწორად შეფუთული“ სიტყვებით, განწყობებითა და ქმედებებით (ბელქანია, 2023). ზღაპარი ბავშვის ცხოვრებაში ჩნდება ადრეული ასაკიდან. ზღაპრის დახმარებით ის ეცნობა სამყაროს, უფროსი თაობის ცოდნასა და გამოცდილებას. ზღაპრის ჯადოსნური ისტორიების წყალობით, ბავშვს უვითარდება ფანტაზია და შემოქმედებითი უნარები, რაც საბოლოო ჯამში მდიდარ შინაგან სამყაროს უქმნის (თურმანიშვილი, 2019). XX საუკუნის ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ერიკ ბერნმა კვლევების საფუძველზე დაამტკიცა, რომ ზღაპრების საშუალებით შესაძლებელია ბავშვის მომავლის განსაზღვრა და პროგრამირებაც კი, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, თუ

რამხელა გავლენის მოხდენა შეუძლია მას ადამიანის პიროვნების ფორმირების პროცესზე (Berne, 1964).

ზღაპრების მნიშვნელოვან ფუნქციაზე არაერთი მკვლევარი თანხმდება (Bruner, Kready, Rozalski, Gibbs და სხვ.). საინტერესო და სახალისო სიუჟეტი მეტად ეფექტურს ხდის ზღაპარს, როგორც პედაგოგიურ საშუალებას. ზღაპრებში მოვლენათა განვითარების სქემა საკმაოდ რთული და მრავალმხრივია, სწორედ ეს გარემოება ხდის ნაწარმოებს განსაკუთრებით საინტერესოს ბავშვებისთვის (ხინთიბიძე, 1976). ა. ხინთიბიძე არანაკლებ ყურადღებას უთმობს ზღაპრებში ისეთ აღმზრდელობით მოტივებს, როგორიცაა ოპტიმისტური დამოკიდებულების შექმნა ზღაპარში პრობლემური და რთულად გადასაწყვეტი სიტუაციების მიმართ, უკეთესი მომავლის იმედით ფიქრის უნარის განვითარებას, სწავლის მიმართ ინტერესის გაღვივებას, ღირსეული თვისებების ჩამოყალიბებას და რაც მთავარია დიდაქტიკას. „დიდაქტიკურობა წარმოადგენს ზღაპრების ერთ-ერთ უმთავრეს თავისებურებას. ყველა ერის ზღაპრებში შეინიშნება პედაგოგიური მოტივები“ (ხინთიბიძე, 1976). ზღაპრებში ხშირად გვხვდება მინიშნებები, რომლებიც უფრო აძლიერებენ მის დიდაქტიკურობას. დიდაქტიკურობის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვს დარიგება მიეწოდება არა საყოველთაო შეგონებითა და სწავლებით, არამედ მარტივი, კონკრეტული მაგალითის საფუძველზე. ასე რომ, დიდაქტიკურობა ოდნავადაც არ აკნინებს ნაწარმოების მხატვრულ სიუჟეტს და სწორედ ესაა ზღაპრის პედაგოგიური ეფექტურობის საფუძველი. თითქმის ველა ზღაპარი შეიცავს ამა თუ იმ პედაგოგიურ ელემენტებს, თუმცა არის ზღაპრები, რომლებიც მთლიანად მიძღვნილია ამა თუ იმ აღზრდის პრობლემაზე (ხინთიბიძე, 1976)

ზღაპრების კითხვა ან მათი მოსმენა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრაქტიკად მიიჩნევა, რომელიც გავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობებზე, აძლიერებს მათ და ამზადებს მომავალი ცხოვრებისთვის. ვინაიდან კულტურა გადამწყვეტია სწავლისთვის, ზღაპრებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში ადამიანის რო-

ლის ფორმირებაში; ეს არის დიდაქტიკური, ფსიქოლოგიური/თერაპიული და პედაგოგიური რესურსი (Bruner, 2010). კრიდის კვლევების მიხედვით, ზღაპრების პედაგოგიური ღირებულება საკმაოდ მაღალია და ბავშვის აღმზრდელობითი პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ზღაპრების საშუალებით ბავშვი ემზადება სხვადასხვა ხედვას ცხოვრების შესახებ. კრიდის თანახმად, ზღაპრების აღმზრდელობით პროცესში ჩართვა უნდა ხდებოდეს ჯერ კიდევ მცირე ასაკიდან, როცა ბავშვის იდეალები იწყებს ფორმირებას, მათი განცდები და ემოციები გულწფელია და განსაკუთრებით მგრძობიარე გარემოში გემოქმედების მიმართ (Kready, 2018).

ზღაპარი თემატურად მრავალფეროვანია და მას, ძირითადად, განაპირობებს ყოფითი ცხოვრებისეული და გარეშე სინამდვილისათვის დამახასიათებელი მოვლენების შეცნობის მიზანდასახულობა. ზღაპართმცოდნეობაში გამოყოფენ შემდეგ ძირითად სახეობებს: ზღაპარი ცხოველთა შესახებ, ჯადოსნური, ყოფითი, ნოველისტური ზღაპრები და სხვ. ზღაპრის დიდაქტიკა დიდად უწყობს ხელს ნორჩი თაობის სულიერ აღზრდას, მასში ზნეობრივი ღირებულებების ფორმირებას, უნერგავს მას გამარჯვების რწმენას ბოროტებასთან წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც აღზრდის პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია (მელაძე, 2009).

ინგლისელი მწერალის ტოლკინის მოსაზრებით (Tolkien, J.R.R.) ზღაპრების დანიშნულებაა ფანტაზიის განვითარება: „ის ხელოვნების ამალღებელი და სუფთა ფორმაა, რომელსაც ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს. ფანტაზია ადამიანის უფლებად რჩება: ჩვენ ჩვენი საზომით ვზომავთ და ჩვენი მასშტაბით წარმოვიდგენთ, რადგან ჩვენ ვართ ქმნილებები და არა უბრალოდ ქმნილებები, არამედ ქმნილებები, რომლებიც შემოქმედის მსგავსად ვართ შექმნილი“ (Tolkien, 1988).

ზღაპრებს ყველგან და ყოველთვის ყვებიან, რათა გაანათლონ, გაართონ და გაზარდონ ადამიანების ცნობიერება მორალური პრინციპებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ, რაც წარმოადგენს ტრადიცი-

ული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ისევე როგორც გზას ტოლერანტობისა და ერთმანეთის შესახებ ცოდნის გასაძლიერებლად სხვადასხვა ერებს შორის.

ზღაპრები - გამოგონილი სიტუაციების რეპროდუცირებით, რომლებიც ემთხვევა ბავშვების რეალურ პრობლემებს - საშუალებას აძლევს მათ თავი კომფორტულად იგრძნონ და დაცულად რთულ ვითარებაში, უზრუნველყოფენ ემოციურ უსაფრთხოებას და უფრო ჯანსაღ გზებს შინაგან სირთულეებთან გასამკლავებლად (Rozalski, Stewart, & Miller, 2010). ზღაპრები აკომპენსირებენ იმას, რაც შეიძლება ბავშვებს აკლდეს, მათთვის ქცევის დადებითი ნიმუშებისა და კონსტრუქციული მოდელების წარმოჩენით იმ პერსონაჟების მეშვეობით, რომლებთანაც ბავშვებს იდენტიფიცირება შეუძლიათ (Gibbs & Earley, 1994). ზღაპრებს ბედნიერება მოაქვთ ბავშვის ცხოვრებაში. ბედნიერების მისია ბოლომდე არ არის ნაქადაგები, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სიხარული მოქმედებს ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, გონებრივ სიკაშკაშეზე და მორალურ სათნოებაზე. ზღაპარი კვებას ფანტაზიას, რადგან ის შინაგანად ცოტა თამაშია. წარმოადგენს რა ადამიანის გამოცდილების ორგანიზებულ ფორმას, ზღაპარი ხელს უწყობს გონების ორგანიზებას და აძლევს ადამიანის ცხოვრების ფასეულობებს. ზღაპრები აფართოებს და აძლიერებს ბავშვის სოციალურ ურთიერთობებს. ისინი ბავშვს მიმართავენ ოჯახური ცხოვრების ასპექტების წარმოჩენით. მათი მეშვეობით ის აცნობიერებს თავის ურთიერთობას საკუთარ მშობლებთან: მათ მზრუნველობას და სიყვარულს. ამით ის აცნობიერებს სხვადასხვა სიტუაციებსა და სოციალურ ურთიერთობებს და იძენს ნათელ, მარტივ წარმოდგენებს ჭეშმარიტებისა და მცდარობის შესახებ (Kready, 2018). „ხალხურ ზღაპრებში ხალხი, თვითონ როგორც ბავშვი ისე ესაუბრება ბავშვებს დიად მიზნებსა და ოცნებებზე, ხშირ შემთხვევაში კი ამ ოცნებების თავადაც სჭერა“- წერს უშინსკი (Ушинский, 1990).

მიუხედავად იმისა, რომ ზღაპრებს გართობის გარდა სხვა პირდაპირი დანიშნულება თითქოს არ აქვთ, მათ მაინც მნიშვნელოვანი

გვერდითი შედეგი ახლავს, რომელიც მორალურ მნიშვნელობას ატარებს. ბავშვის ყოველი რეაქცია - იქნება ეს მწუხარებაზე თუ იუმორზე - ცალკე გამოცდილებად ინახება და კიდევ ერთ ფენას ამატებს მის შინაგან სამყაროს. სწორედ ეს ფენა უფრო მტკიცედ აყალიბებს ხასიათს, სწორი თუ არასწორი დამოკიდებულებების ნაირსახეობებს. ყოველი სიმპათია და ყოველი მიზლის გრძნობა თანდათან აყალიბებს იმპულსურ ნაკადებს, რომლებიც ბავშვის პიროვნებას მართულებას აძლევს (Kready, 2018).

ქართულ ხალხურ ზღაპრებს ეროვნული იდენტობა აქვს. ისინი ზეპირსიტყვიერების საგანძურია და მოზარდებს წინაპრების ყოფაცხოვრებისა და ღირებულებითი სისტემის შესახებ უქმნის წარმოდგენას. „ძველი ხალხური ზღაპრები ყველაზე უკეთ წარმოგვიჩვენენ ჩვენი ერის აღმზრდელობით ტრადიციებს, კულტურას, რწმენა-წარმოდგენებს. ზღაპრის პედაგოგიური ღირებულება აღიარებულია მსოფლიოს სხვადასხვა პედაგოგებისა და მოაზროვნეთა მიერ, მათ შორის ქართველებისაც. ზღაპარი, ასევე საუკეთესო საშუალებაა ბავშვებთან ურთიერთობის, ახლო ყოფნის, მათი ნდობის მოპოვების, 10 სიყვარულისა და სითბოს გამოხატვის, ოჯახური ურთიერთობების განმტკიცების, რომლის აუცილებლობას არაერთი კვლევა ცხადყოფს“ (თურმანიშვილი, 2019).

რატომ არის ბავშვებისთვის ზღაპრის თხრობა მნიშვნელოვანი? პირველი, ფანტაზიის უკიდევანოდ გაფართოებაა - როცა ერთი შეხედვით შეუძლებელი ბუნებრივად დასაშვები ხდება. აქ არ არსებობს რაიმე დაბრკოლება, რომელიც გვეტყვის, რომ არ შეიძლება ხის ბიჭუნას გაცოცხლება, გოგრას ოქროს ეტლად გადაქცევა თუ თუნდაც ცხოველების ალაპარაკება. და როგორც არაერთი კვლევა მონშობს, ამ მიზეზით, ზღაპრები დადებითად მოქმედებს მოზარდების გონებრივ განვითარებაზე.

გარდა ამისა, ზღაპრები ხელს უწყობს ემოციური მდგრადობის ჩამოყალიბებას - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათში საკმაოდ ღრმა

აზრები იმალება, ცხოვრებისეულ მომენტებზე დაფუძნებული, სადაც სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს. ამგვარი ფორმით, ბავშვები სრულიად უსაფრთხო გარემოში აღმოაჩნენ, რომ ცუდი რამ ყველას ემართება, რადგან არავინაა დაზღვეული ამა თუ იმ გამოწვევისგან, სწორი მოქმედება კი ყველაფრის სასიკეთოდ შემოტრიალების გასაღებია (ბელქანია, 2022).

ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ, საქართველოში, სამწუხაროდ, სკოლამდელი ასაკის ბავშვების დიდ ნაწილს ხელი არ მიუწვდება საბავშვო წიგნებზე არც სახლში და არც საბავშვო ბაღში. 2017 წელს ჩატარებული მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით 3-5 წლის ბავშვების 41%-ს სახლში 3 წიგნიც არ აქვს. სამწუხაროდ უღარიბესი ბავშვებისა და სოფელში მცხოვრები ბავშვების ოჯახებში კიდევ უფრო ნაკლებად აქვთ საბავშვო წიგნები. უღარიბესი ბავშვების მხოლოდ 36% აქვს რამდენიმე საბავშვო წიგნი სახლში. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული გარემო და რესურსები, რომელსაც შეუძლია სახლში წიგნიერი გარემოს დანაკლისის დაბალანსება. თუმცა, როგორც სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევამ (2017) აჩვენა, საბავშვო ბაღებშიც უკიდურესად მცირეა საბავშვო წიგნების რაოდენობა, რადგან დაწესებულებები მინიმალურ თანხებს ხარჯავენ საბავშვო წიგნებზე (ჭანელიძე 2018). თუმცა 2017 წლიდან დღეს დღეობისათვის მდგომარეობა საბავშვო ბაღებში შეიცვალა ამ მხრივ, მაგრამ ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საბავშვო ბაღებში ნაკლებად უკითხავენ ქართულ ხალხურ ზღაპრებს. ჩვენი კვლევის სრული ანალიზი წარმოდგენილი იქნება მესამე თავში.

საბავშვო ლიტერატურა ბავშვს აძლევს შესაძლებლობას, ჩამოიყალიბოს საკუთარი შეხედულება გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი მას ღრმა აზროვნებისაკენ უბიძგებს, რაც თავის მხრივ, აძლიერებს მის შემეცნებით განვითარებას. ეს უკანასკნელი კი ბავშვის ისეთი უნარების გამოუმუშავებას უწყობს ხელს,

რომელსაც მისი ტვინი ამროვნებისა და სწავლისათვის იყენებს. უფრო კონკრეტულად, შემეცნებითი უნარების განვითარებისას, ბავშვი იწყებს: ვარაუდების გამოთქმას საგნებსა და მოვლენებზე, დაკვირვებას, კრიტიკულ ამროვნებას, პრობლემის გადაჭრაზე ფიქრს. სწორედ ზემოთხსენებული ეხმარება ბავშვს ამრის პირადი შეხედულებებისამებრ ჩამოყალიბებასა და საკუთარი თავის უკეთ გამოხატვაში. აყალიბებს პოზიტიურ დამოკიდებულებას. უმცროსი და სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ადამიანებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენაზე დაკვირვების, პრაქტიკული დასკვნების, განსჯის უნარი ჯერ კიდევ განვითარებული არ აქვთ. ამიტომ მცირე ასაკის ბავშვთათვის დიდაქტივობის ნიშნით ნაწარმოებების შექმნა, ახალი თაობის ეთიკური, ესთეტიკური და იდეური აღზრდა, მათში შესაბამისი მსოფლმხედველობის ფორმირება მნიშვნელოვანია. რაც გამოიხატება მნეთსწავლების, დამოძღვრების, მენტორულობის ნიშანთვისების წინ წამოწევაში საბავშვო პოეზიისა თუ პროზის სფეროში (ჩაჩიბაია, 1990). საბავშვო ლიტერატურა ბავშვს ემოციური ინტელექტის განვითარებაში ეხმარება. მათში გადმოცემულ ისტორიებს შესწევთ ძალა, ხელი შეუწყონ ემოციურ, მორალურ, ესთეტიკურ განვითარებას. საბავშვო ლიტერატურა უამრავ მომენტს შეიცავს, როდესაც პერსონაჟები მორალურ, ეკონომიკურ გადანწყვეტილებს იღებენ და მათი მიღების განმაპირობებელ მიზეზებსაც განიხილავენ, ის ხშირად უბიძგებს ბავშვს საკუთარ გრძნობებზე ღრმა დაფიქრებისკენ.

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეპოქის კანონზომიერი ისტორიული პრობლემები ყოველთვის უკავშირდებოდა თაობათა ეთიკურ, ესთეტიკურ და ინტელექტუალური განვითარების უმნიშვნელოვანეს მიზნებსა და ამოცანებს. ბუნებრივად იბადება კითხვა, რა უმთავრესმა ფაქტორებმა განსაზღვრეს და რა თავისებურებით პოულობენ გაგრძელებას წარსული ლიტერატურული ტრადიციები თანამედროვე საბავშვო სიტყვაკაზმულ მწერლობაში, რა გავლენას ახდენენ საბავშვო ლიტერატურის ეფექტურად განვითარების ძირითად ტენდენციებზე? აღნიშნუ-

ლი პრობლემების გარკვევისას ბუნებრივად გარკვეულ ისტორიულ ინტერესს შეიცავს ჟანრების განვითარების თუ ჩამორჩენილობისა, საბავშვო მწერლობისა და დიდაქტიზმის, საბავშვო ნაწარმოებებში პეიზაჟის, სიუჟეტის, მკაფიო კომპოზიციის, მოქმედების დინამიკური განვითარების, პერსონაჟების ფსიქოლოგიური განცდების გამოსახვა, ენის სიმდიდრე და სიმარტივე, ილუსტრაციები, ამასთან ლირიკული და ეპიკური პოეზიის, საბავშვო დრამატურგიის, ფანტასტიკის, ზღაპრის, იგავ-არაკის, ანდაზა-გამოცანის შექმნის ისტორია სკოლამდელთათვის, სკოლის დაბალი კლასის მოსწავლეთათვის და ახალგაზრდობისათვის (ჩაჩიბაია, 1990).

საბავშვო ლიტერატურა ადრეულ ასაკში ბავშვის მრავალმხრივი განვითარების აუცილებელი საფუძველია. ის აყალიბებს ენობრივ, კოგნიტურ, ემოციურ და სოციალურ უნარებს, ავითარებს წარმოსახვასა და შემოქმედებითობას და ამავდროულად იცავს კულტურულ მემკვიდრეობას. ამიტომაც, საბავშვო ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა და მისი ინტეგრირება საგანმანათლებლო პრაქტიკაში პრიორიტეტად უნდა იქცეს როგორც პედაგოგების, ისე პოლიტიკის შემქმნელთა მხრიდან. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ საბავშვო ბალის აღმზრდელები, პედაგოგები და დირექტორები აცნობიერებდნენ საბავშვო, ილუსტრირებული წიგნების, ზღაპრების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბავშვის განვითარებაში, „შეძლოთ ხარისხიანი და ასაკობრივად შესაბამისი წიგნების შერჩევა და მოითხოვონ ან უზრუნველყონ წიგნებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოპოვება საბავშვო ბაღების ან ადგილობრივი ბიბლიოთეკებისთვის, საიდანაც ბაღები წიგნებით სარგებლობას შეძლებენ“ (ჭანელიძე, 2018).

მაშასადამე, ზღაპარი წარმოადგენს უნიკალურ საგანმანათლებლო ფენომენს, სადაც იკვეთება ფოლკლორის, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის შერწყმა. მისი არსი სცილდება უბრალო გართობას - ის ხდება ბავშვის ცნობიერების, ემოციური ინტელექტისა და ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბების აქტიური ინსტრუმენტი. ზღაპრე-

ბის საშუალებით ბავშვი ეცნობა სამყაროს წესრიგს, ადამიანის ქცევის შედეგებს, და თანდათან იძენს შინაგან რწმენას კეთილის გამარჯვების შესახებ, რაც ჰუმანისტური აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენია.

ფანტაზიის, სიმბოლიზმისა და მეტაფორის მეშვეობით ზღაპარი ბავშვს აძლევს საშუალებას გაააზროს რთული სოციალური და მორალური კონფლიქტები მისთვის მისაღებ ფორმაში. ამგვარად, ზღაპარი წარმოადგენს უსაფრთხო ემოციურ სივრცეს, სადაც ბავშვი სწავლობს თვითრეფლექსიას, თვითდაჯერებასა და ემპათიას. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ზღაპარი ბავშვის შინაგანი სამყაროს გამაძლიერებელია - ის ხელს უწყობს სირთულეებთან გამკლავების უნარისა და ემოციური მდგრადობის ჩამოყალიბებას.

პედაგოგიური კუთხით, ზღაპარი იძლევა მრავალმხრივ შესაძლებლობებს: ის ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ენობრივ უნარებს, წარმოსახვას, სოციალური ურთიერთობების გაგებასა და კულტურული იდენტობის შეგრძნებას. ამასთან, ზღაპრები ბავშვებს აცნობენ ეკონომიკურ, მორალურ და სოციალურ გადაწყვეტილებებს, რაც მათ მსოფლხედვას მრავალგანზომილებიანად ხდის.

ქართული ხალხური ზღაპრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ, რადგან ისინი არა მხოლოდ ეროვნულ ტრადიციებს და წინაპართა გამოცდილებას ინახავენ, არამედ თანამედროვე ბავშვს უკავშირებენ საკუთარ კულტურულ ფესვებს. სწორედ ამიტომ, საბავშვო ბაღებში და ოჯახებში ზღაპრების კითხვა წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან ნაბიჯს ცნობიერების, წიგნიერების და ეროვნული იდენტობის გასაძლიერებლად.

ზღაპარი ბავშვისთვის რჩება პირველ „საგანმანათლებლო სიმბოლოდ“ - სამყაროს აღქმის, საკუთარი ემოციების გაცნობიერებისა და ადამიანურობის შესწავლის უნივერსალურ გზად.

1.3. ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების საკითხები ადრეულ განათლებაში

განათლება, სწავლა/სწავლება, თავისი არსით უწყვეტი პროცესია, რომლის შედეგები ყოველთვის ორი მხარის კოგნიტურ შესაძლებლობებზე და მოკიდებული. თუმცა სწავლა/სწავლების ეფექტურობა და ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მეთოდოლოგიასა და პროცესზე. სწავლის შედეგების შეფასება ყოველთვის დამოკიდებულია სხვადასხვა კომპონენტზე მისი ასაკობრივი ჯგუფის, სამიზნე აუდიტორიის, სასწავლო მასალის სპეციფიკის, დროისა და სხვა, უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ დეტალებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების ერთერთი განმსაზღვრელია ადრეული განათლების ხარისხი და სწორედ ამ ეტაპზე შექმნილი უნარები.

ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად უფრო და უფრო იზრდება განათლების მნიშვნელობა, ფუნდამენტური ცოდნისა და ძლიერი უნარების ფლობა, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის განვითარება, სოციალურ-პოლიტიკური მდგრადობა, ეკონომიკური ზრდა და ინკლუზიური ეკონომიკის განვითარება.

ეკონომიკა სახელმწიფოს ფუნქციონირების ფუნდამენტური მნიშვნელობის გარდა, საზოგადოების ფორმირებისა და მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესების გააზრების, შესწავლის, განვითარებისა და გაძლიერების საფუძველია. ეკონომიკა ისევე უზრუნველყოფს ადამიანის განვითარებას, როგორც ადამიანის განვითარება ეკონომიკური პროცესების სრულყოფას. სწორედ ეს ურთიერთკავშირი ქმნის იმ სინერგიას, რაც ადამიანის ცხოვრებას, მის კეთილდღეობას განსაზღვრავს. ქვეყნის განვითარებაში ეკონომიკის მნიშვნელობა მის სრულფასოვანი შესწავლის ინსპირაციას იძლევა, თუმცა თითოეული კომპონენტის სიღრმისეული გააზრება მნიშვნელოვან ცოდნას მოითხოვს.

თანამედროვე ცხოვრებაში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ეკონომიკის ცოდნის მნიშვნელობა და მისი შესწავლის ასაკობრივი ზღვარი ბოლო წლებში დაწეულია, რამაც განაპირობა ის, რომ საუნივერსიტეტო განათლებიდან ეკონომიკის სწავლებას სასკოლო ანუ საშუალო საფეხურზე ვხვდებით, ხოლო ჩვენი მოსაზრებით საბაზისო ეკონომიკური ცნებების შესწავლა ადრეული განათლების ეტაპზე, საბავშვო ბაღის ბავშვებშიც კი შესაძლებელი და აუცილებელია, ვინაიდან ამ ასაკში არსებობს ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების საუკეთესო შესაძლებლობა. მიგვაჩნია, რომ ადრეული ასაკიდან ბავშვის მიერ საბაზისო ეკონომიკური ცნებების გააზრება უზრუნველყოფს მის სათანადოდ მომზადებას ცხოვრებისათვის და ზოგადად სოციალური დამოუკიდებელი წევრობისათვის.

თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური რეალობა - გლობალიზაცია, ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, შრომის ბაზრის ცვალებადი დინამიკა და ფინანსური ტექნოლოგიების სწრაფი პროგრესი, ახალ უნარებსა და მოქნილობას საჭიროებს ადამიანებისგან. ჭარბი და დიდი მოცულობის ინფორმაციის პირობებში საბაზისო ეკონომიკური ცოდნის გარეშე ადამიანი ადვილად ხდება მანიპულაციის ობიექტი, შესაბამისად, ეკონომიკური ცნობიერება, მისი ადრეული ასაკიდან ფორმირება დღეს არა მხოლოდ პროფესიული წარმატების, არამედ პირადი უსაფრთხოების წინაპირობადაც იქცა.

ეკონომიკური განათლება და ფინანსური განათლება ხშირად სამეცნიერო ნაშრომებში იდენტური მნიშვნელობის ტერმინებითაა წარმოდგენილი და ფუნდამენტური თეორიების განხილვისას, ეკონომიკური და ფინანსური კონცეპტები გაიგივებულია ერთმანეთთან, მაშინ როცა, ეკონომიკური განათლება ფართო მნიშვნელობის ცნებაა, ის მოიცავს ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზოგად კონცეპტებს, რომლის შემადგენელი კომპონენტია ფინანსური განათლება. საქართველოს ეკონომიკური სისტემის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური განათლებისა

და აღზრდის საკითხი, სწორედ ამიტომ ბოლო წლებში უკვე სკოლის სხვადასხვა საგნებში გაჩნდა საბაზისო ეკონომიკური ცნებები და ასევე ეკონომიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეტანილია სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში. ეკონომიკა, პოლიტიკისა და სოციუმის განუყოფელი ნაწილია, რომელიც გარდა მეცნიერული მასშტაბურობისა, ადამიანისათვის ცხოვრების საბაზისო თეორიულ-პრაქტიკული უნარების გამომუშავების კომპლექსური ცოდნის სინთეზია (Tavdgiridze, Katamadze, & Bolkvadze, 2024).

ეკონომიკური განათლება, ეკონომიკური ცნობიერება, ხშირად სხვადასხვა ტერმინებითაა გამოხატული, მაგალითად როგორც ეკონომიკური წიგნიერება ან ფინანსური წიგნიერება, ფინანსური განათლება. საერთო ჯამში, ის ასახავს და ეხება ადამიანების უნარს, იცოდნენ და გააცნობიერონ ძირითადი ეკონომიკური კონცეფციები, რომელიც მათ დაეხმარება იყვნენ მოქნილები და მომზადებული შეხვდნენ ცხოვრებისეულ გამოწვევებს.

ეკონომიკური ცნობიერება, ეკონომიკური კულტურა და მასთან დაკავშირებული პროცესები ლოგიკური, გააზრებული გადაწყვეტილებების გარდა, ადამიანის ინდივიდუალურ აზროვნებაზე დამოკიდებულ სისტემას ქმნის, რომლის შედეგი მრავალფეროვანი მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ-კულტურული გარემო და ერების ინდივიდუალური მახასიათებელია. სწორედ ბავშვებში, ადრეული ასაკიდან იწყება ეკონომიკური, კოგნიტური, ზნეობრივი, ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბება და მოვლენების აღქმა, გააზრება და შესწავლა.

ჩვენ ვემხრობით იმ მეცნიერთა მოსაზრებას, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური კონცეპტების სწავლება საბავშვო ბაღის ასაკიდანვეა შესაძლებელი (Kourilsky , 1977; McKenzie, 1971; Larkins and Shaver, 1969; Davison and Kilgore, 1971; Koeller, 1981) და, რომ ეკონომიკურად განათლებული მოქალაქეების ჩამოყალიბება საბავშვო ბაღიდან იწყება, რაც სხვა მნიშვნელოვან მიზნებს შორის, ბავ-

შვებში გადანწყვეტილების მიღების უნარების გაუმჯობესებას ადრეულ ასაკშივე უწყობს ხელს (Kourilsky, 1977).

თანამედროვე განვითარების ტენდენციები მნიშვნელოვნად აისახება ადამიანთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე. ბოლო პერიოდის მსოფლიო მასშტაბის კრიზისებმა, საომარმა პროცესებმა, პანდემიამ და ასევე ტექნოლოგიურმა განვითარებამ შეცვალა ცხოვრების ჩვეულებრივი წესი. გამოცდილებასა და ცოდნაზე დამყარებული ადამიანური ფაქტორი ტექნოლოგიური განვითარებისა და ხელოვნური ინტელექტის მიერ უფრო და უფრო დაკნინებულია. მრავალფეროვანი სამყაროსა და ადამიანური ფაქტორის იგნორირებისაგან დაცვის ინტერესი კაცობრიობის უმთავრეს ამოცანად უნდა იქცეს, ამ პროცესში უდიდესი ფაქტორი კი განათლებული და ძლიერი უნარებით აღჭურვილი საზოგადოებაა. სწორედ ამ მიზნით მეცნიერების დღის წესრიგში უნდა დადგეს ადრეული ასაკიდან საბავშვო სოციალური და ყოფითი ცნებების სწავლება-განვითარება, რომლის კონცეპტუალურ საფუძველს ეკონომიკური ცნობიერების ფორმირება წარმოადგენს.

კურისკის (Kourilsky, 1977) თანახმად, ეკონომიკურ საკითხებში ცოდნის სიმწირემ შეიძლება მოქალაქის სხვადასხვა გადანწყვეტილებაზე მოახდინოს გავლენა, მათ შორის არჩევნებზეც, კერძოდ შესაძლებელია დაბალი ეკონომიკური ცნობიერების მქონე ამომრჩეველმა მარტივად და გულწრფელად დაიჭეროს, რომ ინფლაციის აღმოფხვრა, გადასახადების შემცირება, მარტივი ფულადი პოლიტიკის გატარება და ბიუჯეტის დაბალანსება ერთ ადამიანს შეუძლია. მკვლევრები თანხმდებიან იმაზე, რომ ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა ბავშვებში, ადრეული განათლების საფეხურიდანვე, ანუ საბავშვო ბაღიდანვე შეიძლება (Kourilsky, 1977; McKenzie, 1969; Sutton, 1967; Larkins and Shaver, 1969; Davison and Kilgore, 1971; Davison, Kilgore and Sgontz, 1973; Koeller, 1981).

ეკონომიკური განათლება არის ბავშვებისათვის ეკონომიკური კატეგორიების, ასევე დამოკიდებულების, ადეკვატური ქცევის საჭი-

რობების, მოტივებისა და თვისებების ფორმირების გაცნობის პროცესი (ტოდოროვა, 2014). ასეთი სწავლების საფუძველზე შედეგების მიღწევა განისაზღვრება როგორც ეკონომიკური მომზადება. ოჯახი ბავშვის ეკონომიკური სოციალიზაციის ფაქტორია, ვინაიდან ეკონომიკას ბავშვი თავდაპირველად ოჯახში ეცნობა - მათ შორის ეცნობა ეკონომიკურ ქცევას, იყალიბებს გარკვეულ წარმოდგენას საკუთრებაზე, ეკონომიკასა და ვალდებულებაზე და ა.შ. თუმცა, ოჯახში ეკონომიკური განათლების პარალელურად საჭირო ხდება ეკონომიკური განათლების მიღება საბავშვო ბაღში. „ეკონომიკური კულტურა ბავშვებს დაეხმარება შესაბამის განვითარებაში, რათა მიიღონ ღირებული უნარები საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრირებისთვის, დამოუკიდებელ და პასუხისმგებლიან მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის“ (Todorova, 2014). ადრეული ასაკიდან სრულყოფილი განათლება ასევე ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის საშუალებაა, რომელიც ასევე პრევენციულ მექანიზმად გვევლინება (Katamadze, G., Tavdgiridze, L., & Bolkvadze, M., 2023).

ეკონომიკურ პროცესებში ადამიანები ადრეული ასაკიდანვე ერთვებიან – ნებისმიერი არჩევანი, რომელსაც ყოველდღიურად ვაკეთებთ, შესაძლებელია ეკონომიკურ გადაწყვეტილებაში გადაითარგმნოს-იქნება ეს სანჯავის დაზოგვის მიზნით საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა თუ პირადი ავტომობილით გადაადგილებას შორის არჩევანი, მეგობრებთან ერთად კინოთეატრში წასვლა თუ შინ ფილმის ჩვენების მოწყობა და ა.შ. (Entrepreneur საქართველო, 2023).

როგორც ნ. ჭიაბრიშვილი აღნიშნავს, დღეს უკვე აღარავის სჭირდება იმის მტკიცება, რომ ეკონომიკური ცოდნა აუცილებელია - გვინდა თუ არა, ეკონომიკა ჩვენს ცხოვრებაში იჭრება. ბავშვები ჩვენგან დამოუკიდებლად, თავისთავად (სტიქიურად) სწავლობენ ეკონომიკას. ზრდასრულებმა ეს სტიქიური ცოდნა უნდა მოვუწესრიგოთ, სისტემაში მოვუყვანოთ და გავეფართოოთ. დაფანტული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ინფორმაციის ნაცვლად ბავშვებმა უნ-

და შეძლონ გარემომცველი ეკონომიკური სამყაროსა და ამ სამყაროში მცხოვრებ ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთკავშირის მთლიანი სურათის წარმოდგენა. ეკონომიკის სწავლება მოემსახურება განათლების ეროვნულ მიზანს - „იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე (ჭიაბრიშვილი, 2015).

ისევე როგორც სხვა დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, საქართველოსაც საბაზრო ეკონომიკის დიდი ხნის ისტორია არ აქვს, თუმცა პოსტკომუნისტური სამყაროს რამდენიმე ქვეყანამ დაასრულა ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა (Papava, 2013). პროფესორი ე. მექვაბიშვილი აღნიშნავს: სახელმწიფო სისტემის ფუნდამენტური ელემენტი ეკონომიკაა, ვინაიდან სწორედ ის განსაზღვრავს ადამიანთა კეთილდღეობას და მასზე დამოკიდებული ინდივიდთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა (მექვაბიშვილი, 2019), ქვეყნის ეკონომიკური განვითარება სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული განათლებასთან და განათლებულ სოცეუმთან. ნებისმიერი ეკონომიკური პროცესის მნიშვნელოვან ფაქტორად ადამიანურ ფაქტორს მიიჩნევს აკადემიკოსი ვლ. პაპავა (Papava, 2006) და არაერთ ნაშრომში აღნიშნავს, რომ დღეისათვის აშკარად არასაკმარისია ადამიანის მხოლოდ homo economicus ის ძალზე გამარტივებული მოდელით ოპერირება. აუცილებელია, ეკონომიკურ კვლევაში სულ უფრო მრავალფეროვნად იქნეს წარმოჩენილი ადამიანისეული ფაქტორი, რაც სოციალურ მეცნიერებათა სხვა დარგების (ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სამართალი, პოლიტოლოგია) მიღწევათა კომპლექსური გამოყენებითაა შესაძლებელი (Papava, 2018). აქვე კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე - ადამიანისეული ფაქტორის განვითარებაში უმაღლესი განათლების დაფინანსების განმსაზღვრელ როლზე საყურადღებო ნაშრომია “The Models of Matching Financial Development and Human Capital in National Economy” (Laktionova, Koval, Savina, & Gechbaia, 2021).

წლების წინ ეკონომიკურ-სოციალური საბაზისო კონცეპტები და ზოგადად საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხები უმაღლესი განათლების საფეხურზე-უნივერსიტეტში ისწავლებოდა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკაზე სრულად გადასვლის პარალელურად, გარდაუვალი და აუცილებელი გახდა სასკოლო ასაკიდან ეკონომიკურ განათლებასა და აღზრდაზე ფიქრი. ამიტომ ბოლო წლებში უკვე სკოლის სხვადასხვა საგნებში და სახელმძღვანელოებშიც გაჩნდა საბაზისო ინფორმაცია ეკონომიკასა და ეკონომიკურ ცნებებზე.

ეკონომიკური ცნებები ადრეულ განათლებაში

ადრეული ასაკის ბავშვებში საბაზისო-ელემენტარული ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდებისა და საბაზისო ეკონომიკური ცნებების სწავლების აუცილებლობა არის მრავალი საერთაშორისო კვლევის თეორიულ-პრაქტიკული საფუძველი, რომელმაც არაერთი მეცნიერის ნაშრომში ჰპოვა ასახვა; მათგან საყურადღებოა უცხოური ავტორები, კერძოდ ჟ. პიაჟეს (Piaget, J. 1990) მოსაზრებით: „სწორედ ბავშვებთან გვაქვს საუკეთესო შესაძლებლობა შევისწავლოთ ლოგიკური ცოდნის, მათემატიკური ცოდნის, ფიზიკური ცოდნისა და ა. შ. განვითარება“. ჰ. ჰანსენის მტკიცებით, ადრეულ ასაკში გაგებული ტერმინოლოგია, მისი მნიშვნელობა და დამოკიდებულებები უფრო ეფექტური სწავლისა და მისტიურობის ტრამპლინად გვევლინება შემდგომ სკოლაში და ცხოვრებაში (Hansen, 1985). ბავშვების ფინანსური განათლება მნიშვნელობა სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს თანამედროვე სამყაროში. ბევრს მიაჩნია, რომ დღევანდელ სამყაროში, ფინანსური განათლება უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო უნარია. განმანათლებლები, სკოლის რეფორმატორები და სხვები ფინანსურ განათლებას 21-ე საუკუნის იმ უნარად მიიჩნევენ, რომელიც უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს (Masnan & Curugan, 2016)

დანყებით საფეხურზე ეკონომიკის სწავლების კურიკულუმის ეტალონს „Our Working World“ წარმოადგენდა, რომელიც 1950 წელს ლოურენს სენეშმა (Lawrence Senesh) შეიმუშავა. სახელმძღვანელოების გამოყენებით ეკონომიკის სწავლების გარდა, სენეში ასევე ხაზს უსვამდა საბავშვო ლიტერატურის გამოყენების მნიშვნელობას, როგორც ეკონომიკური ცნებების ილუსტრირების საშუალებას. ის ამტკიცებდა, რომ ძირითადი ცნებები მართლაც შეიძლება ვასწავლოთ ადრეული ასაკის ბავშვებს მარტივი მოთხრობებით, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია ბავშვის რუტინულ ცხოვრებაში პრაქტიკულ საკითხებთან. იგი იყენებდა ისეთ მოთხრობებს, რომლებიც სპეციალურად იყო დაწერილი ეკონომიკის გაკვეთილებისთვის, ზოგადი

საბავშვო ლიტერატურისგან განსხვავებით (Rodgers, Hawthorne, & Wheeler, 2004).

ასევე საინტერესოა, ავტორთა მოსაზრება, რომელთა მიხედვითაც ადრეული ასაკის მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე - საბავშვო ბაღიდან მეხუთე კლასის ჩათვლით, უკვე ფართოდ ეცნობიან სხვადასხვა ეკონომიკურ საკითხებს და იძენენ ამ ახალი ცოდნის გამოყენების უნარებს. დაწყებით საფეხურზე ნასწავლი პრინციპები ბავშვებისთვის გადამწყვეტია მათ ირგვლივ არსებული ეკონომიკური სამყაროს შესახებ საბაზისო ცოდნის მისაღებად. ადრეულ საფეხურზე საკვანძო ეკონომიკური პრინციპების გაგება მოსწავლეებს შემდგომ საფეხურზე დაეხმარებათ გადამწყვეტილებების მიღებაში, რაც საბოლოო ჯამში მათ კეთილდღეობაზე აისახება (Rodgers, Hawthorne, & Wheeler, 2004). ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ცხოვრებისთვის მომზადება, ფსიქოლოგიური მუშაობისთვის, შრომის მნიშვნელობის რწმენითა და შეგნებით და აქტიური მონაწილეობით ჩვენი ქვეყნის საზოგადოების მშენებლობის ახალ პროცესში (Tavdgiridze & Sherozia, 2017). ასევე ეკონომიკური ცნობიერების პარალელურად მნიშვნელოვანია ბავშვები კარგად იცნობდნენ ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირში მყოფ საბაზისო სამართლებრივ ცნებებს მაგალითად შრომით უფლებებსაც, რაც ასევე ბავშვებში შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის საფუძველი იქნება (Katamadze, Tavdgiridze, & Bolkvadze, 2023).

ეკონომიკური განათლება ზოგადად დაკავშირებულია უნივერსიტეტის კურიკულუმთან. თუმცა, ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტის ცოდნა სასურველი და უმნიშვნელოვანესია უკვე დაწყებით დონეებზე. თუკი ვთვლით, რომ მოქალაქეს ეკონომიკის პრინციპების თუნდაც მინიმალური გაგება უნდა ჰქონდეს, ეს ცოდნა სკოლაში უნდა მიიღოს. ბევრი მათგანისთვის კოლეჯი უკვე დაგვიანებულია, ბევრისთვის უმაღლესი სკოლაც დაგვიანებულია. ზოგჯერ ეს სკოლის დაწყებითი სკოლის დონეზე უნდა გაკეთდეს. ბავშვებს ამ ასაკში უდ-

იდეის ინტერესი აქვთ თუ „როგორ და საიდან“ მოდის ის პროდუქტები თუ მომსახურებები, რომლებთანაც მათ ყოველდღიური შეხება აქვთ (Bruker, 1970).

აღსანიშნავია, რომ ადრეულ განათლებაში ეკონომიკური ცნობიერებისა და ზოგადად ეკონომიკურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ნაკლებად განიხილება ქართულ სამეცნიერო სივრცეებში. ამ საკითხის მნიშვნელობა და არსი ძირითადად განიხილება სასკოლო განათლების საფეხურზე (ნ. ჭიებრიშვილი, რ. ირემაშვილი და სხვა).

კოლინისა და ოდერს-უაიტის (2015) თანახმად „სულ უფრო მეტი მტკიცებულება ჩნდება ეკონომიკური და ფინანსური განათლების ადრეულ წლებში დაწყების სასარგებლოდ. კოგნიტური განვითარების შესახებ კვლევებმა აჩვენეს, რომ ფულის დაგროვებასთან დაკავშირებული კონცეპტების გაგება შეიძლება ჩამოყალიბდეს ადრეული ასაკიდანვე“ (Collins & Odders-White, 2015).

ჰოლდენი ბავშვების მიერ პირად ფინანსებთან და მასთან ერთად ეკონომიკურ ცნობიერებასთან დაკავშირებით კოგნიტური განვითარების სამ გამორჩეულ თეორიულ მიდგომას გვთავაზობს. პირველი მათგანია ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარება, რომელიც იკვლევს ზოგადი განვითარების პროცესებს და იმ შემზღვევებს, რომლებიც გამოირჩევა ბავშვის აზროვნებაში განვითარების კონკრეტულ ეტაპზე. მეორე მიდგომას წარმოადგენს გამოცდილებისა და სწავლის როლი, რომელიც ხაზს უსვამს ბავშვების ინდივიდუალური შემეცნების უნარს; ხოლო მესამეს კი წარმოადგენს თეორიული მიდგომა, რომელიც ფოკუსირებულია მომწიფებაზე, კერძოდ კი ტვინის განვითარებაზე. ამ სამ თეორიულ მიდგომაზე დაყრდნობით, მკვლევარმა განიხილა ბავშვების ზოგადი კონცეპტუალური განვითარება და ასევე ისეთი ფინანსური და ფართო გაგებით ეკონომიკური კონცეპტების შეცნობა ბავშვების მიერ, როგორცაა რიცხვები, დრო, ფული, შემოსავალი, ბაზარი და საქონლის გაცვლა, რესურსების გადანაწილება, სოციალური ღირებულებები და ჩამოყალიბება მოსაზრე-

ბა, ადრეულ ასაკში ფინანსური და ეკონომიკური განათლების სასარგებლოდ (Holden, Kalish, Scheinholz, Dietrich, & Novak, 2009).

ი. როჯერსისა და რ. უილერის (Rogers&Wheeler, 2004) თანახმად ეკონომიკური საკითხების ბავშვებისთვის სწავლების უმნიშვნელოვანესი მეთოდები მოიცავს ეკონომიკური შინაარსების მქონე საბავშვო ლიტერატურის - მხატვრულის და არა მარტო, საკითხავ სტრატეგიებს. საქართველოს მაგალითზე მიგვაჩნია, რომ ადრეული განათლების საფეხურზე ეკონომიკური კონცეპტების სწავლება ზღაპრებით, კერძოდ, ქართული ხალხური ზღაპრებითაა შესაძლებელი. ვეთანხმებით მანძიკის (Mandzik, A. 2021) მოსაზრებას, რომ ეკონომიკის დისციპლინის მოტივაცია არც ისე განსხვავდება ზღაპრების ყოვლისმომცველი მიზნისგან. მაგალითად, ეკონომიკაშიც ვხვდებით მოტივირებულ ადამიანებს, რომლებიც მრავალ გამონგევას აწყდებიან და არჩევანის გაკეთება უწევთ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ. შესაბამისად, ზღაპრული ლიტერატურის ეკონომიკურ კონტექსტთან შერწყმით, შეგვიძლია შევქმნათ ახალი ობიექტივი ადამიანის საჭიროებებისა და შემდგომი ქმედებების გასაზრებლად - ჯადოქრობით თუ მის გარეშე (Mandzik, 2021). ბევრი სოციოლოგი ამტკიცებს, რომ ლიტერატურასთან ინტეგრირება ელემენტარული სოციალური სფეროების შესწავლის მეტ შესაძლებლობას მოგვცემს, გარდა ამისა სოციოლოგიის ყველა დისციპლინების შესწავლა ღრმავდება მაშინ, როცა მასწავლებლები კითხვას, წერას და დისკუსიებს კონკრეტული შინაარსობრივი მიზნების მისაღწევ ინსტრუმენტებად იყენებენ (e.g., Brophy & Alleman, 2008).

არსებობს მოსაზრება, რომ საბავშვო ბაღში ელემენტარული ეკონომიკური კონცეპტების დაუფლების პრობლემა დაკავშირებულია მთლიანად ეკონომიკურ განათლებაში ზოგად კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებთან, ასევე აუცილებელი ინფორმაციის ნაკლოვანებასთან ბავშვების კონკრეტული ასაკის თავისებურებებისა და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს მახასიათებლების შესახებ (Todorova, 2011).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური ცნობიერების ფორმირება ადრეულ ასაკში გარდა ბავშვის კოგნიტური შესაძლებლობის ასევე დამოკიდებულია იმ გარემოზე სადაც ბავშვს უწევს ყოფნა. ჩვეულებრივ შემთხვევაში ძირითადად ეს არის საბავშვო ბაღი და ოჯახი. საბავშვო ბაღი ბავშვის სოციალური განვითარების ფუნდამენტური, ძირითადი ელემენტია და თანამედროვე ცხოვრებაში მისი როლი უფრო და უფრო იზრდება.

წლების წინ, ეკონომიკურ-სოციალური საბაზისო კონცეპტები და ზოგადად საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხები, უმაღლესი განათლების საფეხურზე-უნივერსიტეტში ისწავლებოდა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკაზე სრულად გადასვლის პარალელურად, გარდაუვალი და აუცილებელი გახდა სასკოლო ასაკიდან ეკონომიკურ განათლებასა და აღზრდაზე ფიქრი. ამიტომ, ბოლო წლებში უკვე სკოლის სხვადასხვა საგნებისა და სახელმძღვანელოებშიც გაჩნდა საბაზისო ინფორმაცია ეკონომიკასა და ეკონომიკურ ცნებებზე. ადრეული განათლების - „ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი“ - კი აქცენტირებს ბავშვის განვითარების მხოლოდ ხუთ ძირითად სფეროზე:

- 1) ფიზიკური და სენსორული განვითარება;
- 2) სოციალურ-ემოციური განვითარება;
- 3) კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება;
- 4) შემეცნებითი განვითარება;
- 5) დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება.

(ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“ დამტკიცდა 2017 წლის 30 ოქტომბერს, 2023 წლის 24 ივლისს შეტანილი იქნა ცვლილება. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“).

სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ამ დოკუმენტიც არ არის საბაზისო ეკონომიკური განათლება სასკოლო მზაობის სტანდარ-

ტებში, რაც არ არის თანხვედრაში საერთაშორისო თეორიულ დებულებებთან ადრეული განათლების შესახებ, ასევე სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ პრაქტიკასთან.

როგორც განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) სტრატეგიული ამოცანებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშში ვკითხულობთ, “2016 წლამდე საქართველოს სკოლამდელი დაწესებულებები მხოლოდ სააღმზრდელო ფუნქციას ასრულებდნენ და ორიენტირებულები იყვნენ ბავშვის მოვლაზე. იგნორირებული იყო განათლების კომპონენტი, შესაბამისად, დაბალი იყო ბავშვების სკოლისათვის მომზადების დონე” (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2017). მაშინ, როცა ადრეული განათლების კლასიკოსები სწორედ ამ პერიოდს მიიჩნევენ განათლების ფუნდამენტურ ასაკად.

ისეთი სასწავლო თეორიები როგორცაა პიაჟეს კოგნიტური სწავლის თეორია, ჯერომე ბრუნერის აღმოჩენებით სწავლის თეორია და ალბერტ ბანდურას სოციალური დასწავლის თეორია ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადრეულ ასაკში ფინანსური განათლების მხარდასაჭერად. ყველა ეს თეორია მხარს უჭერს ინტეგრაციის პრინციპებს. სწორედ ინტეგრაციის პროცესშია შესაძლებელი ფინანსური კონცეპტების სხვადასხვა სასწავლო სფეროში ჩართვა - ამ შემთხვევაში ბავშვები სწავლობენ ფულის მნიშვნელობას და ამასთან ლეგულობენ არსებითი მნიშვნელობის ცოდნასა და უნარებს (Masnan & Curugan, 2016).

ადრეულ ასაკში გაგებული ტერმინოლოგია, მისი მნიშვნელობა და დამოკიდებულებები უფრო ეფექტური სწავლისა და მისტიერობის ტრამპლინად გვევლინება შემდგომ სკოლაში და ცხოვრებაში (Hansen, 1985). ნობელის პრემიის ლაურეატის ჯეიმს ჰეკმანს მიაჩნია, რომ განათლების სხვა საფეხურებთან შედარებით სწორედ სკოლამდელ განათლებაში ჩადებულ თანხას მოაქვს ყველაზე დიდი “მოგება” წლების შემდეგ, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ყოველ 1 დოლარზე 7 დოლარს უდრის (U.S. Senate, 2014).

თანამედროვე ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კვლევებიც ადასტურებს, რომ ბავშვი ადრეულ ასაკშივე იწყებს ეკონომიკურ ქცევასთან დაკავშირებულ ჩვევების ჩამოყალიბებას. ბარბარა კოლოროსო აღნიშნავს: „ბავშვებმა უნდა იცოდნენ არა მხოლოდ ფულის შოვნა, არამედ ისიც, როგორ დახარჯონ, როგორ დაიმოგონ და როგორ გაუზიარონ სხვებს, ვისაც ეს სჭირდებათ“ (Coloroso, 2003). ამ მიდგომით, ეკონომიკური ცნობიერება არ არის მხოლოდ ფინანსური ცოდნა - ის არის სოციალური და მორალური განვითარების განუყოფელი ნაწილი, რომელიც ასწავლის თანაგრძნობას, პასუხისმგებლობასა და მიზანმიმართულ ქცევას.

ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინდივიდუალური კეთილდღეობისთვის, არამედ საზოგადოების განვითარების თვალსაზრისითაც. როცა ბავშვი სწავლობს გადაწყვეტილების შედეგებზე ფიქრს, იგი უკეთ ხვდება სოციალურ წესრიგს და საზოგადოების კეთილდღეობაში საკუთარ როლს. ასეთ ბავშვებში იზრდება თვითრეგულაციის, გვეგობრივების და თანამშრომლობის უნარები - უნარები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში.

თანამედროვე განათლების სფეროს მნიშვნელოვანი გამოწვევაა ეკონომიკური ცნობიერების განვითარება ახლებური, ინოვაციური მეთოდოლოგიით, ვინაიდან სწავლების ტრადიციული მეთოდები ხშირად ვერ პასუხობს თანამედროვე საზოგადოების საჭიროებებს.

ეკონომიკური ცნობიერება მხოლოდ სკოლაში ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული ცოდნით არ ფორმირდება, იგი წარმოადგენს კულტურულ ღირებულებათა სისტემის ნაწილს, რომელიც ადრეული განათლების ფუნდამენტია, თუმცა აქვე უნდა აღნიშნოს მშობლებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მნიშვნელოვანი როლი.

ამრიგად, ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდება და საბაზისო ეკონომიკური ცნებების სწავლება ადრეული ასაკის ბავშვებში აუც-

ილებელია, როგორც წარმატებული მოქალაქის აღზრდა/ჩამოყალიბების ფუნდამენტი.

ეკონომიკური ცნობიერების შესახებ სამეცნიერო კვლევები საქართველოში მწირია და უფრო კონკრეტულად, ადრეულ განათლებაში ამ მიმართულების კვლევები თითქმის არ მოგვეპოვება. ვფიქრობთ, რომ ადრეულ ასაკში ეკონომიკური განათლების მნიშვნელობის შესახებ სხვადასხვა კვლევების გათვალისწინებით, საჭიროა საქართველოში უფრო ფართოდ და სიღრმისეულად იქნას შესწავლილი ეს მიმართულება და კომპლექსურად, მეცნიერების ჩართულობით შემუშავდეს ადრეული ასაკის ბავშვებში ეკონომიკური ცნობიერების განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო.

ეკონომიკური ცნობიერების განვითარება-გაძლიერება და საბაზისო ეკონომიკური კონცეპტების მარტივი ენით შესწავლა/განხილვა, ადრეული ასაკის ბავშვებში (ჩვენი კლასიფიკაციით 4 დან 6 წლის ჩათვლით) არის მომავალი წარმატებული მოქალაქისა და ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი უნარებით აღჭურვილი ადამიანის ჩამოყალიბების ფუნდამენტი;

ადრეულ განათლებაში ეკონომიკური ცნობიერების-განათლების საკითხები მრავალმხრივადაა განხილული უცხოურ ლიტერატურაში, თუმცა ხშირად ფინანსური განათლების საკითხები გაიგივებულია ეკონომიკურ განათლებასთან, ჩვენ კი მიგვაჩნია ფინანსური განათლება არის უფრო ვიწრო და კონკრეტულ ფინანსურ კონცეპტებზე (მაგ: ფული, სესხი, დაბოგვა და ა.შ.) დაფუძნებული მიმართულება, მაშინ როცა ეკონომიკური ცნობიერება და ეკონომიკური განათლება მოიცავს ცხოვრების განმავლობაში ყველა ყოფით საკითხთან დაკავშირებული ურთიერთობების საბაზისო კონცეპტებს.

ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი კლასიფიკაცია მათი განვითარებისა და შესაძლებლობების მიხედვით ფართოდ არის განხილული ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ნაშრომებში, თუმცა უშუალოდ ეკონომიკური ცნობიერებისა და ეკონომიკური კონცეპტების სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებით კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფი გამოკვეთილი არ არის;

თავი 2. ადრეული განათლება საქართველოში: ისტორია და გამოწვევები

2.1. ადრეული განათლების ისტორია და პირველი სკოლამდელი დაწესებულებები საქართველოში

ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარებაზე ყველა საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფორმაციაში, ტრადიციულად ოჯახი ზრუნავდა. მე-19 საუკუნის მიწურულს მრეწველობის კიდევ უფრო განვითარებამ და გაძლიერებამ ხელი შეუწყო ქალთა დასაქმების ზრდას და ადრეული ასაკის ბავშვის აღზრდა-განათლებაზე ზრუნვა ოჯახთან ერთად ადრეულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაეკისრა. ასეთი სა-აღმზრდელო დაწესებულებები მე-19 საუკუნის შუახანებში გაჩნდა საფრანგეთში, გერმანიაში, შოტლანდიაში, რუსეთში, საქართველოში და სხვა. (ბასილაძე, თავდგირიძე, 2024).

დღეს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში სკოლამდელი ასაკის ბავშვების უმეტესობა დღის მნიშვნელოვან ნაწილს ადრეული განათლების დაწესებულებებში ატარებს. რაც განაპირობებს, იმას რომ მომავალი თაობის ჯანსაღი განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სკოლამდელი განათლების სეგმენტის განვითარებას.

ამ ქვეთავში წარმოდგენილია საქართველოში შექმნილი პირველი საბავშვო ბაღების კურიკულუმი, გაანალიზებულია საარქივო მასალა და პუბლიკაციები, წარმოდგენილია ისტორიული ექსკურსი როგორ იცვლებოდა, ვითარდებოდა ადრეული განათლების პროგრამები საზოგადოებრივი ურთიერთობების, პოლიტიკური, ეკონომიკური საფუძვლებისა და სოციალური მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად. ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლების, ფსიქოლოგების, პედაგოგების, ადრეული განათლების პიონერების: ივანე როსტომაშვილის, ბარნაბ ხაჭაპურიძის, დიმიტრი

უმნაძის, სოფიო არღუთინსკაიას და სხვათა მოსაზრებები საბავშვო ბალების დანიშნულების შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე არ არსებობდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. 1827 წელს, თბილისის სამხედრო გუბერნატორმა სიპიაგინმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს გაეხსნა თბილისში „სააღმზრდელო სახლი, რომელიც პირველ ყოვლისა განკუთვნილი უნდა ყოფილიყო „უბედურ“ ახალშობილთათვის (АКТИ, N 7, გვ.2) მაგრამ, ეს განზრახვა სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი. სკოლამდელი აღზრდის პირველი დაწესებულება თბილისში გაიხსნა 1859 წელს. კერძოდ გაიხსნა მცირეწლოვან ბავშვთა თავშესაფარი, სადაც იღებდნენ სხვადასხვა წარმოებაში მომუშავე მშობელთა ბავშვებს 3-დან 10 წლის ასაკამდე. ბავშვები გაყოფილი იყო ორ ჯგუფად. პირველს შეადგენდნენ 3-7 წლის ასაკის ბავშვები, მეორეს კი 8-10 წლისა. აქედან გამომდინარე, პირველი ჯგუფი შეადგენდა სკოლამდელთა ჯგუფს შესაფერისი პროგრამით და მუშაობის მეთოდებით. სკოლამდელი აღზრდის შემდეგი დაწესებულება საქართველოში გაიხსნა 1865 წელს. ის ეკუთვნოდა თბილისის საქველმოქმედო საზოგადოებას და განკუთვნილი იყო ბავშვებისათვის ექვსი კვირის ასაკიდან 6 წლის ასაკამდე. ამ დაწესებულებასაც „თავშესაფარი“ ეწოდებოდა და იღებდნენ „უპირატესად იმ დარბი მშობელთა შვილებს, რომლებიც თავს ირჩენენ დღიური მუშაობით თავის სახლს გარეშე და ამიტომ არა აქვთ საშუალება ბავშვები თავისთან იყოლიონ“ (თავზიშვილი, 1977).

1880-90-იან წლებში საქართველოში სკოლამდელი აღზრდის კერები სისტემატურად იხსნებოდა, მაგრამ ამასთან იხურებოდა კიდევც. მათი საქმიანობა ხანმოკლე და ეპიზოდური, თუმცა სასარგებლო და საჭიროც იყო (დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა, 1968). 1886 წელს პედაგოგი სოფიო არღუთინსკაია-დოლოგორუკოვამ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან შეთანხმებით გახსნა III თანრიგის სასწავლებელი პანსიონითა და საბავშვო ბალით

(საქართველოს საისტორიო არქივი). 1868 წელს თბილისში დაარსდა 2 საბავშვო ბაღი. ერთი კუკიის უბანში, მ. ჯაბადარის ქალის ხელმძღვანელობით, ხოლო მეორე სოლოლაკში, ლიდია ლავრენკოს ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელს განაგებდა პედაგოგიური საბჭო. ორივე საბავშვო ბაღში იღებდნენ ორივე სქესის ბავშვებს 3-7 წლის ასაკში. მეცადინეობა მიმდინარეობდა სპეციალური, საბავშვო ბაღისათვის დამახასიათებელი პროგრამით (ბასილაძე, 2018).

1870 წელს თბილისში დაარსდა კიდევ ერთი საბავშვო ბაღი, პეტერბურგის ჟურნალ „Детский сад“-ის (1866-1868 წწ) ყოფილი რედაქტორ - გამომცემლის ა. სიმონოვიჩის ქალის ხელმძღვანელობით (თავგიშვილი, 1977). საბავშვო ბაღის გახსნას პირველი გამოცემაურა გაზეთი „დროება“ და მისი რედაქტორი გიორგი წერეთელი. მან თავის წერილში „უჩინ - მაჩინის ქედოსანი და იმის საუბარი მკითხველთან“ რამდენიმე გვერდი დაუთმო მას. გაარჩია პესტალოცისა და ფრებელის შეხედულებანი ადრეულ ასაკის ბავშვთა აღზრდის შესახებ. მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელი გაფართოვდა და საბავშვო ბაღი ქართულ მოსახლეობაში თანდათანობით პოპულარული გახდა 1885 წლის 30 სექტემბრის განკარგულებით კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო გერმანელ ქალს ც. მეტკემერს გაეხსნა საბავშვო ბაღი თბილისში. 1892 წელს იოსებ ოცხელმა ქუთაისში გახსნა საბავშვო ბაღი მოსამზადებელი კლასით. ოცხელმა მასწავლებლად მოიწვია მარიამ ყაუხჩიშვილი. იგი გაემგზავრა პეტერბურგში და სამი თვის განმავლობაში სწავლობდა ფრებელის სისტემით მომუშავე ბაღებს. ოცხელის ბაღმა 1900 წლამდე იარსება. 1898 წელს ეკატერინე კულიჭანოვას მიეცა ნება გაეხსნა თბილისში საბავშვო ბაღი ორივე სქესის ბავშვებისათვის და შერეული სკოლა პანსიონით. ეს სკოლა გაიხსნა 1899 წელს ბაღის ქუჩაზე. პირველად ბაღში 14 ბავშვი იყო (ბასილაძე, 2018).

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ფართოდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელი. საბავშვო ბაღი ქართულ მოსახლეობაში თანდათანობით პოპულარული გახდა. მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან დაიწყო „ბავშვთა კლუბების, ბავშვთა სახლების, სასკოლო სამეურნეო კლუბების, კოლონიების“ და სხვა პედაგოგიური ორგანიზაციების გახსნა. ს. არლუთინსკაია ატარებდა ლექციების ციკლს საბავშვო ბაღების ორგანიზების აუცილებლობის და იქ ბავშვთა უფასო სწავლისა და აღზრდის შესახებ. 1905 წელს მან თავის მამულში სოფ. სანაიში გლეხთა შვილებისათვის გახსნა უფასო სასწავლებელი, რომელსაც მესვეურობდა თბილისში მის მიერვე გახსნილი სასწავლებელი და მათთან არსებული საბავშვო ბაღი (დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა, 1987). 1908 წელს ს. არლუთინსკაიამ შეძლო გაეხსნა კლუბის ტიპის დაწესებულება - „ბავშვთა სამყარო“. აქ თავს იყრიდნენ სკოლამდელები და უმცროსი კლასების მოსწავლეები, კითხულობდნენ წიგნებს, აწყობდნენ სადამოებს, ექსკურსიებს, დგამდნენ სპექტაკლებს, ატარებდნენ კონცერტებს, აქ ხშირად ეწყობოდა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენები, რასაც დიდი აღზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

1910 წელს თბილისში დაარსდა „კავკასიის ფრებელის საზოგადოება“. შეიქმნა „ფრებელის საზოგადოების ქალთა უმაღლესი პედაგოგიური კურსები, სადაც მზადდებოდა აღზრდელები სკოლამდელი დაწესებულებებისათვის. პედაგოგიურ პრაქტიკას კურსების მსმენელები გადიოდნენ სოფიო არლუთინსკაიას „ქალთა უმაღლეს კურსებზე“. აღნიშნული კურსები მუშაობდა ფრებელის სისტემით და მან დიდი როლი შეასრულა კავკასიაში სკოლამდელი აღზრდის პროფესიული კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში (ბასილაძე, 2018). საარქივო მასალებში დაცულია „კავკასიის ფრებელის საზოგადოების ქალთა უმაღლესი კურსების“ სასწავლო გეგმები და პროგრამები, პედაგოგთა სიები, მათი დატვირთვის ამსახველი მასალები და სხვა (საქართველოს საისტორიო არქივი). „კავკასიის ფრებელის საზოგადოების ქალთა უმაღლესი კურსების“ მასალები ძირი-

თადად ემთხვევა ს. არლუთინსკაიას პირად არქივში დაცულ ანალოგიური ხასიათის მასალებს. აღნიშნულ კურსებზე პედაგოგიკისა და მეთოდის უცვლელ ლექტორად ჩანს ს. არლუთინსკაია-დოლოგორუკოვა. საინტერესო ფაქტია ის, რომ მისი საბავშვო ბაღი ის ერთადერთი ობიექტია, სადაც უსასყიდლოდ გადიან პრაქტიკას „ქალთა უმაღლესი კურსების“ მსმენელები. აღნიშნულმა კურსებმა დიდი როლი შეასრულეს კავკასიაში სკოლამდელი აღზრდის პროფესიონალური კადრის მომზადების საქმეში. ეს იყო ერთადერთი სასწავლებელი, რომლის კურსდამთავრებულნი მუშაობდნენ არა მარტო თბილისში, არამედ ერევანსა და ბაქოში, სოჭსა და ყუბანში, ყველგან, სადაც ვრცელდებოდა კავკასიის სასწავლო ოლქის გავლენა და უფლებები. კურსებმა 1921 წლამდე იარსება (დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა, 1987). 25 წლის მანძილზე ამ ბაღში, პანსიონსა და სკოლაში ისწავლა 3-დან 15 წლამდე 2332 ბავშვმა.

დიდი ყურადღება ექცეოდა საბავშვო ბაღის აღმზრდელის მომზადებას. ვრცელი და მრავალფეროვანია „ქალთა უმაღლესი კურსების“ სასწავლო გეგმები. მათში წარმოდგენილია: ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, პედაგოგიკა, პედაგოგიკის ისტორია, ფსიქოლოგია, სკოლამდელი პედაგოგიკა მეთოდით, ლიტერატურა, ისტორია და ა.შ. კურსებზე ლექციებს კითხულობდნენ ამ დროისათვის ცნობილი ექიმი მიქაელიანი, სოფლის მეცნიერებათა კანდიდატი მუჩაიძე, თავისი საქმის კარგად მცოდნე ფილოლოგი ალიბეგოვა, ჟენევის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ა. ფაღავა, ასევე გიმნაზიისა და საბავშვო ბაღის მასწავლებლები ნ. შადინსკი და ე. გურგენიძე. კურსებზე პედაგოგიკა იკითხებოდა ისტორიით (რაოდენ დასაინანია, რომ დღეს ბსუ-ში მოქმედ ადრეული განათლების საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსი ადრეული განათლების პედაგოგიკა- ლ. თ.), რომელიც მოიცავდა მთლიან კურსს საბერძნეთის პედაგოგიკის ისტორიიდან დაწყებული მე-19 საუკუნის დასავლეთ ევროპისა და ამერიკის პედისტორიის ჩათვლით. აქცენტი მახვილდებოდა სკოლამდელ პე-

დაგოგვიკაზე. წინ იყო წამოწეული სკოლამდელი პედაგოგიკის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები, კერძოდ, ლოკის, რუსოს, პესტალოცის, ოუენისა და უშინსკის პედაგოგიკური შეხედულებები სკოლამდელი აღზრდის საკითხზე. ა. ფაღავა კითხულობდა ფსიქოლოგიას, მისი ლექციები მდიდარი იყო ბავშვის ფსიქოლოგიის თავისებურებათა ბევრი ფაქტით (დანყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა, 1987).

სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკის და მეთოდის პროგრამა მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა სკოლამდელი აღზრდის მნიშვნელობა და დანიშნულება, საბავშვო ბაღის მიზანი და ამოცანები, როგორ უნდა იყოს ორგანიზებული საბავშვო ბაღი, როგორ უნდა იყოს იგი აღჭურვილი, როგორია აღმზრდელის როლი სკოლამდელ დაწესებულებაში; რა არის თამაში და რით გამოიხატება მისი ძირითადი ფუნქცია, თამაშობათა სახეები, სათამაშოს როლი პიროვნების წარმოსახვის უნარის განვითარებაში, მოძრავ და სამაგიდო თამაშობათა სპეციფიკა და დანიშნულება, მათი გამოყენება დღის გარკვეულ დროს, თამაშობათა შინაარსი, ხასიათი, მათი ორგანიზაციის მეთოდის; შრომა და ბავშვი. ძერწვა, ხატვა, კონსტრუირება და მათი როლი ბავშვის ცხოვრებაში და ა. შ. პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მუსიკასა და ქორეოგრაფიის ელემენტებს, რიტმიკას, მათემატიკურ წარმოდგენათა და მეტყველების განვითარებას, ბუნების გაცნობის საკითხებს. „კავკასიის ფრებელის ქალთა უმაღლესი კურსებისათვის“ ს. არლუთინსკაიამ სპეციალურად დაამუშავა სკოლამდელი პედაგოგიკის ის მონაკვეთი, რომელიც მ. მონტესორის სისტემის ღრმად შესწავლას ითვალისწინებდა. მ. მონტესორის სისტემა მაშინ ჯერ კიდევ ნაკლებად იყო ცნობილი საქართველოში. მან თავის პრაქტიკული გამოცდილების წყალობით შეძლო წარმოეჩინა მ. მონტესორის სისტემის ძირითადი და მნიშვნელოვანი მახასიათებლები, თუმცა რიც საკითხებში ს. არლუთინსკაია არ ეთანხმებოდა მას. იგი ერთ-ერთი პირველია საქართველოში, რომელიც შეეცადა შეეჭვებინა და გარკვეული პარა-

ლელი გაეტარებინა ამ ორი (ფრ. ფრებელი და მ. მონტესორი) ფრიად მნიშვნელოვანი სკოლამდელი აღზრდის თეორეტიკოსის შემოქმედებაში, წარმოაჩინა ამ თეორიების ძლიერი მხარეები. მან პროგრამაში პირდაპირ შეიტანა საკითხი „ფრებელისა და მონტესორის სისტემის შესახებ თანამედროვე საბავშვო ბაღში“, სადაც არკვევს როგორი უნდა იყოს საბავშვო ბაღი მის თანამედროვე ეტაპზე და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას (დანწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა, 1987). ამ პერიოდის საბავშვო ბაღების პროგრამებს ფრ. ფრებელის და მ. მონტესორის მეცნიერული მოსაზრებები დაედო საფუძვლად.

1907 წლიდან ს. არლუთინსკაია ზრუნავდა დაეარსებინა ყოველთვიური ილუსტრირებული სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „ლიტია“ დედებისათვის, აღმზრდელებისთვის და ყველა იმათთვის, ვინც დაინტერესებული იყო სკოლამდელი აღზრდის საკითხებით. სამწუხაროდ, ბევრი მიზეზის გამო, ამ საქმეს განხორციელება არ ეწერა. 1908 წელს მან შეძლო გაეხსნა კლუბის ტიპის დანქნებულება-„ბავშვთა სამყარო“, აქ თავს იყრიდნენ სკოლამდელები და უმცროსი კლასების მოსწავლეები, კითხულობდნენ წიგნებს, აწყობდნენ საღამოებს, ექსკურსიებს, დგამდნენ სპექტაკლებს, ატარებდნენ კონცერტებს, ეწყობოდა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა, რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა (დანწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა, 1987).

საინტერესოა გაერთიანებული ორგანიზაცია „ბავშვთა სახლის“ პედაგოგიური სექციის თავმჯდომარის ნ. ნაკაშიძის მიერ 1918 წლის ზაფხულში წარდგენილი მოხსენება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრისათვის ანგარიში „ბავშვთა სახლის“ სასწავლო პროგრამების შესახებ. ანგარიშში ნ. ნაკაშიძე წერს: „საზოგადოება, აღმოჩნდა რა ბავშვთა დანაშაულის საშინელი ზრდის, მათი სულიერი და ფიზიკური განადგურების წინაშე, იძულებული გახდა მოეძებნა საშუალებები, რათა ეხსნა თავისი ქვეყნის მომავალი მოქალაქეები დალუპვისაგან. იძულებულები გახდნენ, ელიარებინ-

ათ, რომ სკოლის ძველი მეთოდები, აღზრდის ძველი პრინციპები სრულიად გამოუსადეგარია მათი ამოცანების განხორციელებისათვის. თვით ცხოვრებამ გახადა იძულებული ყველა მებრძოლი, ბავშვის გადარჩენისათვის მიემართა სოციალური აღზრდის ახალი მეთოდებისათვის. საბავშვო ბაღში მიიღება ორივე სქესის ბავშვები არანაკლებ 4-5 წლისა. მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს და გრძელდება 1 მაისამდე. საბავშვო ბაღი იყოფა ორ განყოფილებად, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროების შემთხვევაში, იყოფა ჯგუფებად. ბაღის ცხოვრება შეძლებისდაგვარად უახლოვდება ოჯახურ გარემოს. საბავშვო ბაღში ისწავლება: ხატვა, ძერწვა, სიმღერა. აღსაზრდელები სწავლობენ მოძრავ თამაშებს, ბუნებასა და სიცოცხლეზე დაკვირვებას, ბავშვები მზადდება საბუნებისმეტყველო მეცნიერების უნარჩვევების დასაუფლებლად. თვალყურს ადევნებენ მათ მიერ ქონებში ჩარგულ მცენარეებს, აკვირდებიან მათ ზრდასა და განვითარებას, იმართება სეირნობები, ექსკურსიები, ეწყობა საზეიმო ღონისძიებები (მურდულია, 2018). ბაღში ხორციელდებოდა ბავშვთა არა მხოლოდ გონებრივი, არამედ შრომითი, ეკოლოგიური, ესთეტიკური აღზრდა. საბავშვო ბაღის უფროს ჯგუფებში ისწავლება: ანბანი, კითხვა, წერა და მათემატიკა. მეცადინეობა მიმდინარეობს ისე, რომ ბავშვები არ გადაიღალონ. წლის ბოლოს მათ იციან 20-მდე დათვლა, ამოცანების ზეპირად ამოხსნა, კითხვა და წერა. ორივე საფეხურზე ისწავლება ფრანგული ენა თამაშებითა და სიმღერით. თითოეული მეცადინეობა გრძელდება არაუმეტეს 15-20 წუთისა. მეცადინეობებს ენაცვლება დასვენება, დაუშვებელია დასჯა და ბავშვის იზოლირება“ (მურდულია, 2018).

საბავშვო ბაღების ქსელების გაფართოებასთან ერთად, ჩასახვას იწყებს სკოლამდელი აღზრდის თეორიაც. პედაგოგიკის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ივანე როსტომაშვილმა 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№167) დაბეჭდა სტატია „სკოლა სეირნობისა, ანუ საბავშვო ექსკურსიატი“. ის უპირატესობას ანიჭებს სეირნობის ბაღებს, რომლის იდეა მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დასავლეთ ევროპაში

აღმოცენდა. იგი დაწვრილებით განიხილავს ფრებელის სისტემით მონყობილი საბავშვო ბაღების მუშაობის შინაარსს და მის ნაკლოვან მხარეებად თვლის: 1. მრავალსაგნიანობა; 2. კარჩაკეტილობა; 3. ბავშვთა მოძრაობისა და თავისუფლების შეზღუდვა; 4. სიძნელე მისის წარმოებისა, რის გამოც თვით საგანგებოდ ამისათვის მომზადებულ მასწავლებელ ქალთაც კი უძნელდებათ საბავშვო ბაღის რამდენადმე მაინც ხეირიანად მართვა; 5. ძალად გართობა ბავშვებისა იმ საგნებსა და საქმეში, რომელიც ზოგიერთი ხასიათისათვის სრულიად უცხო და შეუფერებელია; 6. კარჩაკეტილობა და საკლასო მეცადინეობა (გაგუა, 1974).

ივანე როსტომაშვილი მოითხოვს ასეთი ბაღების გახსნას საქართველოში, კერძოდ თბილისში და ერთგვარ პროგრამასაც გვთავაზობს. ივ. როსტომაშვილის აზრით, ასეთ ბაღებში უნდა მიღებულ იქნენ 6-7 წლის ასაკის ბავშვები, რომლებიც მასში ორ წელიწადს დაყოფენ და მოემზადებიან სკოლისათვის. ბავშვებს სახლიდან მოაქვთ საგმალი და წინასწარ დასახული მარშრუტებით ყოველდღე სეირნობენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით. „დღეს რომ ქალაქის შუა გულიდან ბავშვები დიდუბისაკენ გაასეირნოთ, მეორე დღეს საკმაო იქნება დაკმაყოფილდეთ მხოლოდ ვორონცოვის ხიდის დათვალიერებით, მისი სიგრძე-სიგანის გაზომვით, მადათოვის კუნძულის მიმოხილვით და სხვ. ყოველი მოგზაურობა კარგად უნდა იყოს მოფიქრებული და ბავშვებისათვის ნაუნყები, ე. ი. სად უნდა წავიდნენ, სად მოისვენონ, სად ითამაშებენ ანუ იმღერებენ, გზადაგზა რას გასინჯავენ, ადგილზე მისვლის დროს რას გააკეთებენ და სხვ.“ (როსტომაშვილი, 1900). ასეთი ბაღებისათვის, ავტორის აზრით, არ იქნება საჭირო ცალკე შენობის აგება ან დაქირავება და სწავლის ფასიც ნაკლები იქნება (2-3 მანეთი თვეში) (ბასილაძე, 2018). თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1989 წელს შეიქმნა “ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია”, რომლის 31 მუხლის თანახმად “მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის დასვენების უფლებას, იმ უფლებას, რომ მონაწილეობდეს თამაშებსა და გასართობ ღონისძიებებში, რომლებიც შეესაბამება მის

ასაკს, და თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებასა და ხელოვნებაში” (კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1989).

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე წარმოიშვა სკოლის ასაკამდე დაწესებულების კიდევ ერთი ახალი ტიპი „საბავშვო კერა“. ამ ტიპის დაწესებულებების გახსნის მთავარი მიზანი იყო მუშათა ბავშვების, ღარიბ-ღატაკთა ბავშვების შევრდომა. მათ წმინდა საქველმოქმედო (ფილანთროპული) ხასიათი ჰქონდათ. ისინი განსხვავდებოდნენ ორგანიზაციული კუთხით ჩვეულებრივი საბავშვო ბალებიდან. საბავშვო კერაში ბავშვებს ნაცვლად 3-4 საათისა 6-7 საათს ამყოფებდნენ (ბასილაძე, 2018).

რევოლუციამდე (1917 წ.) საქართველოში საბავშვო ბალები ინახებოდა კერძო პირთა, ან პედაგოგიურ და საქველმოქმედო საზოგადოებათა ხარჯით და მათ ჩვეულებრივად „სახალხო“ საბავშვო ბალები ერქვათ (იქვე).

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ 1919 წლიდან დაიწყო სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოება, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე. მთავრობამ მიიღო დადგენილება საბავშვო ბალებისათვის ყოველწლიურად 19 200 მან. გამოეყო. საბავშვო ბაღი გაიხსნა ქუთაისშიც, ამ საქმის მაღალ დონეზე დაყენების მიზნით 1920 წ. სამინისტრომ გააძაწყიტა იტალიიდან ინსტრუქტორად მოენვია მილანელი მეცნიერი, საბავშვო ბალების მოწყობისა და ბავშვის აღზრდის ახალი მეთოდის მონტესორის სისტემის ერთ-ერთი აღიარებული სპეციალისტი, ჰუმანიტარული საზოგადოების დირექტორი ე. კონდულო. მოწვეულმა სტუმრებმა თან დიდძალი ლიტერატურაც ჩამოიტანეს და 9 აგვისტოდან დაიწყო ლექციების კითხვა, ხოლო 10 აგვისტოდან თბილისში გაიხსნა სპეციალური კურსები 40 მსმენელისათვის (საქართველოს რესპუბლიკა, 1920).

„საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში სკოლამდელი დაწესებულება არ არსებობდა. პირველად საბავშვო ბაღი გაიხსნა ე. ბათუმში, 1921წ. 20 მაისს. იგი მოთავსებული იყო ოფიცერთა

სახლის (მაშინდელი საზოგადოებრივი საკრებულო) შენობაში. თავდაპირველად საბავშვო ბაღს ეწოდებოდა „წითელი ვარსკვლავი“, შემდეგში კი მას მიაკუთვნეს საბჭოთა პედაგოგის ნ. კ. კრუჰსკაიას სახელი. ბაღი დაკომპლექტებული იყო მცოდნე და ენერგიული კადრებით, აღმზრდელობითი მუშაობა კარგად იყო დაყენებული. ბაღში ქართველი, რუსი და სომეხი მოზარდებისათვის ორ-ორი ჯგუფი იყო შექმნილი, რომლებიც 88 ბავშვს აერთიანებდა - წერს გრ. ბაბილოძე ნაშრომში „ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში“ (ბაბილოძე, 1975). 1922 წლის ივნისისათვის აჭარაში, ვერძოდ, ბა-თუშში სამი საბავშვო ბაღი იყო. ბავშვთა ბაღების უშუალო ხელმძღვანელობისათვის აჭარგანსახკომთან შეიქმნა „სკოლის ასაკამდე აღზრდის ქვეგანყოფილება“. სკოლამდელი აღზრდის საქმე აჭარაში ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. საბავშვო ბაღების რიცხვი ქალაქად მცირე იყო, რაიონებში პირველად საბავშვო ბაღი გაიხსნა ქობულეთში 1929 წელს. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის სოფლისათვის, სადაც ისტორიული უკუღმართობის შედეგად საუკუნეების მანძილზე ქალი მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას“ (ბაბილოძე, 1975).

ფსიქოლოგი, პედაგოგი, ფილოსოფოსი დ. უზნაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლამდელ განათლებას. საინტერესოა მისი დამოკიდებულება საბავშვო ბაღების დანიშნულების და აუცილებლობის შესახებ. წერილში „საბავშვო ბაღი ქუთაისში (გამოფენის გამო)“ ის აღნიშნავს: „კულტურულ ხალხს ყველაფერში ეტყობა თავისი კულტუროსნობა, და ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უკვე ძველ საბერძნეთში ფილოსოფოსი პლატონი ბავშვთა აღზრდის პროცესში ადრე ჩარევას იმთავითვე ენერგიულ ხაზს უსვამდა. მას კარგად ესმოდა, რომ ღვთის ანაბრად მიტოვება დანაშაულია მისი მომავლისა და მთელი ერის კულტურული ბედის წინაშე, რომ უსისტემო და უაზრო შემთხვევის გაბატონება ბავშვის განვითარების პროცესში პირველი ექვსი წლის განმავლობაში ისეთივე მიუტევებელი ფუქსა-

ვატობა და წინდაუხედავობა არის, როგორც უზრუნველობა მისი სულიერისა და ფიზიკური ძალების განვითარების მიმართ მისი ცხოვრების დანარჩენ ხანებში“ (უზნაძე, 2005). ის გულისტკივილით აღნიშნავს, რომ საკაცობრიო ისტორიის ბედმა პლატონის ჭეშმარიტება აღრეული აღზრდის, აღზრდის თანდათანობითი და შეუწყვეტელი პროცესის შესახებ საშუალო საუკუნეების ბურუსში გაახვია. „დღეს ჩვენში აღზრდის პროცესი სკოლის ზღუდეებით იფარგლება. მშობელი კმაყოფილი რჩება, თუ შვიდ წლამდე მისი შვილი ანბანს გაიბეჭირებს და შემდეგ სკოლაში დამახინჯებული სიბრძნით ტვინს დაიტვირთავს. როდესაც სკოლას ამთავრებს, მაგრამ მაინც უბადრუკი და სანყალი აღმოჩნდება, მშობელი გაკვირვებული რჩება, ხოლო ეს გაკვირვება-მაინც ვერ იქცევა დაფიქრებისა და გასწორების წყაროდ. იგი მაინც ვერ იგნებს, რომ თავის შვილის და თავის ხალხის ბედნიერების მესაფლავე თვითონ არის და არა სხვა ვინმე <...> საბედნიეროდ, სხვაგან უკვე მეცხრამეტე საუკუნეში შეიგნეს იმ გზისა, რომელზეც კაცობრიობა გზადანებული სქოლასტიკის აზროვნებამ დააყენა, და ფრებელის პირით საბოლოოდ და საყოველთაოდ გამოცხადდა: ბავშვის ექვს წლამდე აღზრდა არანაკლები მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე ექვს წელს შემდეგო“ (უზნაძე, 2005). დ. უზნაძეს მიაჩნდა, რომ ამ აღზრდასაც დაფიქრება და დამუშავება სჭირდებოდა, რათა შემდგომში ამ საფუძველზე სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკის კედლები აღმართულიყო. მიმართავდა მშობლებს, ოჯახებს, რომ შვილები საბავშვო ბაღში მიეყვანათ. სინანულით აღნიშნავდა, რომ 50 000 ქართველს ერთი საბავშვო ბაღი აქვს ოცი ბავშვით (მხედველობაში აქვს ქუთაისის საბავშვო ბაღი (ბასილაძე, თავდგირიძე, 2024). „დიახ, სულ ოცი ბავშვია, რომელიც მათ მშობლებს ნამდვილი აღზრდის გზაზე დაუყენებია. სწორედ რომ დიდი შეგნებაა ქართველი ოჯახის მხრივ და დიდი ღალატი თავის მოძმეთა სანაქებო თვისების, მათი შეუგნებლობისა“ (უზნაძე, 2005). მოუწოდებს მშობლებს, რომ შვილები მიიყვანონ საბავშვო ბაღში და საკუთარი თვალთნახონ საბავშვო ბაღის სიკეთე.

მეოცე საუკუნეში საქართველოში საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარების საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა პროფ. ბარნაბ ხაჭაპურიძემ. ის გატაცებული იყო ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის დ.უზნაძის განწყობის მოძღვრებით და აქტიურად ჩაერთო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის მუშაობაში. მან დ.უზნაძის საუკეთესო მოწაფეთა და თანამიმდევართა შორის საპატიო ადგილი დაიკავა. მას ეკუთვნის ბევრი მნიშვნელოვანი ნაშრომი ადრეულ განათლებაში, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი პირველი ნაშრომი სკოლამდელ პედაგოგიკაში „დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი სკოლამდელი აღზრდის ზოგიერთ საკითხებთან დაკავშირებით“ (1939).

ბ. ხაჭაპურიძე როგორც მეცნიერი სკოლამდელი აღზრდის პრაქტიკოს მუშაკთა წიაღში დაიბადა. ამას ირწმუნებს ყველა, ვინც წაიკითხავს მის ნარკვევს: „პირველი საბავშვო ბაღის შემოქმედებით-პედაგოგიური მუშაობის შინაარსი“.

განსაკუთრებული აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში პირველი საბავშვო ბაღის ადმინისტრაციამ მოიწვია ფსიქოლოგი საკვლევები მუშაობის მიზნით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ამ ბაღის პედაგოგიურ კოლექტივს ხელწიფებოდა მეცნიერული საქმიანობის წამოწყება და მზად იყო ამისთვის. აღნიშნულიდან ჩანს, რომ 1927 წელს საქართველოში გაჩნდა სკოლამდელი აღზრდის მეცნიერული ერთეულის ჩანასახი (მჭედლიძე, 1987). პირველ საბავშვო ბაღში ბ. ხაჭაპურიძის ხელმძღვანელობით კვლევითმა მუშაობამ სათამაშოების დამუშავების მიმართულება მიიღო. საქართველოს განათლების კომისარიატმა ნ. უნაფელოვილის ინიციატივით 1931 წელს პირველ ბაღთან სათამაშოების სახელოსნოს გახსნა. თავად იდეა სათამაშოების დამზადება-დამუშავებისა კიდევ უფრო ადრე დაიბადა. 1925 წელს საბავშვო ბაღში ჩამოყალიბდა მოხალისეთა ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა დიდაქტიკური მასალების დამუშავება და ორიგინალური სათამაშო მასალების: „ასოების სტამბას“, „ფერების დომინოს“ და სხვა მაღალ-

მხატვრულ დონეზე შესრულებული სათამაშოების დამზადება და-
ინყო. დამზადებული მასალა მხოლოდ ერთი ბაღის კუთვნილებას
არ იყო, მთელ რესპუბლიკაში ვრცელდებოდა, რადგან პირველი
საბავშვო ბაღი განათლების კომისარიატის საცდელ საჩვენებელ
ბაღად იქნა დამტკიცებული (მჭედლიძე, 1987).

ნატალია უნაფქოშვილმა 1927 წელს სცადა ფსიქოლოგის ჩაბ-
მა საბავშვო ბაღის მუშაობაში რიგი პრაქტიკული საკითხების გადა-
საჭრელად, და ამ დროიდან ბ. ხაჭაპურიძის ყურადღება ამ პრობ-
ლემებს არ მოკლებია. ასე რომ, შედეგები, რომლებიც აქ მივიღეთ,
იმ ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ნაყოფია, რომელიც და-
საწყისში პირველ საბავშვო ბაღის მეოხებით განხორციელდა... და
მთელ მეცნიერულ პრობლემატიკას, რომელიც სათამაშოების ლაბორა-
ტორიის სერიით გამოქვეყნდა, იმ პირობათა კომპლექსს უნდა ვუ-
მადლოდეთ, რომელიც ამ პედაგოგიური კოლექტივის მიერ იყო აქ
შექმნილი (მჭედლიძე, 1987).

ნ. მჭედლიძე სტატიაში „ბარნაბ ხაჭაპურიძე“ საინტერესოდ აღ-
წერს მის განსაკუთრებულ დამსახურებას დიდაქტიკური სათამაშო-
ების შექმნისა და დამზადების კუთხით. „საბავშვო ბაღის სახელოს-
ნომ თავისი არსებობის პირველ წელსვე შეძლო პედაგოგიური სა-
ზოგადოებისათვის წარედგინა მეტად საინტერესო სათამაშო ექსპო-
ნატები - საშენი მასალა - ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები, პრაქ-
ტიკული დანიშნულების სათამაშოები, რომელსაც გამოიყენებდნენ
რეალურ ცხოვრებაში. მასალა ბავშვებს საშუალებას აძლევდა აეგ-
ოთ ზაგესი, ჩელუსკინელების სახელობის ხიდი, ქარხანა, ქართული
სტილის სახლი, განახლებული სოფელი. დიდ სიხარულს ანიჭებდა
ბავშვებს სათამაშო ტრანსპორტი - სატვირთო პედალიანი მანქანე-
ბი. მათ ბავშვები მართავდნენ, ფრთხილად დაჰყავდათ ეზოში, რა-
თა არავინ დაეშავებინათ. სათამაშოები ყველას ყურადღებას იქცევ-
და. იყო აზრთა ურთიერთგაცვლა: რამდენად პედაგოგიურია საშენი
მასალის მზა სიუჟეტით შემოფარგვლა, როგორ შეიძლება რეალურ-
ად ასეთი სათამაშო მანქანების და ტრამვაის შექმნა საბავშვო ბაღე-

ბისათვის და სხვ. მაგრამ თვით მუშაობის შეფასებაში ყველა ერთსულოვანი იყო: ჩვენს თვალწინ დიდი საქმე კეთდებოდა. ეს ექსპონატები არა მარტო პატარებისათვის, დიდებისათვისაც სასურველი სანახავი იყო. აქ ექსკურსიით მოდიოდნენ სხვა საბავშვო ბაღებიდანაც, უფროსტგუფელებიც და უმცროსტგუფელებიც. ეს ექსპონატები წარმოებამ სერიული გამოშვებისათვის არ მიიღო. შეიძლება თავისი სირთულის გამო, მაგრამ „ტრამვაიმ“ თბილისის საბავშვო რკინიგზის აშენების იდეა წარმოშვა, რაც მალე წარმატებით განხორციელდა და შემდგომ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში საბავშვო რკინიგზის შექმნის საწინდარი გახდა“ (მჭედლიძე, 1987).

1939 წლიდან საქართველოს განათლების კომისარიატის მიერ სახელოსნო რეორგანიზებულ იქნა - მის ბაზაზე გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი „დიდაქტიკული მასალებისა და სათამაშოების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია“, რომელსაც ბ.ხაჭაპურიძე ჩაუდგა სათავეში. დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების ლაბორატორიამ ინტენსიური მუშაობა გაშალა ექსპერიმენტულ კვლევათა მიმართულებით, განსაკუთრებით დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების დამუშავების განხრით. საჭირო გახდა ლაბორატორიასთან გახსნილიყო სახელოსნო, რომლის დანიშნულებაც იქნებოდა საექსპერიმენტოდ გათვალისწინებული მასალების ექსპონატების შექმნა. ასეთი სახელოსნო ლაბორატორიასთან მალე გაიხსნა კიდეც. ასევე საჭირო გახდა ექსპონატების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და ტექნიკური მართებულობის დადგენაც. ბალი თვითონ შეადგენდა ლაბორატორიის ორგანულ ელემენტს, აქ ხდებოდა სათამაშოების პრაქტიკული ეფექტიანობის შემოწმება ცოცხალ პედაგოგიურ საქმიანობაში. საბავშვო ბაღის ბევრი თანამშრომელი მონაწილეობდა სათამაშოების დამუშავებაში (ხაჭაპურიძე, 1951).

მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისა სახელმწიფო ცდილობდა მოეძებნა, რაღაც თანხები სკოლამდელი დაწესებულებების გასახსნელად. ამ პერიოდში შექმნა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები სკოლამდელი აღზრდის შესახებ.

პირველი სახელმძღვანელოები ადრეულ განათლებაში

მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში პედაგოგიკაში არ არსებობდა ქართულ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელო წიგნები. ნაკლებად იქმნებოდა ორიგინალური პედაგოგიური ნაშრომები პედაგოგიკის თეორიაში, ადრეულ განათლებაში. ძირითადად ამ პერიოდში იყო იმდროინდელი ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურა, პრესაში გამოქვეყნებული პედაგოგიური სტატიები და საარქივო მასალები. ძირითადად იბეჭდებოდა ნათარგმნი პედაგოგიური ლიტერატურა (ბასილაძე, თავდგირიძე, 2024).

ახალი იდეების გავრცელებასთან დაკავშირებით თანდათანობით იწყება ქართულ ენაზე პედაგოგიკაში დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა. ქართულ ენაზე სახელმძღვანელო წიგნების შესაქმნელად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ მასწავლებელთა ცალკე კოლექტივები, განსაკუთრებით თბილისსა და ქუთაისში, სახელმძღვანელო წიგნების შექმნა ნაყოფიერად გაიშალა მას შემდეგ, რაც 1920 წლის თებერვალში „სასწავლო კომიტეტის“ თავმჯდომარეობა მიენდო ივანე ჯავახიშვილს. მისი აზრით, „საერთოდ ისეთი ერის ცხოვრებაში, როგორც ვართ ჩვენ, სახელმძღვანელოს აქვს ორი ხანა, ორი გზა. გზა უცხო სახელმძღვანელოს გადმოკეთებისა და გზა ეროვნული ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნისა. პირველი ხანა ჩვენ თითქმის უკვე განვლეთ; მოგვეპოვება მრავალი სახელმძღვანელო, რომელიც გადმოთარგმნილია, გადმოკეთებული ჩვენი საჭიროების მიხედვით. ახლა უნდა შევუდგეთ მეორე გზას, ორიგინალურ, ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული სახელმძღვანელოს შექმნას. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უეჭველად რანაირიც უნდა იყოს ორიგინალური სახელმძღვანელო, უნდა ვამჯობინოთ უკეთესს თარგმნილს“ (განათლება, 1920). ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით სახელმძღვანელოების შედგენაში აქტიურად მონაწილეობდნენ, ე. წ. ჰუმანური ციკლის დისციპლინებში:

ს. გორგაძე, ს. ხუნდაძე, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ს. ქვარიანი, მ. კელენჯერიძე, დ. ოყრეშიძე და სხვანი, ბუნებათმცოდნეობასა და მათემატიკურ დისციპლინებში: ა. ჯანელიძე, ა. ჩხენკელი, ს. ოცხელი, ლ. ხმალაძე, გ. ზაალიშვილი, დ. დონდუა და სხვა. ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით სასწავლო კომიტეტმა სპეციალური პრემიები დაადგინა ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოების შესაქმნელად. 1920 წლის ზაფხულში დიმიტრი უზნაძის „ძველი ისტორია“ წარდგენილი იქნა პრემიაზე (ბასილაძე, თავდგირიძე, 2024).

მე-20 საუკუნის დასაწყისში საბავშვო დაწესებულებების გახსნის პარალელურად იქმნებოდა საინტერესო თეორიულ-პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურა. ს. არღუთინსკაიამ გამოსაცემად მოამზადა სოლიდური თეორიულ-მეთოდური ხასიათის ნაშრომი, რომელსაც ეწოდება „საბავშვო ბავი და ელემენტარული სკოლა“ (მჭედლიძე, 1987).

1924 წელს ს. არღუთინსკაიას საბავშვო პიესები „ფერია ვარსკვლავი“ და „კაშკაშა ვარსკვლავი“ დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე, ხოლო 1929 წელს პიესა „შემოდგომა“ - თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე. ის აქტიურად თანამშრომლობდა ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში („ვესტნიკ ვასპიტანიე“, „შკოლა ი ჟიზნ“, „სკოლამდელი აღზრდა“). საქართველოს კომისარიატის დავალებით მან დაწერა „საბავშვო ბავის თამაშობათა და სიმღერების დებულება“, „საბავშვო ზეიმები“, „სკოლამდელი აღზრდის ამოცანების პრაქტიკული განხორციელება“, „საბავშვო ბავის პროგრამა“, „საბავშვო ბავის გზამკვლევი“, სომხეთის განათლების კომისარიატის დავალებით დაწერა სამეცნიერო ნაშრომი „თოჯინების თეატრის შესახებ“ (დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა, 1987).

1928 წელს ქართულ ენაზე გამოიცა სამი პედოლოგიური ნაშრომი: 1. გ. კაპანაძის პედოლოგიის შესავალი; 2. ვ. კორნილოვის სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის საფუძვლები (რედაქტორი რ.

ნიკოლაძე) და 3. გ. დევდარიანის პედოლოგია (ელემენტარული კურსი). ვ. კაპანაძის პედოლოგიის შესავალი, კონსპექტურად, მოკლედ განიხილავს პედოლოგიის ძირითად დებულებებს. მაგრამ ის სქემატური ხასიათის მატარებელია. კ. კორნილოვის სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის საფუძვლები არკვევს მხოლოდ სკოლის ასაკამდე პერიოდს (8 წლამდე).

გ. დევდარიანის პედოლოგია (ელემენტარული კურსი) განზრახული იყო პედაგოგიური ტექნიკუმების და პედაგოგიური განხრის ცხრანლედებისათვის. ნაშრომის დიდი ნაწილი ავტორიტეტულ მკვლევართა ნააზრევის გადმოცემას წარმოადგენს. ძირითადში ამ ნაშრომში ავტორმა შეძლო პედოლოგიის ძირითადი მომენტების აღნუსხვა, გაეშუქებინა ბავშვთმცოდნეობის საფუძვლები. წიგნი წარმოადგენს პირველ ცდას სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებსა და მშობლებს პედოლოგიური პრობლემების გაანალიზებით გაუწიოს დახმარება აღზრდის პროცესში.

1928 წელს გამოქვეყნდა კრებული მასწავლებლის თანამგზავრი. იგი დამტკიცებული იყო საქართველოს სსრ განსახკომის სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის მიერ, როგორც სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის და პედაგოგიური ტექნიკუმებისათვის. წიგნი წარმოადგენს მეთოდური წერილების კრებულს. იგი ეხება სწავლა-აღზრდის საკითხებს ოთხწლედის ფარგლებში. კრებულის ავტორები არიან: მ. ორახელაშვილი, გ. ჭუმბურიძე, თ. ბებურიშვილი, რ. ნიკოლაძე-პოლიექტოვისა, ნ. ელჩანინოვი, გ. მერკვილაძე. როგორც პროფ. ს. სიგუა წერს: ეს წიგნი წარმოადგენს საქართველოში დაწყებითი სკოლებისათვის პედაგოგიკის კურსის შექმნის პირველ ცდას. წიგნი აგებულია კომპლექსური სისტემის სწავლების პრინციპებზე და ცალკე გამოკვეთილად არის გაშუქებული ცალკეული სასწავლო დისციპლინები (სახალხო განათლება, 1962).

1939 წელს გამოდის ფსიქოლოგის, სკოლამდელი პედაგოგიკის თეორეტიკოსის, ბარნაბ ხაჭაპურიძის ნაშრომი „დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი სკოლამდელი აღზრდის ზოგიერთ სა-

კითხებთან დაკავშირებით“. ეს იყო პირველი ნაშრომი სკოლამდელ პედაგოგიკაში (მჭედლიძე, 1987). მის კალამს ეკუთვნის „პირველი საბავშვო ბაღის შემოქმედებით-პედაგოგიური მუშაობის შინაარსი“, რომელშიც აშუქებს რა ამ საბავშვო ბაღის აღმზრდელით საქმიანობას, ხაზს უსვამს ნატალია უნაფქოშვილის (საბავშვო ბაღის გამგის) დამსახურებას საქართველოში სკოლამდელი აღზრდის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩასახვა-აღმოცენების საქმეში. 1927 წელს ნ. უნაფქოშვილს საბავშვო ბაღში მიუწვევია ფსიქოლოგი (სტუდენტი ბ. ხაჭაპურიძე), რომელსაც დაევალა საბავშვო ბაღის მუშაობის მეცნიერული შესწავლა. საბავშვო ბაღში, ბ. ხაჭაპურის კვლევის საფუძველზე, სათამაშოების დამუშავება დაიწყო. საბავშვო ბაღის სახელოსნოში ბ. ხაჭაპურიძის ახალი დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების დამუშავების გარდა, იქმნებოდა კლასიკური დიდაქტიკური მასალები (ფრებერი, მონტესორი, დეკროლი). მათ უმრავლესობას დ. უზნაძის განწყობის თეორიის დებულებები ედო საფუძვლად (მჭედლიძე, 1987).

1932 წელს თბილისში მოეწყო დიდაქტიკური მასალისა და სათამაშოების გამოფენა. პირველი საბავშვო ბაღის ექსპონატებმა ყველა სხვა წარმოდგენილი ნიმუშები დაჩრდილა. 1937 წელს დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი-„წკრიალა“, „ფორმების სექტორინა“, „ფერების მასალა“, „მასალა თვლისთვის“ წარდგენილი იქნა რსფსრ-ს სახალხო განათლების კომისარიატის სათამაშოების კომიტეტში, რის შემდეგაც ბ. ხაჭაპურიძეს მიენიჭა ავტორობის უფლება და მისი წარმოების ნება დაერთო. პოპულარიზაციის მიზნით, მისი მოხსენების რეფერატი ჟურნალ „დოქტორთა ვოსპიტანიეში“ გამოქვეყნდა. პირველი საბავშვო ბაღის სახელოსნოს საქმიანობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა, შინაარსით გაცილებით ღრმა და მეცნიერული გახდა. 1936 წლიდან სახელოსნოში მეცნიერ-მუშაკთა ახალი შევსება მოვიდა.

1939 წელს შექმნილი დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიაში განხორციელებული

კვლევების საფუძველზე გამოქვეყნდა: ბ. ხაჭაპურიძის „ახალ დიდაქტიკურ მასალათა შემოწმების შედეგების სკოლამდელი აღზრდის ზოგიერთ ამოცანასთან დაკავშირებით“ და მონოგრაფია „დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი სკოლამდელი აღზრდის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით“. მასში ჩამოყალიბებულია ბ. ხაჭაპურიძის კონცეფცია, აღწერილია დიდაქტიკური თამაშობები. ყოველივე განხილულია განწყობის თეორიის თვალსაზრისით. მოგვიანებით გამოიცა მისი შრომები „გამოკვლევები საბავშვო ბაღის ახალი დიდაქტიკური მასალების შესახებ“ (მჭედლიძე, 1987). ამავე პერიოდში გამოქვეყნდა ქ. მაჩაბლის „სანაპირო ბატარეის პედაგოგიური ეფექტიანობა“, ნ. ლჟავას „საბენიტო ბატარეის პედაგოგიური ეფექტიანობა“, რ. ნათაძის „მიმართულებათა ლოტო“, ბ. ხაჭაპურიძის და ქ. მაჩაბლის „აბსტრაქციის უნარის განვითარება ახალი დიდაქტიკური მასალების მუშაობის პირობებში“, თ. ერისთავის „ახალი დიდაქტიკური მასალებით მუშაობის შესახებ (გამოცდილებიდან)“ და სხვა (იქვე: 92).

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის გასაშლელად. ამ თვალსაზრისით დიდი დამსახურება მიუძღვის აკადემიკოს დიმიტრი უზნაძეს. მან ხელი მოჰკიდა, ერთი მხრივ, ბავშვთა ფსიქოლოგიის, ხოლო მეორე მხრივ პედაგოგიური ფსიქოლოგიის დამუშავებას. რასაც შედეგად მოჰყვა 1947 წელს მისი ავტორობით სახელმძღვანელო წიგნის გამოცემა „ბავშვის ფსიქოლოგია“. ნაშრომში მოცემულია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებების ამომწურავი დახასიათება.

ეს ნაშრომები ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის ნიმუშია. ამ კრებულების მაღალი მეცნიერული დონე იმანაც განაპირობა, რომ მათში დაიბეჭდა ქართული ფსიქოლოგიის მეცნიერების მამამთავრის დ. უზნაძის და რ. ნათაძის სტატიები. საგულისხმოა, რომ 1946 წელს გამოცემულ კრებულში დაიბეჭდა ბ. ანანიევის სტატია „ნებელობითი და ხასიათის განვითარება სკოლამდელ აღზრდაში“.

პირველი საბავშვო ბაღის ლაბორატორიის შესახებ ცნობილი მეცნიერი ბ. ანანიევი 1941 წელს წერდა: „ლაბორატორიის მიერ დამუშავებულია მეთად პროდუქტიული დიდაქტიკური მასალა, რომელიც საგრძნობლად უსწრებს წინ მონტესორის მასალას“, მეორე ნაშრომში, 1945 წელს ბ. ანანიევი კვლავ წერს: „ეს მეთოდი საბჭოთა საბავშვო ბაღის ძირითად მეთოდად იქცა“ (დანყებიითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა, 1987).

1947 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს განკარგულებით ლაბორატორია შეუერთდა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის სექტორს. 1961 წელს გამოქვეყნდა პირველ საბავშვო ბაღთან მჭიდრო კავშირში შექმნილი ნაშრომი „თბილისის პირველი საბავშვო ბაღი“, რომელიც თავისი აგებულებით სკოლამდელი პედაგოგიკის სახელმძღვანელოს უახლოვდება. მასში ძირითადად პირველი საბავშვო ბაღის გამოცდილებათა ასახული.

1948 წელს გამოიცა ბ. ხაჭაპურიძის ფუნდამენტური ნაშრომი-მონოგრაფია „დიდაქტიკური მასალებით მუშაობა საბავშვო ბაღში“. მასში წარმოდგენილია ლაბორატორიაში შექმნილი დიდაქტიკური მასალების სერიები, მოცემულია დიდაქტიკურ მასალათა და თამაშობათა სისტემა, ჩამოყალიბებულია სკოლამდელი აღზრდის ძირითადი პრინციპები.

1971-1973 წლებში საქართველოს განათლების სამინისტრომ ბ. ხაჭაპურიძის, ქ. მაჩაბლისა და ნ. ლეჟავას 13 დასახელების დიდაქტიკური თამაშობანი გამოსცა (დანყებიითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა, 1987).

ეს ნაშრომები გამოირჩევა მეცნიერული გამბედაობით და დიდი პასუხისმგებლობით. მათ საცხებით დამსახურებულად დაიკავეს საპატიო ადგილი ქართული სკოლამდელი პედაგოგიკის ისტორიის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

წარმოდგენილი პარაგრაფი ნათლად წარმოაჩენს საქართველოში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჩამოყალიბების, ინსტიტუციონალიზაციისა და თეორიული გააზრების მრავალფენოვან და ეტაპობრივ პროცესს. ისტორიული ანალიზი ცხადყოფს, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სკოლამდელი აღზრდა საქართველოში ვითარდებოდა არა მხოლოდ სოციალური საჭიროებების (ქალთა დასაქმება, ურბანიზაცია, საქველმოქმედო პრაქტიკა) გავლენით, არამედ პროგრესული პედაგოგიური იდეების ინტენსიური გავრცელებისა და ადაპტაციის გზით. პირველი საბავშვო ბაღებისა და „თავშესაფრების“ ფუნქციონირება საფუძვლად დაედო საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც თანდათან სცილდებოდა წმინდა ფილანტროპულ ჩარჩოებს და იქნდა საგანმანათლებლო და აღმზრდელით შინაარსს.

ჩვენ მიერ გაანალიზებული საარქივო მასალები და პუბლიკაციები ადასტურებს, რომ სკოლამდელი განათლების პროგრამები საქართველოში მუდმივ კავშირში იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტთან. ამავე დროს, მათი შინაარსობრივი განვითარება მნიშვნელოვანწილად ეფუძნებოდა ევროპული პედაგოგიკური აზრის (ფრებელის, პესტალოცის, მონტესორის და სხვ.) შემოქმედებით გააზრებასა და ლოკალურ რეალობასთან მისადაგებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფიო არლუთინსკაია-დოლგორუკოვას როლი, რომელმაც არა მხოლოდ საბავშვო ბაღების ორგანიზებასა და აღმზრდელთა პროფესიულ მომზადებას ჩაუყარა საფუძველი, არამედ სცადა სხვადასხვა პედაგოგიკური სისტემის სინთეზი და მათი კრიტიკული გააზრება თანამედროვე საბავშვო ბაღის კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად.

მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს სკოლამდელი აღზრდის თეორიის განვითარება, რაც ივანე როსტომაშვილის, დიმიტრი უზნაძის და ბარნაბ ხაჭაპურიძის ნააზრევში გამოიხატა. მათი შრომები სკოლამდელ განათლებას განიხილავს როგორც ბავშვის პიროვნების მთლიან და უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს,

სადაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თამაშს, გარემოს, მოძრაობას, თავისუფლებასა და ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბ. ხაჭაპურიძის მეცნიერული საქმიანობა, რომელმაც დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების კვლევითა და ექსპერიმენტული დამუშავებით შექმნა სკოლამდელი პედაგოგიკის ეროვნული სამეცნიერო საფუძველი და ხელი შეუწყო თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას. ამასთან, პირველი სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემა მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა ეროვნული სკოლამდელი პედაგოგიკის კონცეპტუალური ჩამოყალიბების გზაზე.

ამრიგად, საქართველოში ადრეული განათლების ისტორიული განვითარება წარმოადგენს რთულ, მაგრამ თანმიმდევრულ პროცესს, რომელშიც სოციალური მოთხოვნები, სახელმწიფო პოლიტიკა და პედაგოგიკური აზრი ურთიერთდამოკიდებულად და ურთიერთგამომრიცხავად კი არა, ურთიერთშემავსებლად ვითარდებოდა. აღნიშნული ისტორიული გამოცდილება არა მხოლოდ საგანმანათლებლო მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, არამედ თანამედროვე სკოლამდელი განათლების განვითარებისათვისაც წარმოადგენს ღირებულ თეორიულ და პრაქტიკულ საყრდენს.


2.2. საბავშვო ბალების ინსტიტუციური და ორგანიზაციული მოწყობა საქართველოში (ადრეული განათლების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები)

საბავშვო ბალების ინსტიტუციური განვითარება საქართველოში ასახავს განათლების სისტემის საერთო ტრანსფორმაციას, რომელიც დაიწყო საბჭოთა პერიოდიდან გადმოტანილი მოდელების მოდიფიცირებით. სახელმწიფომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად გააძლიერა სკოლამდელი განათლების პოლიტიკა, განსაკუთრებით კანონმდებლობის, სტანდარტების და მონიტორინგის მიმართულებით. დღეს საბავშვო ბალები წარმოდგენილია როგორც მუნიციპალური, ისე კერძო ფორმით, რაც მრავალფეროვან მიდგომებს და მოქნილობას ქმნის. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების გაზიარებული პასუხისმგებლობა მოიცავს ინფრასტრუქტურას, ხარისხს და პროგრამების განხორციელებას. ამ ინსტიტუციური ჩამოყალიბების შედეგად დაინერგა უფრო გამჭვირვალე მართვა, მკაფიო პასუხისმგებლობები და ბავშვთა განვითარების ინტეგრირებული ხედვა, რომელიც მოიცავს სოციალური, საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის კომპონენტებს.

საბავშვო ბალების ეფექტიანი ფუნქციონირება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის დემოგრაფიულ ტენდენციებთან, რადგან მოსახლეობის რაოდენობა და მისი წლიური ცვლილებები განსაზღვრავს სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურული და ორგანიზაციული რესურსების საჭიროებას. დემოგრაფიული მონაცემების აღრიცხვა საშუალებას იძლევა შეფასდეს, რამდენად არის საკმარისი არსებული ბალების რაოდენობა, როგორ უნდა გადანაწილდეს ფინანსური და ადამიანური რესურსები და რომელი რეგიონები საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას. მოსახლეობის ზრდა ზრდის საბავშვო ბალებზე მოთხოვნას, ხოლო კლება - პირიქით, საჭიროებს ოპტიმიზაციას, ქსელის სწორ დაგეგმვას და რესურსების

ეფექტიან მენეჯმენტს. ამდენად, დემოგრაფიული ფონის გაანალიზება წარმოადგენს საბავშვო ბალების პოლიტიკის დაგეგმვის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს.

სურათი 1. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025


2017-2025 წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ამ პერიოდში რჩება შედარებით სტაბილური და მერყეობს 3.69-3.73 მილიონის ფარგლებში. მიუხედავად საერთო სტაბილურობისა, მონაცემებში შეინიშნება მნიშვნელოვანი მერყეობები, განსაკუთრებით 2020-2022 წლებში, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა მცირდება. შემცირება დაკავშირებულია პანდემიის შედეგად გამოწვეულ მიგრაციულ მოძრაობებთან და ზოგადი დემოგრაფიული სტაგნაციით. აღნიშნული ტენდენცია ახდენს პირდაპირ გავლენას საბავშვო ბალებზე: რეგიონებში, სადაც მოსახლეობა კლებულობს, შესაძლოა შემცირდეს ჯგუფების შევსებადობა,

მაშინ როდესაც დიდ ქალაქებში მოთხოვნა კვლავ მაღალი რჩება. 2023 წელს აღინიშნება მოსახლეობის ზრდა, რაც მიუთითებს ნაწილობრივ რეინტეგრაციასა და პანდემიის შემდგომ სტაბილიზაციაზე, თუმცა 2024-2025 წლებში მაჩვენებელი კვლავ უმნიშვნელოდ იკლებს.

წარმოდგენილი დინამიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საბავშვო ბაღების ქსელის დაგეგმვა საჭიროებს მოქნილ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას. სადაც მოსახლეობა იზრდება - აუცილებელია დამატებითი ჯგუფების შექმნა, პერსონალის გაძლიერება და ინფრასტრუქტურული გაფართოება; ხოლო შემცირების მქონე რეგიონებში - რესურსების ოპტიმალური გადანაწილება და არსებული სივრცის რაციონალური გამოყენება. დემოგრაფიული მონაცემების ანალიზი, შესაბამისად, წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელიც უწყობს ხელს სკოლამდელი განათლების სისტემის ეფექტიან, სამართლიან და სტრატეგიულ განვითარებას.

დემოგრაფიული მაჩვენებლები, განსაკუთრებით კი ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროგნოზულ ინდიკატორს საბავშვო ბაღების ქსელის დაგეგმვისას. დაბადებულთა რიცხოვნობა განსაზღვრავს არა მხოლოდ საბავშვო ბაღების მომავალ დატვირთვას, არამედ სწავლების ინფრასტრუქტურის სიმძლავრეებს, პერსონალის საჭიროებასა და პროგრამების შორეულ პერსპექტივაში დაგეგმვის აუცილებლობას. დაბადებულთა რაოდენობის შემცირება ან მატება პირდაპირ ასახავს იმ ტენდენციებს, რომლებიც მომავალ წლებში სკოლამდელ განათლებაში ბავშვთა რაოდენობას ჩამოაყალიბებს. შესაბამისად, ამ დემოგრაფიული პროცესის შესწავლა უზრუნველყოფს წინასწარ პროგნოზირებას და საბავშვო ბაღების სისტემის ოპტიმალური განვითარებისათვის აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღებას.

სურათი 2. ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025

2017-2024 წლების სტატისტიკა ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის მკვეთრ კლებაზე მიუთითებს. თუ 2017 წელს ქვეყანამ 53,293 დაბადებული ბავშვი დააფიქსირა, 2024 წელს მაჩვენებელი 39,483-მდე დაქვეითდა. ეს ნიშნავს, რომ რვა წელიწადში დაბადებულთა რაოდენობა დაახლოებით 25%-ით შემცირდა. ანალოგიურად, შობადობის კოეფიციენტიც - ანუ დაბადებულთა რაოდენობა 1 000 მოსახლეზე - სისტემატურად მცირდება: 2017 წლის 14.3-დან 2024 წლის 10.7-მდე. კლების ეს ტრაექტორია საქართველოს დემოგრაფიულ კრიზისს ასახავს, რომელსაც გავლენა აქვს არა მხოლოდ ზოგად მოსახლეობაზე, არამედ განათლების სისტემის მომავალზე. ცოცხლად დაბადებულთა შემცირება პირდაპირ ნიშნავს, რომ საბავშვო ბალებში ჩასვლის ასაკის მქონე ბავშვთა რაოდენობა მომდევნო წლებში იქნება უფრო დაბალი. მოკლევადიან პერსპექტივაში ეს შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი ჯგუფის არასრულად

შევსება, განსაკუთრებით - რეგიონებში, სადაც ახალგაზრდების მიგრაცია და დაბალი შობადობა უფრო თვალსაჩინოა. დიდ ქალაქებში, მიუხედავად კლებისა, დარჩება შედარებით მაღალი მოთხოვნა, რადგან ურბანული ცენტრები ინარჩუნებენ მოსახლეობის შედარებით მეტ კონცენტრაციას. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, შობადობის დაქვეითება მოითხოვს საბავშვო ბალების ქსელის ოპტიმიზაციას, რესურსების გადანაწილებას და ისეთი მოდელების დანერგვას, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვთა მზარდ დეფიციტს.

ემპირიული მონაცემები ცხადყოფს, რომ დემოგრაფიული ცვლილებები უნდა გახდეს საბავშვო ბალების განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი. დაბადებულთა კლების პირობებში აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მოქნილი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ინფრასტრუქტურული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, ისე იმ ღონისძიებების ჩამოყალიბებას, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ზრდას, მათ შორის - ოჯახების მხარდაჭერას, სოციალური სერვისების გაფართოებას და ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამების გაძლიერებას. წლების მიხედვით წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს საგანმანათლებლო ეკოსისტემის დინამიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული ადრეული ასაკის განათლების ხარისხთან, ხელმისაწვდომობასთან და საბავშვო ბავშვების სისტემის ეფექტიანობაზე. 2018-2024 წლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა რაოდენობის სტაბილური ზრდა (584.4 ათასიდან 640.7 ათასამდე) მიუთითებს, რომ სკოლაში მოსწავლეთა ნაკადები ასახავს იმ კატეგორიას, რომლებიც შედარებით მაღალი შობადობის წლებში დაიბადნენ. თუმცა, აღნიშნული ზრდა მხოლოდ დემოგრაფიული ფაქტორებით არ აიხსნება, აქვე შეიძლება ვივარაუდოთ სასკოლო მზაობის ფაქტორი, კერძოდ, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ადრეულ განათლებას და ბალებში აღსაზრდელთა მომზადების ხარისხს, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში ჩართულობის მაჩვენებლებს და მოსწავლეთა მზადყოფნას სწავლისათვის.

საბავშვო ბალებში ხარისხიანი ადრეული განათლება, როგორც კვლევებით დასტურდება, ზრდის ბავშვთა სოციალურ-კოგნიტიურ უნარებს, აუმჯობესებს განათლების პირველი საფეხურის წარმატებით ათვისების ალბათობას და ამცირებს სკოლის პროგრამის დაუძლეველობით სწავლის შეწყვეტის რისკს. ამდენად, მოსწავლეთა რაოდენობის სტაბილური ზრდა შეიძლება ნაწილობრივ ასახავდეს იმ პროგრესს, რომელიც ადრეულ განათლებაში განხორციელებულმა რეფორმებმა და ინვესტიციებმა მოიტანა - მათ შორის პროგრამების სტანდარტიზაცია, მასწავლებელთა მომზადება და ინკლუზიური მიდგომების განვითარება.

ცხრილი 1: მოსწავლეთა რიცხოვნობა, ზოგად, უმაღლეს დაწესებულებებში

	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ათასი	584.4	592.9	609.1	624.5	633.3	634.3	640.7
სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ათასი	147.7	148.8	157.3	159.8	161.3	177.8	187.8
დოქტორანტების რაოდენობა, ერთეული	3 512	3 976	4 010	3 879	3 638	3 569	3 02

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რაოდენობის მატება (147.7 ათასიდან 187.8 ათასამდე) ასევე დინამიკურად უკავშირდება ადრეულ განათლებაში მიღებულ საფუძვლებს. საერთაშორისო კვლევები მიუთითებს, რომ ადრეულ ასაკში განვითარებული კოგნიტური უნარები და სწავლაზე ორიენტირებული მოტივაცია მნიშვნელოვანად ზრდის შანსს, რომ ინდივიდი მომავალში შეძლებს წარმატებულ ნავიგაციას საშუალო და უმაღლეს განათლე-

ბაში. შესაბამისად, სტუდენტთა რაოდენობის ზრდას შეიძლება განპირობებდეს არა მხოლოდ ინსტიტუციური ხელმისაწვდომობა, არამედ ბავშვობაში ჩამოყალიბებული სასწავლო უნარების გაძლიერება.

დოქტორანტურის დონეზე ფიქსირებული კვლების ტენდენცია (3 512-დან 3 023-მდე) სიგნალს წარმოადგენს უფრო ღრმა სისტემური გამოწვევების შესახებ. მართალია, დოქტორანტურაში ჩართვა მრავალწახნაგოვანი პროცესია და მხოლოდ ადრეული განათლების ხარისხით არ განისაზღვრება, თუმცა კვლევითი კარიერისთვის საჭირო კომპლექსური უნარების საფუძველი სწორედ ადრეულ ასაკში ყალიბდება. ამიტომ, თუ საბავშვო ბალების სისტემა ვერ უზრუნველყოფს შემოქმედებითი აზროვნების, კომუნიკაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარების გაძლიერებას, ეს შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში აისახებოდეს კვლევით მიმართულებებში ჩართულობის შემცირებაზე. საბოლოოდ, წარმოდგენილი სტატისტიკა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ადრეული და სკოლამდელი ასაკის განათლება წარმოადგენს მთლიანი საგანმანათლებლო სისტემის საძირკველს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად განსაზღვრავს როგორც მოსწავლეთა, ასევე სტუდენტებისა და მომავალ მკვლევართა ნაკადებს. შესაბამისად, ბალების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, პედაგოგთა პროფესიული განვითარება და ადრეული განვითარების პროგრამების სისტემური გაძლიერება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოგრაფიული და საგანმანათლებლო მდგრადობისთვის.

საბავშვო ბაღების ინსტიტუციური საფუძვლები

2024-2025 წლების მონაცემებით, საქართველოში 1713 საჯარო ბაღი ფუნქციონირებს, სადაც 137474 აღსაზრდელი და 18347 აღმზრდელი ირიცხება (GEOSTAT, 2025). ბოლო წლების განმავლობაში საბავშვო ბაღების რაოდენობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც ასევე ვრცელდება აღმზრდელ-პედაგოგთა რაოდენობაზეც. ამავ პერიოდში ფიქსირებული კერძო ბაღების რაოდენობა 291-ია (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2025).

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს სამართლებრივი ბაზა საქართველოში მოიცავს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დოკუმენტებს: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, ასევე საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები და კანონქვემდებარე აქტები (საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, 2016). ამ სფეროში მნიშვნელოვან სამართლებრივ ეტაპს წარმოადგენდა 2016 წელს მიღებული კანონი „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ“. იგი აწესრიგებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს; განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას (მუხლი 1). კანონის თანახმად, ადრეული და სკოლამდელი დანებსებულება წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც უზრუნველყოფს ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას ან/და მხო-

ლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებას. დაწესებულება ფუნქციონირებს კერძო ან საჯარო ფორმით და ექვემდებარება ავტორიზაციას. დაწესებულება შემდეგი სახის მომსახურებებს ახორციელებს: ადრეული აღზრდა და განათლება – დაბადებიდან 2 წლამდე (ადრეული) ასაკის ბავშვისთვის და მისი მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის მიწოდებული მომსახურება, რომელიც მოიცავს: მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განათლებასა და მხარდაჭერას, აღნიშნული ასაკის ბავშვზე ბრუნვის დაწესებულების, ჯანმრთელობის დაცვის, კვების, ჰიგიენისა და სანიტარიული უსაფრთხოების, ბავშვთა ადრეული ინტერვენციისა და ინკლუზიური განათლების მომსახურებებს; სკოლამდელი აღზრდა და განათლება - 2 წლის ასაკიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვის ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად მისთვის მიწოდებული საადამრდელი და საგანმანათლებლო მომსახურება. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სავალდებულო კომპონენტია სასკოლო მზაობის პროგრამა; სასკოლო მზაობის პროგრამა - სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის საფუძველზე მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ამ სტანდარტით დადგენილი შედეგების მიღწევას. სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო, უფასო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის (საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, 2016).

საბავშვო ბაღებში ბავშვები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან:

2-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვები - სკოლამდელი განათლების პირველი წელი;

3-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვები – სკოლამდელი განათლების მე-2 წელი;

4-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვები – სკოლამდელი განათლების მე-3 წელი;

5 წლიდან პირველ კლასამდე – სასკოლო მზაობის პროგრამა (სკოლამდელი განათლების მე-4 წელი) (მუხლი 20).

სასწავლო-სააღმზრდელო წელი იწყება და მთავრდება მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ პერიოდებში. სასწავლო დღის ხანგრძლივობა 9 საათს შეადგენს, ხოლო სასკოლო მზაობის პროგრამა დღეში 3 საათია (მუხლი 21). საბავშვო ბაღში სააღმზრდელო-პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებს აღმზრდელო-პედაგოგი და აღმზრდელი (პირი, რომელიც აღმზრდელო-პედაგოგს ეხმარება და სააღმზრდელო ფუნქციებს ახორციელებს) (მუხლი 3). ბავშვის საბავშვო ბაღში მიღების, ან ბაღის დასრულების ასაკი პირდაპირ არ არის განსაზღვრული კანონით, თუმცა მე-20 მუხლის თანახმად, ჯგუფების უმცირესი ასაკობრივი კატეგორიები იწყება 2 წლიდან. შესაბამისად, საბავშვო ბაღში მიღება 2 წლიდან იწყება. ბაღის დასრულება კი სკოლის პირველ კლასში ჩარიცხვას ემთხვევა (საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, 2016). საჯარო საბავშვო ბაღებში პერსონალის დასაქმება ხდება უშუალოდ შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის მიერ დადგენილი პროცედურით და შესაძლებელია, განსხვავებული იყოს მუნიციპალიტეტების მიხედვით. პერსონალისთვის აუცილებელ კვალიფიკაციას, გამოცდილებას, პროფესიულ ცოდნასა და უნარებს პერსონალის კლასტერის მიხედვით, განსაზღვრავენ თითოეული მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ან/და ამ მიზნით დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირები, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა (საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014) და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის (მუხლი 28) შესაბამისად დამტკიცებული ნორმატიული აქტით (პერსონალის პროფესიული სტანდარტით) (საქართველოს

კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, 2016). ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში ძირითადი ინსტიტუციური რგოლებია:

- საქართველოს მთავრობა, რომელიც ამტკიცებს სტანდარტებს და რეგლამენტებს (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო);
- განათლების სამინისტრო ქმნის სტანდარტებს, მეთოდოლოგიას, მონიტორინგის სისტემებს და გადასცემს მუნიციპალიტეტებს;
- მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ ბალების ფუნქციონირებას, მონიტორინგს და დაფინანსებას;
- მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული ან არასამეწარმეო იურიდიული პირი უშუალოდ ახორციელებს დაწესებულების ავტორიზაციას, მონიტორინგსა და კონტროლს (საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, 2016).

კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ან/და ამ მიზნით დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირის მეშვეობით (მუხლი 10); ესენი არიან საჯარო საბავშვო ბალების კოორდინაციისა და მონიტორინგის უწყებები. თავად კანონი არ განსაზღვრავს ასეთი უწყებების სახელწოდებას. შესაბამისად, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მათ არაერთგვაროვანი სახელწოდებით ვხვდებით. მაგალითად, „ბათუმის საბავშვო ბალების გაერთიანება“, „თბილისის ბავა-

ბალების მართვის სააგენტო“, „რუსთავის ბაგა-ბალების გაერთიანება“ და სხვ. 2017 წელს, კანონის მოთხოვნის შესაბამისად (მუხლი 28), საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული რამდენიმე სტანდარტი და ტექნიკური რეგლამენტი, მათ შორის:

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი (2017);
- აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი (2017);
- ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში კვების ორგანიზების და კვებითი ღირებულების ნორმების განმსაზღვრელი ტექნიკური რეგლამენტი (2017);
- ტექნიკური რეგლამენტი ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ (2017).

საბავშვო ბაღების ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტრუქტურა და მართვის მოდელი

საქართველოში საბავშვო ბაღების მართვის ორი ძირითადი მოდელი არსებობს: საჯარო და კერძო. საჯარო ბაღები სრულად მუნიციპალიტეტების მართვაშია, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფინანსებზე, ინფრასტრუქტურაზე, პერსონალზე და ხარისხის ზედამხედველობაზე. კერძო ბაღები უზრუნველყოფენ ალტერნატიულ მომსახურებას უფრო მოქნილი პროგრამებით და განსხვავებული ადმინისტრირების წესებით. ორივე მოდელი ექვემდებარება ავტორიზაციის სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავს უსაფრთხოების, კვების, პერსონალის კვალიფიკაციისა და სასწავლო გარემოს მინიმალურ მოთხოვნებს.

საქართველოს კანონმდებლობით მკაფიოდ დარეგულირებულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფუძნება, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, ავტორიზაციის აუცილებლობა და ის პირობები, რომლებიც ასეთი დაწესებულებების მოქმედებისთვის არის განსაზღვრული. რეგულაციების მიზანია, რომ ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპებზე უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო, სტანდარტებზე დაფუძნებული, სამართლებრივად მოწესრიგებული და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო გარემო, რასაც განაპირობებს სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქციის გამკაცრებული ფორმები. კანონმდებლობა ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებს განიხილავს როგორც იმ სუბიექტებს, რომლებიც არა მხოლოდ ბავშვის მოვლასა და განვითარების ხელშეწყობას ახორციელებენ, არამედ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც ემსახურებიან - კერძოდ, განათლების ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობას, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვას და პროფესიული კადრების შესაბამისობას. სწორედ ამდენად, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია, რომ ასეთი დაწესებუ-

ლებების უფლებრივი სტატუსი და საქმიანობა მკაფიოდ განსაზღვრულ ჩარჩოებში ხდებოდა. კანონი ადგენს, რომ დაწესებულების დაფუძნება შეიძლება როგორც სამეწარმეო (კომერციულ), ისე არასამეწარმეო (არაკომერციულ) სამართლებრივ ფორმაში. დაწესებულების საქმიანობის განხორციელება შეუძლებელია ავტორიზაციის გარეშე. ავტორიზაცია წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დადგენილ ისეთ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ დაწესებულება სრულ შესაბამისობაში იყოს როგორც განათლების ეროვნულ სტანდარტებთან, ისე ინფრასტრუქტურულ, ტექნიკურ, სანიტარიულ, კვებით, პროფესიულ და სხვა ტიპის მოთხოვნებთან. ავტორიზაციის არარსებობა იურიდიულად გამოიწვევს დაწესებულების ფუნქციონირებას. ეს პრინციპი ხაზს უსვამს, რომ ადრეული ასაკის ბავშვის მოვლა და აღზრდა წარმოადგენს არა საბაზრო, არამედ განსაკუთრებულად რეგულირებად სფეროს, სადაც სახელმწიფო პასუხისმგებელია როგორც მომსახურების ხარისხზე, ისე ბავშვთა უფლებების დაცვაზე. ავტორიზაცია ერთჯერადი აქტი არ არის; ის წარმოადგენს მუდმივად მოქმედ პასუხისმგებლობას. დაწესებულება ვალდებულია არა მხოლოდ ავტორიზაციის მიღებისას დააკმაყოფილოს მოთხოვნები, არამედ განაგრძოს მათი დაცვა მთელი საქმიანობის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო იღებს უფლებას შეწყვიტოს დაწესებულების ფუნქციონირება, რაც ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ პრევენციული ზომაა. საქართველოს კანონმდებლობით საბავშვო ბაღის დაწესებულების სტატუსი ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემაში განსაზღვრულია როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტიტუცია, რომელიც ახორციელებს არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ საზოგადოების წინაშე არსებული განსაკუთრებული ვალდებულებების შესრულებას. ის წარმოადგენს ბავშვის განვითარების, უსაფრთხოების, სიღრმისეული განათლებისა და მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლების უფლებრივი ჩართულობის ძირითად გარანტს. ამ მიზნით კანონმდებლობა ადგენს დაწესებულების სამართლებრივ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომ-

ლებიც განკუთვნილია როგორც მისი ოპერაციული საქმიანობის სტრუქტურირებისთვის, ასევე ბავშვის უფლებრივი და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დაცვისთვის. საბავშვო ბაღის დაწესებულების ვალდებულია უზრუნველყოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება, რომელიც მთლიანად ეფუძნება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს. ეს ნიშნავს, რომ ის არა მხოლოდ საქმიანობს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, არამედ უზრუნველყოფს ბავშვთა საერთაშორისო უფლებების პატივისცემას, მათ შორის გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებს, რაც ხელს უწყობს აღზრდისა და განათლების პროცესის სამართლებრივი დაცვობის უზრუნველსაყოფად. კანონმდებლობა აქცენტს აკეთებს ინკლუზიურ განათლებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვის განათლებას, მიუხედავად ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან სხვა განსხვავებებისა. ამ მიდგომის მიზანია ადრეული ასაკის ბავშვების სრულფასოვანი ინტეგრაცია, განსხვავებულ შესაძლებლობებზე მორგებული განათლების მიწოდება და ბავშვის ინტერესების პრიორიტეტული დაცვა. კანონში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯანმრთელობასა და სპორტულ აქტივობას, რაც კანონით განსაზღვრულია როგორც დაწესებულების ვალდებულება. სპორტული აქტივობები და ფიზიკური განტვირთვა ხელს უწყობს ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას, ფიზიკური და ემოციური განვითარების სტიმულირებას, რაც ერთობლივად აფართოებს ბავშვის პიროვნულ, სენსორულ და სოციალური უნარების ჩამოყალიბების შესაძლებლობებს. ამ ნორმების ერთობლიობა ქმნის ისეთ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მაღალ სტანდარტს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი პოლიტიკის განხორციელებას და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას. კანონი განსაზღვრავს, რომ დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ფი-

ზიკური, სენსორული, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან სხვა განსხვავებების მიუხედავად ბავშვებისთვის თანაბარი წვდომა განათლებაზე. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც მჭიდროდ უკავშირდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპს. კანონმდებლობა ასევე ადგენს მექანიზმს იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი კვლავ ვერ არის მზად სკოლაში შესასვლელად - გადაწყვეტილება მიიღება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, აღმზრდელ-პედაგოგის და სპეციალისტების კონსულტაციის საფუძველზე. სასწავლო-სააღმზრდელო წლის და დღის ხანგრძლივობა, კვება და სამუშაო საათები იურიდიულად რეგულირდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვის ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და სწავლების ეფექტურობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციას, თანაფარდობას ბავშვებთან, და შრომის ანაზღაურების სტანდარტებს, რაც გულისხმობს არა მხოლოდ პროფესიული ცოდნის, არამედ ეთიკური და ფსიქოლოგიური კომპეტენციის შესაბამისობას.

საქართველოს კანონმდებლობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დაწესებულების საქმიანობის მუდმივ მონიტორინგს, შეფასებასა და ანგარიშგებას, რაც წარმოადგენს განათლების ხარისხის, უსაფრთხოების და სამართლებრივი შესაბამისობის ერთ-ერთ მთავარ იურიდიულ გარანტს. დაწესებულების შიდა და მუნიციპალური კონტროლის მექანიზმები შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს როგორც სახელმწიფო ინტერესების დაცვა, ისე ბავშვის უფლებრივი და განვითარების ინტერესების ხელშეწყობა. შიდა მონიტორინგი წარმოადგენს დაწესებულების თვითშეფასების სისტემას, რომელიც რეგულარულად უნდა განახორციელოს ადმინისტრაციამ. იგი მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის, ადმინისტრაციული საქმიანობის, ფინანსური ოპერაციების და უსაფრთხოების ზომების რეგულარულ შემოწმებას. შიდა მონიტორინგი და შეფასე-

ბა იძლევა შესაძლებლობას, დაწესებულებამ დროულად გამოავლინოს შეუსაბამობები, გააუმჯობესოს საგანმანათლებლო პროგრამები, გაიზარდოს მომსახურების ხარისხი და უზრუნველყოს ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვა. კანონი ადგენს წინასწარი შეტყობინების გარეშე დასწრებისა და შემოწმების მექანიზმს, რაც ქმნის რეალური კონტროლის საშუალებას. ასევე, მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობისთვის დაწესებულია არასაგეგმური მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც არანაკლებ 10 ბავშვის მშობლის მოთხოვნით ტარდება. ეს უზრუნველყოფს დაწესებულების გამჭვირვალობას, მშობელთა ნდობას და საჯარო ანგარიშვალდებულების მაღალ ხარისხს.

2022 წლიდან დაწყებული ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმა უმნიშვნელოვანესი იყო თავისი მასშტაბურობით, რადგან მოიცვა არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო საბავშვო ბალებიც. რეფორმა მიზნად ისახავდა მათი ფუნქციონირების სტანდარტიზაციას, ავტორიზაციის პროცესის დანერგვით (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2022). თუ საბავშვო ბაღი საჯაროა, ამ შემთხვევაში მისი, როგორც აღმზრდელობითი, ასევე სხვა პროცესები სრულიად ექვემდებარება ბაღების გაერთიანებას, ხოლო კერძო საბავშვო ბაღების შემთხვევაში მისი განსაზღვრა/ფორმირება ხდება დამოუკიდებლად, შესაბამისი სამეწარმეო სუბიექტის მფლობელის-ხელმძღვანელის მიერ.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2024 წელს დამტკიცდა ავტორიზაციის განრიგი, რომლითაც განისაზღვრა 2025-2030 წლამდე პერიოდში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის რიგითობა. დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ასამოქმედებლად, პირველ ეტაპზე შემუშავდა “დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ასამოქმედებლად მეთოდოლოგიური პაკეტის მომზადების კონცეფცია”. სამუშაოები კონცეფციის შესაბამისად განხორციელდა.

ცვლილებები შევიდა „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებაში. ცვლილების მიხედვით, გაფართოვდა დროებითი წესის რეგულირების საზღვრები და დროებითი წესის წარმოდგენილი პროექტი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებთან ერთად შეეხო იმ კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსაც, რომლებსაც სურთ მოიპოვონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების/სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების უფლება. ასევე, დაზუსტდა ის მახასიათებლები, რომელთა საფუძველზეც პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ პროგრამად.

მომზადდა და ცენტრის ვებგვერდზე საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი მეთოდოლოგიური დოკუმენტები: კურიკულუმის შექმნა/შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია; საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის მეთოდოლოგია; პერსონალის მართვის მარეგულირებელი მეთოდოლოგია; დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები; ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი მეთოდოლოგია; სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მეთოდოლოგია; პროცედურების დოკუმენტი ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის. ასევე მომზადდა: 11 მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისი 11 რეგულაცია/წესი; მომზადდა შესაბამისი 11 სატრენინგო მოდული და შესაბამისი მასალები; დაიბეჭდა „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევის“ 300 ეგზემპლარი და გადაეცა დაინტერესებულ მხარეებს. (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2024)

თანამედროვე საბავშვო ბაღებში პროგრამული პრიორიტეტები ემყარება ეროვნული სასწავლო სტანდარტების პრინციპებს, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვის პოლისტურ განვითარებას - კოგნიტურ, ემოციურ, სოციალურ და ფიზიკურ მიმართულებებში. ყურადღება გამახვილებულია თამაშზე დაფუძნებულ სწავლაზე, ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ საქმიანობაზე და ინტეგრირებულ ცოდნაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინკლუზიურ განათლებას. საქართველოში სადამზრდელო დაწესებულებები (საბავშვო ბაღები) ოფიციალურად მიეკუთვნება მუნიციპალური კომპეტენციის სფეროს. ეს ნიშნავს, რომ მათი მართვა და ზედამხედველობა უმეტესად ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ხდება. ცენტრალური დონე - განათლების სამინისტრო - არ ხელმძღვანელობს უშუალოდ ბაღებს, თუმცა განსაზღვრავს ეროვნულ სტანდარტებს, მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს და უზრუნველყოფს ზოგად მონიტორინგს ადრეული განათლების ხარისხზე, კერძოდ:

- განსაზღვრავს ეროვნულ პოლიტიკასა და სტანდარტებს;
- ამტკიცებს საგანმანათლებლო სტანდარტებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის ჩარჩოს;
- ახორციელებს ზოგად ხარისხის მონიტორინგს და მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს;
- უზრუნველყოფს კოორდინაციას, განსაკუთრებით რეფორმების მიმდინარეობისას;
- საბავშვო ბაღების მმართველობა ძირითადად მუნიციპალიტეტებშია გადანაწილებული.

მუნიციპალური უფლებამოსილებები მოიცავს:

- ბაღების ფინანსირება (ბიუჯეტის დამტკიცება, ინფრასტრუქტურა, სერვისები);
- ადმინისტრაციის დანიშვნა/გათავისუფლება;
- აღმზრდელებისა და პერსონალის შერჩევა, ხელფასები, ატესტაცია;

- საბალო ქსელის ოპერირება (ბალების გახსნა/დახურვა, განაწილება უბნებში);
- კვების, უსაფრთხოების, სანიტარიული მოთხოვნების ზედამხედველობა;
- მშობელთა მომსახურების სტანდარტების უზრუნველყოფა.

სტრუქტურაში ჩვეულებრივ შედის: მუნიციპალური ბალების გაერთიანება ან „ბაგა-ბალების სააგენტო“. ბალების ორგანიზაციული სტრუქტურა ეფუძნება პერსონალის მკაფიო როლებსა და პასუხისმგებლობებს: აღმზრდელები, დამხმარე პედაგოგები, ფსიქოლოგები, ადმინისტრაცია და ტექნიკური თანამშრომლები ერთობლივად უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის უწყვეტ მუშაობას. მათგან მოითხოვება შესაბამისი კვალიფიკაცია, რეგულარული გადამზადება და პროფესიული განვითარება. ინფრასტრუქტურის მართვა მოიცავს შენობების უსაფრთხოებას, სანიტარულ ნორმებს, სათამაშო გარემოს და კვებით სტანდარტებს. ფინანსური ადმინისტრირება დამოკიდებულია მუნიციპალიტეტებზე ან კერძო მენეჯმენტზე, რაც გავლენას ახდენს სერვისის ხარისხზე. საქართველოს კანონმდებლობით შემუშავებული მოდელი ქმნის მკაცრად სტრუქტურირებულ, სამართლებრივად გამჭვირვალე და ხარისხზე ორიენტირებულ სისტემას, სადაც დანერგულების საქმიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ დაფუძნების ფაქტზე, არამედ სტანდარტების დაცვასა და მუდმივ ზედამხედველობაზე. ასეთი მიდგომა ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს გარდაქმნის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გვევლინება, რომელიც ბავშვის კეთილდღეობასა და სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის სტაბილურ/მდგრად განვითარებას ემსახურება.

2.3. უმაღლესი განათლების როლი ადრეულ განათლებაში და აღმზრდელ-პედაგოგთა მომზადება

ადრეული განათლების როლი და ფუნქცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადრეული ბავშვობა წარმოადგენს ადამიანის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს, რადგან სწორედ ამ პერიოდში ფორმირდება ფიზიკური, კოგნიტური, სოციალური და ემოციური უნარების საფუძველი. ეს უნარები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბავშვის შემდგომი პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისთვის, არამედ ასევე განსაზღვრავს მის შესაძლებლობას ჩამოყალიბდეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად და განივითაროს წარმატებული ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარები. შესაბამისად, მაღალი ხარისხის ადრეული განათლების უზრუნველყოფა მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ინდივიდის კეთილდღეობაში, ისე საზოგადოების მდგრადი განვითარების მხარდაჭერაში.

ადრეული განათლება მოიცავს ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლებას დაბადებიდან დაახლოებით 8 წლამდე. ეს არის ფართო ტერმინი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს საბავშვო ბაღებს, ასევე სკოლამდელ დაწესებულებებს (Silkevich, 2023).

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ ადრეული განათლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას როგორც ბავშვის მომავალი აკადემიური, პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის, ისე საზოგადოების განვითარებისთვისაც. კვლევები სრულიად განსხვავებული დისციპლინების, მათ შორის - ნეირომეცნიერების, ეკონომიკის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის ფარგლებში ხორციელდება. ნეირომეცნიერებაში განხორციელებულ კვლევათა შედეგები ცხადყოფს, რომ ადამიანის ტვინი ყველაზე ინტენსიურად სწორედ სკოლამდელ ასაკში ვითარდება. ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბავშვი მასტიმულირებელ და უსაფრთხო გარემოში იზრდებოდეს, სადაც ის

თავს დაცულად იგრძნობს, საშუალება მიეცემა, განივითაროს სხვადასხვა უნარი და დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა. კვლევის შედეგები ცხადყოფს იმასაც, რომ ბავშვის კოგნიტურ და ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა და განათლება განუყოფელია ერთმანეთისგან: „ერთი მხრივ, ბავშვების სიყვარული და, მეორე მხრივ, მათი სწავლება თავისთავად, ცალ-ცალკე, არ არის საკმარისი ბავშვის ოპტიმალური განვითარებისთვის“ (ჯანელიძე, 2015).

სკოლამდელი განათლების მომსახურება უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას წარმოადგენს ქვეყნის გრძელვადიან განვითარებაში. ბავშვთა შემეცნებითი პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობა ცხოვრების ადრეულ ეტაპზე უმნიშვნელოვანესია თითოეული ბავშვის შესაძლებლობათა მაქსიმალური განვითარებისთვის. საერთაშორისო კვლევამ აჩვენა, რომ კარგად ორგანიზებული სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს სკოლებში მოსწრების გრძელვადიან გაუმჯობესებას, მათ შორის - უფრო მაღალი ნიშნების მიღებას, კლასში ჩარჩენილი ბავშვების რაოდენობის კლებას და უკეთეს საგანმანათლებლო მიღწევებს, უნივერსიტეტებში ჩარიცხვის ჩათვლით. ეკონომიკურმა გათვლებმა აჩვენა, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტიციაა, რომელიც ქვეყანამ შეიძლება განახორციელოს. მას უკუვების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს საზოგადოებისთვის. საერთაშორისო კვლევებმა, ძირითადად, აშშ-სა და ევროპაში, აჩვენა, რომ სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა იწვევს: უმუშევრობის კლებას, სახელმწიფოს სოციალურ მომსახურებაზე დამოკიდებულების შემცირებას, დამნაშავეობის კლებას, ჯანმრთელობის უკეთეს მდგომარეობას, შემოსავლების მატებას და, შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების ზრდასაც (ჯანიაშვილი & ფალელაშვილი, 2014).

სკოლამდელ პერიოდში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ბავშვს მნიშვნელოვანწილად ეხმარება იმ მომდევნო საფეხურების გადალახვაში, რომლებიც სასკოლო პერიოდში დახვდება წინ. ამ პერიოდში, გარდა იმისა, რომ ბავშვი ივითარებს კოგნიტურ შემეცნებით სფეროებს, დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური ურთიერთობების განვითარებასაც. ის სრულიად ახალ გარემოში ხვდება, მის-

თვის ყველაფერი უცხოა, მათ შორის - თანატოლებიც. ბავშვი გარკვეული ხნით სწყდება ოჯახურ გარემოს. სკოლამდელი დაწესებულება მისთვის ახალი შემეცნების სამყარო ხდება. თანატოლებთან კონტაქტი და კომუნიკაცია განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. ის, რასაც ბავშვი სკოლამდელ დაწესებულებაში იღებს და აგროვებს, განსაზღვრავს მის სასკოლო მზაობას, იმას, რამდენად არის ბავშვი მზად ახალ და შედარებით რთულ ეტაპზე გადასასვლელად. კიდევ ერთი დადებითი მხარე, რაც სკოლამდელი განათლების დაწესებულებებს აქვთ, ის არის, რომ ბავშვს ისინი უქმნიან ადაპტაციურ გარემოს, რომელიც მიმსგავსებულია, მიახლოებულია სასკოლოსთან. ბავშვისთვის სკოლის ეტაპზე გადასვლა შოკის მომგვრელი არ უნდა იყოს. სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში სიარულის შემდეგ მას უფრო მეტად უადვილდება იმ ბაზისური პროგრამების დაუფლება და ათვისება, რაც სკოლაში ეძლევა. მისი აკადემიური მოსწრებაც, შესაბამისად, უკეთესი იქნება. ის უნარები, რომლებიც სასკოლო პროგრამის დასაუფლებლად ააჩირო, მას განსაზღვრულ დონეზე უკვე ათვისებული აქვს სკოლამდელ პერიოდში, ამიტომ მისთვის ნაკლებად პრობლემური იქნება სასკოლო დავალებების შესრულება (ჯანიაშვილი & ფალელაშვილი, 2014).

როგორც ვ. ჯანიაშვილი და ლ. ფალელაშვილის თანახმად, კვლევები აჩვენებენ, რომ ხარისხიანი ადრეული განათლება მნიშვნელოვნად ახდენს ბავშვის შემდგომი განვითარების სხვადასხვა ასპექტზე. ბავშვები, რომლებიც იღებენ მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებას, გამოხატავენ უკეთ განვითარებულ ენობრივ უნარებს, მაღალი შედეგებით გამოდიან სკოლისთვის მოსამზადებელ ტესტებში, ამჟღავნებენ ძლიერი სოციალური უნარებს და ნაკლებად განიცდიან ქცევით პრობლემებს. გარდა ამისა, ისინი უკეთ ფლობენ წერა-კითხვისა და საბაზისო მათემატიკურ უნარებს, რაც ამარტივებს სასწავლო მასალის ათვისებასა და წერთა და კითხვით სრულყოფილად დომინირებას, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია დაწყებითი განათლების წარმატებისთვის. ექსპერიმენტული კვლევები აჩვენებენ, რომ ბავშვების დაახლოებით 40%-ს, რომლებმაც მიიღეს ხა-

რისხიანი სკოლამდელი განათლება, ნაკლებად სჭირდება დამატებითი სასწავლო კურსები (მაგალითად, რეპეტიტორები ან კერძო მასწავლებლები), ისინი უკეთესად აბარებენ სასკოლო გამოცდებს, განსაკუთრებით 9-12 წლამდე პერიოდში, და ამთავრებენ სკოლას სრული საფეხურებით, ხოლო შემდგომში ორჯერ უფრო ხშირად აბარებენ უმაღლეს სასწავლებელს იმ მოზარდებთან შედარებით, რომლებსაც სკოლამდელი განათლება არ მიუღიათ. შემდგომ, მოზარდობის პერიოდში (18 წლამდე), მსგავსად წინა ასაკობრივი ეტაპისა, ხარისხიანი სკოლამდელი განათლება მიღებულ მოსწავლეებს უზრუნველყოფს უკეთეს შედეგებს სასკოლო ტესტირებებში, ზრდის ცოდნის მიღების მოტივაციას, კითხვის აქტივობას, ამცირებს გაკვეთილების ჩაშლის მიდრეკილებას და კავშირშია ნაკლებ კრიმინალურ ქცევებთან (ჯანიაშვილი & ფალელაშვილი, 2014). ასეთი კვლევები ხაზს უსვამენ ადრეული განათლების მნიშვნელოვან როლს ბავშვთა განვითარების მრავალმხრივი თვალსაზრისით და იმედს აძლევს, რომ ინვესტიცია ადრეული განათლების სფეროში იძლევა მნიშვნელოვან გრძელვადიან შედეგებს.

კვლევები განვითარების ფსიქოლოგიასა და განათლების მეცნიერებაში ცხადყოფს, რომ სკოლამდელი ასაკი კოგნიტური, ემოციური, მეტყველებისა და სოციალური განვითარებისთვის კრიტიკული პერიოდია. სწორად დაგეგმილი ადრეული განათლება ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივი უნარების განვითარებას, სკოლისთვის მის მომზადებას და წარმატებას მომავალ ცხოვრებაში (ჯანელიძე, 2015).

საერთაშორისო კვლევები ხაზს უსვამს ადრეული განათლების კრიტიკულ როლს ბავშვის შემდგომ აკადემიურ და სოციალურ წარმატებაში. OECD-ის, UNESCO-სა და მსოფლიო ბანკის მრავალწლიანი მონაცემები ადასტურებს, რომ ბავშვის კოგნიტური, ენობრივი და სოციალური უნარების ინტენსიური განვითარება სწორედ 0-6 წლამდე ასაკში მიმდინარეობს და ამ პერიოდში მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო გამოცდილება მნიშვნელოვნად ზრდის სკოლაში ადაპტაციის, სწავლის მოტივაციისა და განათლებაში წარმატების ალბათობას. კვლევების თანახმად, ადრეული განათლების ხარისხი

განსაკუთრებით მოქმედებს მოწყვლად ჯგუფებზე, ამცირებს უთანასწორობას და აუმჯობესებს გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს (UNESCO, 2016; OECD, 2020).

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემის საფუძველს, რომელიც ბავშვს ამზადებს სასკოლო სწავლისთვის. მისი ძირითადი ფუნქციებია: ბავშვის განვითარება შემეცნებითი, მატორული, მეტყველებისა და სოციალურ-ემოციური უნარების მიმართულებით, საგანმანათლებლო მხარდაჭერა, რომელიც სტიმულირებს შემეცნებას და აძლიერებს მშობლებისა და სკოლის თანამშრომლობას, პრევენცია, რაც უზრუნველყოფს პრობლემების დროულ გამოვლენას და ინტერვენციის ეფექტურობას, ინკლუზია, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვების სასკოლო მზაობას, და ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანსაღ კვებას, უსაფრთხო გარემოს და ფსიქო-ფიზიკური განვითარების ოპტიმალურ პირობებს (ბასილაძე, ბალანჩივაძე, & ბერუჩაშვილი, 2018).

საქართველოში ადრეული განათლების ინსტიტუციურმა გარემომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციები გაიარა. გარდამავალი პერიოდის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გამონწვევები შესაბამის რეაგირებას მოითხოვდა. ამიტომ, ქვეყანას გარკვეული პერიოდი დასჭირდა ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროზე ყურადღების გადასატანად (ბოლქვაძე, 2025).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს სკოლამდელი განათლების სექტორი ბევრი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. 1990-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისებმა, პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ საქართველოს თითქმის ყველა სექტორის, მათ შორის საბავშვო ბაღების, ფუნქციონირება შეაფერხა. ამის შედეგად სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობა აღნიშნული ათწლეულის განმავლობაში 44.6%-დან (1989-90 წ.წ.) 28.3%-მდე დაეცა (2001-02 წ.წ.). სიტუაციის გამოსწორება 2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, როდესაც ჩართულობის მაჩვენებელი 10 პროცენტზე მეტით

გაიზარდა 2001-02-დან 2005-06 სასწავლო წლამდე პერიოდში. შემდგომში აღინიშნებოდა სტაგნაცია და სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის ოდნავ შემცირება (ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, 35.9%, 2007-8 სასწავლო წელს აღინიშნა). ეს შეიძლება მიეწეროს 2005 წელს განხორციელებულ სკოლამდელი განათლების რეფორმას, რომელმაც სახელმწიფო სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება მუნიციპალურ მთავრობებს დააკისრა. ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა მოახერხა ახალი საბავშვო ბაღის აშენება, მაგრამ ბაღების უმრავლესობა სარემონტო გახდა და დაიხურა ფინანსური რესურსების უქონლობის გამო. დეცენტრალიზაციის რეფორმიდან ორი წლის განმავლობაში, 2005-06-დან 2007-08 სასწავლო წლამდე, სახელმწიფო სკოლამდელ დაწესებულებათა რაოდენობა 64-ით შემცირდა. 2008 წლიდან სიტუაციამ გაუმჯობესება დაიწყო როგორც ბავშვების ჩართულობის, ასევე მოქმედი საბავშვო ბაღების რაოდენობის მხრივ. აღინიშნებოდა საჯარო საბავშვო ბაღების (ბავშვების ჩათვლით) რაოდენობის ზრდა და მაღალი ჩართულობა, აგრეთვე არსებული ობიექტების უფრო რაციონალური გამოყენება (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევითი ინსტიტუტი, 2012).

შემოხსენებულიდან გამომდინარე, ადრეული განათლება წარმოადგენს როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი განვითარების საფუძველს. როგორც ნეირომეცნიერების, ისე განათლების მეცნიერებების მრავალრიცხოვანი კვლევები ერთმანეთს ემთხვევა იმ თვალსაზრისით, რომ ბავშვის ტვინის, კოგნიტიური, სოციალური და ემოციური სფეროების უმაღლესი განვითარების ტემპი სწორედ 0-8 წლამდე ინტენსიურ პერიოდთან არის დაკავშირებული, რაც ადასტურებს ადრეული გამოცდილების გადამწყვეტ მნიშვნელობას. ადრეული განათლების მაღალი ხარისხი არა მხოლოდ ხელს უწყობს ბავშვის შემეცნებითი უნარების, ენობრივი კომპეტენციებისა და სოციალური შესაძლებლობების განვითარებას, არამედ უზრუნველყოფს მის სასკოლო მზაობას და ზრდის წარმატების ალბათობას როგორც დაწყებით, ისე შემდგომ საფეხურებზე. ამავდროს, ადრეულ ასაკში განათლების ხარისხი მნიშვნელოვანი ფაქ-

ტორია სოციალური უთანასწორობის შემცირებისა და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისთვის, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ სფეროში სახელმწიფო ინვესტიციების მნიშვნელობას.

ადრეული განათლება მხოლოდ ცალკეული ინდივიდის პერსონალურ განვითარებაზე ავლენს გავლენას, არამედ იგი დიდი მასშტაბით აისახება ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურაზეც. როგორც ემპირიული კვლევები აჩვენებს, ხარისხიანი სკოლამდელი განათლება გრძელვადიან პერსპექტივაში ამცირებს უმუშევრობას, ზრდის მოსახლეობის პროდუქტიულობას, ამცირებს დანაშაულის მაჩვენებელს და ზრდის საზოგადოებისთვის ეკონომიკურ უკუგებას. შესაბამისად, ადრეული განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი განუყოფელი კომპონენტებია სახელმწიფოს მდგრადი განვითარების პოლიტიკისა.

საქართველოს მაგალითი ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო და ინსტიტუციური ცვლილებები პირდაპირ მოქმედებს სკოლამდელი განათლების სექტორის ფუნქციონირებასა და ბავშვების ჩართულობაზე. 1990-იანი წლების მძიმე პირობების ფონზე, ქვეყანამ შეძლო თანმიმდევრული გაუმჯობესება, ხოლო განხორციელებულმა რეფორმებმა, გზა გაუხსნა ჩართულობის ზრდასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას მიუხედავად გარკვეული გამოწვევებისა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევითი ინსტიტუტი, 2012; ბოლქვაძე, 2025).

ამრიგად, წარმოდგენილი ანალიზი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ადრეული განათლება არის არა მხოლოდ ბავშვის პიროვნული და აკადემიური წინსვლის წინაპირობა, არამედ სოციალური სამართლიანობის, ეკონომიკური ეფექტიანობის და სახელმწიფოს გრძელვადიანი წარმატების სტრატეგიული საფუძველი. მისი ხარისხიანი ორგანიზება და მხარდაჭერა რჩება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტად თანამედროვე საგანმანათლებლო პოლიტიკაში, რადგან სწორედ ამ ეტაპზე ჩაყრილი საფუძველი განსაზღვრავს მომავალი თაობის შესაძლებლობებსა და ქვეყნის განვითარების ტრაექტორიას.

აღმზრდელის როლის მნიშვნელობა

პროფესიონალი აღმზრდელი წარმოადგენს ადრეული განათლების უმთავრეს კომპონენტს, რადგან სწორედ მისი ქმედებები განსაზღვრავს ბავშვის განვითარების გარემოს ხარისხსა და სტიმულირებაზე ორიენტირებულობას. თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ აღმზრდელის განათლება, პედაგოგური კომპეტენციები და ემოციური ჩართულობა პირდაპირ კავშირშია ბავშვების ენობრივი, კოგნიტიური და სოციალურ-ემოციური უნარების ჩამოყალიბებასთან. მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები უკეთ ახორციელებენ ინდივიდუალიზებულ მიდგომებს, პოზიტიური დისციპლინის მეთოდებსა და თამაშზე დაფუძნებულ სწავლებას. შესაბამისად, პროფესიონალი აღმზრდელი არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესის აღმასრულებელი, არამედ ბავშვის განვითარების კატალიზატორია, რომლის მზადყოფნაც განსაზღვრავს მთელი სისტემის ეფექტიანობას. ადრეული განათლების სფეროში მასწავლებლები და აღმზრდელები ყურადღებას ისეთი საბაზისო განათლების მიწოდებაზე ამახვილებენ, რომელიც ბავშვს სწორი ტემპით ზრდისა და განვითარების საშუალებას აძლევს (Silkevich, 2023).

ადრეული ასაკის განათლების კვალიფიციური აღმზრდელ-პედაგოგი, მუშაობს ადრეული ასაკის ბავშვებთან სხვადასხვა გარემოში, მათ შორის სკოლამდელ დაწესებულებებში, საბავშვო ბაღებში. მათი მთავარი პასუხისმგებლობაა ისეთი უსაფრთხო, განვითარებაზე ორიენტირებული და მხარდაჭერი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას. ადრეული ბავშვობის პედაგოგებს შეუძლიათ დაგვემონ და განახორციელონ ასაკის შესაბამისი აქტივობები, შეადგინონ გაკვეთილის გეგმები, შეაფასონ ბავშვების ინდივიდუალური განვითარება და შესთავაზონ მხარდაჭერა როგორც ბავშვებს, ისე მათ ოჯახებს (Western Community College, 2023). ადრეული განათლების დაწესებულებებში შექმნილი ეფექტური საგანმანათლებლო

პროგრამები მიზნად ისახავს ბავშვებისთვის სოციალური უნარების მოდელირებას და სწავლებას, რაც აუცილებელია ბავშვების საზოგადოებაში კეთილდღეობისთვის. ქცევითი მოლოდინებისა და შედეგების შექმნა, ეხმარება ბავშვებს გაეცნონ, რა არის მისაღები ქცევა საზოგადოებაში და რომელი ქცევები მოითხოვს კორექციას. ეს პროცესი კი დამატებით მოტივაციას უქმნის მათ, სწორად მოიქცნენ. ასაკობრივად შესაბამისი კონცეფციების შეთავაზება ასევე ეხმარება ბავშვებს მიიღონ ის ფუნდამენტური აკადემიური უნარები და ცოდნა, რომლებიც მათ დაწყებით სკოლაში წარმატებისთვის ჭირდებათ. აღმოჩენით სწავლებაზე დაფუძნებული ეფექტური პროგრამების გამოყენებით, ადრეული ბავშვობის პედაგოგები ბავშვებში აყალიბებენ სწავლებისადმი ინტერესს და სწავლების სიყვარულს - ხარისხს, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ მომავალ აკადემიურ და სოციალურ წარმატებას (Sunrise Children's Foundation, თ. გ.).

საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს მიიღო საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, ხოლო 2017 წელს დაამტკიცა სახელწიფო სტანდარტები, მათ შორის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, რომელშიც განწერილია ის კვალიფიკაცია და პროფესიული მახასიათებლები, რომელსაც აღმზრდელ-პედაგოგი უნდა ფლობდეს. ამ სტანდარტის დანერგვის ხელშესაწყობად, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ რიგი ღონისძიებები განახორციელა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიქმნა და დამტკიცდა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“, რომელიც 66 საათს მოიცავს და აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებისა და პროფესიული განვითარების სავალდებულო ეტაპია. მასში გათვალისწინებულია შემდეგი თემატიკა: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მნიშვნელობა და ძირითადი პრინციპები, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები და კუ-

რიკულუმები, ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებები, ბავშვზე დაკვირვება და შეფასება, მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა, ბავშვთა კეთილდღეობა და ბავშვის უფლებები, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოს მახასიათებლები, გარემოს უნივერსალური დიზაინი, დღის განრიგი, თამაში და მისი მნიშვნელობა, ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობი აქტივობები, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი (საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი, 2024).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2017 წელს დამტკიცდა აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული სტანდარტი, რაც მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს პროფესიონალიზაციის პროცესში.

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი განსაზღვრავს იმ ცოდნას, პროფესიულ უნარებს, ღირებულებებსა და ეთიკურ დამოკიდებულებებს, რომლებიც აუცილებელია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისთვის. სტანდარტის ძირითადი მიზანია საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება და ბავშვზე ორიენტირებული პრაქტიკის გაძლიერება. იგი სავალდებულოა ყველა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგისთვის, მიუხედავად დაწესებულების სამართლებრივი სტატუსისა.

პროფესიული სტანდარტი მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს:

- (ა) აღმზრდელ-პედაგოგის განათლება, რომელიც განსაზღვრავს საჭირო აკადემიურ კვალიფიკაციასა და სამუშაო გამოცდილებას;

- (ბ) პროფესიული მახასიათებლები, რომლებიც აერთიანებს დარგობრივ ცოდნას, პედაგოგიურ უნარებს, ღირებულებებსა და პროფესიულ ეთიკას;
- (გ) სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემო და პროცესი, რაც გულისხმობს უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფას და ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობას;
- (დ) უწყვეტი პროფესიული განვითარება და თვითგანვითარება, რომელიც ფოკუსირებულია პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებასა და კოლეგიალურ თანამშრომლობაზე.

სტანდარტი ასევე მკაფიოდ განსაზღვრავს აღმზრდელ-პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, როგორც გარდამავალ პერიოდში (2024 წლის 1 სექტემბრამდე), ისე შემდგომ პერიოდში. 2024 წლის 1 სექტემბრიდან დასასაქმებელი აღმზრდელ-პედაგოგებისთვის უპირატესობა ენიჭება სკოლამდელი განათლების სფეროში მიღებულ აკადემიურ განათლებას ან მონათესავე მიმართულებებს შესაბამისი გადამზადების სავალდებულო გავლით. ანალოგიური მოთხოვნები ვრცელდება მუსიკის აღმზრდელ-პედაგოგებზეც, რომლებიც უნდა ფლობდნენ შესაბამის სამუსიკო განათლებას.

პროფესიული მახასიათებლების ნაწილი ასახავს აღმზრდელ-პედაგოგის კომპეტენციებს ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით სწავლების პროცესის ორგანიზებაში. სტანდარტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვზე ორიენტირებულ, ჰუმანურ და ინკლუზიურ მიდგომებს, ეფექტურ კომუნიკაციას, ეთიკურ პასუხისმგებლობასა და მშობლებთან თანამშრომლობას. ხაზგასმულია თამაშზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელობა, როგორც ბავშვის განვითარების ძირითადი მეთოდი, ასევე მრავალფეროვანი მეთოდოლოგიების გამოყენება, მათ შორის შერეული ასაკობრივი ჯგუფებთან მუშაობისას. სტანდარტი უზრუნ-

ველყოფს აღმზრდელ-პედაგოგის მზადყოფნას ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ, სოციალურ-ემოციურ, კოგნიტურ, ენობრივ და ადაპტურ განვითარებას, თანამედროვე კვლევებსა და ეროვნულ საგანმანათლებლო ჩარჩოებზე დაყრდნობით (აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, 2018).

სტანდარტი ქმნის ერთიან ნორმატიულ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს პროფესიის იდენტობას, ამყარებს პროფესიულ პასუხისმგებლობას და ზრდის სფეროში დასაქმებული პირების ანგარიშვალდებულებას საგანმანათლებლო ხარისხის მიმართ. კვალიფიკაციის, კომპეტენციებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მკაფიოდ ფორმულირებული მოთხოვნები ხელს უწყობს აღმზრდელ-პედაგოგის როლის ტრანსფორმაციას ზრუნვაზე ორიენტირებული ფუნქციიდან აკადემიურად და ეთიკურად გამართული პროფესიული საქმიანობისკენ. ამასთან, სტანდარტი უზრუნველყოფს თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირის გაძლიერებას, ამადლებს ბავშვზე ორიენტირებული და ინკლუზიური მიდგომების ინსტიტუციონალიზაციის შესაძლებლობას და ქმნის საფუძველს პროფესიული განვითარების სისტემური შეფასებისა და გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად, პროფესიული სტანდარტი არა მხოლოდ რეგულირების ინსტრუმენტია, არამედ წარმოადგენს სტრატეგიულ მექანიზმს ადრეული განათლების ხარისხის მდგრადი განვითარებისათვის.

ზემოხსენებული ტრენინგ-მოდულის პირველი ვერსია 2018 წელს დამტკიცდა. 2018-2019 წწ. ამ მოდულით გადამზადდა სკოლამდელი დანესებულებების/საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებების 526 მეთოდისტი. ტრენინგ-მოდულის განახლებული ვერსია 2020 წელს დამტკიცდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის №68/ნ ბრძანებით, მისი ონლაინ ვერსია კი - 2021 წლის 13 აგვისტოს, 70/ნ ბრძანებით. განახლებულ ვერსიაში განსაზღვრულია მოთხოვნები მისი მიწოდების მსურველი ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმებისა და შერჩევის პროცედურების შესახებ. ამ მოთხოვნების შესაბამისად, ცენტრმა სამჯერ ჩაატარა კონ-

კურსი მსურველი ორგანიზაციების შესარჩევად, გამოვლენილი და გადამზადებულია 12 ორგანიზაცია (საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი, 2024).

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის განმახორციელებელ ორგანიზაციებს 2021 წლიდან დღემდე გადამზადებული ჰყავთ 3027 პირი, მათგან 1895-მა წარმატებით გაიარა ეს ტრენინგ-მოდული. ამას გარდა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, „ადრეული განათლების კურიკულუმის თამაში“ დანერგვის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სამიზნე მუნიციპალიტეტებში, 2022 წლიდან დღემდე, 24 მუნიციპალიტეტიდან გადამზადებული ჰყავს 584 საგანმანათლებლო პერსონალი და ადმინისტრაციის 201 წარმომადგენელი. ადრეული ინკლუზიური განათლების მიმართულებით კი - 487 პირი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2019 წელს მუნიციპალიტეტების შესაბამისი იურიდიული ერთეულებიდან შემოსული ინფორმაციის მიხედვით, დასაქმებული აღმზრდელებიდან საქართველოს მასშტაბით უმაღლესი განათლება და ოთხწლიანი და მეტი სამუშაო გამოცდილება აღმზრდელის პოზიციაზე მუშაობისა, აქვს 3999 აღმზრდელს, ხოლო პროფესიული განათლება სკოლაშეღებილი განათლების მიმართულებით - 1239 აღმზრდელს. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს განათლებისა და სტაჟის მიმართ, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების შესაბამისი იურიდიული ერთეულებიდან 2019 წელს მიღებული ინფორმაციის თანახმად, აკმაყოფილებდა სულ 5 238 დასაქმებული აღმზრდელი. მუნიციპალიტეტებიდან 2022 წელს გამოთხოვილი ინფორმაციით, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულია 8450 აღმზრდელი და 6618 აღმზრდელის თანაშემწე, 1658 მუსიკის პედაგოგი, 669 ფსიქოლოგი, 499 სპეციალური პედაგოგი და 547 მეტყველების თერაპევტი. თუ გავითვალისწინებთ აღმზრდელ-პედაგოგი/აღ-

მზრდელი/ბავშვის თანაფარდობის დაცვის პრინციპებს და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონს, რომლის შესაბამისადაც, 2-დან 3 წლამდე ჯგუფში არ უნდა იყოს 1:13-ზე მეტი, ხოლო 3-დან 4, 4-დან 5 წლამდე და სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში 1:15-ზე მეტი, საჭირო იქნება გაცილებით მეტი რაოდენობის საგანმანათლებლო პერსონალი, შეიძლება ითქვას, რომ აღმზრდელ-პედაგოგთა/აღმზრდელთა რაოდენობა და კვალიფიკაცია არ არის საკმარისი (საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი, 2024).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადრეული ასაკის განათლებაში აღმზრდელის როლი არის არა მხოლოდ ფუნქციური, არამედ სისტემის ხარისხისა და ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი. თანამედროვე კვლევები და საერთაშორისო პრაქტიკა დამატურებად ადასტურებს, რომ აღმზრდელის პროფესიული კომპეტენციები, პედაგოგიური ცოდნა, ემოციური სენსიტიურობა და ბავშვთან ურთიერთობით გამოწვეული ჩართულობა პირდაპირ მოქმედებს ბავშვების ენობრივ, კოგნიტიურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე. პროფესიონალ აღმზრდელს პირდაპირი გავლენა აქვს ბავშვის განვითარებაზე, რომელიც ისეთი გარემოს ფორმირებას უწყობს ხელს, სადაც ბავშვი უსაფრთხოდ, დაცულად და მოტივირებულად გრძნობს თავს, ხოლო სწავლება და თამაში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს - როგორც განვითარების, ისე სოციალური ინტეგრაციის პროცესში.

საერთაშორისო წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ ხარისხიანი აღმზრდელობა მოითხოვს როგორც აქტიურ პედაგოგიურ დაგეგმვას, ისე ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას, პოზიტიური დისციპლინის მეთოდების გამოყენებას, მხარდამჭერ კომუნიკაციას და ოჯახის აქტიურ ჩართულობას. ეფექტიანად დაგეგმილი საგანმანათლებლო გარემო, სადაც თამაშზე დაფუძნებული სწავლება და აღმოჩენით სწავლება წარმოადგენს ძირითად მიდგომას, ბავშვებში აყალიბებს მოტივაციას, ინტერესს და სწავლისადმი დადე-

ბით დამოკიდებულებას - რაც მათ მომავალ აკადემიურ და სოცი-
ალურ წარმატებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს.

ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ჩანს, რომ სახელმწიფოს მიერ პრო-
ფესიული სტანდარტების ჩამოყალიბება, ტრენინგ-მოდულების და-
წერგვა და მასშტაბური გადამზადების პროცესები წარმოადგენს სა-
განმანათლებლო სისტემის სუსტ წერტილებზე ადეკვატურ რეაგირ-
ებას. კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, ტრენინგ-მო-
დულის მრავალჯერადი განახლება და ათასობით აღმზრდელის გა-
დამზადება მნიშვნელოვანი ნაბიჯია სფეროს პროფესიონალიზაცი-
ის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, არსებული მონაცემები მიუთ-
ითებს, რომ კადრების რაოდენობა და კვალიფიკაცია ჯერ კიდევ
ვერ აკმაყოფილებს სისტემის მოთხოვნილებებს: ჯგუფების ბავშვის-
აღმზრდელის თანაფარდობის სტანდარტები ხშირად ვერ სრულდე-
ბა, ხოლო რეგიონებში კვალიფიციური კადრების დეფიციტი კვლავ
გამოწვევად რჩება. ეს გარემოებები მიუთითებს დამატებითი პოლი-
ტიკის, კადრების მოზიდვის სტრატეგიებისა და უწყვეტი პროფესი-
ული განვითარების პროგრამების გაძლიერების აუცილებლობაზე.

დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ აღმზრდელის რო-
ლი ადრეული განათლების სისტემაში არის მრავალმხრივი, კომ-
პლექსური და კრიტიკულად მნიშვნელოვანი. პროფესიონალი, კვა-
ლიფიცირებული და განვითარებაზე ორიენტირებული აღმზრდელი
წარმოადგენს ხარისხიანი განათლების მთავარ მუხტს. მისი პროფე-
სიული ზრდის მხარდაჭერა, შესაბამისი სამუშაო პირობების უზრუნ-
ველყოფა და სისტემის სტრუქტურული გაძლიერება არის ის სტრა-
ტეგიული მიმართულებები, რომელთა რეალიზება განსაზღვრავს
ქვეყნის მომავალში ინვესტიციის ეფექტურობას. ადრეული ასაკის
განათლების ხარისხი, უდავოდ, იწყება აღმზრდელის კვალიფიკაცი-
ით და სწორედ იგი ხდება ბავშვის განვითარებისა და საგანმანათ-
ლებლო სისტემის გრძელვადიანი წარმატების ძირითადი წინაპი-
რობა.

უმაღლესი განათლების სისტემა და ადრეული აღზრდისა და განათლების მომზადების მოდელები

ბოლო წლებში გლობალურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ყოველდღიურ ცხოვრების წესსა და ზოგადად, ადამიანურ ურთიერთობებზე. გადაფასდა და ახლებურად განისაზღვრა სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური პრიორიტეტები, რომლის განუყოფელი ნაწილია ქვეყნის განათლების სისტემა მისი კომპლექსური მიმართულებებით. თანამედროვე განათლების სისტემა დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, დისტანციურმა, ციფრულმა და ხელოვნურ ინტელექტზე აგებულმა პროცესებმა, უფრო მეტად აქტუალური გახადა ადამიანური ფაქტორის იგნორირებისგან დაცვა და მისი უნარების კიდევ უფრო გაძლიერება ადრეული ასაკიდან; სწორად დაგეგმილი ადრეული განათლება ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივი უნარების განვითარებას, სკოლისთვის მის მომზადებას და წარმატებას მომავალ ცხოვრებაში. ადრეული ასაკიდან იწყება ბავშვებში კოგნიტური, მნეობრივი, ესთეტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბება, საგნებისა და მოვლენების აღქმა.

ადრეული განათლების მიმართულებით გარდამტეხი ცვლილებები 2014 წლიდან დაიწყო, როცა საქართველომ ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი და განათლების ეროვნული კანონმდებლობის, ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების ვალდებულება აიღო (ასოცირების შესახებ შეთანხმება, 2014). აღნიშნულ პროცესში ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯი 2016 წელს გადაიგდა, როცა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონი იქნა მიღებული, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სისტემურ რეგულირებასა და მართვას. სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის შემდეგ, შემუშავდა ეროვნული სტანდარტები, რომლებიც მიზნად ისახავდა სკოლამდელი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. ასევე შეიქმნა რიგი მნიშვნელოვანი მეთოდო-

ლოგიური დოკუმენტები, მათ შორის „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური გამამკვლევია“, „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, „პერსონალის მართვის მარეგულირებელი მეთოდოლოგია“ და სხვა პრაქტიკული რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირებას (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2025).

2022 წლიდან საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის რეფორმა დაიწყო, რომელიც აღნიშნულ სფეროში მოქმედი დაწესებულებების ავტორიზაციას და ამ მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვას ითვალისწინებდა. რეფორმის შედეგად, 2029 წლის ბოლომდე სისტემაში არსებული ყველა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებას ექნება ავტორიზაციის პროცესი გავლილი (4 წელიწადში ერთხელ). ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის რეფორმის მიზანს მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და თითოეული ბავშვის სკოლისათვის მომზადების უზრუნველყოფის მხარდაჭერა წარმოადგენდა. რეფორმის შედეგად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სისტემაში შესვლის პროცესი რეგულირებადი გახდა, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველა დაწესებულება, რომელიც გამოთქვამს მზაობას, დაიწყოს საქმიანობა აღნიშნულ სფეროში, დაექვემდებარა საგალდებულო ავტორიზაციას, მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშესაწყობად. რეფორმა მოიცავდა დაწესებულებების რეგულარული, ყოველწლიური თვითშეფასების პრაქტიკის დანერგვას; საგანმანათლებლო პროცესში მშობლების როლისა და ჩართულობის გაზრდას; დაწესებულებების შემდგომი განვითარების მხარდამჭერ სპეციალისტთა გუნდის, ასევე მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნას; დაწესებულებების მართვასა და ავტორიზაციის პროცესში ჩართული შესაძლებლობების

გაძლიერებას (ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესისთვის მზადება იწყება, 2022).

აღსანიშნავია, რომ სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი იყო საგანმანათლებლო პერსონალის კორპუსის გაძლიერება. 2011 წლიდან საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებმა შეწყვიტეს სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამების განხორციელება (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2020). ეს უარყოფითად აისახა აღმზრდელთა პროფესიული ზრდისა და ჩამოყალიბების შესაძლებლობაზე. ბოლო წლებში ქვეყანამ განაახლა საბაკალავრო პროგრამების მნიშვნელობაზე საუბრები. საბაკალავრო პროგრამების შექმნის მიზნით, მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, იუნისეფისა და უნივერსიტეტების წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით. ამ პროცესების ერთ-ერთი შედეგია აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული სტანდარტის შექმნა. ეს დოკუმენტი სტანდარტიზებულ პირობებს უწესებს დარგის სპეციალისტებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნაში ხაზს უსვამს წამყვანი საგანმანათლებლო პერსონალის განათლების მაღალი დონის აუცილებლობას (დოლიძე, 2023). მეტად მნიშვნელოვანი იყო სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება (2020 წ.), რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების პროგრამების შემუშავებას უზრუნველყოფდა (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2020). ზემოხსენებული აქტივობების შედეგად, საქართველოს უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიწყო აქტიური მუშაობა სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამებ-

ზე და დღეისთვის საქართველოს 5 უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას.

აღნიშნული სისტემური ცვლილებები ადასტურებს, რომ საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების განვითარება მნიშვნელოვან პრიორიტეტად იქცა და მასში გატარებული რეფორმები კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის გრძელვადიანი პროგრესისა და მდგრადობისათვის (ბოლქვაძე, 2025).

უმაღლესი განათლების სისტემაში ადრეული აღზრდის სპეციალისტთა მომზადების მოდელები ორიენტირებულია თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების ინტეგრაციაზე. სტანდარტები მოითხოვს პედაგოგების აღჭურვას ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიით, პედაგოგიკური მეთოდოლოგიით, ინკლუზიური განათლების პრინციპებითა და ოჯახთან თანამშრომლობის უნარებით. თანამედროვე მოდელები ეფუძნება კომპეტენციებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც ეხმიანება ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოს. უნივერსიტეტებში გამოყენებული სტრუქტურა მოიცავს სემინარებს, პრაქტიკუმებს და სკოლამდელი დაწესებულებების ბენჩმარქინგს, რაც პედაგოგის პროფესიულ ზრდასა და სამუშაო გარემოსთან ადრეულ ინტეგრაციას უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში არ არსებულა საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალისტებს მოამზადებდა. გაეროს ბავშვთა ფონდისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეიმუშავეს ადრეული განათლების საბაკალავრო პროგრამები. 2023 წელს სამი უნივერსიტეტის: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამებმა გაიარეს აკრედიტაცია და ამ პროგრამებზე სტუდენტები უკვე მიიღებიან. აღსა-

ნიშნავია, რომ რამდენიმე უნივერსიტეტი აკრედიტაციის პროცესშია. ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში მომუშავე პერსონალისთვის, მათ შორის არც აღმზრდელ-პედაგოგებისთვის, არ არსებობს პროფესიული განვითარების სქემა, რაც უარყოფითად აისახება, როგორც მათ კვალიფიკაციაზე, ისე სამუშაო მოტივაციაზე. ასევე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მიხედვით, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ვალდებულებაა აღმზრდელ-პედაგოგის შრომის ანაზღაურების საბაზო ოდენობის განსაზღვრა (მუხლი 24), რაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში დასაქმებული თუ პოტენციური კადრებისთვის. როგორც საერთაშორისო კვლევებითაც დასტურდება, ღირსეული ანაზღაურება და უკეთესი სამუშაო პირობები უშუალო გავლენას ახდენს პერსონალის შრომით კმაყოფილებაზე, სამუშაო მოტივაციაზე, რაც აისახება მათი მუშაობის ხარისხზე, ბავშვებთან დამოკიდებულებაზე. პედაგოგების ანაზღაურებასა და მათი მუშაობის ხარისხს შორის კორელაციაზე მიუთითებს კიდევ ერთი საერთაშორისო კვლევა - „კარიერა და სახელფასო სისტემა ადრეულ განათლებაში: ადრეული განათლებისა და ბრუნვის პროგრამებში ხარისხის უზრუნველყოფის მოდელი“, სადაც აღნიშნულია, რომ მაღალი ანაზღაურება უშუალოდ არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროცესის ხარისხთანა და წარმართვასთან. როგორც აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების სქემაზე, ასევე შრომის ანაზღაურების საბაზო ოდენობის განსაზღვრაზე მუშაობს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე პროგრამა „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)“. პროგრამის ფარგლებში, უკვე ჩატარდა არსებული ანაზღაურების კვლევა და ექსპერტთა ჯგუფი ამჯერად აღმზრდელებისა და აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციების ზრდის შესაბამისად მზარდი ანაზღაურების მოდელის ინსტრუმენტის შექმნაზე მუშაობს (სა-

ქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი, 2024).

ამრიგად, საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით განხორციელებული რეფორმები ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიემართებოდა სისტემის სრულფასოვან გაძლიერებასა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებისაკენ. 2014 წლის ასოცირების შეთანხმების შემდეგ დაწყებული კანონმდებლობრივი და ინსტიტუციური ცვლილებები, 2016 წლის საკვანძო კანონის მიღებით გამყარებული, გახდა საფუძველი ქვეყანაში ადრეული განათლების სისტემური მართვის, მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის ჩამოყალიბებისთვის. სამართლებრივი ჩარჩოს, მეთოდოლოგიური მითითებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტების შემუშავება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში სტანდარტიზებული და ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფას.

სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის დაწინაურებამ რეფორმები კიდევ უფრო მასშტაბური გახადა. მას საფუძველად დაედო ხარისხის მართვის ევროპულ გამოცდილებაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც მოითხოვს მკაფიო სტანდარტებს, გამჭვირვალე შიდა პროცესებსა და პროფესიული კადრების კომპეტენციების განვითარებას. ამავე დროს, აღმოჩნდა, რომ სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული გამოწვევა სწორედ კვალიფიციური პერსონალის დეფიციტია, რაც ისტორიული ფაქტორებით, კერძოდ, 2011 წელს საბაკალავრო პროგრამების შეწყვეტით იყო განპირობებული. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა მომზადებული სპეციალისტების რაოდენობა და შეაფერხა სფეროს პროგრესი.

რეფორმების ახალი ტალღა, რომელიც მოიცავს პროფესიული სტანდარტის შემუშავებას, დარგობრივი მახასიათებლის დაწინაურებასა და საბაკალავრო პროგრამების აღდგენას, წარმოადგენს მნიშვნელოვანი განვითარების წინაპირობას. უნივერსიტეტებში სა-

ბაკალავრო პროგრამების შექმნა, მათი აკრედიტაცია და საინტეგრაციო პრაქტიკული მოდელების დანერგვა უზრუნველყოფს კომპეტენციებზე დაფუძნებული, მრავალმხრივი და თანამედროვე მოთხოვნებთან თავსებადი მომზადების მოდელის ჩამოყალიბებას. ეს ნაბიჯი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მომზადდეს არა მხოლოდ თეორიულად განსწავლული, არამედ პრაქტიკაში ჩართული და რეალურ სამუშაო გარემოზე ადაპტირებული სპეციალისტები.

სისტემური გამოწვევების მიუხედავად, პროგრესი მკაფიოდ გამოიკვეთა. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის იუნესკოთან და მსოფლიო ბანკთან, ამ პროცესს აძლიერებს კვლევებზე დაფუძნებული მიდგომებით, ანაზღაურების მოდელების ოპტიმიზაციითა და პროფესიული განვითარების სქემის შექმნის მხარდაჭერით. ხელფასისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოკვეთილია საერთაშორისო კვლევებით, რომლებიც ნათლად მიუთითებენ, რომ ღირსეული ანაზღაურება პირდაპირ გავლენას ახდენს პედაგოგთა მოტივაციაზე, პროფესიული ჩართულობის ხარისხზე და ბავშვებთან მუშაობის შედეგიანობაზე.

მაშასადემე, უმაღლესი განათლების სისტემა და ადრეული აღზრდის სპეციალისტთა მომზადების მოდელები საქართველოში მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდება. სახელმწიფოს, აკადემიური სფეროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევა ქმნის ძლიერ საფუძველს ისეთი პროფესიული კადრების განვითარებისთვის, რომლებიც შეძლებენ მაღალი ხარისხის, ინკლუზიურ, თამაშზე დაფუძნებულ და ბავშვზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას. ეს ტრანსფორმაციები არა მხოლოდ სისტემურ გაუმჯობესებას ემსახურება, არამედ წარმოადგენს ქვეყნის გრძელვადიან ინვესტიციას ბავშვების განვითარებაში, განათლების ხარისხის ზრდასა და საზოგადოების მდგრად პროგრესში.

თავი 3. ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების საკითხები

3.1. ადრეული განათლების საგანმანათლებლო რესურსები და სწავლების პრაქტიკები თანამედროვე ქართულ სკოლამდელ დაწესებულებებში

მონოგრაფიის წინამდებარე თავში განხილულია სკოლამდელ საგანმანათლებლო პრაქტიკაში ზღაპრის შერჩევის პროცესის ანალიზი და მისი პედაგოგიური მნიშვნელობის განხილვა. კვლევის ეს ნაწილი მიზნად ისახავს იმ ძირითადი სუბიექტებისა და კრიტერიუმების გამოვლენას, რომლებიც განსაზღვრავს ზღაპრების არჩევას სასწავლო პროცესში. ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად, ზღაპრის შერჩევა არ წარმოადგენს მხოლოდ ინდივიდუალური პედაგოგიური გადაწყვეტილების შედეგს, არამედ ფორმირდება ბავშვების ინტერესების, საგანმანათლებლო მიზნების და მეთოდური რეკომენდაციების ურთიერთქმედების საფუძველზე. მონოგრაფიის ამ თავში ასევე შეფასებულია ზღაპრის გამოყენების პოტენციალი, როგორც მრავალფუნქციური საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის შემეცნებითი, სოციალური და ღირებულებითი განვითარების პროცესებს სკოლამდელ გარემოში. ასევე მონოგრაფიის ამ ნაწილში წარმოდგენილია უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი, რაც მიზნად ისახავდა ბავშვების წარმოდგენების, დამოკიდებულებებისა და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნის გამოვლენას ზღაპრის აღქმისა და საბავშვო ეკონომიკური ცნებების კონტექსტში, როგორც ადრეული განათლების შემეცნებითი და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტების.

კვლევა განხორციელდა საქართველოს ოთხ ქალაქში - ბათუმში, ქუთაისში, თბილისში და თელავში - როგორც საჯარო, ასევე კერ-

ძო საბავშვო ბაღებში. კვლევის პროცესში ჩართული იყვნენ საბავშვო ბაღების აღმზრდელები, წინასასკოლო ასაკის აღსაზრდელები, აგრეთვე ადრეული და სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალი. სხვადასხვა ჯგუფებთან ინტრევიუსა და ანკეტირებას ჰქონდა ინდივიდუალური მიზანი, რომელთა სინთეზირება საბოლოო ჯამში კვლევის მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი შემადგენელია.

კვლევის პირველ ეტაპზე ჩვენი მიზანი იყო სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პრაქტიკის შესწავლა, კერძოდ: სწავლა-სწავლების მეთოდების გამოვლენა, ზღაპრის გამოყენების ფორმები, ზღაპრების შერჩევის კრიტერიუმები, მათი გამოყენების კონკრეტული მაგალითები და აღნიშნული პროცესების გავლენა ბავშვთა შემეცნებით განვითარებაზე. ამავე ეტაპზე კვლევის ფოკუსი გამიზნულად იყო მიმართული ქართული ხალხური ზღაპრებისკენ, რაც საშუალებას გვაძლევდა გავგვერკვია მათი აქტუალობა და ადგილი თანამედროვე ქართულ სკოლამდელ საგანმანათლებლო სივრცეში.

მოცემულ ეტაპზე ჩვენს სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ საბავშვო ბაღების აღმზრდელები, რომელთა გამოკითხვა განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების მეშვეობით. კვლევა მოიცავდა დაახლოებით 40-მდე საჯარო და კერძო საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგებს. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ წინასასკოლო მზაობის, 5-6 წლის ასაკის ბავშვებთან მომუშავე პედაგოგები. გამოკითხვა-ინტერვიუ მიზნად ისახავდა შემდეგი საკითხების გამოვლენას: რომელი ქართული ხალხური ზღაპრები იკითხება წინასასკოლო ჯგუფებში; ვინ იღებს გადაწყვეტილებას ზღაპრის შერჩევისას; როგორ მიმდინარეობს ზღაპრის კითხვა და განხილვა; რაზე ვეთდება ძირითადი აქცენტები; უჩნდებათ თუ არა ბავშვებს შეკითხვები ტექსტის მოსმენის შემდეგ და რა კონტექსტში განიხილება ზღაპრის შინაარსი.

შემუშავებული კითხვების მიზანი იყო, იმ ზღაპრების იდენტიფიცირება მოგვეხდინა რომლებიც ყველაზე ხშირად იკითხებოდა სამიზნე ბალებში. შემდეგ მოხდა ამ ზღაპრების შესწავლა, რათა გამოგვევლინა მოიძებნებოდა თუ არა მათში ეკონომიკური კონტექტსები და რამდენად შესაძლებელი იქნებოდა მათი მეშვეობით ბავშვებში ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. კვლევით ჯგუფს უნდა გამოვლენა, საბავშვო ლიტერატურის შერჩევა-მიწოდება საბავშვო ბალებში ცენტრალიზებულად ხდება ბალების გაერთიანების მიერ თუ ბალებს თავისუფალი არჩევანი აქვთ საკითხავი მასალის შერჩევაში. ასევე გვინტერესებდა ხდებოდა თუ არა რაიმე სახის თემატიკაზე აქცენტირება საკითხავი მასალის კლასიფიცირების ან უშუალოდ ზღაპრების კითხვის დროს ახდენდნენ თუ არა აღმზრდელები რაიმე კონკრეტულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას. ეს მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც ასეთი პრაქტიკის არსებობა საშუალებას მოგვცემდა გვევარაუდა, რომ აღმზრდელებს ბავშვებთან მუშაობის პროცესში შეუძლიათ ბავშვების ინტერესების გაღვივება და სასურველი მიმართულებით მიმართვა. ასევე კითხვები საშუალებას გვაძლევდა გამოგვევლინა ის თუ რა იქცეოდა ბავშვების ყურადღებას ზღაპრების კითხვისას და სვამდნენ თუ არა ისინი დამატებით შეკითხვებს ზღაპრებში წამოჭრილ თემებთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი საშუალებას მოგვცემდა გამოგვევლინა საბავშვო ბალებში ზღაპრების კითხვასთან დაკავშირებული პრაქტიკები, რაც კვლევის მნიშვნელოვანი მიგნებებისა და შესაბამისი რეკომენდაციების ფორმულირებაში დაგვეხმარებოდა.

ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ანკეტირების შედეგად საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ იქნა მრავალფეროვანი შედეგები, რომლებიც გაანალიზებულია და კლასიფიცირებულია კვლევის მიზნების შესაბამისად.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საბავშვო ბალებში იკითხება სხვადასხვა საბავშვო ლიტერატურა, თუმცა, ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩვენს სამიზნე მიმართულებას წარმოადგენ-

და ქართული ხალხური ზღაპრები. კვლევით დადასტურდა, რომ საბავშვო ბაღებში სასკოლო მზაობის ჯგუფებში უპირატესად იკითხება უცხოური, ქართულად ნათარგმნი ზღაპრები, მათ შორის „წითელქუდა“, „სამი გოჭი“, „კონკია“, „პინოქიო“, „სახურავის ბინადარი კარლსონი“ და სხვა. აღმზრდელთა შეფასებით, თანამედროვე ნათარგმნი გამოცემები უფრო მეტად ილუსტრირებულია, ვიზუალურად მიმზიდველია და ბავშვებისთვის საინტერესო. ქართული ხალხური ზღაპრები შედარებით ნაკლებად იკითხება, თუმცა მათ შორის ყველაზე ხშირად დასახელდა ათამდე ზღაპარი - „ნაცარქექია“, „წიქარა“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „ნახევარქათამა“, „კომბლე“, „ხუთკუნჭულა“, „მუქთამჭამელა“, „ერთი მანეთის შოგნა“, „გვრიტი“, „სამი ფორთოხალი“ და სხვა. კვლევითმა გუნდმა შეისწავლა დასახელებული ზღაპრები და გამოავლინა ისინი, რომლებიც მოიცავდა ეკონომიკურ კონტექსტებს, კერძოდ შეირჩა „კომბლე“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „ნაცარქექია“, „ხუთკუნჭულა“ და „ერთი მანეთის შოგნა“. შერჩეული ზღაპრების კონტენტ ანალიზის შედეგად გამოვლენილ ეკონომიკურ ასპექტებთან დაკავშირებით შედეგები წარმოდგენილია ამ თავის მეორე პარაგრაფში.

კვლევით გამოვლინდა, რომ ზღაპრების შერჩევა ძირითადად აღმზრდელთა მიერ ინდივიდუალურად - საკუთარ პროფესიულ გამოცდილებების საფუძველზე, ასევე ბაღის მეთოდისტებთან კონსულტაციით ხორციელდება ბაღების გაერთიანებების მიერ რეკომენდებული ლიტერატურიდან. ზოგჯერ - ბავშვების მონაწილეობით. ბავშვებს თავადაც მოაქვთ ზღაპრები სახლიდან. ბავშვებს სთავაზობენ რამდენიმე ზღაპარს, საიდანაც ისინი ერთად ირჩევენ. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ბაღებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის რესურსები აქვთ და ისინი თავისუფლები არიან საგანმანათლებლო მასალების შერჩევისას.

ზღაპრების ანალიზისა და განხილვის პროცესი უმეტეს შემთხვევაში ბავშვების აქტიური ჩართულობით - ღია და დახურული კითხვების გამოყენებით მიმდინარეობს. შემდგომ ეტაპზე კი ზღაპრის შინა-

არსის გავრცობა როლური და წარმოსახვითი თამაშების გზით ხორციელდება, რაც კიდევ უფრო ამყარებს ბავშვთა ემოციურ და შემეცნებით ჩართულობას. აღნიშნული შედეგი გვაძლევს მყარ საფუძველს დავეშვათ, რომ ზღაპრების კითხვის პროცესში აღმზრდელს შეუძლია ბავშვების ცნობიერების სასურველი მიმართულებით განვითარება, მათ შორის ეკონომიკური მიმართულებით.

კვლევამ აჩვენა, რომ ზღაპრები, როგორც წესი, თემატურად დაჯგუფებული არ არის, თუმცა ზოგიერთ ბავშვს არსებობს ფრაგმენტულად თემატური: მეგობრობა, სხეულის განვითარება, პროფესიები, წელიწადის დროები, კლასიფიცირება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ზოგიერთ ბავშვში ხდება გარკვეულ თემატიკაზე ყურადღების გამახვილება, თუმცა ყველა ბავშვი არაა. ზღაპრის კითხვისას ბავშვთა ყურადღებას ძირითადად იპყრობს ინტონაცია და ილუსტრაციები, ასევე აღმზრდელის ტონალობა, ემოციები, ჟესტები, პერსონაჟების ქცევა, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს როგორც მათი ინტერესის მიმართულებას, ასევე მომდევნო ტექსტების შერჩევას.

ზღაპრის კითხვის დასრულების შემდეგ ბავშვების მიერ დასმული კითხვები უმეტესად დაკავშირებულია პერსონაჟების ქცევებთან, მათ მოტივებთან და ემოციურ რეაქციებთან და გამომდინარეობს იმ აქცენტებიდან, რომლებიც შედაგოგმა გააკეთა კითხვის პროცესში. ეს შედეგი ამყარებს ჩვენს წინარე დაშვებას აღმზრდელების მხრიდან ბავშვების ინტერესების სასურველი მიმართულებით განვითარებასთან დაკავშირებით.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა ხდება თუ არა ზღაპრის კითხვისა და განხილვის პროცესში ეკონომიკური ასპექტების გამოკვეთა. მიღებულმა მონაცემებმა ცხადყო, რომ შედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა მეგობრობა, მზრუნველობა, სიკეთე და ბოროტება, მოხერხებულობა, თანადგომა და ურთიერთდახმარება. ამასთან, კვლევით არ გამოვლენილა არცერთი შემთხვევა, როდესაც საგანგებოდ ხდებოდა ეკონომიკურ საკითხებზე

აქცენტირება. აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ ზღაპრების მაგალითზე, რომლებიც ჩვენი საკვლევე გუნდის მიერ შეირჩა და რომლებიც თავიანთ შინაარსში მოიცავენ ისეთი საბაზისო ეკონომიკური ცნებების განხილვის პოტენციალს, როგორცაა საკუთრების დაცვა („კომბლე“), შრომა და დასაქმება, უმუშევრობა, რესურსების განაწილება („ნაცარქექია“), გაცვლა-ბარტერი („რწყილი და ჭიანჭველა“) და სხვა. (დეტალური განხილვა წარმოდგენილია შემდეგ პარაგრაფში). მიგვაჩნია, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრებს აქვს ადრეული ასაკის ბავშვებისათვის საბაზისო ეკონომიკური ცნებების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომელთა არსსა და მნიშვნელობაზე შესაძლებელია კითხვის პროცესში ყურადღების გამახვილება და მასზე დისკუსიის გამართვა. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

დასკვნა:

კვლევის პირველი ეტაპის ფარგლებში ჩატარებულმა ემპირიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ზღაპარს სკოლამდელ საგანმანათლებლო პრაქტიკაში მნიშვნელოვან ადგილი უჭირავს სხვა საბავშვო ლიტერატურასთან ერთად, და იგი წარმოადგენს ბავშვთა შემეცნებითი, ემოციური და სოციალური განვითარების ერთ-ერთ ძირითად პედაგოგიურ რესურსს.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღებში იკითხება როგორც უცხოური, ასევე ქართული ხალხური ზღაპრები, ზღაპრის შერჩევისა და განხილვის პროცესში პრიორიტეტი ძირითადად უცხოურ ზღაპრებს ენიჭება, რაც განპირობებულია ვიზუალური ელემენტებით. ზღაპრის შინაარსში იმპლიციტურად მოცემული ეკონომიკური კონტექსტები, როგორც წესი, პედაგოგიური გააზრების მიღმა რჩება და მიზანმიმართულ განხილვას არ ექვემდებარება.

ამავდროულად, კვლევამ დაადასტურა, რომ საბავშვო ბაღებში გამოყენებული რიგი ქართული ხალხური ზღაპრები შეიცავს საბაზი-

სო ეკონომიკური ცნებების ფორმირებისათვის მნიშვნელოვან სიუჟეტურ და ამრობრივ ელემენტებს. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ არსებული პრაქტიკა არ იყენებს სრულად იმ საგანმანათლებლო რესურსს, რომელიც ქართულ ხალხურ ზღაპრებს გააჩნიათ ადრეული ასაკის ბავშვებში ეკონომიკური ამროვნების საწყისი საფუძვლების ჩამოსაყალიბებლად.

ჩვენი კვლევის შემდგომ ეტაპი ორიენტირებული იყო ქართული ხალხური ზღაპრების ეკონომიკური კონტექსტების სისტემურ ანალიზსა და იმ მეთოდოლოგიური მიდგომების დამუშავებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს წინასასკოლო ასაკის ბავშვებში საბაზისო ეკონომიკური ცნებების გააზრებულ და ასაკის შესაბამის ფორმირებას, რაც შემდგომ თავში იქნება წარმოდგენილი.

ჩაღრმავებული ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან

კვლევის შემდომ ეტაპზე ჩატარდა ინტერვიუები ადრეული განათლების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების მქონე სახელმწიფო უნივერსიტეტების აკადემიურ პირებთან. კვლევის ეს ეტაპი მიზნად ისახავდა საბავშვო ბალის აღმზრდელ-პედაგოგთა მომზადების პროგრამებში ზღაპრების გამოყენების პრაქტიკის სიღრმისეულ შესწავლას. გამოკითხვა მიმართული იყო ლექტორების გამოცდილების გაგებისკენ, რათა დადგენილიყო არის თუ არა ზღაპრების თემატიკა ინტეგრირებული სასწავლო მასალასა და კურიკულუმში; რომელი მეთოდებით ასწავლიან სტუდენტებს ბავშვებში ანალიზის, რეფლექსიისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას; იღებენ თუ არა მომავალ პედაგოგები რეკომენდირებულ რესურსებსა და მასალებს და რამდენად განერილია ზღაპრების სწავლება ადრეული განათლების ოფიციალურ პროგრამებში. მიღებული მონაცემები იძლევა საფუძველს ღრმად შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად, გააზრებულად და მეთოდოლოგიურად დამუშავებული მიდგომებით ხდება ზღაპრების ინტეგრირება მომავალი პედაგოგების სასწავლო პროცესში, რაც მნიშვნელოვანია მათი პროფესიული კომპეტენციების, კრეატიული აზროვნებისა და პედაგოგიური პრაქტიკის განვითარებისთვის.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ზღაპრები სხვადასხვა ფორმით ინტეგრირებულია პროგრამებში, განსაკუთრებით წიგნიერების, მეტყველების განვითარებისა და სოციალური-ემოციური უნარების გაძლიერების მიმართულებით. ზოგი პროგრამა პირდაპირ აკეთებს აქცენტს ზღაპრებზე, მაგალითად, წიგნიერების კომპონენტში საუბარია ზღაპრების გამოყენების მნიშვნელობაზე. თუმცა, სპეციფიკური ზღაპრების ჩამონათვალი ან სავალდებულო სია ოფიციალურად არ მოიძებნება. სასწავლო მასალები და ზღაპრების შერჩევა უმეტესად მომავალი პედაგოგის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

ეს მიუთითებს, რომ მიუხედავად ზღაპრების გამოყენების აქტიურ პრაქტიკაზე, ამ მიმართულებაში ერთიანი და მკაფიო სტანდარტი არ არის ჩამოყალიბებული.

ბავშვებში ანალიზის უნარის განვითარებასთან დაკავშირებით გამოკითხვის შედეგად მკაფიოდ გამოიკვეთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზგასმა: რეფლექსიისა და კრიტიკული მსჯელობის უნარების განვითარება. გამოყოფილი იყო შემდეგი მეთოდები:

- ღია კითხვების დასმა და მსჯელობის წახალისება;
- სიუჟეტის ანალიზი, პერსონაჟების ქცევების განხილვა;
- ამბების შექმნა და შემოქმედებითი ამოცანები;
- ინტერაქტიული და თამაშობრივი აქტივობები;
- დაგეგმვისა და შეფასების სტრატეგიები;
- ბავშვზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები.

ეს ყველაფერი სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიხვდნენ, როგორ შეიძლება ზღაპრის გამოყენება როგორც ანალიტიკური, ასევე მეტაკოგნიტური უნარების გასავითარებლად. მეთოდების მრავალფეროვნება მიუთითებს, რომ პედაგოგთა მომზადების პროგრამებში ანალიზის უნარების განვითარება სისტემურადაა გათვალისწინებული.

მომავალი პედაგოგებისთვის სასწავლო მასალებისა და თემატიკის რეკომენდაციებთან დაკავშირებით დადებითად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები იყენებენ მრავალ მეთოდურ რესურსს - „ყვითელი წიგნი“, ადრეული განათლების კურიკულუმი, საბავშვო მზაობის პროგრამა, თემატური მასალები და სხვა. თუმცა, აქაც შეიმჩნევა განსხვავებული მიდგომები: ზოგ აკადემიურ პირს აქვს კონკრეტული რეკომენდაციები და გეგმის ნიმუშები; ზოგ შემთხვევაში სტუდენტს თავად უწევს შესაბამისი ზღაპრების მოძიება, შერჩევა და მასალის შექმნა.

ეს მიუთითებს, რომ მასალა არსებობს, მაგრამ სტრუქტურა განსხვავდება პროგრამიდან პროგრამამდე. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ თითქმის ყველა აკადემიური პირი აღნიშნავს, რომ კონკრეტული ზღაპრების სავალდებულო ჩამონათვალს, როგორც წესი, არ აძლევენ სტუდენტებს.

ადრეული განათლების პროგრამაში ზღაპრების სწავლებასთან დაკავშირებით დასკვნები მრავალმხრივია. ზოგ შემთხვევაში ზღაპრები პირდაპირაა გათვალისწინებული, განსაკუთრებით სოციალური-ემოციური განვითარების, წიგნიერებისა და თამაშის ინტეგრირებული სწავლების ფარგლებში. სხვა შემთხვევაში ზღაპრის გამოყენება მხოლოდ დრამატული თამაშების ნაწილია („სამი გოჭი“, „წითელქუდა“ და სხვა), ხოლო ზოგან მასზე პირდაპირი მითითება საერთოდ არ ხდება, თუმცა პედაგოგები მაინც იყენებენ მათ პრაქტიკაში.

საერთო ტენდენცია იმაში გამოიხატება, რომ ზღაპრები ფაქტობრივად გამოიყენება, თუმცა სასწავლო პროგრამებში არ არის განერილი მათი შერჩევისა და სწავლების რაიმე მეთოდოლოგია/მიდგომა.

დასკვნა:

აკადემიურ პერსონალთან გამოკითხვამ გამოავლინა, მომავალი აღმზრდელ პედაგოგების პროგრამა არ მოიცავს მეთოდოლოგიურ მითითებას საბავშვო ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით, ასევე არ ხდება რეკომენდაციის გაწევა საბავშვო ლიტერატურის ტიპთან თუ შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით.

ზღაპრები ფართოდ გამოიყენება, თუმცა მათი გამოყენება უმეტესად პედაგოგის პერსონალურ გადანწყვეტილებამა და მოკიდებული და არა მკაფიო სტანდარტზე.

ანალიზის უნარების განვითარება ძლიერად არის ინტეგრირებული მომავალი პედაგოგების სწავლების პროცესში, განსაკუთრებით რეფლექსიისა და კრიტიკული აზროვნების მიმართულებით.

რეკომენდირებული მასალები არსებობს, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში მოიცავს სტრუქტურირებულ ან სავალდებულო ზღაპრების ჩამონათვალს.

სასწავლო პროგრამებში ზღაპრების ადგილი არაერთგვაროვანია, ზოგან განერილია, ზოგან მხოლოდ პრაქტიკაში გამოიყენება.

საბავშვო ბაღებში დაკვირვების ანალიზი

კვლევის შემდგომ ეტაპზე ჩავატარეთ დაკვირვება 5-6 წლის ასაკის ბავშვების ჯგუფებში კითხვის საათზე თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და თელავის საჯარო და კერძო საბავშვო ბაღებში. ჩვენი მიზანი იყო, გამოგვევლინა საბავშვო ბაღებში კითხვის წრეზე არსებული პრაქტიკები, ბავშვების წარმოდგენები ზღაპრის არსზე, წიგნის კითხვის მიმართ მათი დამოკიდებულება, როგორ ხდება წაკითხული მასალის განხილვა-ანალიზი, დაგვედგინა რამდენად ხდება მასალაში არსებულ ეკონომიკურ ცნებებზე ყურადღების გამახვილება და რამდენად უწყობენ ხელს აღმზრდელები ეკონომიკური წარმოდგენების შექმნას, ასევე რა მოსაზრებები აქვთ ბავშვებს ისეთ მარტივ საბაზისო ეკონომიკურ ცნებებზე, როგორიცაა ფული, ბიუჯეტი, საკუთრება და სხვა. ბავშვების პასუხების ავთენტურობის შენარჩუნების მიზნით, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ბავშვების პასუხების უცვლელი ფორმულირებით წარმოდგენა.

ბაღში ვიზიტამდე მოხდა ბაღის ადმინისტრაციისა და აღმზრდელების ინფორმირება თუ რას ემსახურება კვლევა და მათგან თანხმობის მიღების შემდეგ განხორციელდა ჯგუფში დაკვირვება. დაკვირვება განხორციელდა კვლევაში ჩართული ფსიქოლოგის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტის მიხედვით. თითო სესიას ესწრებოდა ორი მკვლევარი. კითხვის წრეზე იკითხებოდა ქართული ხალხური ზღაპრებიდან ერთ-ერთი.

კითხვის წრეზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ყველა ბაღში კითხვის წრე იწყებოდა დიალოგური მეთოდით, საწყისი მიმართულების მიმცემი კითხვებით: „რომელი ზღაპრის მოსმენა გსურთ?“, „რა არის ზღაპარი?“, ვინ არის მემღაპრე? „რატომ ვკითხულობთ წიგნს?“. ეს პრაქტიკა ხელს უწყობდა ბავშვების წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებას. ყველა ბავშვი პასუხობდა, რომ ზღაპარი გამოგონილი ამბავია; კეთილი იმარჯვებს ყოველთვის ბოროტზე; წიგნს იმიტომ ვკითხულობთ ცოდნა მივიღოთ. ბავშვების პასუხები-

დან გამოიკვეთა მათ მიერ ზღაპარი აღიქმება როგორც ფანტასტიკური და მორალურ-ეთიკური დატვირთვის მქონე ტექსტი, რაც მიუთითებს მათ ასაკობრივად შესაბამის ღირებულებით ორიენტაციებზე. ასევე ბავშვების მიერ წიგნის კითხვის ცოდნასთან დაკავშირება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბავშვებისათვის კითხვის პროცესი მხოლოდ გართობის საშუალება არ არის და კითხვა აღიქმება როგორც შემეცნებითი აქტივობა. წაკითხული ზღაპრის შემდეგ კითხვებით მივმართავდით ბავშვებს. აღნიშნულმა კითხვებმა ბავშვების აქტიური ჩართულობა უზრუნველყო.

დაკვირვების დროს დავინტერესდით რომელ პროფესიას და რატომ აირჩევნებდა ბავშვები როცა გაიზრდებიან; რა იციან ეკონომიკური ტერმინების: ფული, ბიუჯეტი, დასაქმება, სამუშაო, ხელფასი, გაცვლა (ბარტერი), გარიგება (ხელშეკრულება) შესახებ. დაკვირვება იყო ინტერაქტიული და ბავშვზე ორიენტირებული.

პროფესიასთან მიმართებით ბავშვების პასუხები მრავალფეროვანი იყო, გამოჩნდა სხვადასხვა პროფესიების ცოდნა. მათ მიერ დასახელებული პროფესიები პრესტიჟული, პოპულარული იყო, აღსაზრდელთა დიდ ნაწილს ფეხბურთელობა სურდა. ჩვენი ინტერვიუ ჩატარდა 2024 წლის ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შემდეგ და ბავშვებისათვის იმ დროს პოპულარული სპორტსმენები მისაბამ მოდელებად იქცნენ. ასევე ბავშვებმა დაასახელეს ისეთი პროფესიები, როგორცაა პოლიციელი, ვეტერინარი, ექიმი, პედიატრი, მემლგაური, მასწავლებელი, პილოტი, მეცნიერი, მხატვარი, პრეზიდენტი და სხვა. ინტერვიუს პასუხებიდან გამოიკვეთა, რომ ბავშვები იმ პროფესიებს და პიროვნებებს ასახელებდნენ მოდელებად, რომლებიც რეალურად მათ გვერდით არსებობენ, რომლებთანაც ყოველდღიურად აქვთ რაიმე ფორმით ურთიერთობა, რომლებიც არიან მათთვის პრესტიჟული, მათ შორის მშობელი, მეგობარი, უფროსი და ან ძმა, მასწავლებელი, ასევე ფილმის, ნაწარმოების, ზღაპრის გმირები და სხვ. ეს სიმბოლური მოდელები ისეთივე მნიშვნელოვანია,

როგორც რეალური, ბავშვებისათვის განსაკუთრებით სკოლამდელ ასაკში. ხშირად, მისაბაძნი სწორედ სიმბოლური მოდელები ხდებიან (ბანდურა, 1980).

საინტერესო იყო ბავშვების მოსაზრებები ეკონომიკური ტერმინებთან - ფული, ბიუჯეტი, დასაქმება, სამუშაო, ხელფასი, გაცვლა (ბარტერი), გარიგება (ხელშეკრულება), სესხი - დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთი ტერმინი ბავშვებისთვის კარგად ნაცნობი იყო, ზოგიერთს მეტ-ნაკლებად იცნობენ. საყურადღებოა ის ფაქტი, ბავშვების უმრავლესობა ჩვენ მიერ დასახელებული ცნებებიდან უკეთ იცნობდა სესხს, ფულს, ხელფასს. ბავშვებმა იციან, რომ „ფულით ვყიდულობთ ნივთებს“; „ფული ქალაქისაა“, ანსხვავებენ ლარს და დოლარს ერთმანეთისგან: „მე 5\$ მაქვს“; იციან, რომელ სამუშაოს შესრულებას მოყვება ხელფასი, ბევრი ფული. „ფული ბანკშია, თითს დააწვები და რამდენიც გჭირდება იმდენ ფულს აიღებ“; „ბევრს თუ იმუშავებ ფულიც გექნება. „ასი ან ორმოცი ლარი კარგი იქნება“; „ფულს დირექტორი გვაძლევს“; „ფული გჭირდება რაღაცების საყიდლად“; „მოჯამაგირე ღარიბია, მუშაობს ფული რომ მისცენ“; „მალაზიაში პირამიდა, ან საჭმელი რომ ვიყიდოთ“; „ფულით ვყიდულობთ რაღაცებს და ექსპერიმენტებს ვატარებთ“. „ხელფასი ფულია, სამუშაოს სანაცვლოდ გვაძლევენ, მაშა 22-ში იღებს ხელფასს“, „ხელფასით მალაზიაში ვყიდულობთ რაც გვინდა“; „ხელმწიფე/პრეზიდენტი მოჯამაგირეს ხელფასს აძლევს“; „ხელფასს რომ აიღებს დედა ყელიბონს და საჭმელს ყიდულობს“; „ფული გჭირდება გაჭირვებულებს რომ დავეხმაროთ“; „მასწავლებელი რომ მუშაობს ხელფასს ღებულობს“. „სესხს ბანკიდან იღებს მამა“, „მოგჯერ მალაზიიდან ნისიად მოგვაქვს პროდუქტი“, „სესხი არის ფულის სესხება, ბანკი გვაძლევს სესხს“ (სტილი დაცულია). ინტერვიუს შედეგების ანალიზმა გაამართლა ჩვენი ვარაუდი, სკოლამდელ პერიოდში ალ. ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის გამოყენების ეფექტურობის შესახებ. ბანდურას მიხედვით ადამიანები სწავლობენ რეალურ და სიმბოლურ მოდელებზე დაკვირ-

ვებით. ბავშვები მოდელზე დაკვირვების გზით ითვისებენ გარკვეულ მოქმედებებს ან ქცევას.

აღსაზრდელოა უმეტესობამ არ იცის რა არის ბარტერი, გარჩევა, ბიუჯეტი. ამ ცნებების განმარტებებს მათი ფანტაზიით და ლოგიკით/ინტუიციით ასახელებდნენ. ბიუჯეტის ბავშვებისეული განმარტება ასეთია: „ბიუჯეტი არის ჩვენი მანქანა, მოტოციკლეტი“, „ბიუჯეტი გამიგია, მაგრამ არ ვიცი რა არის“. ბიუჯეტი აღიქმება ასოციაციურად და არა როგორც ფინანსური დაგეგმვის სისტემა. ეს გარემოება მიუთითებს მიზანმიმართული პედაგოგიური მუშაობის აუცილებლობაზე, რათა ბავშვებმა შეძლონ შემოსავლისა და ხარჯების ურთიერთკავშირის გააზრება.

საკუთრების ცნების განმარტებისას ბავშვები უკავშირებდნენ პირად მფლობელობასა და მატერიალურ ობიექტებს: „საკუთრება არის სახლი, სადაც ვცხოვრობთ“, „საკუთრება არის ის რაც ჩემია“, „საკუთრება არის ავტომობილი“, „საკუთარი სახლი“, „საკუთრება არის ბუნება“, „საჩუქარი“, „ცხვარი კომბლეს საკუთრებაა“. პასუხებში ჩანდა როგორც რეალური, ისე ზღაპრული მაგალითები, რაც მიუთითებს, რომ ბავშვებში საკუთრების აღქმა ყალიბდება პირადი ნაცნობი გამოცდილებისა და ტექსტების შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე. ეს ქმნის ქონებრივი ურთიერთობების გააზრების საწყის საფუძველს.

ბავშვების პასუხებიდან: „დასაქმება ნიშნავს, როცა მუშაობ“, „მოჯამაგირე ღარიბია, მუშაობს“, „დასაქმება დახატვაა“, „დედა რომ დაგვავალებს და ვაკეთებთ“ ჩანს, რომ ბავშვები დასაქმებასა და სამუშაოს აკავშირებენ კონკრეტულ საქმიანობასთან. სამუშაო სამსახურია, „სამუშაო მანქანის შეკეთება“, „ჩემი სამუშაო, ბაღში რომ დავდივარ ისაა“, „სახლის აშენება“, „ბაღი როცა მუშაობს, მასწავლებელიც მუშაობს“.

ტერმინი ბარტერი ბავშვებისათვის უცნობი იყო, თუმცა ზღაპრების „რწყილი და ჭიანჭველა“, „პინოქიო“ შინაარსზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ დასმული შეკითხვების საპასუხოდ დაასახელეს მოქმე-

დება „გაცვლა“: „ღორმა რკოს სანაცვლოდ ფეტვი მოთხოვა რწყილს“, „ყვავმა მოითხოვა წიწილა. კრუხი არ დათანხმდა წიწილის მიცემაზე, სანამ ბალახი არ მიუტანა რწყილმა“. „პინოქიომ გაყიდა ქურთუკი, რომ ფული აელო წიგნის საყიდლად, წიგნი გაყიდა ბილეთის საყიდლად“; „პინოქიოს წიგნი რომ ყყიდა, 5 ოქროს მონეტა მისცა“.

დაკვირვების დროს საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა გარიგებასთან (ხელშეკრულება) დაკავშირებით. „გარიგება ერთმანეთს რამე რომ ვათხოვოთ“, „რამე ვკითხოთ“, „შეთანხმება ვიდაცასთან“. ბავშვების უმეტესობა რწყილს ახასიათებდა, როგორც კეთილ, მეგობრულ, მშრომელ მეგობარს. რწყილმა როგორ გადაარჩინა მეგობარი? - ძროხას რკო მიუტანა, ყვავს წიწილა, კრუხს ბალახი. ღორის ჯაგრიდან დაწნა თოკი. ნაცარქექია ბავშვებისათვის მარმაცი, მუქთამჭამელი, ამასთან ერთად მოხერხებული პერსონაჟია.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (სტილი დაცულია) იყო თუ რა ასპექტებზე ხდება ბავშვების ყურადღების გამახვილება ზღაპრების ნაკითხვის პროცესში და კითხვის დასრულების შემდეგ. გვინტერესებდა, ხდება თუ არა საერთოდ ეკონომიკურ ასპექტებზე მინიშნება ან მათი განხილვა. ამიტომ დაკვირვების პროცესში კითხვის წრეზე საბავშვო ბალებში ნაკითხული იქნა ჩვენს მიერ შეთავაზებული ქართული ხალხური ზღაპრები, რომლებიც შეიცავენ საბაზისო ეკონომიკურ ცნებებს და არსებობს ამ ცნებებზე აქცენტირების შესაძლებლობა. კითხვის წრეზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თითქმის ყველა საბავშვო ბაღში, ნაკითხული ზღაპრის ანალიზის დროს აღმზრდელები აქცენტს აკეთებდნენ გმირების ხასიათზე, ემოციების გამოხატვაზე, ვიზუალზე/გარეგნობაზე. ყურადღება მახვილდება ისეთ ასპექტებზე როგორცაა მეგობრობა, სიყვარული, მშრუნველობა, სიკეთე და ბოროტება, მოხერხებულობა, თანადგომა და სხვა. ეს ნათლად წარმოჩნდა აღმზრდელების მიერ დასმულ კითხვებსა და ბავშვების პასუხებიდან: „კარგი მეგობარი უნდა გყავდეს“, „ტყუილი არ უნდა ვთქვათ“, „ვაღიაროთ, ბოდიში მოვიხადოთ“.

დაკვირვებამ და ინტერვიუმ 5-6 წლიან ბავშვებთან აჩვენა, რომ აღმზრდელები უმნიშვნელოვანესად მიიჩნევენ მწიკრივ, მორალური და ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებას და კითხვის წრეზე წაკითხული ზღაპრის გარშემო სიკეთეზე, სიმართლის თქმაზე, მეგობრობაზე აკეთებენ აქცენტს, მიმართავენ ბავშვების ყურადღებას. უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვებში მწიკრივ და ესთეტიკურ ცნებებთან ერთად ეკონომიკური წარმოდგენებიც ყალიბდება, როგორც უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ეკონომიკური კულტურის ფორმირების აუცილებელი ფაქტორი. ჩვენ მიერ კითხვის საათზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ხალხური მსოფლმხედველობის ამსახველი ხალხური ზღაპრების კითხვა და მათი აღქმა უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვების მიერ წარმოადგენს საბაზისო წარმოდგენების ფორმირების საფუძველს. სწორედ ამ პერიოდში ისინი იწყებენ ისეთი ეკონომიკური ცნებების გააზრებასა და შეფასებას, როგორიცაა „უფასოდ დახმარება“, „ბევრი-ცოტა“, „მომგებიანი დახმარება“, „საკუთრების დაცვა“ „დახმარების გაცვლა“, „სამართლიანი-უსამართლო“. ისინი ცდილობენ გააანალიზონ საკუთარი ქცევა გაცვლის სიტუაციაში, ხშირად ცდილობენ მოხერხებულობას, სარგებლის მიღებას, მოტყუებასაც (ნაცარქექია) კი. ბავშვების პასუხები: „ცხვარი კომბლეს საკუთრებაა“, „კომბლე კომბალს იმისთვის ამზადებს, რომ მისი საკუთრება დაიცვას მგლისგან“, „ფულით შეიძლება სხვას დავეხმაროთ, ვიყიდოთ ის რაც გვინდა“, „დედა ხელფასს რომ აიღებს ჟელიბონს და საჭმელს ყიდულობს“ და სხვა ნათლად გვიჩვენებს, რომ სწორედ ზღაპრები და მათი მიზანმიმართული განხილვა აყალიბებს ბავშვებში საწყის წარმოდგენებს სამყაროსა და ადამიანის უმნიშვნელოვანეს კავშირებზე. ეს კი მიუთითებს ეკონომიკური აზროვნების ახალი ფორმის წარმოშობაზე, რომელიც საჭიროებს უფროსების ყურადღებას და ზოგჯერ კორექციასაც. უფროსი სკოლამდელი ასაკი შეგვიძლია გამოვიყენოთ ეკონომიკური ცნობიერების ფორმირებისათვის, სკოლამდელი ბავშვების ეკონომიკური

აღმრდის დასაწყებად. ზღაპრის მხატვრულ სამყაროში ეკონომიკური ურთიერთობები არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ზნეობრივი, სოციალური და სხვა ურთიერთობები. ამ პროცესის კვალიფიციური მხარდაჭერა აღმზრდელებისა და მშობლების მხრიდან განაპირობებს იმას, რომ ბავშვს უყალიბდება საწყისი ეკონომიკური ცოდნის სისტემა, რაც მას საშუალებას აძლევს, იყოს მცირე პარტნიორი ოჯახის ეკონომიკაში და მომავალში - გახდეს ეკონომიკური ცხოვრების გააზრებული მონაწილე (Lukin, Bahor, Lobanova, n.d).

დასკვნა

5-6 წლიან ბავშვებთან კითხვის წრეზე დაკვირვების და ჩატარებული ინტერვიუს ანალიზმა გამოავლინა:

ზღაპრის კითხვისა და განხილვის პრაქტიკა საბავშვო ბაღებში უმეტესად დიალოგურ და ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომას ეფუძნება, რაც ხელს უწყობს ბავშვების აქტიურ ჩართულობასა და წინარე გამოცდილების გააქტიურებას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ ბავშვები მხოლოდ ინფორმაციის პასიური მიმღებები კი არ იყვნენ, არამედ აქტიურად ჩაერთონ კითხვის წრის პროცესში.

ბავშვების ეკონომიკური წარმოდგენები ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე და ეფუძნება როგორც ყოველდღიურ გამოცდილებას, ისე ზღაპრულ სიუჟეტებს. პასუხებში იკვეთება ეკონომიკური აზროვნების ელემენტარული ფორმები, რომლებიც ასაკობრივად ბუნებრივ და პედაგოგიურად მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის შემდგომი სწავლებისთვის. თუმცა ეკონომიკური ცნებების შემცველი ზღაპრების წაკითხვისა და განხილვისას ამ ეტაპზე არ ხდება აქცენტირება ეკონომიკურ ან ფინანსურ ასპექტებზე/კონცეპტებზე;

დაკვირვებამ ცხადყო, რომ სწორად შერჩეული კითხვები და კითხვებზე დაფუძნებული დიალოგი განსაკუთრებით ეფექტურია იმისთვის, რომ ბავშვებმა გაიგონ ზღაპრის არსი, მისი მორალური შინაარსი და კითხვის მნიშვნელობა გააზრებისთვის.

ზღაპარი ბავშვისთვის არა მხოლოდ მხატვრული ტექსტია, არამედ ღირებულებითი და შემეცნებითი განვითარების მნიშვნელოვანი საშუალება. დიალოგზე დაფუძნებული მიდგომა ზრდის ბავშვების ჩართულობას და ხელს უწყობს ზღაპრის შინაარსობრივი და ღირებულებითი გააზრების განვითარებას.

აღნიშნული დასკვნები ხაზს უსვამს, რომ უფროსი სკოლამდელი ასაკი განსაკუთრებით ხელსაყრელი პერიოდია ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების დასაწყებად. მიზანმიმართული პედაგოგიური მხარდაჭერის შემთხვევაში, ზღაპრები შეიძლება გახდეს საბავშვო ეკონომიკური კონცეფციების შესწავლის ეფექტური საშუალება.

3.2. ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების რესურსები ქართულ ხალხურ ზღაპრებში

ქართული ხალხური ზღაპარი საუკუნეების განმავლობაში მრავალფუნქციურ სოციალურ-კულტურულ ფენომენს წარმოადგენდა. იგი არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და მხატვრულ-ესთეტიკური, ეთიკურ - მორალური ღირებულებების მატარებელია, არამედ სოციალური და ეკონომიკური ამროვნების ფორმირების ერთ-ერთი უძველესი რესურსია. მათი ნარატივები ასახავს შრომის, რესურსების, არჩევანის, რისკისა და სამართლიანი გაცვლის ისეთ მოდელებს, რომლებიც ბავშვებისთვის ადრეული ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ზღაპრები „კომბლე“, „ნაცარქექია“, „რწყილი და ჭიანჭველა“ და „ერთი მანეთის შოვნა“, „ხუთკუნჭულა“ განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩენს ეკონომიკური ქცევის სხვადასხვა სტრატეგიას - შრომაზე დაფუძნებულ კეთილდღეობას, გონიერებით მიღწეულ წარმატებას, რესურსების პასუხისმგებლიან მართვას, სიმდიდრისა და დოვლათის მოპოვების უნარის წარმოჩენას. ამ ტექსტების ანალიზი საშუალებას იძლევა დავინახოთ, თუ როგორ გადაეცემა ეკონომიკური ღირებულებები თაობიდან თაობას ხალხური შემოქმედების მეშვეობით.

კვლევის მიზანი იყო ქართული ხალხური ზღაპრების ანალიზი ეკონომიკური ცნობიერების ფორმირებისათვის მნიშვნელოვანი კონცეპტების იდენტიფიცირების მიზნით. აღნიშნული ამოცანიდან გამომდინარე, კვლევითი ფოკუსი განისაზღვრა არა ზღაპრების ისტორიულ-ტექსტოლოგიური ევოლუციის შესწავლაზე, არამედ იმ ვერსიებზე, რომლებიც დღეს რეალურად მონაწილეობს ადრეული ასაკის ბავშვთა სოციალიზაციისა და ღირებულებითი ორიენტაციების ფორმირების პროცესში.

საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებში ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ქართული ხალხური ზღაპრების მრავალი გამოცემა. 1891 წელს ლ. აღნიაშვილმა გამოსცა ზღაპრების მცირე კრებული, 1897

წლიდან - ა. წერეთელმა, 1901-1903 წლებში- „ქართველ ქალთა წრემ“, 1909 წელს თ. რამიკაშვილმა გამოსცა ქართლ-კახეთსა და ფშავში ჩაწერილი ზღაპრების ორი კრებული („იყო და არა იყო რა“. „ცხოველთა სამყარო“).

მართალია, 1930-იანი წლებიდან დღემდე ქართული ხალხური ზღაპრების მრავალი გამოცემა არსებობს და ისინი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ფოლკლორისტული და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებისთვის, თუმცა ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენდა ზღაპრების ის ტექსტები, რომელთანაც თანამედროვე ბავშვი და ზოგადად სოციალური ყოველდღიურ საგანმანათლებლო გარემოში ურთიერთობს. შესაბამისად, შერჩეულ იქნა ზღაპრების ის ვერსიები, რომლებიც ამჟამად გამოიყენება სკოლამდელ დაწესებულებებში, საბავშვო ლიტერატურის პოპულარულ გამოცემებში და ფართოდ არის დამკვიდრებული საქართველოში. კვლევის ამ მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველია ის რომ, პირველ რიგში, ეკონომიკური ცნობიერების ფორმირება განიხილება როგორც მიმდინარე სოციალური პრაქტიკა, რომელიც ყალიბდება იმ ტექსტებისა და ნარატივების გავლენით, რომლებიც აქტიურად ცირკულირებს თანამედროვე საგანმანათლებლო-კულტურულ სივრცეში და მეორე მხრივ, ადრეული გამოცემები ხშირად ატარებს ენობრივ, იდეოლოგიურ და რედაქციულ თავისებურებებს, რომლებიც აღარ შეესაბამება დღევანდელ საგანმანათლებლო კონტექსტს და ბავშვის აღქმის ფსიქოლოგიას. ამიტომ კვლევისათვის უფრო რელევანტურია ის ტექსტები, რომლებიც რეალურად გამოიყენება აღმზრდელობით პროცესში და ირიბად მონაწილეობს ადრეული ასაკის ბავშვთა ეკონომიკური ცნობიერების ფორმირებაში.

კვლევით გამოვლინდა, რომ წლების მიხედვით, საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად, იცვლებოდა ზღაპრების შინაარსი, დანიშნულება, კონტექსტი, თუმცა ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩვენ მიერ ტექსტების შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა მათი ფუნქციური აქტუალობა და არა გამოცემის ქრონოლოგია.

კვლევა ეფუძნება პრინციპს, რომ ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების შესწავლა უნდა დაეყრდნოს იმ კულტურულ მასალას, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკაშია ინტეგრირებული. აღნიშნული არჩევანი უზრუნველყოფს მიღებული შედეგების პრაქტიკულ მნიშვნელობას სკოლამდელი განათლებისა და საგანმანათლებლო პოლიტიკისათვის.

ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“

ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“ განსაკუთრებული ინტერესის საგანია იმ თვალსაზრისით, რომ მასში მკაფიოდ არის წარმოდგენილი გაცვლის, შრომის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის და სოციალური კაპიტალის ელემენტები, რაც მას ეფექტიან საგანმანათლებლო რესურსად აქცევს ეკონომიკური ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად ადრეულ ასაკში. ეკონომიკური ცნობიერება ბავშვებში არ უნდა განიხილებოდეს როგორც ფორმალური ეკონომიკური ცოდნის გადაცემა. იგი უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს რესურსების აღქმის უნარს, შრომისა და შედეგის კავშირს, არჩევანის გაკეთებას, თანამშრომლობის მნიშვნელობასა და პასუხისმგებლობის განცდას. სწორედ ამ არაპირდაპირი, თხრობის გზით ახერხებს ზღაპარი ეკონომიკური აზროვნების საფუძვლების ჩამოყალიბებას, რაც სრულ თანხვედრაშია კონსტრუქტივისტულ პედაგოგიკურ მიდგომებთან. ზღაპრის ნარატივი აგებულია ჯაჭვური ლოგიკის პრინციპზე: ერთი ქმედება წარმოშობს მომდევნოს, ხოლო თითოეული მოქმედი სუბიექტი გადაწყვეტილებას იღებს გარკვეული პირობის დაკმაყოფილების საფუძველზე. ეს სტრუქტურა მკაფიოდ ასახავს ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებულ გაცვლისა და ურთიერთდამოკიდებულების ლოგიკას. არც ერთი პერსონაჟი არ მოქმედებს უსასყიდლოდ - ყველა რესურსი მოითხოვს წინასწარ შესრულებულ ქმედებას ან კონტრიბუციას. ზღაპარში არც ერთი რესურსი არ არის მიღებული მარტივად ან უსასყიდლოდ. რწყილი იძულებულია შეასრულოს სხვადასხვა სახის შრომა-ფიზიკური, შუამავლობა, მოლაპარაკება, დროისა და ენერჯის დახარჯვა, რათა მიიღოს საჭირო რესურსი. ეს ხაზს უსვამს შრომის ფუნდამენტურ ეკონომიკურ პრინციპს: ღირებულება იქმნება ძალისხმევითა და აქტიური მოქმედების შედეგად. ბავშვისთვის ეს გზავნილი მნიშვნელოვანია, რადგან ის აყალიბებს წარმოდგენას, რომ შედეგი არ არის შემთხვევითი და წარმატება დაკავშირებულია მიზანმიმართულ მოქმედებასთან.

ზღაპრის ეკონომიკური მოდელი აშკარად ეფუძნება ბარტერულ გაცვლას. თითოეული პერსონაჟი თანახმაა რესურსის გადაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებს მისთვის საჭირო სხვა რესურსს ან სარგებელს. ეს ქმნის გაცვლის ჯაჭვს, რომელიც ეკონომიკური სისტემის ელემენტარულ მოდელს წარმოადგენს. ბავში ამ პროცესის მეშვეობით ეცნობა ბაზრის პროტოტიპს, სადაც ურთიერთობები რეგულირდება არა ძალადობით, არამედ შეთანხმებითა და ურთიერთსარგებელზე დაფუძნებული პირობებით. ზღაპარში მკაფიოდ არის წარმოდგენილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი: თუ კონკრეტული ქმედება არ შესრულდა, შედეგიც არ დადგება. მაგალითად, ბალახის მიუტანლობა ძროხისთვის გამოიწვია რძის მიღებას, რაც მთლიან ჯაჭვს აჩერებს. ეს ლოგიკა ბავში უყალიბებს ეკონომიკური პასუხისმგებლობის განცდას და ასწავლის, რომ თითოეულ მოქმედებას აქვს შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა გაცვლა პირობითია, საბოლოო მიზანი არის არა პირადი სარგებელი, არამედ მეგობრის გადარჩენა. ეს ქმნის სოციალურ-ეკონომიკური სოლიდარობის მოდელს, სადაც ინდივიდუალური შრომა კოლექტიური კეთილდღეობისკენ არის მიმართული. ზღაპარში რესურსები ყოველთვის შეზღუდულია და მათი მოპოვება საჭიროებს ძალისხმევას. არც ფეტვი, არც რძე, არც რკო არ არის უსასრულო ან თავისუფლად ხელმისაწვდომი.

ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“ წარმოადგენს უნიკალურ ნარატიულ მოდელს, რომელიც საშუალებას იძლევა ადრეულ ასაკში ჩამოყალიბდეს ეკონომიკური ცნობიერების ძირითადი ელემენტები. შრომის ღირებულება, გაცვლის ლოგიკა, რესურსების შეზღუდულობა და სოციალური პასუხისმგებლობა ზღაპარში ბუნებრივად, არადიდაქტიური ფორმით არის გადმოცემული. მისი ინტეგრირება საგანმანათლებლო პრაქტიკაში ხელს უწყობს ბავშვებში არა მხოლოდ ეკონომიკური აზროვნების, არამედ სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარებას, რაც მას მნიშვნელოვან რესურსად აქცევს თანამედროვე საგანმანათლებლო დისკურსში.

ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“ გამოირჩევა იმით, რომ ეკონომიკური ურთიერთობები მასში წარმოდგენილია არა ალეგორიულად ან მორალისტური დარიგებების გზით, არამედ ქმედებაზე დაფუძნებული, ლოგიკურად გამართული ნარატივის საშუალებით. სხვა საბავშვო ლიტერატურისგან განსხვავებით, სადაც ეკონომიკური ქცევა ხშირად ემოციურ ან ეთიკურ კონტექსტში იკარგება, აღნიშნულ ზღაპარში მკაფიოდ იკვეთება შრომისა და შედეგის პირდაპირი კავშირი, გაცვლის პრინციპი და რესურსების შეზღუდულობის რეალისტური აღქმა. თითოეული პერსონაჟი მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს პირობითობისა და ურთიერთსარგებლის საფუძველზე. ეს ქმნის ბავშვებისთვის ეკონომიკური სისტემის მარტივ, მაგრამ სტრუქტურულ მოდელს, რომელიც გაცილებით ახლოს დგას რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებთან. შედეგად, ზღაპარი ეფექტიანად უწყობს ხელს არა მხოლოდ ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბებას, არამედ ანალიტიკური აზროვნებისა და პასუხისმგებლობის განცდის განვითარებას ადრეულ ასაკში.

ზღაპარი „ნაცარქექია“

ქართული ხალხური ზღაპარი „ნაცარქექია“ ტრადიციულად აღიქმება როგორც სიუჟეტი ჭკუისა და მოხერხებულობის გამარჯვებაზე ფიზიკურ ძალაზე. თუმცა, ეკონომიკური ანალიზის კონტექსტში, იგი გაცილებით უფრო ღრმა შინაარსს ავლენს და წარმოადგენს ადრეული ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ნარატიულ რესურსს. ზღაპარი მკაფიოდ აჩვენებს, რომ ეკონომიკური წარმატება არ არის მხოლოდ შრომის რაოდენობაზე დამოკიდებული, არამედ მოიცავს სტრატეგიულ აზროვნებას, რისკების მართვას, რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასა და ინფორმაციულ უპირატესობას. ეკონომიკური ცნობიერება ბავშვებში ხშირად ყალიბდება არა პირდაპირი დარიგებების, არამედ სოციალური ქცევის მოდელების დაკვირვებით. „ნაცარქექია“ სწორედ ასეთ მოდელს ქმნის: იგი აჩვენებს, როგორ შეიძლება ეკონომიკურად სუსტი სუბიექტი (უსაქმური, რესურსების არმქონე პერსონაჟი) ინტელექტუალური და სიმბოლური კაპიტალის გამოყენებით გადაიქცეს წარმატებულ ეკონომიკურ აგენტად. ამ თვალსაზრისით, ზღაპარი განსაკუთრებულ პედაგოგიკურ პოტენციალს ფლობს. ზღაპრის შინაარსი აგებულია ეკონომიკური ტრანსფორმაციის ლოგიკაზე: საწყის ეტაპზე ნაცარქექია არის სრულიად არაპროდუქტიული სუბიექტი, რომელიც არ მონაწილეობს შრომით საქმიანობაში და სრულად არის დამოკიდებული სხვაზე. კონფლიქტი სწორედ ამ ეკონომიკური უმოქმედობის შედეგია - რძალი მას სახლიდან აგდებს. შემდგომ ეტაპზე იწყება ნაცარქექიას როგორც ეკონომიკურად აქტიური სუბიექტის ჩამოყალიბება. იგი არ იძენს ფიზიკურ ძალას და არ აგროვებს მატერიალურ რესურსებს შრომის გზით, თუმცა ეფექტიანად იყენებს ხელმისაწვდომ მინიმალურ რესურსებს (ნაცარი, სადგისი, სიტყვა) და ქმნის სიმბოლურ ძალაუფლებას.

ზღაპრის დასაწყისში ნაცარქექია წარმოდგენილია როგორც ეკონომიკურად პასიური ინდივიდი. იგი არ ქმნის ღირებულებას, არ შრომობს და არ მონაწილეობს ოჯახურ ეკონომიკაში. ამ ქცევის შე-

დეგი არის სოციალური სანქცია - გარიყვა ოჯახის ეკონომიკური სივრციდან. ნაცარქექიას წარმატების მთავარი წყარო არ არის მატერიალური რესურსი, არამედ ინტელექტუალური და სიმბოლური კაპიტალი, ასევე მოხერხებულობა და პრაქტიკული უნარები - ჭკუა, ენა, როლის სწორად თამაში. იგი ქმნის ძალაუფლების ილუმინას, რომელიც რეალურ ეკონომიკურ შედეგამდე მიდის. ბავშვისთვის ეს კონცეპტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან აყალიბებს წარმოდგენას, რომ ეკონომიკური ღირებულება შეიძლება შეიქმნას ცოდნით, კომუნიკაციითა და სტრატეგიული ამოცანებით, და არა მხოლოდ ფიზიკური შრომით.

ზღაპარში ნაცარქექია მუდმივად სარგებლობს ინფორმაციული უპირატესობით: დევები არ ფლობენ რეალურ ინფორმაციას მისი შესაძლებლობების შესახებ, რაც მას საშუალებას აძლევს შექმნას ძალაუფლების ეფექტი. ინფორმაციის კონტროლი აქ გარდაიქმნება ეკონომიკურ უპირატესობად. ეს ასწავლის ბავშვებს, რომ ეკონომიკურ ურთიერთობებში ცოდნა და ინფორმაცია ხშირად უფრო მნიშვნელოვანი რესურსია, ვიდრე ფიზიკური ძალა. ნაცარქექიას ქმედებები მუდმივად დაკავშირებულია მაღალი რისკის სიტუაციებთან. მიუხედავად ამისა, იგი ახერხებს რისკის მართვას სწრაფი გადაწყვეტილებების, იმპროვიზაციისა და გარემოებების შეფასების გზით. იგი არ გაურბის საფრთხეს, არამედ გარდაქმნის მას შესაძლებლობად. ეს კონცეპტი ეხმარება ბავშვებს გააცნობიერონ, რომ ეკონომიკური გადაწყვეტილებები ყოველთვის შეიცავს რისკს, თუმცა გააზრებული ქმედება ამ რისკს ამცირებს. ზღაპარი „ნაცარქექია“ წარმოადგენს ძლიერ ნარატივს, რომელიც ბავშვებში ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს ინტელექტუალური კაპიტალის, ინფორმაციის მნიშვნელობისა და სტრატეგიული ქცევის მაგალითებით. იგი აჩვენებს, რომ ეკონომიკური წარმატება შეიძლება მიღწეულ იქნას არა მხოლოდ შრომის რაოდენობით, არამედ გონივრული გადაწყვეტილებებითა და გარემოებების გააზრებით.

ზღაპარი „კომბლე“

ქართული ხალხური ზღაპარი „კომბლე“ ტრადიციულად განიხილება როგორც ძალის, სიმამაცისა და სამართლიანობის გამარჯვების ნარატივი. თუმცა ეკონომიკური ანალიზის კონტექსტში იგი ავლენს უფრო ღრმა შინაარსს და წარმოაჩენს საკუთრების დაცვის, შრომით შექმნილი კაპიტალის, რისკისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან კონცეპტებს. ზღაპარში ეკონომიკური ურთიერთობები ამკარად არის დაკავშირებული რეალურ სოციალურ პრაქტიკებთან - მესაქონლეობასთან, შრომით საქმიანობასთან და ქონების დაკარგვის საფრთხესთან. ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, „კომბლე“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი ბავშვებს აცნობს ეკონომიკური პასუხისმგებლობის აქტიურ მოდელს: ინდივიდი თავად არის პასუხისმგებელი მის საკუთრებაზე, მის მიერ შექმნილ ღირებულებასა და მის დაცვაზე. ზღაპარი მკაფიოდ აჩვენებს, რომ ეკონომიკური კეთილდღეობა არ არის მხოლოდ ქონების ფლობა, არამედ მისი დაცვა, კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში აქტიური მოქმედება. კომბლე წარმოადგენს შრომით აქტიურ სუბიექტს - იგი ამზადებს კომბლეს, ფლობს ცხვრებს და ამგზით ქმნის ეკონომიკურ სტაბილურობას. ცხვრები მისი ეკონომიკური რესურსია. კონფლიქტი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ეკონომიკური რესურსი დაუცველი ხდება და მტაცებელი (მგელი) მას ითვისებს. ზღაპრის მეორე ნაწილი კი მთლიანად ეძღვნება დაკარგული ეკონომიკური აქტივის დაბრუნებასა და სამართლიანობის აღდგენას. კომბლეს ეკონომიკური სტატუსი ეფუძნება მის შრომას: იგი არის ხელოსანი და მესაქონლე. ცხვრები არ არის შემთხვევითი ნაჩუქარი რესურსი - ისინი შრომის შედეგია და წარმოადგენს მისი ეკონომიკური კაპიტალის ნაწილს. ცხვრების დაკარგვა კომბლესთვის მხოლოდ ემოციური დანაკარგი არ არის - ეს არის ეკონომიკური ზარალი. სწორედ ამიტომ იგი აქტიურად მოქმედებს და იწყებს დაკარგუ-

ლი რესურსის ძებნას. კომბლეს არ ელოდება დახმარებას გარედან და არ თმობს თავის ქონებას.

ზღაპარში მელია, დათვი და მგელი განასახიერებენ ეკონომიკურ საფრთხეებს. მიუხედავად იმისა, რომ მელია და დათვი თავს არიდებენ კონფლიქტს, საბოლოო საფრთხე რეალიზდება მგლის სახით, რომელიც რესურსს ითვისებს. კომბლეს კომბალი წარმოადგენს არა აგრესიას, არამედ დაცვის ინსტრუმენტს. ძალა აქ გამოყენებულია მხოლოდ საკუთრების დაბრუნებისა და სამართლიანობის აღსადგენად. ზღაპრის ფინალში კომბლე იბრუნებს თავის ცხვრებს და უბრუნდება საწყის ეკონომიკურ მდგომარეობას. ზღაპარი „კომბლე“ წარმოადგენს ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბების ეფექტიან ნარატიულ რესურსს, რადგან მასში მკაფიოდ არის წარმოჩენილი შრომით შექმნილი საკუთრების ღირებულება, პასუხისმგებლობა და დაცვის აუცილებლობა.

ზღაპარი „ერთი მანეთის შოვნა“

ქართული ხალხური ზღაპარი „ერთი მანეთის შოვნა“ წარმოადგენს ეკონომიკური აღზრდის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო და პირდაპირ თხრობით მოდელს, სადაც შრომის ღირებულება, ფულის მიმართ დამოკიდებულება და ეკონომიკური პასუხისმგებლობა არა აბსტრაქტულად, არამედ პრაქტიკული გამოცდილების გზით არის ნაჩვენები. ზღაპარი ეხება ფუნდამენტურ ეკონომიკურ პრობლემას - როგორ ყალიბდება ფულის ღირებულების აღქმა და რატომ არის შრომითი გამოცდილება აუცილებელი ეკონომიკური ცნობიერების ფორმირებისთვის. ეკონომიკური განათლების კონტექსტში აღნიშნული ზღაპარი განსაკუთრებულია იმით, რომ იგი ფულის ცნებას არ აცალკევებს ემოციური და შრომითი გამოცდილებისგან. ფული აქ არ არის მხოლოდ გაცვლის საშუალება, არამედ შრომით „დატვირთული“ ღირებულება. ეს მიდგომა სრულ თანხვედრაშია თანამედროვე ეკონომიკური განათლების პრინციპებთან, რომლებიც ხაზს უსვამენ გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლას. ზღაპრის სიუჟეტი აგებულია ეტაპობრივ ეკონომიკურ ტრანსფორმაციაზე: სრული უმოქმედობიდან - შრომით ჩართულობამდე და პასუხისმგებლობის გააზრებამდე. დასაწყისში ვხვდებით ეკონომიკურად პასიურ სუბიექტს, რომელიც ვერ ქმნის ღირებულებას და სრულად არის დამოკიდებული მშობელზე. პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც მამა ველარ უზრუნველყოფს ოჯახის ეკონომიკურ სტაბილურობას და იძულებულია შვილის ეკონომიკური უნარები გამოსცადოს. მისი მიზანია შვილის პატიოსან, გამრჯე, მშრომელ ადამიანად აღზრდა ან ტრანსფორმირება, რომ ბარმაცმა და უქნარა შვილმა გაიაზროს ფულის საკუთარი შრომით მოიპოვების აუცილებლობა. ზღაპრის შუა ნაწილი წარმოადგენს ფულის „სიმულირებულ შოვნას“, რაც ვერ ქმნის რეალურ ეკონომიკურ კავშირს შრომასა და შედეგს შორის. საბოლოო ეტაპზე კი შვილი გადის რეალურ შრომით გამოცდილებას, რაც იწვევს მისი ეკონომიკური ცნობიერების გარდაქმნას. ნარა-

ტივი მკაფიოდ აჩვენებს, რომ ეკონომიკური სწავლება ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის პირად გამოცდილებაზეა დამყარებული. ზღაპრის ცენტრალური კონცეპტია შრომასა და ფულს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ჩამოყალიბება. პირველი ორი მცდელობა - დედის მიერ მიცემული ფულის „გათამაშება“ - ეკონომიკურად უფუნქციოა, რადგან ფულს არ ახლავს შრომითი გამოცდილება და არც ემოციური კავშირი.

მამა ფულს არ ამოწმებს რაოდენობით ან ფორმით, იგი ამომწმებს შვილის რეაქციას ამ ფულის დაკარგვაზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც შვილი ემოციურად განიცდის დანაკარგს, ფული იქცევა რეალურ ეკონომიკურ ღირებულებად. ზღაპარში შრომა არ არის სასჯელი, იგი არის სწავლების მთავარი მექანიზმი. მამა არ აძლევს შვილს ინსტრუქციებს, არამედ ქმნის პირობებს, სადაც შვილი თავად მიდის დასკვნამდე. მამის საბოლოო გზავნილი მკაფიოა: შრომა არის გადარჩენის წინაპირობა. ეკონომიკური თვითკმარობა აქ წარმოდგენილია როგორც პიროვნული პასუხისმგებლობის შედეგი. ზღაპარი „ერთი მანეთის შოვნა“ წარმოადგენს ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო თხრობით ჩარჩოს ქართულ ფოლკლორში. იგი ბავშვებს ასწავლის, რომ ფულის ღირებულება განისაზღვრება შრომითა და პირადი ძალისხმევით, ხოლო ეკონომიკური დამოუკიდებლობა პასუხისმგებლობის შედეგია. ზღაპრის საგანმანათლებლო პოტენციალი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ეკონომიკურ ჭეშმარიტებებს გადასცემს არა დარიგების, არამედ გამოცდილების გზით, რაც მას განსაკუთრებით ეფექტიან რესურსად აქცევს ადრეული ეკონომიკური განათლების კონტექსტში.

ზღაპარი „ხუთკუნჭულა“

